საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი

ნოდარ კომახიძე

სოფლის მეურნეობა და გლეხთა მდგომარეობა აღმოსავლეთ თურქეთში მეორე მსოფლიო ომის შემდეგ

გამომცემლობა „მეცნიერება"
თბილისი
1965

334
ᲝᲗ 321. 914.2+308] (56)
3711

ნაშრომში მოცემულია აღმოსავლეთ თურქეთის სოფლის საწარმოო ძალთა განვითარების მეცნიერული ანალიზი, საკვლევი მხარის სოფლის მეურნეობის სტრუქტურა და მეურნეობრივი სპეციალიზაცია, განხილულია მშრომელი გლეხობის სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობა და ბრძოლა მემამულური ექსპლოატაციის წინააღმდეგ.

•

• •

მას შემდეგ რაც წინამდებარე ნარკვევი დასასტამბად გადაეცა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობას, საბჭოთა კავშირის საავტორო პალატამ ავტორი ორი თვით მიავლინა თურქეთში იზმირის საერთაშორისო ბაზრობაზე საბჭოთა პავილიონში სამუშაოდ.

თურქეთში ყოფნისას ავტორი ადგილობრივ წიგნთსაცავებში, კერძოდ. იზმირის ეროვნულ ბიბლიოთეკაში (Izmir Millî Kütüphanesi) გაეცნო ინვიათ წყაროებსა და ლიტერატურას, როძლებიც მანამდე ხელმიუწვდომელი იყო საბჭოთა აღმოსავლეთმცოდნეებისათვის.

შეგროვილი მეტად საინტერესო მასალა შუქს ჰფენს საკვლევი პრობლემატიკის, კერძოდ, მიწათმფლობელობისა და მიწათსარგებლობის საკვანძო საკითხებსა და დამახასიათებელ თავისებურებებს თურქეთის აღმოსავლეთ ვილაიეთებში, იძლევა მათი უფრო კონკრეტული და მომცველი ანალიზის საშუალებას.

ტექნიკური მიზეზების გამო დაბრკოლდა თურქეთში მოკვლეული მასალის გამოყენება წარმოდგენილი ნაშრომის შესავსებად, ავტორი მიზანშეწონილად თვლის დაეყრდნოს ამ დოკუმენტებს თავის შემდგომ მუშაობაში.

შესავალი

აგრარულ ურთიერთობათა ევოლუცია და თავისებურებანი რესპუბლიკურ თურქეთში საბჭოური და საზღვარგარეთის ორიენტალისტიკის ცხოველ ინტერესს იწვევს. არა ერთი საინტერესო გამოკვლევა მიეძღვნა ამ პრობლემის შესწავლას. ამ ამოცანას ემსახურება წინამდებარე ნაშრომიც. რომელშიც ჩვენ მიზნად ვისახავთ წარმოვსახოთ სურათი სოფლის მეურნეობის და გლეხთა მდგომარეობისა აღმოსავლეთ თურქეთში მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. ეს საკითხი კვლევის საგნად შერჩეულ იქნა რამდენიმე მოსაზრების გამო: 1. აღმოსავლეთ თურქეთი. განსაკუთრებით მისი ჩრდილო-აღმოსავლეთი ორგანულ კავშირშია საქართველოს წარსულთან და, ობიექტურად, ყოველი ქართველი მკვლევარის დიდ ინტერესს იწვევს. 2. აღმოსავლეთ თურქეთის. როგორც ჩვენი საბჭოთა სამშობლოს მოსაზღვრე რაიონის თანამედროვე სოციალ-ეკონომიური მდგომარეობა. მისი მოსახლეობის ყოფა, აღმოსავლეთ თურქეთის ადგილი ცენტრალური ხელისუფლების პოლიტიკაში, აღმოსავლეთ რაიონების ეკონომიური პოტენციალის ამჟამინდელი დონე და პერსპექტივები. ეჭვს გარეშეა. წინა პლანზე აყენებს თურქეთის აღმოსავლეთს, როგორც კვლევის ობიექტს. 3. თურქეთში დამკვიდრებული აგრარული ურთიერთობების საერთო სურათი ასე თუ ისე დადგენილია. აღმოსავლეთ თურქეთის კონკრეტული სინამდვილე მეორე მსოფლიო ომის შემდეგ კი არ ყოფილა ყოველმხრივი, სპეციალური კვლევის საგანი, რაც უდავოდ აძლიერებს ამ მხარის შესწავლის მნიშვნელობას საბჭოთა, კერძოდ. ქართველი აღმოსავლეთმცოდნეებისათვის. 4. კაპიტალისტურ ურთიერთობათა განვითარება თურქეთში მიმდინარეობს „სიღრმეზე" და „სიგანეზე". აღმოსავლეთი თურქეთის ის ნაწილია, სადაც ამ პროცესის მეორე მხარეს აქვს ადგილი. ე. ი. კაპიტალიზმის მიერ ახალი ტერიტორიების კოლონიზაციას, რასაც ვ. ი. ლენინის ხაზგასმით „მეტისმეტად დიდი მნიშვნელობა აქვს"[1] სწორედ ამ პროცესის მიმდინარეობაზე ვამახვილებთ ძირითადად ყურადღებას ჩვენს გამოკვლევაში, ამასთან. სადაც ეს აუცილებელია, ვეხებით ფეოდალურ-ბატონყმური ურთიერთობის გადმონაშთების

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, „კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში, თხზ., ტ. 3, გვ. 705.

როლსა და მნიშვნელობას ამ მხარის დღევანდელ სოციალურ-ეკონომიურ ცხოვრებაში.

ჩვენი მიზანია, რამდენადაც ეს ხელმისაწვდომია, არსებული მასალებიდან გამომდინარე თვალი გავადევნოთ ახალ საწარმოო ურთიერთობათა დამკვიდრებას საკვლევ მხარეში უკანასკნელი 20 წლის მანძილზე, ამასთან ავსახოთ მიწათმფლობელობისა და მიწათსარგებლობის სისტემაში არსებული თავისებურებანი თურქეთის სხვა რაიონებისაგან განსხვავებით და აღმოსავლეთის ცალკეული ვილაიეთების სოფლის მეურნეობის ჯერ კიდევ რუტინული, პირველყოფილი მდგომარეობა.

*

თანამედროვე თურქეთი აგრარული ქვეყანაა სუსტად განვითარებული მრეწველობით. თურქეთის ეკონომიკის წამყვანი დარგია სოფლის მეურნეობა, რომელიც სახელმწიფო შემოსავლის ძირითად წყაროს წარმოადგენს. სოფლის მეურნეობის სვედრი წონა თურქეთის ეროვნულ შემოსავალში მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ნაჩვენებია 1 ცხრილში.

სოფლის მეურნეობის პროდუქტები თურქეთის სახელმწიფო ექსპორტის 85-90% შეადგენს[2]. ამდენად, სახალხო მეურნეობის ეს დარგი უცხოეთის ვალუტის მიღების ძირითადი წყაროც არის. თურქეთის ექსპორტს, უპირველეს ყოვლისა, შეადგენს ხორბალი. ქერი, თამბაქო, ბამბა, ყურძენი, ლეღვის ჩირი და თხილი. სოფლის მეურნეობის პროდუქტების ხვედრი წონა თურქეთის სახელმწიფო ექსპორტში შეიძლება წარმოდგენილ იქნას მე-2 ცხრილის მეშვეობით.

თურქეთის მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა სოფლად ცხოვრობს ან სოფლის მეურნეობასთან არის დაკავშირებული. უკანასკნელი, 1960 წლის მოსახლეობის ოფიციალური აღწერის მასალების მიხედვით, რესპუბლიკაში სულ ცხოვრობდა 28.7 მილიონი კაცი, აქედან ქალაქად 8. 858 000 (32%), სოფლად 19. 851 000(68%)[3], მაგრამ სახელმწიფო საგეგმო ორგანიზაციის (Türkiye Devlet Planlâma Teşkilâtı) ცნობით, სოფლის მეურნეობაში დასაქმებულია ქვეყნის მოსახლეობის 80,5%[4]. ამდენად, აგრარულ-გლეხური საკითხი დღევანდელი თურქეთის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობ-

---

[2] «1962 — Türkiye yilliği», Istanbul, 1962, s. 240.

[3] „Азия и Африка, 1950 — 1960 г.г. Статистический сборник. Изд. „Наука", Москва, 1964, стр. 17.

[4] «1962 — Türkiye yıllığı», s. 243.

თურქეთის ეროვნული შემოსავალი (1948 წლის ფასებით)[5] ცხრილი 1

	1948		1950		1953		1955		1957		1958		1959	
	მილ. ლირა	%	მილ. ლირა	%	მილ. ლირა	%	მილ. ლირა	%	მილ. ლირა	%	მილ. ლირა	%	მილ. ლირა	
სოფლის მეურნეობა	4.692	53.3	4.541	50	6.403	50.4	5,608	45.4	6.248	44.6	7.343	46.8	7.354	46
მრეწველობა	926	10.5	1.014	11	1.311	10.3	1.428	11.6	1.632	11.4	1.701	10.8	1.779	11.2
მშენებლობა	280	3.3	455	4.8	791	6.3	688	5.4	864	6.2	928	5.9	942	5.9
ვაჭრობა	961	10.1	952	10.4	1.320	10.4	1,206	9.8	1.350	9.6	1.548	9.9	1.549	9.8
ტრანსპორტი	406	4,7	488	5.8	697	5.5	924	7.5	1.026	7.3	1.017	6.4	1.101	6.9
ბანკები	129	1,5	152	1.6	229	1.9	301	2.4	340	2.4	405	2.6	440	2.8
თავისუფალი პროფესიები, მომსახურება	325	4	371	4	483	3.8	626	5.1	693	4.9	746	4.7	726	4.5
ნაგებობათა იჯარა	238	2,6	241	2.6	300	2.4	357	2.9	488	3.5	551	3.5	623	3.9
სახელმწიფო სამსახური	878	10	895	9.8	1.159	9	1.224	9.9	1.379	9.9	1,462	9.4	1.439	9.1
ჯამი	8.835	100	9,119	100	12.693	100	12.362	100	14.020	100	15.699	100	15.953	100

სოფლის მეურნეობის პროდუქტების ხვედრი წონა თურქეთის სახელმწიფო ექსპორტში 1950—1960 წლებში[6] ცხრილი 2

	1938	1950	1951	1952	1953	1954	1955	1956	1957	1958	1959	1960
ექსპორტი (მლნ. ლირა)	144.9	737.6	879.4	1016.2	1108.9	937.8	877.4	854	966.6	692,4	991	.
აქედან სოფლის მეურნეობის პროდუქტების ხვედრი წონა (მლნ. ლირა)	91.8	488.8	520.8	667.3	797.1	697.1	473.7	561.5	692.4	467.1	676.6	1.011,1

[5] «Türkiye ticaret odaları, sanayi odaları ve ticaret borsaları birliği. Iktisadî raporu». Istanbul, 1961.

[6] ცხრილი შედგენილია ჩვენ მიერ, წყაროები «Türkiye Cumhuriyet Merkez Bankasi. Aylik bülten», Ankara, 1960, N 2, 1962 N 1—3. «Türkiye ticaret odaları, sanayi odaları...», 1961., «Istanbul Ticaret Odasi mecmuasi», Istanbul, 1960, N 1.

ლემაა, რადგან ამ ქვეყნისათვის „პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს გლეხობის საკითხის გადაჭრას, რომელიც უშუალოდ ეხება მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობის ინტერესებს"[7]. თურქეთში, ისევე როგორც საზღვარგარეთის აღმოსავლეთის სხვა ჩამორჩენილ ქვეყნებში, „ღრმა აგრარული გარდაქმნების განუხორციელებლად არ შეიძლება გადაიჭრას სასურსათო პრობლემა, აღიგავოს შუა საუკუნეების ყველა ნაშთი, რომლებიც ბოჭავენ საწარმოო ძალების განვითარებას სოფლის მეურნეობასა და მრეწველობაში"[8].

თურქეთის გლეხობამ დიდი როლი შეასრულა სულთნის თეოკრატიული მონარქიის დამხობასა და რესპუბლიკური წყობის დამყარებაში. ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის მძიმე წლებში მან თავის მხრებზე იტვირთა სამშობლოს განთავისუფლების საპატიო ამოცანა და წარმატებით გადაჭრა იგი[9]. მაგრამ გლეხთა ანტიიმპერიალისტური მოძრაობა არ გადაზრდილა მძლავრ აგრარულ რევოლუციაში იმის გამო, რომ მას სათავეში არ ედგა თურქეთის პროლეტარიატი, რომელიც იმ დროისათვის მცირერიცხოვანი და სუსტი იყო. ამით ისარგებლა სავაჭრო ბურჟუაზიამ, რომელმაც თავის გავლენას დაუქვემდებარა რევოლუციური. თურქი გლეხობა და მისი ბრძოლა მხოლოდ უცხოელი ინტერვენტების განდევნის ამოცანებით შემოფარგლა.

ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის დამთავრების შემდეგ რესპუბლიკური თურქეთის ხელმძღვანელებს არაერთხელ აღუნიშნავთ, რომ აგრარულ-გლეხური საკითხის გადაჭრა გლეხობის საკეთილდღეოდ თურქი ერის სასიცოცხლო საჭიროებას წარმოადგენდა. „გლეხი თურქეთის ნამდვილი და სრულუფლებიანი ბატონ-პატრონია—განაცხადა ახალი თურქეთის ბელადმა მუსტაფა ქემალმა მეჯლისის სხდომაზე 1922 წლის 1 მარტს—ამიტომ გლეხობას სხვებზე მეტი უფლება აქვს ბედნიერებასა და კეთილდღეობაზე. ამ საფუძველზე თურქეთის დიდი ეროვნული კრების მთავრობის ეკონომიური პოლიტიკა ამ ძირითადი ამოცანის მიღწევისაკენ უნდა იყოს

„განცხადება მსოფლიო კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა თათბირისა, რომელიც გაიმართა მოსკოვში 1960 წლის ნოემბერში". სახელმწიფო გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო", თბილისი, 1961 წელი, გვ. 66.

[8] იქვე.

[9] იხილეთ А. Д. Желтяков, Турецкое крестьянство—решающая сила в борьбе за национальное освобождение в 1918—1920 г.г. Ленинград, 1955.

მიმართულიო"[10]. მთავრობის ოფიციოზის „ჰაქიმიეთი მილიეს" აღნიშვნით, პრეზიდენტის ზემომოყვანილი განცხადებით ახალი პერიოდი დაიწყო თურქეთის ისტორიაში[11], მაგრამ მას შემდეგ 40 წელზე მეტი გავიდა, მთავრობის აგრარული პოლიტიკა კი, კერძოდ, გლეხობის მიწით უზრუნველყოფის საქმე არ გასცილებია ბუნდოვან დაპირებათა ფარგლებს. რესპუბლიკური თურქეთის აგრარული კანონმდებლობა არსებითად მემამულეებისა და კულაკობის ინტერესებს იცავს.

თურქეთის ეროვნულმა ბურჟუაზიამ, რომელიც მჭიდროდ არის დაკავშირებული მიწასთან, სოფლის მეურნეობაში კაპიტალიზმის განვითარების ისეთი გზა აირჩია, როცა, ვ. ი. ლენინის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ძველი მემამულური მეურნეობა, რომელიც ათასხაირი ძაფით არის დაკავშირებული ბატონყმობასთან, რჩება და ნელნელა გადაიქცევა წმინდა კაპიტალისტურ, იუნკრულ მეურნეობად"[12]. ეს გზა გლეხობისათვის მეტად მძიმე მიმდინარეობითა და შედეგებით ხასიათდება.

კაპიტალისტურ ურთიერთობათა განვითარება დღევანდელი თურქეთის სოფელში წარმოგვიდგება როგორც ერთიანი პროცესის ორი მხარე, სახელდობრ, „კაპიტალიზმის გაძლიერება ე. ი. კაპიტალისტური მიწათმოქმედებისა და კაპიტალისტური მრეწველობის შემდგომი ზრდა მოცემულ, განსაზღვრულ და კარჩაკეტილ ტერიტორიაზე,—და კაპიტალიზმის გაფართოება, ე. ი. კაპიტალიზმის ბატონობის სფეროს გავრცელება ახალ ტერიტორიაზე"[13]. იმ დროს, როცა თურქეთის დასავლეთ და ზღვისპირა რაიონებში წარმოების კაპიტალისტურმა წესმა კარგა ხანია მტკიცედ მოიკიდა ფეხი და სრულყოფილი ნიმუშებით წარმოგვიდგება, აღმოსავლეთ თურქეთში, ძირითადად მის შიდა რაიონებში, სხვადასხვა მიზეზების გამო კაპიტალიზმის ბატონობის სფეროს გავრცელება შესამჩნევად გაძლიერდა მხოლოდ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. მიუხედავად ამისა, კაპიტალისტურ ურთიერთობათა მიერ ახალი ტერიტორიების საბო-

---

[10] Архив Внешней Политики (АВП) СССР, фонд 132, опись 7, дело 86, папка 68, л. 30.

[11] იქვე, ფ. 98.

[12] ვ. ი. ლენინი, კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში, მეორე გამოცემის წინასიტყვაობა, თხზ., გამოცემა მე-4, ტ. 3, გვ. 15.

[13] ვ. ი. ლენინი, კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში, დასახ. გამოცემა, ტ. 3, გვ. 705.

ლოო დაპყრობის პროცესი თანამედროვე თურქეთში არ შეიძლება დამთავრებულად ჩაითვალოს, რადგან დღეს, ისევე როგორც მრავალი ათეული წლის წინათ, ფეოდალურ ურთიერთობათა გადმონაშთები სოფლად, მემამულეებისა და აღების მონოპოლია მიწაზე აღმოსავლეთ თურქეთის უმიწაწყლო და მცირემიწიანი გლეხობის ბატონყმური ექსპლოატაციის ამოსავალს წარმოადგენს და მშრომელი გლეხობის ფართო მასების უკიდურესი სიღატაკისა და უვიცობის, სოფლის მეურნეობის ტექნიკური ჩამორჩენილობისა და არაპროდუქტულობის ძირითადი მიზეზია.

•

ვიდრე შევუდგებოდეთ დასახული ამოცანის გადაწყვეტას, მიზანშეწონილად მიგვაჩნია განვსაზღვროთ საკვლევი რაიონი, ე. ი. ვილაიეთები, რომლებიც, ჩვენი აზრით, შეადგენენ აღმოსავლეთ თურქეთს. ორიოდე სიტყვა ტერმინი—„აღმოსავლეთ თურქეთის" შესახებ.

როგორც თურქეთის მკვლევარებისათვის ცნობილია, თურქულ (და ზოგიერთი სხვა ქვეყნების) სპეციალურ ლიტერატურაში ქვეყნის ამ მხარის აღსანიშნავად საყოველთაოდ გამოიყენება ტერმინი „აღმოსავლეთი ანატოლია"—„დოღუ ანადოლუ", რომლის დღევანდელი მნიშვნელობა, ფაქტიურად, სათავეს პანთურქისტულ იდეოლოგიაში იღებს. საქმე შემდეგშია: ბერძნული სიტყვა „ანატოლე"—რაც დილას, აღმოსავლეთს ნიშნავს, ბიზანტიაში თავდაპირველად გამოიყენებოდა იმ ტერიტორიების სახელდებისათვის, რომლებიც კონსტანტინეპოლის აღმოსავლეთით მდებარეობდნენ, ეხებოდა მცირე აზიის მხოლოდ ნაწილს „ტემა ანატოლიკუმს" რომ შეადგენდა და მოიცავდა ფრიგიას, ლიკაონიას, პამფილიასა და პიზიას[14]. მცირე აზია „ტემა ანატოლიკუმს" გარდა კიდევ 13 სხვა „ტემას" შეიცავდა. შემდგომ, თითქმის ყველა ავტორი ტერმინს—„ანატოლია" იყენებდა მთელი მცირე აზიის აღსანიშნავად. ქემალისტურმა რევოლუციამ თურქეთში პანთურქისტული იდეოლოგიის ახალი აღმავლობა გამოიწვია. თურქმა გეოგრაფებმა და ისტორიკოსებმა აღმოსავლეთ თურქეთის შემადგენლობაში მოქცეული მიწების სახელდებისათვის, რომლებიც ქართველებით, ლაზებით, სომხებით, ქურთებითა და არაბებით იყო დასახლებული, კვლავ შემოიღეს ხმარებაში ტერმინი „ანატოლია" და იგი პანთურქისტული იდეოლოგიის სამსახურში და-

[14] ე. ი. დაახლოებით დღევანდელი ესქიშეჰირის, ბურსას, კიუტაჰიას, ბილეჯიკის, დენიზლის, აფიონ-კარაჰისარის, ბურდურის, ისპარტას, ანტალიას, კონიასა და ნიგდეს ვილაიეთები.

აყენეს — მთელ აზიურ თურქეთს მათ „ანატოლია“ უწოდეს, ხოლო მის აღმოსავლეთს დოღუ ანადოლუ — აღმოსავლეთი ანატოლია[15].

ცალკეულ შემთხვევაში ისტორიული სინამდვილის ზეგავლენით თურქი ავტორები იძულებული არიან სიმართლე აღიარონ და ობიექტური შეფასება მისცენ ტერმინს „აღმოსავლეთი ანატოლია“. მაგალითად, ცნობილი თურქი გეოგრაფი ჰუსეინ სარაჩოღლუ აღმოსავლეთ თურქეთისადმი მიძღვნილ სქელტანიან მონოგრაფიას სათაურით „Doğu Anadolu“ შემდეგი სიტყვებით იწყებს: „დასავლეთში უზუნ იაილადან[16] მოკიდებული აღმოსავლეთ საზღვრამდე გადაჭიმულ ვრცელ ტერიტორიას აღმოსავლეთი ანატოლია ეწოდება. თუ საჭირო იქნა ტერმინის—„ანატოლია“ მის ისტორიულ და ჭეშმარიტ (?!) ფარგლებში უარყოფა, ეს მხარე შეიძლება წარმოდგენილი იქნას აღმოსავლეთ თურქეთის სახელწოდებით და არსებითად ასე უფრო სწორია“[17].

ამრიგად, ჩვენ არ მიგვაჩნია მართებულად ტერმინის „აღმოსავლეთი ანატოლია“ გაიგივება აღმოსავლეთ თურქეთთან და საჭიროდ ვთვლით, რომ ამ მხარის ერთადერთ სწორ სახელწოდებად მიჩნეულ იქნას „აღმოსავლეთი თურქეთი“.

არ არის აზრთა ერთიანობა მეორე საკითხშიც, კერძოდ, რომელი ვილაიეთები შეადგენენ აღმოსავლეთ თურქეთს. ზოგი თურქი გეოგრაფი თურქეთის აღმოსავლეთ ნაწილად მიიჩნევს ტერიტორიას, რომელიც განლაგებულია სამსუნისა და ალექსანდრეტის ყურეებზე გამავალი მერიდიანის აღმოსავლეთით. რაც შეეხება ჰუსეინ სარაჩოღლუს, იგი თავის ზემომოხსენებულ მონოგრაფიაში არ მიმოიხილავს აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის არცერთ ვილაიეთს, და როგორც ჩანს, არ თვლის მათ აღმოსავლეთ თურქეთის კომპონენტებად. თითქმის ანალოგიურია თურქეთის სავაჭრო და სამრეწველო პალატებისა და ბირჟების გაერთიანების სპეციალური კომისიის მიერ დადგენილი საზღვრები „აღმოსავლეთ ანატოლიისა“, მხოლოდ იმ

---

[15] В. В. Цыбульский, Античные географические названия в современной Турции, „Топонимика Востока“, ИВЛ, Москва, 1962, стр. 28-29. უნდა აღინიშნოს, რომ 1960 წლის ბოლოს გიურსელის მთავრობამ საგანგებო დადგენილება მიიღო იმის თაობაზე, რომ დასახელება შეცვლოდა აღმოსავლეთის 7 ვილაიეთის 2180 დასახლებულ პუნქტს. კერძოდ, ყველა ქურთული, არაბული, სპარსული და სხვა სახელწოდება თურქულით იქნა შეცვლილი. იხ. «Yeni gün», 16 Aralık 1960.

[16] უზუნიაილა—მალათიის დასავლეთით, მდინარე თოქმა სუიუს შენაკადების ჩამურლუ დერესა და გიურიუნ ჩაის სათავეებთან მდებარეობს და ვიერიუნჩალი დაღის დასავლეთი ფერდობების ძირში მთავრდება.

[17] Hüseyin Saraçoğlu, Doğu Anadolu, Cilt I, Istanbul, 1956. s. 1.

განსხვავებით, რომ ზღვისპირა ვილაიეთების გარდა კომიშიას აღმოსავლეთ თურქეთის შემადგენლობაში არ შეჰყავს ვილაიეთები გაზიანთეფი და მალათია.

ცნობილი საბჭოთა ისტორიკოსის დ. ზავრიევის განსაზღვრით, აღმოსავლეთ თურქეთს შეადგენენ ვილაიეთები „ტრაპეზუნდი, ჭორუჰი (რიზე და ართვინი), გიუმუშანე, ერზინჯანი, ერზერუმი, ყარსი, ბაიაზიდი, ელიაზიზი, მუში (ბითლისი), ვანი, დიარბაქირი, ურფა, მარდინი, ჰაკიარი და სიირთი (საერთო ფართობი 221 ათ. კვ. კმ)"[18].

ავტორი იქვე განმარტავს, რომ აღმოსავლეთ თურქეთის მის მიერ დადგენილი მასშტაბები პირობითია და რამდენადმე შეზღუდული, რადგან იგი გამომდინარეობდა შრომის ძირითადი ამოცანიდან— დაეწერა ეკონომიური ნარკვევი იმ ვილაიეთების შესახებ, რომლებიც სხვებზე მეტად იყვნენ შრომის დაწერის მომენტისთვის ეკონომიურად დაკავშირებული საბჭოთა კავშირთან[19]. თურქეთის მეორე საბჭოთა სპეციალისტი ე. დიატკინი ნარკვევში „თურქეთის აღმოსავლეთი ვილაიეთების საექსპორტო რესურსები" წერს: „თურქეთის აღმოსავლეთი ვილაიეთები, რომელთაც, ჩვეულებრივ, აღმოსავლეთ ანატოლიას უწოდებენ, მოიცავენ ტერიტორიას, რომელიც მდებარეობს ერზინჯანზე გამავალი მერიდიანის აღმოსავლეთით და ჩრდილოეთსა და აღმოსავლეთში ესაზღვრება საბჭოთა კავშირსა და სპარსეთს; ხოლო სამხრეთში ერაყს. თურქეთის ამ ნაწილის ფართობია 240 ათას კვ. კმ. (მთელი თურქეთის ტერიტორიის 30%), მოსახლეობა კი 2,3 მილიონი (რესპუბლიკის მოსახლეობის 17,3%). ადმინისტრაციულად აღმოსავლეთი ანატოლია იყოფა ვილაიეთებად: ართვინის, ყარსის, ბაიაზითის, არზრუმის და ერზინჯანის (ჩრდილო-აღმოსავლეთი ვილაიეთები), ბითლისის, ვანის ჰაკირის, (ჰაკიარის—ნ. კ.), სიითის (სიირთის— ნ. კ.), დიარბექირის, მარდინისა და ურფის (სამხრეთ-აღმოსავლეთი ვილაიეთები), რიზეს, გიუმუშანეს და ტრაპეზონდის (აღმოსავლეთი შავი ზღვისპირეთის ვილაიეთები) და ელიაზისის (ჰარფუთი)"[20].

პროფ. პ. მ. ჟუკოვსკი, რომელმაც 1925—1927 წლებში სამი ექსპედიცია მოაწყო თურქეთში და კაპიტალური შრომა უძღვნა თურ-

---

[18] Д. С. Заврие в, Восточная Анатолия, Экономические очерки, Тбилиси, 1936, стр. 7, 8. მისივე — К новейшей истории северо-восточных вилайетов Турции, Тбилиси, 1947, стр. 185—186, 200—203.

[19] იქვე.

[20] Е. Я. Дяткин, Экспортные рессурсы восточных вилайетов Турции, Экспортные рессурсы стран Востока, Сборник статей, Всесоюзная Торговая Палата, Внешторгиздат, Москва—Ленинград, 1933 г., стр. 6.

ქეთის სოფლის მეურნეობას, აღნიშნავს, რომ „აღმოსავლეთი ანატოლია ახლა ეწოდება... (თურქეთის-ნ. კ.)მთელს ტერიტორიას, რომელიც მდებარეობს ხაზის—ტირებოლუ შავ ზღვაზე, პაიასი ხმელთაშუა ზღვაზე[21] აღმოსავლეთით თურქეთ-საბჭოთა კავშირისა და თურქეთ-სპარსეთის საზღვრებამდე"[22].

ვფიქრობთ, რომ აღმოსავლეთ თურქეთის ეუკოვსკისეული განსაზღვრა ყველაზე უფრო სრულყოფილია (ამავე მოსაზრებას უჭერს მხარს პროფ. დ. ზავრიევი) მხოლოდ ერთი კორექტივით: ჩვენ მიგვაჩნია, რომ აღმოსავლეთ თურქეთის შემადგენლობაში არ შეიძლება მარაშის ვილაიეთის შეყვანა, რადგან იგი გეოგრაფიულად ხმელთაშუა ზღვის რაიონს განეკუთვნება[23], მაშინ როდესაც ამ საზღვრებში შეყვანილი უნდა იქნას ორდუს ვილაიეთი, როგორც აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ერთ-ერთი აუცილებელი შემადგენელი ნაწილი[24].

ამრიგად, ჩვენი განსაზღვრით, აღმოსავლეთ თურქეთს შეადგენენ შემდეგი ვილაიეთები (იხ. ცხრილი 3)

როგორც ცხრილიდან ჩანს, აღმოსავლეთ თურქეთის ჩვენ მიერ დადგენილ საზღვრებში მოქცეულია 24 ვილაიეთი, რომელთა საერთო ფართობი უდრის 266. 296 კვადრატულ კილომეტრს, მოსახლეობა კი 7. 238. 766 კაცს. ტერიტორიის მისედვით ყველაზე ვრცელია არზრუმის ვილაიეთი 23. 941 კვ. კმ. მასვე ეკუთვნის პირველობა მოსახლეობის სიმრავლით — 575. 897. ყველაზე მცირეა რიზეს ვილაიეთი—3. 664 კვ. კმ. ხოლო მოსახლეობის რაოდენობით უკანასკნელ ადგილზეა ჰაკიარის ვილაიეთი 67. 684 კაცი. საკვლევი რაიონის დასავლეთი საზღვარი გადის ვილაიეთების ორდუს, გირესუნის, ერზინჯანის, მალათიის, ადიამანისა და გაზიანთეფის უკიდურეს დასავლეთ წერტილებზე.

---

[21] ტირებოლუ გირესუნის ვილაიეთშია, პაიასი კი ისკენდერუნის ყურეში; როდესაც პროფ. ეუკოვსკი თავის გამოკვლევას წერდა ჰათაის ვილაიეთი არ შედიოდა თურქეთის შემადგენლობაში და, ბუნებრივია, ისევე როგორც დღეს, არ ითვლებოდა ავტორის მიერ აღმოსავლეთ თურქეთის კომპონენტად.

[22] П. М. Жуковский. Земледельческая Турция, Москва-Ленинград, 1933 г., стр. 7.

[23] Бесим Даркот, География Турции, Москва, 1959 г., стр. 65,93.

[24] იხ. Zihni Derin. Doğu Karadenizi kalkindiralim. Ordu, Giresun. Trabzon, Rize, Çoruh vilayetlerin ziraî durumu ve kalkinma çareleri. Ankara, 1952, s. 7.

ცხრილი 3

აღმოსავლეთ თურქეთის ვილაიეთები, მათი ფართობი, მოსახლეობის რაოდენობა[25] და სიმჭიდროვე[26]

ვილაიეთები	ფართობი კვ. კმ	მოსახლეობის რაოდენობა	სიმჭიდროვე 1-კვ. კმ-ზე
ადიამანი	7.564	235.247	31
აღრი	12.659	215.169	12
ართვინი (ყოფ. ჭორუჭი)	7.968	193.683	22
ბინგიოლი	8.564	131.147	11
ბითლისი	6.939	129.125	13
დიარბაქირი	14.579	401.770	20
ელიაზიგი	9.204	278.116	23
ერზინჯანი	10.583	245.337	19
არზრუმი	23.941	575.897	19
გაზიანთეფი	8.464	438.483	39
გირესუნი	6.812	382.474	44
გიუმუშანე	10.059	243.238	20
ჰაკიარი	9.641	67.684	5
ყარსი	18.406	544.713	22
მალათია	19.918	395.958	24
მარდინი	11.593	354,125	23
მუში	7.629	167.377	14
ორდუ	5.377	470,106	69
რიზე	3,664	249.530	49
სიირთი	11.353	233.208	14
ტრაპიზონი	4.541	533.192	92
თუნჯელი	8.364	140.332	13
ურფა	20.715	401.493	14
ვანი	17.759	211 362	8
ჯამი	266.296	7.238.766	

საკვლევი ტერიტორიის მოკლე ფიზიკურ-გეოგრაფიული დახასიათება

აღმოსავლეთი თურქეთი მთაგორიანი მხარეა. ცნობილი გერმანელი გეოგრაფი კ. რიტერი მას „მთების კუნძულს“ უწოდებს, რად-

[25] 1960 წლის 23 ოქტომბრის ოფიციალური აღწერის მასალების მიხედვით.

[26] ცხრილი შედგენილია ჩვენს მიერ, წყაროები:
«1962 — Türkiye yıllığı» s. 237; «Türkiye istatistik yıllığı», cilt 18, Ankara 1950, s. IV—V—VI; Hâmit Sadi Selen, Türkiye coğrafyasının anahatları, Ankara, 1954, s. 122—123.

გან მისი ტერიტორიის მეტი ნაწილის საშუალო სიმაღლე ზღვის დონიდან 1500-2000 მეტრის ფარგლებში მერყეობს.

საკვლევი მხარის ყველაზე მსხვილი მორფოგრაფიული ერთეულებია: სამხრეთში—სამხრეთ-აღმოსავლეთი თოროსი (სომხეთის თავრი) და ჩრდილოეთში—ჩრდილო ანატოლიის (პონტოს) მთიანი სისტემა. სამხრეთ-აღმოსავლეთი თოროსი იწყება ჰათაის ვილაიეთში ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე, მიემართება ჩრდილო-აღმოსავლეთით და მარაშთან აღმოსავლეთისაკენ უხვევს. მას რკალის ფორმა აქვს, რომლის თავი მდებარეობს მდინარე ჯეიჰანის მიდამოებში, ბოლო კი ვანის ტბის სამხრეთ რაიონში. თოროსის აღმოსავლეთ ნაწილში გამოირჩევა ჰაკიარის მთები ორი მაღალი მწვერვალით—რეშკო (4168 მ) და მენგენე (3610 მ). ჩრდილოეთის მთები გადაჭიმულია საბჭოთა კავშირ-თურქეთის საზღვრიდან შავი ზღვის გასწვრივ. აღმოსავლეთის მნიშვნელოვანი ოროგრაფიული ობიექტია ჭანეთის ანუ პონტოს ქედი, რომელიც ჩრდილო ანატოლიის (პონტოს) მთიანი სისტემის აღმოსავლეთ, ჰიფსომეტრიულად ყველაზე უფრო განვითარებულ ნაწილს წარმოადგენს. ისევე როგორც მთელი პონტოს სისტემა, ეს ქედი დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ თანდათანობით მაღლდება და უდიდეს სიმაღლეს მთა კაჩკართან აღწევს. ფარჩხალის მთებში ჭანეთის ქედის უმაღლესი მწვერვალია კაჩკარი (3937 მ), რომელიც საერთოდ პონტოს სისტემის უმაღლეს წერტილად ითვლება[27].

აღმოსავლეთი თურქეთის რელიეფის ფორმები ძლიერ განირჩევა ერთმანეთისაგან; მაღალალპური ხასიათის ქედებს მოსდევს ჩავარდნილი ქვაბურები, მთების გადაბმულ ჯაჭვებს განცალკევებული მთის მასივები. მთაგრეხილების უმეტესობა განედური მიმართულებისაა და სანაპირო მთის სისტემების პარალელურად არის გაწოლილი.

მთაგრეხილებიდან ყურადღებას იქცევს მონზური (ერზინჯანის სამხრეთით, 3500 მ), კეშიში (ერზინჯანის ჩრდილო-აღმოსავლეთით, 3532 მ), პალანდიოკენი (არზრუმის სამხრეთით), მის აღმოსავლეთით მდინარე არაქსის გაყოლებაზე აღრი-დაღი ორი მნიშვნელოვანი მწვერვალით—დიდი არარატი (5165 მ) და მცირე არარატი (3925 მ), აღ-

---

[27] ა. კ. ტ ე რ ე ლ ა ძ ე, აჭარისა და ჩრდილო-აღმოსავლეთი ანატოლიის ფიზიკურ-გეოგრაფიული დახასიათება, სადისერტაციო შრომა გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, ხელნაწერი, თბილისი, 1961, გვ. 9—10.

რი-დაღის ჩრდილოეთით ალაპუეკბერის, აკდაღის, იალნიზჩამის და სოდანლუღის მთაგრეხილები.

აღმოსავლეთ თურქეთშია განლაგებული ისეთი მნიშვნელოვანი მთის მასივები, როგორიცაა მალათიის, მარდინის, ბითლისის, გიუმუშანეს, გირესუნის, ტრაპიზონის, მეშკითისა და ჭოროჰის მთები. კარასუ-არაქსის მთების სისტემის ჩრდილოეთით აზიდულია ყარსარზრუმის ზეგანი (იაილა), რომლის საშუალო სიმაღლე ზღვის დონიდან 1800-2200 მეტრია.

სამდინარო არტერიებიდან აღსანიშნავია: სპარსეთის ყურეში შემდინარე 1. ევფრატი (Fırat) საერთო სიგრძე 2800 კმ (თურქეთის ფარგლებში 953 კმ); იგი ორი მდინარის მურატის და კარა-სუს შერწყმის პროდუქტია, და 2. ტიგროსი (Dicle) საერთო სიგრძე 1900 კმ (თურქეთის ფარგლებში 452 კმ), შავ ზღვაში შემდინარე ჭოროჰი (Çoruh) —საერთო სიგრძე 368 კმ (თურქეთის ფარგლებში 340 კმ). კასპიის ზღვის ბასეინისაკენ მიედინებიან არაქსი (Aras) —საერთო სიგრძე 920 კმ (თურქეთის ფარგლებში 435 კმ) და მტკვარი(Kür) საერთო სიგრძე 1515 კმ (თურქეთის ფარგლებში 150 კმ-მდე).

ტბებიდან აღვნიშნავთ პირველ რიგში ვანის ტბას. იგი უდიდესია თურქეთში, მდებარეობს აღმოსავლეთ ანატოლიის ზეგანის სამხრეთ ნაწილში 1720 მეტრის სიმაღლეზე. ტბის სიგანეა 60 კმ, საშუალო სიღრმე 16 მ, მაქსიმალური 25 მ, საერთო ფართობი 3733 კვ. კმ. ტბას 30-ზე მეტი მდინარე ერთვის. გარდა ამისა, აღსანიშნავია ერჩეკის ტბა ვანის ტბის აღმოსავლეთით 1890 მეტრის სიმაღლეზე, ფართობი 100 კვ. კმ და ჩილდირის (ჩრდილის) ტბა ქ. ყარსის ჩრდილოეთით 1959 მეტრის სიმაღლეზე, ფართობი 120 კვ. კმ.

რელიეფის სირთულე იწვევს ვაკე-დაბლობების სიმცირეს. კარასუ-არაქსის მთების ზონაში იმყოფება არზრუმისა და პასინლერის დაბლობები, მათ ჩრდილოეთით კი მდ. არაქსის გაყოლებით საბჭოთა კავშირის საზღვართან იგდირის ველი (სიურმელი) და ვანის ტბის დაბლობები. რამდენიმე დაბლობია მდინარე მურატის აუზში, კერძოდ—მალაზგირტის, მუშის, ჩაფაკჩურის, ულუოვასა და მალათიის. სამხრეთ-აღმოსავლეთში აღსანიშნავია გაზიანთეფისა და ურფას იაილები, დიარბაქირის, სიირთისა და მარდინის დაბლობები, ცენტრალურ აღმოსავლეთში თუნჯელის იაილა და მის ჩრდილოეთით გიუმუშანეს, კეშიშის, ტრაპიზონის, მეშკითისა და რიზეს მთების რკალში მოქცეული დაბლობები კელკით-ჩაისა და ჭოროჰის აუზების გაყოლებაზე.

რელიეფის მნიშვნელოვანი ნაწილი ძალზე დიდი დახრილობით ხასიათდება და სოფლის მეურნეობისათვის ვარგისი მიწები მცირე ზომის ნაკვეთების სახით გაბნეულია მდინარეთა ხეობებში და მთების ფერდობებზე. მთელი მიწათმოქმედება და მოსახლეობის ბინადარი ცხოვრება კონცენტრირებულია პლატოებსა და დაბლობებზე. ამდენად, მიწათმოქმედებას აღმოსავლეთ თურქეთში ოაზისური სასიათი აქვს.

აღმოსავლეთ თურქეთის სოფლის მეურნეობისა და გლეხობის მდგომარეობის შესწავლისას ავტორი დიდ სიძნელეებს წააწყდა საჭირო მასალების უკიდურესი სიმცირის გამო, და ეს გასაგებიც არის, რადგან 1. აღმოსავლეთი თურქეთი, როგორც სტრატეგიული პლაცდარმი და საბჭოთა კავშირთან მოსაზღვრე ტერიტორია უკანასკნელი 20 წლის მანძილზე საგანგებო ნაკრძალ ზონად ითვლებოდა ყველა უცხოელი მეცნიერისა და ჟურნალისტისათვის (ერთეული გამონაკლისის გარდა) .2. ცენტრალური ხელისუფლება. რომელიც ცდილობდა მიეჩქმალა აღმოსავლეთ თურქეთის მშრომელი მოსახლეობის უკიდურესად მძიმე ცხოვრება, სასტიკად დევნიდა ობიექტური მასალების გამოქვეყნებას რესპუბლიკურ პრესაში ქვეყნის იმ ნაწილის სინამდვილიდან, რაც გამოკვლევის ავტორს დასახული ამოცანის განხორციელებისას სერიოზულ დაბრკოლებებს უქმნიდა.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ თურქეთის მთავრობამ ამერიკის შეერთებული შტატების სტრატეგიული სამხედრო ბაზებისა და სარადარო დანადგარების ფართო ქსელით მოფენილი მთელი აღმოსავლეთი თურქეთი დახურულად გამოაცხადა და ქვეყნის ეროვნული ინტერესების საზიანოდ პენთაგონის მხედრიონს უფლება მისცა თურქეთის აღმოსავლეთი საზღვრები მიეჩნია ამერიკის შეერთებული შტატების საზღვრად,—წერდა ბეირუთში გამომავალი სომხური გაზეთი „არარატი"[28].

თურქეთის სათანადო ორგანოები აღმოსავლეთ ვილაიეთებში უცხოელების შეშვების საკითხის გადაწყვეტისას, თუ შეიძლება ასე ითქვას, 3 კატეგორიად ყოფდნენ სტუმრებს იმისდა მიხედვით, თუ რომელ ქვეყანას წარმოადგენდნენ ისინი. სოციალისტური ბანაკის ქვეყნების წარმომადგენლებს სასტიკად ეკრძალებოდათ ანკარის აღმოსავლეთით მოგზაურობა. მაგალითად, ცნობილი ჩეხი მოგზაურები ზიკმუნდი და განზელკა, რომლებმაც მსოფლიოს 75 ქვეყანა მოიარეს, თურქეთის სტუმრებიც იყვნენ და 1962 წელს პრაღაში გამოცე-

[28] „Արարատ" (Բեյրութ), 4 հուլիսի 1963 թ.:

მულ შთაბეჭდილებების წიგნში „თურქეთი“, სწერდნენ იმის შესახებ, რომ თურქეთში შესასვლელი ვიზების მიღებისას გაფრთხილებული იყვნენ, რომ ნება არ ეძლეოდათ ემოგზაურათ აღმოსავლეთ თურქეთში, რადგან იგი მათთვის აკრძალული ზონა იყო. ავტორების აღნიშვნით, ამ ზონის დასავლეთი საზღვარია ხაზი ბაფრა (შავ ზღვაზე) სამხრეთით მარაშამდე. ე. ი. ზუსტად 700 კმ თურქეთის აღმოსავლეთ საზღვრებიდან[29]. ამის გამო მოგზაურები მთელ აღმოსავლეთ თურქეთს უწოდებენ „ტერრა ინკოგნიტას“ ე. ი. უცნობ მიწას.

მეორე კატეგორიას შეადგენდნენ ქვეყნები, რომლებიც, მართალია, კაპიტალისტურ სამყაროს განეკუთვნებიან, მაგრამ არ შედიან მის სამხედრო-პოლიტიკურ დაჯგუფებებში, და, ამდენად, თურქეთის ხელისუფლებისათვის არ წარმოადგენდნენ პირველხარისხოვან სახელმწიფოებს. ამ ქვეყნების მოქალაქეებს სერიოზული შეფერხებების დაძლევა უხდებოდათ აღმოსავლეთ თურქეთში შეღწევის უფლების მოსაპოვებლად. როგორც ავსტრიელი მეცნიერი ერჰარდ ვინკლერი წერს, მან ავსტრიის გეოგრაფიული საზოგადოების დავალებით ორჯერ იმოგზაურა თურქეთში 1956 და 1957 წლებში ქვეყნის დასავლეთ და სამხრეთ რაიონების შესასწავლად. 1961 წელს ვინკლერი მესამედ ეწვია თურქეთს, ამჯერად აღმოსავლეთის გასაცნობად, რომელიც ავტორის ხაზგასმით, უცხოელთათვის აკრძალული სამხედრო ზონაა (Militarische Sperrzone für Ausländer), მაგრამ თურქეთის შინაგან საქმეთა სამინისტროსაგან, რომელიც ამ საქმეს განაგებდა, ვერ შეძლო სპეციალური ნებართვის მიღება. საკითხი ვინკლერისათვის დადებითად გადაწყდა მხოლოდ მას შემდეგ, როცა საქმეში ჩაერია ავსტრიის ელჩი ანკარაში. ავსტრიელმა მეცნიერმა მიიღო საშვები დახურულ ზონაში, მაგრამ გარკვეული შეზღუდვებით. კერძოდ, მას უფლება არ ჰქონდა ცალკეულ რაიონებში გადაეხვია მიჩნეული ტრასიდან, ხოლო ყარსის ვილაიეთი რაც შეიძლება სწრაფად და შეუჩერებლად უნდა გადაეკვეთა[30]. ანალოგიური იყო თურქეთის მთავრობის დამოკიდებულება სხვა ნეიტრალური ქვეყნების მოქალაქეების მიმართაც.

ზოგჯერ თურქეთის ხელმძღვანელი ორგანოები ასეთი უგულისყურონი იყვნენ თავიანთი ნატოელი კოლეგების მოქალაქეთა მიმართაც. მაგალითად, ინგლისელ მეცნიერთა ბოტანიკური ექსპედიცია

---

[29] М. Зикмунд, И. Ганзелка, Турция, Прага, 1962, стр. 13.

[30] Erhart Winkler, Bericht über eine Studienreise nach der Türkei 1961. «Mitteilungen der Österreichischen Geographischen Gesellschaft», Wien, 1961, Band 103, Helft III, s. 302—303.

ედინბურგის უნივერსიტეტის პროფესორის პ. ჰ. დევისის სელმძღვანელობით 1954 წელს 9 თვე ელოდა აღმოსავლეთ თურქეთში დაშვების ნებართვას. როგორც პირადად დევისი აღნიშნავდა: „აღმოსავლეთ თურქეთში შეღწევა ძნელია, როგორც ფიზიკური ისე პოლიტიკური თვალსაზრისით... რადგან თურქეთში ევფრატის აღმოსავლეთით განლაგებული ტერიტორია ჯერ კიდევ სამხედრო ზონას (a militaryarea) წარმოადგენს და იქ წასვლის ნებართვის აღება დიდ სიძნელეებთან არის დაკავშირებული"[31]. მესამე კატეგორიის ქვეყნებია ამერიკის შეერთებული შტატები და დასავლეთ გერმანია. რომელთა წარმომადგენლებისათვის თითქმის არავითარი შეზღუდვა არ არსებობდა თურქეთში.

აღმოსავლეთ თურქეთის, როგორც „სტრატეგიული ნაკრძალის" თაობაზე შეიძლებოდა კიდევ მრავალი კრიტიკული გამონათქვამი მოგვეტანა, მაგრამ ვფიქრობთ საკმარისი იქნება კიდევ ერთი მოვიხსენიოთ და ისიც მხოლოდ იმისათვის, რომ იგი ამ სერიიდან ერთ-ერთი უკანასკნელია. 1963 წლის ივლისში „იენი საბაჰი" წერდა: „ქვეყნის აღმოსავლეთ ვილაიეთებში დაუნდობელი ბრძოლა დაიწყო უცხოელების წინააღმდეგ. პოლიცია და ჟანდარმერია აპატიმრებს ტურისტებს და აძევებს აღმოსავლეთიდან. თურქეთში აქამდე ძალაშია 35 წლის წინათ მიღებული კანონი „ტურისტებისათვის ქვეყნის აღმოსავლეთ და სამხრეთ ვილაიეთებში მოგზაურობის აკრძალვის თაობაზე". ამჟამად აღმოსავლეთში სასტიკი კონტროლია დაწესებული და ჩამოსული უცხოელები სპეციალური ბადრაგის თანხლებით სხვა ოლქებში იგზავნებიან"[32].

ასეთ პირობებში უცხოელის გამოჩენა აღმოსავლეთში ადგილობრივი მოსახლეობისათვის დიდ მოულოდნელობას წარმოადგენდა. ინგლისელი ჟურნალისტი ფილიპს პრაისი. რომელმაც 1960 წლის ბოლოს მოინახულა ერზინჯანი. გიუმუშანე და ტრაპიზონი. წერდა შემდეგ ჟურნალ „სპექტეიტორში". რომ „თუმცა ყოველ ადგილობრივ მცხოვრებს ჩემთან შეხვედრისას თავი ზედმიწევნით თავაზიანად ეჭირა, მაგრამ ყველა ისე მიყურებდა, როგორც მარსიდან მოვლენილსო"[33].

თურქეთის მოწინავე საზოგადოებრიობის წარმომადგენლებს არაერთხელ მოუთხოვიათ აღმოსავლეთ თურქეთში თავისუფალი

---

[31] P. H. Davis, Lake Van and Türkisch Kundistan: a botanical journey. «The Geographical journal», London, vol. CXXII, Part. 2. June 1956. p. 156.

[32] «Yeni Sabah», 28 Temmuz, 1963.

[33] «Spectator», 2/XII-1960.

მიმოსვლის აღდგენა, რაც უდაოდ ხელს შეუწყობდა ამ მხარის სოციალურ-ეკონომიურ პროგრესს. ეს კარგად ჰქონდათ შეგნებული თურქეთის საქმიან წრეებსაც. მაგალითად, თურქეთის სავაჭრო, სამრეწველო პალატებისა და ბირჟების 1963 წლის 2-3 აგვისტოს არზრუმის ყრილობაზე აღნიშნული იქნა, რომ „აღმოსავლეთი ანატოლია ფსიქო-სოციალური თვალსაზრისით კარჩაკეტილი რაიონია, აუცილებელია ამ რაიონის გახსნა და მასთან სასაქონლო გაცვლა-გამოცვლის გაზრდაო"[34].

აღმოსავლეთ თურქეთის, როგორც „აკრძალული ზონის" სტატუსი ლიკვიდირებული იქნა მენდერესის რეჟიმის დაცემიდან თითქმის სამნახევარი წლის შემდეგ. ამის თაობაზე მინისტრთა საბჭომ გადაწყვეტილება გამოიტანა 1963 წლის ნოემბერში. ამ ნაბიჯის გადადგმას, ჩვენი აზრით, ბიძგი მისცა პენთაგონის სამხედრო ბაზების ნაწილობრივმა დემონტაჟმა აღმოსავლეთ თურქეთში[35] ეს ვილაიეთები, როგორც ცნობილია, მდიდარია ისტორიული ძეგლებით და დიდძალ უცხოელ ტურისტს იზიდავს. მთავრობა, „ვეტოს" რომ ხსნიდა, რა თქმა უნდა, იმასაც ითვალისწინებდა, რომ ტურიზმის განვითარება აღმოსავლეთ თურქეთში სახელმწიფო ხაზინას უცხოური ვალუტის მიღების ახალ შესაძლებლობას უქმნიდა. კერძოდ, ამ გარემოებას გაუსვა ხაზი თავის გამოსვლაში ტურიზმისა და ინფორმაციის მინისტრმა ნურეთთინ არდიჩოღლუმ, რომელიც შეეხო მთავრობის მიერ მიღებული გადაწყვეტილების მნიშვნელობას.

ახალი გადაწყვეტილების შესაბამისად ვილაიეთები ართვინი, ყარსი, აღრი, მუში, არზრუმი, ბინგიოლი, თუნჯელი, ელიაზიგი და ადიამანი ღიად იქნა გამოცხადებული უცხოელებისათვის, ხოლო ერაყის ამბების მომიზეზებით, არაბულ სამყაროსთან მოსაზღვრე ვილაიეთები—გაზიანთეფი, ურფა, მალათია, დიარბაქირი, ბითლისი, სიირთი, მარდინი, ჰაკიარი და ვანი კვლავ დახურული დარჩა. უცხოელებს ნება მიეცათ სწვეოდნენ ქალაქებს ურფას, დიარბაქირსა და ბითლისს[36].

---

[34] Doğu Anadolu Bölgesinin kalkınması ve özel sektör. «Türkiye iktisat gazetesi», 22 Ağustos 1963.

[35] დემონტაჟი დაიწყო მას შემდეგ, რაც აშშ-მა სამხედრო შეიარაღებაზე მიიღეს „პოლარისებით" აღჭურვილი სტრატეგიული წყალქვეშა ნავები, რომლებიც ბაზირებული არიან ხმელთაშუა ზღვაში.

[36] «Yeni Sabah», 1 Aralık 1963.

როგორც აღვნიშნეთ. ძველი ხელისუფლება აღმოსავლეთ თურქეთის არა მარტო ხილვას. არამედ მის შესახებ ობიექტური მასალის გამოქვეყნებასაც კი ზღუდავდა ოფიციალურ პრესაში. ამ შეზღუდვების ნამდვილ მიზანდასახულებას საბურველი ახსნა მეჯლისის დიარბაქირელმა დეპუტატმა იჰსან თიგრელმა. როცა ვანაცხადა. რომ „აღმოსავლეთ თურქეთის კულტურულ-ეკონომიური ცხოვრების დონის ასახვას პრესაში გამოიყენებენ ბოროტი ძალები (?!). რომლებიც დაინტერესებული არიან ჩვენი ეროვნული მთლიანობის დარღვევაში და თავიანთი ზრახვების განხორციელების გზებს ეძიებენ ამ კუთხის კულტურულ-ეკონომიური ცხოვრების დაბალ დონეში. ჩვენი სამშობლოს აღმოსავლეთი რაიონები,— განაგრძო თიგრელმა.

ოდითგან მოკიდებული სამხრეთიდან. აღმოსავლეთიდან და, განსაკუთრებით„ ჩრდილოეთიდან (?!) მომავალი შხამიანი შთაგონებისა და პროპაგანდის სამიზნეს წარმოადგენენ და ის პიროვნებები (თურქეთში—ნ. კ.), რომლებიც აღმოსავლეთში არსებული სიძნელეებით სარგებლობენ პროპაგანდისათვის ძეხუთე კოლონის აგენტები არიანო“[37]. ვფიქრობთ, ეს გულახდილი აღიარება საკვანძოთ ააშკარავებს საცენზურო შეზღუდვების ამოცანას და იგი კომენტარებს აღარ საჭიროებს.

ბაიარ-მენდერესის ხროვის დამხობის შემდეგ საცენზურო რეჟიმის ერთგვარმა შესუსტებამ საშუალება მისცა ცალკეულ თურქ ავტორებს შეექმნათ აღმოსავლეთ თურქეთის საშინელი სინამდვილის მამხილებელი დოკუმენტები. ახალი ხელისუფლება არ უქმნიდა დაბრკოლებებს ასეთ წამოწყებებს, რადგან იმედოვნებდა. რომ დამხობილი მთავრობის მოღვაწეობის ცალკეული მანკიერი მხარეების პრესაში ასახვა ეროვნული ერთიანობის კომიტეტს თურქ მშრომელთა თვალში წარმოსახავდა ჩაგრულთა ინტერესების დამცველად და ხელს შეუწყობდა მისი პრესტიჟის ამაღლებას თურქეთის სოფელში.

აღმოსავლეთის შესახებ გამოქვეყნებული წერილებიდან გაისაკუთრებული აღნიშვნის ღირსია იაშარ ქემალის „რეპორტაჟები აღმოსავლეთიდან“, გამოქვეყნებული „ჯუმჰურიეთში“ 1962 წელს. იუქსელ კასაფბაშის წერილების სერია საერთო სათაურით „აღების ბატონობის დასასრული აღმოსავლეთში“ გამოქვეყნებული „ჰურიეთში“ 1960 წლის 19, 20 და 21 ნოემბერს, მიუფიტ დურუს „წერილები აღმოსავლეთიდან“ დასტამბული „აკშამში“ 1960 წლის დე-

---

[37] «Ulus», 20 Şubat 1950.

ტემბერში და „იენი საბაჰის“ კორესპონდენტის თეზკანის ნარკვევები დაბეჭდილი ამ გაზეთის ფურცლებზე 1960 წლის დეკემბერში.

ცალკე უნდა იქნას მოხსენიებული ანკარის უნივერსიტეტის დოცენტის ჰარმანდალიოღლუს სერიოზული გამოკვლევები აღმოსავლეთ თურქეთის სოფლის სოციალ-ეკონომიური ცხოვრების შესახებ, რომლებიც უკანასკნელი 5 წლის მანძილზე იბეჭდება თურქულ ჟურნალ „ფორუმში“.

ყველა მოხსენიებული ავტორი თავის წერილებში ასახავს აღმოსავლეთ ვილაიეთების გლეხობის უკიდურეს სიღარიბესა და უუფლებობას და მოგვითხრობს, რომ მთელი ძალაუფლება აღმოსავლეთში თავმოყრილია ერთი მუჭა მემამულეების, კულაკი აღებისა და შეიჰების ხელში, რომლებიც მიწების დიდ მასივებს ფლობენ. მაშინ როდესაც გლეხების ძირითადი მასა უმიწაწყლო ან მცირე პარცელის მფლობელია და იძულებულია იჯარით აიღოს მიწა მიწათმფლობელისაგან უაღრესად მძიმე პირობით.

წინამდებარე ნაშრომის ავტორს დიდი შრომის გაწევა მოუხდა იმისათვის, რომ შეეგროვებინა ქართულ, რუსულ და უცხოურ ენებზე არსებულ ლიტერატურასა და წყაროებში მიმოფანტული ძირითადი ფაქტობრივი მასალა აღმოსავლეთ თურქეთის შესახებ და მათზე დაყრდნობით ან კრიტიკული შეფასების გზით შეექმნა აღმოსავლეთ თურქეთში მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დამკვიდრებული აგრარულ ურთიერთობათა სურათი.

თურქეთის ბურჟუაზიული ისტორიკოსები და ოფიციოზური პრესა დამახინჯებით ასახავდნენ აღმოსავლეთ თურქეთის მშრომელი მასების ცხოვრებას, მათ ბრძოლას სოციალური განთავისუფლებისათვის, პროგრესული ძალების მოძრაობას და გაბატონებული კლასების აღვირახსნილ ძალმომრეობას. ამის გამო ნარკვევის შექმნისას გამოყენებული მასალების საგრძნობი ნაწილი ჩვენ მიერ ამოკრეფილია ოპოზიციური და ე. წ. ნეიტრალური პრესიდან, რომელშიც დრო და დრო (განსაკუთრებით წინასაარჩევნო კამპანიების პერიოდში) ქვეყნდებოდა შედარებით სარწმუნო ნარკვევები და მასალები აღმოსავლეთ თურქეთის სინამდვილიდან.

ავტორმა, გარდა ამისა, საფუძვლიანად შეისწავლა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს ისტორიულ-დიპლომატიური სამმართველოს არქივში დაცული დოკუმენტები, გულდასმით გადაათვალიერა 1945—1965 წლების თურქული პრესა. მათ შორის ჟურნალები „Istanbul“, „Forum“, „Türk Tarih Kurumu Beleten“, „Türk Ekonomisi“, „Iktisadî yürüyüş“, „Yağmur ve toprak“, „La

Turquie moderne"; გაზეთები „Tanin", „Cumhuriyet", „Ulus", „Zafer", „Halkçı" (Yeni ulus), „Yeni yol" (Trabzon), „Hürriyet", „Akşam", „Millet", „Yeni sabah", „Son posta", „Gece postası", „Yön", „Vatan", „İstanbul", „Yeni İstanbul", „Ekonomi gazetesi", „Türkiye iktisat gazetesi", „T. C. Resmi gazéte", „La République", „Hürses". და სხვები. ამ წყაროებიდან ამოკრეფილი მასალა ჯეროვნად არის დამუშავებული და გამოყენებული წინამდებარე გამოკვლევაში.

ჩვენ არ ვაცხადებთ პრეტენზიას იმაზე, რომ წარმოდგენილ ნაშრომში ამომწურავად შეეხეთ ყველა დასმულ პრობლემას.

ეს პირველი ცდაა თურქეთის ერთ-ერთ ყველაზე მივარდნილ და ჯერ კიდევ მიუწვდომელ კუთხეში დამკვიდრებულ აგრარულ ურთიერთობათა მეცნიერული შესწავლისა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ და ამდენად იგი არ არის დაზღვეული შესაძლო ნაკლოვანებებისაგან. ავტორი მადლობით მიიღებს ყველა სამართლიან შესწორებასა და შენიშვნას და გაითვალისწინებს მათ მომავალ მუშაობაში.

საკვლევი მხარის აგრარულ ურთიერთობათა განხილვამდე მიზანშეწონილად მიგვაჩნია, ნარკვევის პირველ თავში მოკლედ მიმოვიხილოთ სოფლის მეურნეობა და გლეხობის მდგომარეობა თურქეთში მეორე მსოფლიო ომის შემდეგ.

თ ა ვ ი პ ი რ ვ ე ლ ი

სოფლის მეურნეობა და გლეხობის მდგომარეობა თურქეთში მეორე მსოფლიო ომის შემდეგ

1. აგრარული ურთიერთობანი

თურქეთში დამკვიდრებულ აგრარულ ურთიერთობათა დამახასიათებელი თავისებურებაა მსხვილმემამულური და კულაკური ჩიწათმფლობელობა და წვრილგლეხური მიწათსარგებლობა. სოფლის მეურნეობაში შემორჩენილია ფეოდალური გადმონაშთები, რომლებიც აფერხებენ ქვეყნის ეკონომიურ წინსვლასა და საწარმოო ძალთა განვითარებას.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ თურქეთის სოფელში მნიშვნელოვანი სოციალურ-ეკონომიური ძვრები მოხდა, ინტენსიური ტემპებით წარიმართა კაპიტალიზმის განვითარების პროცესი. მართალია, გლეხობის დიფერენციაციას, მიწათმოქმედებაში დაქირავებული

შრომის გამოყენებას და სოფლის მეწარმეთა ფენის ფორმირებას ადრეც ჰქონდა ადგილი თურქეთის სოფლის მეურნეობაში. მაგრამ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მიღწეული იქნა მნიშვნელოვანი თვისობრივი წინსვლა: თურქეთის სოფელში წარმოიშვა კაპიტალისტური მეურნეობის სისტემა, რომელმაც გაბატონებული ეკონომიური წყობის მდგომარეობა მოიპოვა. თუ თურქეთის ომამდელ სოფლის მეურნეობაში მხოლოდ ისახებოდა კაპიტალისტური ევოლუციის გზა, ომის შემდგომ პერიოდში მან ჩამოყალიბებული სახე მიიღო. მემამულე-კაპიტალისტი და კულაკი-მეწარმე, რომლებიც პირად საკუთრებაში ახდენდნენ მიწებისა და წარმოების სხვა საშუალებათა კონცენტრაციას და სასაქონლო პროდუქციის ძირითად ნაწილს აწარმოებდნენ დღევანდელ თურქეთში უკვე ერთეულებს კი აღარ წარმოადგენენ, არამედ თურქული სოფლის ტიპიურ მოვლენად იქცნენ. თუ რევოლუციამდელ თურქეთში მიწების კონცენტრაცია ხდებოდა ფეოდალურ და ნახევრადფეოდალურ საფუძველზე და მას თან არ სდევდა წარმოების წესის გარდაქმნა, ამჟამად ეს პროცესი ძიმდინარეობს ბურჟუაზიული მიწათმფლობელობის ჩამოყალიბების საფუძველზე და ქვეყნის აგრარული წყობის ცვლილებას მოწმობს[1].

სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, თურქეთის ტერიტორიის მხოლოდ 30%-ია ვარგისი დასამუშავებლად და სასოფლო მოსახლეობის თითოეულ სულზე დაახლოებით 1,5 ჰა სავარგული მოდის (ამერიკის შეერთებულ შტატებში—7, კანადაში—11, ინგლისში—5, საფრანგეთსა და გერმანიაში—2-ზე მეტი)[2]. ამასთან, როგორც „ჯუმჰურიეთი“ აღნიშნავს, ეს მიწები მოუსავლიანია და პირველყოფილი მეთოდებით მუშავდება[3].

ამჟამად თურქეთში არსებობს მიწათმფლობელობის შემდეგი ძირითადი ფორმები: მემამულური, გლეხური, სახელმწიფო, სავაკუფო და თემური ანუ საზოგადოებრივი სარგებლობის მიწები. მიწათმფლობელობის ცალკეული კატეგორიების სრულყოფილი დახასიათება საკმაოდ რთულდება, რადგან, თურქეთში არ არსებობს მიწათმფლობელობის მეცნიერულად დამუშავებული სტატისტიკა. ეჭვგარეშეა, რომ ვარგისი მიწების ძირითადი ფონდი კერძო მფლობელობაშია კონცენტრირებული. საკმაოდ დიდი მნიშვნელობა აქვს სახელმწიფო და სათემო მიწებს, ამასთან სახელმწიფო მიწების უმე-

---

[1] П. П. Моисеев, Рецензия на монографию А. Д. Новичева „Крестьянство Турции в новейшее время“, („Вопросы истории“, 1960, № 6, стр. 168).

[2] «1962 — Türkiye yıllığı“, s. 241.

[3] «Cumhuriyet», 26. Kasım 1961.

ტესობას ტყის მასივები და თავისუფალი მიწები შეადგენენ. სათე-ბოს კი საძოვრები და საზოგადოებრივი სარგებლობის სხვა მიწები. გაცილებით ნაკლებია სავაკუფო მიწების ხვედრი წონა.

1950 წელს თურქეთში ჩატარდა სასოფლო-სამეურნეო აღწერა, ხოლო 1952 წლის შემოდგომაზე მიწათმფლობელობისა და მიწათსარგებლობის შერჩევითი გამოკვლევა. აღწერისა და გამოკვლევის ზოგიერთი შედეგი გამოქვეყნდა ოპოზიციური სახალხო-რესპუბლიკური პარტიის ორგანო „იენი ულუსში" 1954 წლის თებერვალ-მარტში. ეს წყაროები საშუალებას გვაძლევს დავადგინოთ მიწათსარგებლობის მდგომარეობა თურქეთში. აღწერამ და გამოკვლევამ მოიცვა მხოლოდ დამუშავებული მიწები (მათ შორის ანეულები, ბაღები და ვენახები) საერთო ფართობით 19 452 ათასი ჰა .ე .ი. თურქეთის ტერიტორიის თითქმის ერთი მეოთხედი. სულ რეგისტრირებული იქნა 2 930 ათასი მეურნეობა. აქედან 489 ათასი გლეხური კომლი სრულიად უმიწაწყლო იყო[4].

როგორც გამოკვლევით დადგინდა, 19 452 ათასი ჰა მიწა მეურნეობათა ჯგუფებს შორის შემდეგნაირად იყო განაწილებული (იხ. ცხრილი 4)

ცხრილი 4

დასამუშავებელი მიწების განაწილება მეურნეობათა ჯგუფების მიხედვით[5]

დასამუშავებელი ნაკვეთის ფართობი (ჰა)	მეურნეობათა რიცხვი		მიწების რაოდენობა, რომლებიც მუშავდება ამ ჯგუფის მიერ	
	ათასი	%	ათასი ჰა	%
0.1— 2.0	773	30.6	836	4.3
2,1— 5,0	797	31,5	2782	14.3
5.1— 7,5	336	13.3	2100	10.8
7,6—10,0	217	8,6	1926	9.9
10,1—15,0	169	6,7	2102	10,8
15,1—20,0	91	3,6	1653	8,5
20,1—30,0	68	2,7	1712	8.8
30,1—50,0	38	1.5	1517	7,8
50,1—70,0	17	0.7	1011	5,2
70,1 და მეტი	21	0.8	3813	19,6
ჯამი	2527	100	19452	100

როგორც ცხრილიდან ჩანს, 1.570 ათასი კომლი (მეურნეობათა 62, 1%) ფლობდა მიწის ნაკვეთს 0,1-დან 5 ჰექტარამდე; 553 ათასი

[4] „Современная Турция", ИВЛ, Москва, 1958, стр. 58.

[5] N a m i k Z e k i Aral, Zirai işletmelerimiz. „Yeni ulus», 8 mart 1954.

კომლი (მეურნეობათა 21,9 %) 5—10 ჰექტარ ფართობს. ამ ორი კატეგორიის მიწათმფლობელთა ხელში იყო 7, 644 მილიონი ჰა მიწა ე. ი. დამუშავებული ფართობების 39, 3%. ამავე დროს 76 ათასი მემამულის (მეურნეობათა 3%) საკუთრებას შეადგენდა 6. 341 მილიონი ჰა ფართობი, ე. ი. დასამუშავებელი მიწების 32,6%. გარდა ამისა, მემამულეთა მფლობელობაში შედიოდა დიდძალი დაუმუშავებელი მიწა, საძოვრები, ტყეები და სხვა.

ცხრილი 4 მოწმობს, რომ 773 ათასი გლეხური კომლი თავის მეურნეობას ეწევა ერთ გოჯ მიწაზე (0, 1-2, 0 ჰა), რაც თურქეთის პირობებში ვერ უზრუნველყოფს მიწათმოქმედს საარსებო მინიმუმით, რადგან მიწის ე .წ. „მშიერი ნორმა“ ომერ ლუთფი ბარკანის განსაზღვრით, 5 სულისაგან შემდგარი ოჯახისათვის სულ მცირე 100 დენიუმს (10 ჰა) უდრის[6]. გლეხების ეს კატეგორია შეადგენს სოფლის ღარიბთა ჯგუფს, რომელიც ვ. ი. ლენინის განმარტებით, „მუდამ პროლეტარული მდგომარეობის საზღვარზე რჩება“[7].

მდგომარეობა არც მომდევნო წლებში გაუმჯობესებულა. თურქული წელიწდეული—„1962— Türkiye yıllığı“ უკანასკნელი 10 წლის მანძილზე ჩატარებული საანკეტო გამოკვლევების მასალებზე დაყრდნობით, სამიწათმოქმედო მეურნეობათა შორის მიწების განაწილების შემდეგ სურათს გვთავაზობს: „თურქეთში 390 ათასი კომლი ფლობს 1-10 დენიუმ[8] მიწას, 380 ათასი კომლი 11-20 დენიუმს, 307 ათასი კომლი 21-30 დენიუმს. ე. ი. 1 მილიონზე მეტი კომლი მთელი სათესი ფართობის მხოლოდ 8%-ს ფლობს. სამაგიეროდ, 10 800 მეურნეთაგან თითოეულის საკუთრებას საშუალოდ შეადგენს 1000 დენიუმი, 3600 მეურნისა 900-1000, 4800 მეურნისა 800-900 დენიუმი. ამრიგად, 19 200 მიწათმფლობელი თურქეთის მთელი სათესი ფართობის 18% ფლობს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, 390 ათასი კომლიდან თითოეული საშუალოდ მხოლოდ 6 დენიუმი მიწის. მესაკუთრეა, 10 800 მიწათმფლობელიდან თითოეული კი საშუალოდ 2 648 დენიუმისა. 382 ათასი კომლიდან თითოეული საშუალოდ 15 დენიუმი მიწის პატრონია, მაშინ როდესაც 3600 მიწათმფლობელიდან თითოეული საშუალოდ 978 დენიუმის“[9].

---

[6] O. L. Barkan, Çiftçiyi topraklandima kanunu ve Türkiyede zirei bir reformunun ana meseleleri, Istanbul, 1946, s. 38.

[7] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ, კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში, მეორე გამოცემის წინასიტყვაობა, თხზ. ტ. 3, გვ. 14.

[8] ჰექტარში 1945 წლამდე იყო 10. 879 დენიუმი. 1945 წელს დენიუმი გაუტოლდა 0,1 ჰექტარს, მანამდე იგი უდრიდა 919,3 კვ. მეტრს.

[9] «1962 — Türkiye yıllığı», s. 241.

წელიწდეული სდუმს იმის თაობაზე თუ რამდენ გლეხს არა აქვს ახლა თურქეთში არც ერთი გოჯი მიწა.

1964 წლის დასაწყისისათვის თურქეთის პრესის ცნობით, სოფლის მოსახლეობის 84% ამუშავებდა მთელი სათესი მიწების 39% მაშინ, როდესაც 16%-ის ხელთ იყო დასამუშავებელი ფართობის 61%[10].

ნახნავი მიწების, ტყეებისა და საძოვრების მსხვილი მესაკუთრეა სახელმწიფო. ამ მიწების ერთი ნაწილი იჯარით ეძლევათ უმიწაწყლო და მცირემიწიან გლეხებს. 1945 წლის დასაწყისისათვის სახაზინო ფონდის მიწები აღრიცხული იყო 9487 სოფელში და მათი საერთო ფართობი უდრიდა 1 372 ათას ჰექტარს. 1957 წლის ბოლოსათვის თურქეთის მთავრობის ერთ-ერთი წარმომადგენლის განცხადებით, სახელმწიფო საკუთრებას შეადგენდა 50 მილიონი დენიუმი (5 მილიონი ჰა) მიწა, რომელიც, ვითომცდა განკუთვნილი იყო გლეხებისათვის დასარიგებლად, მაგრამ, როგორც სამართლიანად აღნიშნავს პ. მოისეევი, ეს ციფრი ხელოვნურად იყო გაზრდილი იმ მოსაზრებით, რომ დასაბუთებულიყო თავისუფალი მიწების დიდი რაოდენობით არსებობა, რაც გამორიცხავდა მემამულური მეურნეობების ხელყოფის აუცილებლობას აგრარული რეფორმის გატარების შემთხვევაში[11]. მიწათმფლობელობის ამ კატეგორიის დახასიათებისას ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ სახელმწიფო მიწების დიდი ნაწილი მხოლოდ ფორმალურად ირიცხება ხაზინის საკუთრებად. ფაქტიურად კი მემამულეებსა და კულაკებს აქვთ მიტაცებული.

სახაზინო მიწების გარკვეულ ნაწილს ამუშავებს სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო მეურნეობებისა და სასელექციო სადგურების შექმნის გზით[12]. 1955 წელს იყო 18 ასეთი მეურნეობა, რომელთა ველები 2, 250 ათას დენიუმზე იყო გადაჭიმული[13]. 1960 წლისათვის მეურნეობათა რაოდენობა მხოლოდ 2-ით გაიზარდა, მათი საერთო ფართობი კი 262 ათას ჰექტარამდე ავიდა. ეს მეურნეობანი სრულ-

---

[10] «Cumhuriyet», 13 Mart 1964.

[11] П. П. Моисеев, Аграрные отношения в современной Турции, ИВЛ, Москва, 1960, стр. 41.

[12] სახელმწიფო მეურნეობის შექმნას თურქეთში დასაბამი მიეცა 1938 წელს, როცა ქემალ ათათურქმა სახელმწიფოს გადასცა თავისი საჩვენებელი ფერმები.

[13] «Les cahiers économiques», avril, 1955, p. 7—8. ციტ. Георги Цветков, Аграрните отношения в съвременна Турция, „Ново време“, София, № 1, Януари 1960, стр. 72.

ყოფილი კაპიტალისტური წარმოების სახეს ატარებენ. აღჭურვილი არიან თანამედროვე სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით და ფართოდ იყენებენ დაქირავებულ შრომას. მათი მთავარი დანიშნულებაა მოწინავე აგრომეთოდების პროპაგანდა და დანერგვა მსხვილ მეურნეობებში და სოფლის მეურნეობის მექანიზატორთა კადრების მომზადება. შედარებით მცირეა მათი ხვედრი წილი ქვეყნის სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში (100—150 ათასი ტონა ხორბალი წელიწადში).

რესპუბლიკურ პერიოდში სავაკუფო მიწები მიწათმოქმედებაში კაპიტალისტურ ურთიერთობათა განვითარების ზეგავლენით კარგავენ თავის მნიშვნელობას და თანდათან კერძო საკუთრებაში გადადიან. სავაკუფო მიწათმფლობელობის საერთო მოცულობის დადგენა ომისშემდგომ თურქეთში ძნელდება ოფიციალური მონაცემების უქონლობის გამო. ცნობილია, მაგალითად, რომ ვაკფების მთავარი დირექციის ბიუჯეტი 1957 წელს ითვალისწინებდა საერთო შემოსავალს 22.4 მილიონი ლირის ოდენობით, აქედან 7,7 მილიონი ლირა უნდა შემოსულიყო მიწების იჯარით გაცემის შედეგად. ეს ცნობა მიგვითითებს სავაკუფო მიწების არსებობაზე თურქეთში, თუმცა ჩანს, რომ სავაკუფო მიწების როლი ფრიად უმნიშვნელო ყოფილა[14].

მიწათმფლობელობის სათემო ფორმას ძირითადად საძოვრები, კალოები, საქონლის სარწყულებელი ადგილები, გზები და საზოგადოებრივი სარგებლობის სხვა ადგილები შეადგენს. ცალკეულ შემთხვევაში სოფლის საზოგადოებრივ სარგებლობაშია სათესი მიწები, ვენახები, ბაღები და სხვა, თუმცა უმნიშვნელო რაოდენობით. სათემო საკუთრებას ამუშავებენ გლეხები ან იჯარით აძლევენ მეზობელ სოფელს. მისი გაყიდვა ნებადართულია. თურქი ავტორის იალჩინ დაღლარის ცნობით, ეგეოსის რაიონის ცალკეულ სოფლებში სათემო საძოვრებს იჯარით აძლევენ მეზობელ სოფელს, აღებული ქირა სოფლის სალაროში შედის და მის საჭიროებებს ხმარდება[15].

სათემო მიწათმფლობელობა, როგორც ფეოდალიზმის გადმონაშთი, რომელიც ბოჭავს საწარმოო ძალთა განვითარებას, უმეტესად ცენტრალურ და აღმოსავლეთ თურქეთში არის შემორჩენილი.

კაპიტალისტურ ურთიერთობათა განვითარება, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ფართო გამოყენება იწვევს თემური მიწათმფლობე-

---

[14] П. П. Моисеев. Аграрные отношения , стр. 46.

[15] Yalçin Dağlar. Köylerimizden örnekler, Köylerimiz. hakkinda bir inceleme, Istanbul, 1951, s. 57.

ლობის როლის დაქვეითებას. თემის საკუთრებაში მყოფი მიწები თანდათან სოფლის ბურჟუაზიის საკუთრებაში გადადის, რაც არაერთხელ აღუნიშნავთ თურქ და უცხოელ სპეციალისტებს.

ინგლისელი ნიკოლას ჰელბორნი პირად დაკვირვებათა საფუძველზე მივიდა დასკვნამდე, რომ ცენტრალურ თურქეთში საძოვრები, რომლებიც, ადრე სოფლის თემს ეკუთვნოდა, ტრაქტორების გამოყენების შედეგად იხვნება და ცალკეულ მესაკუთრეთა ხელში გადადის სოფლად კაპიტალისტურ ურთიერთობათა ზეგავლენით სათემო მიწების გამიჯვნის შესახებ წერს თურქული ჟურნალი „İkitsadî yürüyüş", რომელიც იუწყება, რომ უკანასკნელ ხანს ყველგან ადგილი აქვს სოფლის სათემო საძოვრების გამიჯვნის ტენდენციას. ამავე გარემოებას უსვამს ხაზს თურქი ავტორი რეფიკ აკთანი. როცა აღნიშნავს, რომ თემური საძოვრები ახალი სათესი ფართობების შემომატების მნიშვნელოვან წყაროდ იქცაო[16].

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ თურქეთის სოფელში გაცილებით სწრაფად მიმდინარეობს სასაქონლო-ფულად და კაპიტალისტურ ურთიერთობათა განვითარების პროცესი, ნახევრად ფეოდალური ექსპლოატაციის ადგილს თანდათან იჭერს ბურჟუაზიული საწარმოო ურთიერთობანი, რაც თავის გამოხატულებას პოულობს შემდეგში დაჩქარდა უშუალო მწარმოებელთა—გლეხობის გამოყოფა წარმოების საშუალებებისაგან და მათი გადასვლა დაქირავებულ მუშათა კატეგორიაში. იზრდება აგრარული გადამეტსახლება და სამიწათმოქმედო კაპიტალიზმის მოთხოვნილება დაქირავებულ სამუშაო ძალაზე, გაცილებით დიდდება სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის და მოწინავე აგრომეთოდების (მაგ. სასუქების გამოყენება) ხვედრი წილი მიწათმოქმედებაში, იზრდება სოფლად კლასობრივი დიფერენციაცია, იქმნება კაპიტალისტურ მეწარმეთა ფენა, მრავლდებიან კულაკური მეურნეობანი, კაპიტალიზმის განვითარებას თურქეთის სოფლებში თან სდევს მილიონობით წვრილი და საშუალო გლეხური მეურნეობების გაბოგანოება.

კაპიტალიზმის განვითარება მიმდინარეობს მსხვილი მიწათმფლობელობისა და წვრილგლეხური მიწათსარგებლობის შენარჩუნების პირობებში, რაც იწვევს კაპიტალისტურ და ნახევრად ფეოდალურ ურთიერთობათა გადახლართვას. თურქი ავტორი ბეჰიჯე ბორანი წერილში „განა თურქეთში არ არის კაპიტალიზმი?" წერს: „თურქეთში ძველი ფეოდალური წყობა დაინგრა, მაგრამ იგი საბოლოოდ ლი-

---

[16] П. П. Моисеев, О новых явлениях в сельском хозяйстве Турции, „Турецкий сборник", ИВЛ, Москва, 1958, стр. 80.

კვიდირებული არ არის. ფეოდალური წყობის ნაშთებთან ერთად დამყარდა წარმოების კაპიტალისტური წყობაო"[17].

მეურნეობის გაძღოლის კაპიტალისტურ სისტემაზე გადასვლას ხელს უწყობდა მთავრობის ისეთი ღონისძიებანი, როგორიცაა მიწათმოქმედების პროდუქტებზე მაღალი, გარანტირებული ფასების დაწესება, მემამულეებისა და კულაკობის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკითა და შეღავათიანი კრედიტებით უზრუნველყოფა და სხვა.

განსაკუთრებული ყურადღება მიექცა სოფლის მეურნეობის მექანიზაციას. წლითი წლობით იზრდებოდა თურქეთის სამანქანო პარკი. 1936 წელს თურქეთში სულ იყო 961 ტრაქტორი. თურქეთის სოფლის მეურნეობის მინისტრის განცხადებით, 1945 წელს იმპორტირებული იქნა 123 ტრაქტორი, 1946 წელს — 262, 1947 წელს—601, 1948 წელს კი—1291. 1949 წელსა და 1950 წლის დასაწყისში მარშალის გეგმის შესაბამისად, თურქეთმა დამატებით მიიღო 4000 ტრაქტორი, გარდა ამისა, 1500 ტრაქტორი შემოიტანეს კერძო ფირმებმა. ამრიგად, 1950 წლის აპრილისათვის თურქეთში უკვე იყო 8500 ტრაქტორი[18], 1952 წლის ბოლოს 10 227 ტრაქტორი და 2 095 კომბაინი, 1954 წლის ივლისისათვის 37 862 ტრაქტორი და 6 730 კომბაინი. 1959 წელს თურქეთში 41, 8 ათასი ტრაქტორი იყო, ამასთან, მათი რაოდენობის მხრივ, პირველ ადგილზე იყო ადანის ვილაიეთი, მას მისდევდნენ კონიის, იზმირის, ანკარის, მანისის, ტეკირდაგის და იჩელის ვილაიეთები[19].

იზრდება ტრაქტორებით დამუშავებული მიწის ფართობი. თუ 1936 წელს ტრაქტორებით დამუშავდა 0, 07 მილიონი ჰა მიწა, 1946 წელს დამუშავებულ იქნა 0,1 მილიონი ჰა, 1956 წელს კი 3, 22 მილიონი ჰა. 1955 წელს ერთი ტრაქტორი მოდიოდა 519 ჰა დასამუშავებელ მიწაზე, 1956 წელს 505 ჰექტარზე, ხოლო 1957 წელს 499 ჰექტარზე (დას. გერმანიაში შესაბამისად 19, 16, 14 ჰექტარი)[20]. როგორც „ვათანი" იუწყებოდა, თურქულმა საწარმოებმა ამერიკულ ფირმა „მინეაპოლის — მოლინესთან" ერთად 1955 წლის დასაწყისში შექმნეს კომპანია, რომელსაც უნდა დაეწყო თურქული ტრაქტორების გამოშვება[21]. კომპანიას ეწოდებოდა „Minneapolis—Moline Türk

---

«Yön», 12 Eylûl 1962.

[18] «Istanbul», 1 Nisan 1950.

[19] Halûk Cillov, Türkiyede zirai makineleşme, «Iktisat ve maliye», 1960, N 11, s. 605.

[20] Özemir Yaschar, Voraussetzungen und Möglichkeiten für die mechanisierung der türkischen Landwirtschaft. Bonne, 1961, ss. 1, 13, 97.

[21] «Vatan», 25 Şubat 1955.

traktör ve Ziraat makineleri ortaklığı". მასში შედიოდნენ—Ziraat Bankası, M.K.E., Zirai Donatım kurumu Tarış, Çuko Birlik და Minneapolis-Moline Company of USA.
კომპანიის გამგეობის თავმჯდომარედ დაინიშნა ამერიკელი უილიამ ფ. ფოსი[22].

მანქანა-იარაღების შემოზიდვის საგრძნობი ზრდის მიუხედავად თურქეთის სოფლის მეურნეობა მათ დიდ ნაკლოვანებას განიცდის. უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ შემოზიდულ ტექნიკას ღებულობს მსხვილი მიწათმფლობელის მეურნეობა, რადგან მხოლოდ შეძლებულ პიროვნებებს შესწევთ ძალა გაიღონ სახსრები (მთავრობის კრედიტებიც ამ საქმეს ხმარდება) ძვირადღირებული მანქანა-იარაღების შესაძენად. „თურქეთმა მიიღო 40000 ტრაქტორი,—წერს ფაკირ ბაიკურთი,—მაგრამ უკეთესი იქნებოდა ეს ტრაქტორები არ შემოტანილიყო, რადგან ისინი მთლიანად და დაუყოვნებლივ მსხვილი მიწათმფლობელების საკუთრებად იქცნენ, რომლებიც საბანკო კრედიტებით სარგებლობენ. თითოეული კულაკი 18-20, ზოგიც 30-40 ტრაქტორის მფლობელი გახდა"[23]. წვრილ და საშუალო მეურნეობებში ძირითად იარაღად რჩება გუთანი, გლეხობა ძველებურად მამაპაპური ხის კავით—კარასაპანით და პატრიარქალური მეთოდებით ამუშავებს მიწას.

სასოფლო-სამეურნეო მანქანები და ინვენტარი ძალზე არათანაბრად არის განაწილებული მთელ თურქეთში. მათი ძირითადი ნაწილი თავმოყრილია დასავლეთ თურქეთში და ადანა-მერსინის დაბლობზე, ე. ი. რაიონებში, სადაც ყველაზე მძლავრი განვითარება მიიღეს კაპიტალისტურმა ურთიერთობებმა. მაგ., 1952 წელს აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის 5 ვილაიეთში (გირესუნი, ორდუ, რიზე, ტრაპიზონი და ჭოროჰი) იყო მხოლოდ 18 ტრაქტორი, სამხრეთ-აღმოსავლეთ თურქეთის 4 ვილაიეთში (ბინგიოლი, ბითლისი, თუნჯელი, და ჰაკიარი) კი 50[24], მაშინ როდესაც მარტოოდენ ანკარის ვილაიეთში ამავე წელს იყო 958 ტრაქტორი[25].

მიწათმფლობელები, რომლებიც მთავრობისაგან გრძელვადიან კრედიტებს იღებდნენ მანქანა-იარაღების შესაძენად, თავიანთ მამუ-

---

[22] «Zafer», 27 Ocak 1956.

[23] Fakır Baykurt. Türk köylüsünün hakları, «Forum», sayı 150, 1. Temmuz 1960, s. 7.

[24] „Современная Турция", ИВЛ, Москва, 1958, стр. 62.

[25] «Zafer», 26 Haziran 1952.

ლებს ფერმერულ მეურნეობებად აქცევდნენ და მიწიდან ერეკებოდნენ ათასობით მოიჯარე და მოღალე გლეხებს. „როცა მემამულე იძენს მანქანას ან გაუმჯობესებულ იარაღს,—აღნიშნავდა ვ. ი. ლენინი,—ის ცვლის გლეხის ინვენტარს (რომელიც მისთვის მუშაობდა) თავისი ინვენტარით, ის მაშასადამე გადადის მეურნეობის შრომამოგებითი სისტემიდან კაპიტალისტურზე"[26]. ამერიკელი ეკონომისტის ვ. ჰ. ნიკოლსის გამოანგარიშებით, საშუალოდ ყოველი 10 ამერიკული ტრაქტორი თურქეთში მიწიდან დევნიდა 34 მოზიარე კომლს, ეგეოსისა და ადანის რაიონში კი 89 კომლს[27]. „მსსვილი მემამულეები,—წერს თურქი კომუნისტი ს. უსთიუნგელი,—რომლებმაც მარშალის გეგმით ამერიკული ტრაქტორები მიიღეს, გლეხებს ერეკებიან მიწებიდან. რომლებსაც ისინი ამუშავებდნენ თაობიდან თაობამდე, ართმევენ საძოვრებს. ანატოლიის ველებზე ყოველი ამერიკული ტრაქტორი, როგორც ტანკი თავის მუხლუხებით თელავს ათეულ წვრილ გლეხურ მეურნეობას... მშობლიური მიწაწყლიდან ასი ათასობით განდევნილი მოწილე გლეხი დიარბაქირის, ჩუქუროვას გზებზე დაეხეტება"[28]. მარტო 1948—1952 წლებში მიწიდან აყრილი იქნა 79 ათასი გაჩანაგებული გლეხი. მათი ნაწილი ქალაქში წავიდა

ცხრილი 6

	მიწიდან აყრილ გლეხთა რაოდენობა	შერჩეული სოფლების მოსახლეობის მოსახლეობა	პროცენტული შეფარდება შესწავლილ სოფლების მოსახლეობასთან	მიწიდან აყრილი გლეხობიდან	
				სოფლებში დარჩა	ქალაქში წავიდა
ცენტრალური ანატოლია	1152	72.439	1,6	1084	68
ხმელთაშუაზღვის რაიონი	9268	74.496	12.4	6887	2381
ეგეოსის ზღვის რაიონი	3271	133.239	2,5	3270	1
მარმარილოს ზღვის რაიონი	1396	69.115	2.0	1367	29
სამხრეთ-აღმოსავლეთი თურქეთი	1977	31.126	6,4	1269	708
შავი ზღვისპირეთი	199	39.524	0,5	114	85
ჯამი	17.263		საშუალოდ 4,1	13.991	3272

[26] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში, თხზ. ტ. 3, გვ. 255.

[27] „Аграрные отношения в странах Востока," Москва, 1958, стр. 542.

[28] ს. უ ს თ ი უ ნ გ ე ლ ი, საპყრობილე და „თავისუფლება", თურქი კომუნისტის ჩანაწერები, თბილისი, 1953, გვ. 127—128.

ლუკმა-პურის საძებნელად, დანარჩენმა კი მოჯამაგირეობა დაიწყო. მოზიარეთა და მონახევრეთა აყრა მიწიდან 1948-52 წლებში ანკარის უნივერსიტეტის მიერ შესწავლილ 448 სოფელში ნაჩვენებია მე-6 ცხრილში[29].

ეს მონაცემები კარგი საილუსტრაციო მასალაა ვ. ი. ლენინის შემდეგი სიტყვებისათვის „კაპიტალიზმი ამაღლებს მიწათმოქმედების ტექნიკას და წინ სწევს მიწათმოქმედებას, მაგრამ მას არ შეუძლია გააკეთოს ეს სხვანაირად, თუ არ წვრილ მწარმოებელთა მასის გაჩანაგებით, დაბეჩავებითა და გასრესით"[30].

ამრიგად, მანქანების გამოყენება იწვევს მოზიარე გლეხების შრომის შეცვლას დაქირავებულ შრომით. მიწიდან აყრილი მოიჯარე გლეხების ხარჯზე იზრდება მოჯამაგირეების, სეზონური და მედღეური მუშების რაოდენობა.

სოფლის მეურნეობაში სულ უფრო იზრდება მოთხოვნილება დაქირავებულ შრომაზე. იაფი მუშახელის შოვნა თურქეთში დიდ სიძნელესთან არ არის დაკავშირებული, რადგან თურქეთის სახელმწიფო საგეგმო ორგანიზაციის ცნობით, მიწის უქონლობისა ან სიმცირის გამო თურქი გლეხი წელიწადში ნაცვლად სამიწათმოქმედო სამუშაოებისათვის განკუთვნილი 2400 საათისა საკუთარ მეურნეობაში მხოლოდ 600 საათი არის დასაქმებული[31]. დარჩენილი 1800 საათი იგი უმუშევარია და თავისი სამუშაო ძალის გაყიდვას ცდილობს დამატებითი შემოსავლის უზრუნველსაყოფად. როგორც ეკონომიკისა და დაგეგმვის ორგანოების ანგარიშში იყო ხაზგასმული, 1961 წლის ზამთარში თურქეთში იყო 3,4 მილიონი უმუშევარი გლეხი[32]. სულ უფრო იზრდება მუდმივ და სეზონურ სასოფლო-სამეურნეო მუშათა რიცხვი. თურქეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის იაკუბ დემირის აღნიშვნით, ამჟამად თურქეთში მუდმივ სასოფლო-სამეურნეო მუშათა რაოდენობა 600 ათასს აღწევს[33]. სასოფლო-სამეურნეო მუშები თურქეთის პროლეტარიატის ყველაზე უუფლებო ნაწილია. მათი სამუშაო დღის ხანგრძლივობა დადგენილი არ არის. „სასოფლო-სამეურნეო მუშები.—

---

29 «Türkiyede ziraî makinalaşma», Ankara, 1954, s. 129—130.

30 ვ. ი. ლენინი, თანამედროვე მიწათმოქმედების კაპიტალისტური წყობილება, თხზ. ტ. 16, გვ. 557.

31 «Cumhuriyet», 26 Kasım 1961.

32 „Отечествен фронт" (София), 14 декември 1961.

33 Я. Демир, Турция в тисках реакции, „Проблемы мира и социализма", № 11, 1963, стр. 25.

წერს ბეჰიჯე ბორანი,—ჯერჯერობით იმ ზომითაც კი არ არიან დაცული კანონებით, როგორც სამრეწველო მუშები. სოფლის მეურნეობის სექტორში ყველაზე უმოწყალო ექსპლოატაციას აქვს ადგილი"[34].

მუშათა ამ კატეგორიის ზრდასთან ერთად ფართო მასშტაბებს იღებს გლეხობის საშოვარზე წასვლა, რაც იმის მაჩვენებელია, რომ სოფელში ძლიერდება გლეხობის დიფერენციაციისა და აგრარული გადამეტსახლების პროცესი.

წვრილ-გლეხური მეურნეობის გაჩანაგების ზრდის ერთ-ერთი არაპირდაპირი მაჩვენებელია ქალაქის მოსახლეობის უპირატესი ზრდა, რასაც ადგილი აქვს ომისშემდგომ თურქეთში. მთავარი სტატისტიკური სამმართველოს ცნობით, 1940 წლიდან 1950 წლამდე ქალაქის მოსახლეობა თურქეთში გაიზარდა 21,3%-ით, სოფლისა კი 15,7%-ით; 1950—1955 წლებში ქალაქისა 27%-ით, სოფლისა კი მხოლოდ 10%-ით, 1955—1960 წლებში კი შესაბამისად 23%-ით და 12%-ით.

თურქეთის ოფიციალური ორგანოების აღიარებით, 600 ათასი გლეხი ყოველწლიურად ტოვებს სოფელს და სამუშაოს საშოვნელად ქალაქში მიდის[35]. ქალაქს ჩასული გლეხები—„იორგანლი"[36] მუშაობენ მტვირთავებად, ღამის დარაჯებად, ნაგვის გამტანებად და სხვა შემთხვევით სამუშაოს ასრულებენ .ან კიდევ მათხოვრობენ[37]. შეუდარებლად იზრდება გლეხობის ლტოლვა ქალაქისაკენ მოუსავლიან წლებში.

გლეხები, რომლებიც ახერხებენ ქალაქში ფეხის მოკიდებას, არ წყვეტენ კავშირურთიერთობას თავიანთ მშობლიურ სოფლებთან და ქალაქში ერთგვარ სათვისტომო ორგანიზაციებს ქმნიან, რომლებიც შედგენილი არიან მხოლოდ ერთი სოფლიდან ან მაზრიდან გამოსული გლეხებისაგან. უცხოები სათვისტომო გაერთიანებებში არ მიიღებიან[38].

თურქეთის სოფლის მეურნეობაში კაპიტალიზმის განვითარების ერთ-ერთი მაჩვენებელია მოწინავე აგრომეთოდებზე გადასვლა, კერ-

---

[34] «Yön», 12 Eylûl 1962.

[35] «Hürriyel», 20 Şubat 1955.

[36] „იორგანლის" თურქეთში უწოდებენ გლეხებს, რომელთაც ერთად-ერთი საკუთრება—საბანი (იორგან) ზურგზე აქვთ აკიდებული და ბედის საძიებლად ქალაქიდან ქალაქს დაეხეტებიან.

[37] «Her gün», 6. Temmuz 1949.

[38] Peter Suzuki, Village solidarity among Turkish peasants under going urbanization, «Science», 1960, N 3431, p. p. 891—892.

ძოდ. სასუქების გამოყენების ზრდა სასოფლო-სამეურნეო წარმოების გაზრდის მიზნით, რადგან კაპიტალისტი-მრეწველი სისხლხორცეულად არის დაინტერესებული საბაზრო საქონელწარმოების გაზრდით.

თურქეთის სუსტი ქიმიური მრეწველობა ვერ უზრუნველყოფს სასოფლო-სამეურნეო წარმოებას მინერალური სასუქების საკმაო რაოდენობით. ამის გამო მთავრობას ყოველ წელს, მიუხედავად ფინანსიური ხელმოკლეობისა, 5-6 მილიონი ლირის გამოყოფა უხდება მინერალური სასუქების შემოსატანად[39].

სასუქების გამოყენების ზრდა თურქეთში ნაჩვენებია მე-7 ცხრილში[40]. მიუხედავად სასუქების გამოყენების ზრდისა, ჯერჯე-

ცხრილი 7

წლები	1946—1949	1954	1955	1956	1957	1958—1959
რაოდენობა (ათასი ტონა)	14,2	21,1	15,3	22,0	20,7	

რობით თურქეთში ერთ ჰექტარ ფართობში შეაქვთ 18-ჯერ ნაკლები ხელოვნური სასუქი ვიდრე საბერძნეთში. 32-ჯერ ნაკლები ვიდრე იტალიაში და 51-ჯერ ნაკლები ვიდრე საფრანგეთში[41].

გლეხობა, რომელიც ფეოდალური საზოგადოების ძირითადი კლასია, კაპიტალისტურ ურთიერთობათა განვითარების შედეგად კარგავს ერთიანი კლასის თვისებას: იწყება დიფერენციაციის ნელი და მძიმე პროცესი. გლეხობის საერთო მასიდან ერთის მხრივ თანდათან გამოიყოფა შეძლებული მეპატრონე—კულაკთა ფენა, რომელიც სოფლის ბურჟუაზიას შეადგენს, მეორე მხრივ სულ უფრო იზრდება სოფლის ნახევრადპროლეტართა და პროლეტართა ფენა.

თურქეთის გლეხობის ერთიანი კლასის ცალკეულ ფენებად დიფერენციაციის დადგენის შესაძლებლობას გვაძლევს ჩვენს ხელთ არსებული ცნობები მიწის ფართობების მიხედვით მეურნეობათა დაჯგუფების შესახებ, რადგან, ვ. ი. ლენინის სიტყვებით რომ

---

[39] «Zafer», 3 Mart 1953.

[40] Economic Development in the middle East, New York, 1959, p. 13.

[41] Халис Окан, Развитие на капитализма в Турция, София, 1961, стр. 51.

ვთქვათ, „მიწა, უეჭველია, წარმოების მთავარი საშუალებაა სოფლის მეურნეობაში; ამიტომ მიწის რაოდენობის მიხედვით ყველაზე სწორად შეიძლება ვიმსჯელოთ მეურნეობის ოდენობაზე და მაშასადამე. მის ტიპზეც, ე. ი. მაგალითად, იმაზე, წვრილ, საშუალო, მსხვილ. კაპიტალისტურ მეურნეობაზეა ლაპარაკი თუ ისეთ მეურნეობაზე, რომელიც დაქირავებულ შრომას არ იყენებს"[42]. ამ დებულებაზე დაყრდნობით შეიძლება დავასკვნათ, რომ 1952 წელს თურქეთში იყო 328 ათასი კულაკური მეურნეობა (მეურნეობათა საერთო რაოდენობის 11%), რომელთაგან თითოეული ფლობდა საშუალოდ 300-მდე დენიუმ მიწას ე. ი. საერთო ანგარიშით, დასამუშავებელი მიწების 25%-ს[43].

მსხვილი კულაკობა, როგორც ბურჟუაზიის ახალი ტიპი თურქეთში გაჩნდა უკანასკნელი 25 წლის მანძილზე[44], მაგრამ იგი განსაკუთრებით გაძლიერდა დემოკრატიული პარტიის მმართველობის წლებში (1950—1960 წწ.). ბაიარ-მენდერესის მთავრობა, რომელშიც ბევრი მსხვილი მიწათმფლობელი იყო წარმოდგენილი, კულაკობაში ხედავდა თავისი რეჟიმის საფუძველს. აი რას წერდა კულაკობის როლის შესახებ თურქეთში ფრანგული გაზეთი „მონდი" 1960 წლის აგვისტოში, სათაურით „კულაკების სამოთხე": „მენდერესმა გადაწყვიტა მოეპოვებინა კულაკობის მხარდაჭერა, რომელთაც „ხელში უჭირავთ" სოფელი. თუმცა მიწის ეს „მეპატრონეები" წვრილი მეურნეები არიან მსხვილ მიწათმფლობელებთან შედარებით — საშუალოდ ისინი ფლობენ ნაკვეთებს 10-დან 100 ჰექტარამდე. სამაგიეროდ გამოირჩევიან მრავალრიცხოვნებით—მათი რიცხვი დაახლოებით 350-ათასია თურქეთის 40 ათას სოფელში. მთავარი კი ის არის, რომ ისინი განუზომელი გავლენით სარგებლობენ მოიჯარე და ღარიბ გლეხებზე. მენდერესის მთავრობის.... ძირითადი საზრუნავი იყო კულაკობის ყველა მოთხოვნის დაკმაყოფილება. მათთვის იმპორტირებული იქნა ტრაქტორები, საწარმოო იარაღების განახლებისა და მამულების მოდერნიზებისათვის მათ სახელმწიფო კრედიტები მიეცათ დაბალ პროცენტებში"[45].

---

[42] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თანამედროვე მიწათმოქმედების კაპიტალისტური წყობილება, თხზ., ტ. 16, გვ. 538.

[43] Х а л и с О к а н, Аграрният вопрос в Турция, „Икономическа мисъл", София, 1961. № 6—7, стр. 75.

[44] Аграрный вопрос и национально-освободительное движение. Материал обмена мнениями марксистов-аграрников, состоявшегося в июле-сентябре 1960 г. в Гаване и Бухаресте, Москва, 1963, стр. 182—183

[45] «Le Monde», 4/VIII, 1960.

თურქეთის სოფლის ბურჟუაზია მთავრობის ხელშეწყობით მიწიდან დევნიდა გაბოგანოებულ გლეხობას და მათი პარცელების შესყიდვა-მიტაცებით ზრდიდა საკუთარი კაპიტალისტური მეურნეობის ფარგლებს, სადაც ფართოდ გამოიყენება დაქირავებული სამუშაო ძალა. სულ უფრო იზრდება კულაკურ მეურნეობათა რიცხვი და ხვედრი წონა სასაქონლო პროდუქციის წარმოებაში. 1959 წელს კულაკური მეურნეობები (საშუალო მოცულობა 100-300 დენიუმი) თურქეთის მეურნეობათა საერთო რაოდენობის 13% შეადგენდა და მიწების 28,1 ფლობდა[46]. 1962 წლისათვის მსხვილ კულაკურ მეურნეობათა რიცხვი სასოფლო-სამეურნეო კომლების 15% უდრიდა და სოფლის მეურნეობის სასაქონლო პროდუქციის 40% აწარმოებდა.[47]

ამრიგად, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ თურქეთის სოფლის მეურნეობაში სახეზეა ყველა ნიშანი იმისა, რომ კაპიტალიზმის განვითარება ინტენსიურად მიმდინარეობს, კერძოდ, უშუალო მწარმოებელთა გამოყოფა წარმოების საშუალებებისაგან. დაქირავებული შრომისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების გამოყენების ზრდა, გლეხობის ერთიანი კლასის დაყოფა ერთ პოლუსზე სოფლის ბურჟუაზიად და მეორეზე სოფლის პროლეტარიატად და ნახევარ პროლეტარიატად, რომელთა ექსპლოატაცია განუხრელად იზრდება. უკანასკნელ ხანს თურქეთის სოფელში მომხდარი ცვლილებების არსს საკმაოდ სრულყოფილად წარმოგვისახავს ამ საქმეში საკმაოდ კარგად ჩახედული თურქი ეკონომისტი და პუბლიცისტი ალი კენანი:

„საფუძველს იმ ცვლილებებისა, რომლებიც ჩვენს ქვეყანაში მოხდა მეორე მსოფლიო ომის დამთავრების დროიდან, შეადგენს ისეთი მიწათმფლობელების, როგორიც არიან ბეები და აღები, კაპიტალიზმზე გადასვლა. სოფლად კაპიტალისტურ ურთიერთობათა შეჭრა მიმდინარეობს მოდერნიზებული ფეოდალის ხელში კაპიტალის (მანქანების) სახით გლეხობის პრიმიტიული იარაღების კონცენტრირების შედეგად, გლეხებისა, რომლებიც ბეებთან და აღებთან ფეოდალური ბორკილებით არიან მიჯაჭვული. ამრიგად, ერთის მხრივ, წარმოიშვებიან მუშები, რომლებსაც მხოლოდ თავისუფალი ხელები გააჩნიათ, მეორეს მხრივ კი კაპიტალისტები, რომლებიც ფლობენ წარმოების საშუალებებს (მანქანასა და მიწას). წარმოების კაპიტალისტურ წესზე გადასული ბეები და აღები მოითხოვენ წარმოების ია-

---

[46] Георги Цветков, Аграрните отношения стр. 72.

[47] Pierre Heim, La Türquie bastion de l'occident, «Industrie» (Belg.), 1962, N 12, p. 795.

რაღებს. მუშები კი იძლევიან თავიანთი ხელების ძალას და მოითხოვენ მოხმარების საგნებს. ყოველივე ეს უზრუნველყოფს საშინაო ბაზრის გაფართოებას. რაც აუცილებელია ეროვნული მრეწველობის შესაქმნელად"[48].

როდესაც თურქეთში კაპიტალიზმის განვითარების საკითხს ვიხილავთ, აუცილებელია ხაზი გაესვას ერთ ფრიად მნიშვნელოვან გარემოებას. ჩვენ მხედველობაში გვაქვს ის ფაქტი, რომ ახალ საწარმოო ურთიერთობათა წინსვლის პროცესი თურქეთის ცალკეულ რაიონებში, მათი ისტორიულ-ეკონომიური და გეოგრაფიული თავისებურებების ზეგავლენით, არ მიმდინარეობს თანაბარი ტემპით. ერთი რაიონი ამ მხრივ საკმაოდ წინ წავიდა, მეორე კი საგრძნობლად ჩამორჩა და ჯერ კიდევ ნახევრად-ფეოდალურ ურთიერთობათა ასპარეზს წარმოადგენს. სახელდობრ, ქვეყნის დასავლეთ და სამხრეთ ვილაიეთებში კაპიტალიზმი უკვე კარგა ხანია ფესვგადგმულია; შედარებით ინტენსიურად მიმდინარეობს საწარმოო ძალთა განვითარების პროცესი თურქეთის ცენტრალურ და შავიზღვისპირა ვილაიეთებში; მაშინ როდესაც აღმოსავლეთ თურქეთის ვილაიეთების უმეტესობა კაპიტალიზმის სიმწიფის მიხედვით უკანასკნელ ადგილზეა თანამედროვე თურქეთში.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების დონე

თურქეთის სოფლის მეურნეობის განვითარებაზე მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მეტყველებს ქვეყნის დამუშავებული ფართობის ინტენსიური ზრდა. ცვლილებები მიწის ფონდის გამოყენებაში ნაჩვენებია ქვემოთ მოყვანილ მე-8 ცხრილში.

როგორც ცხრილიდან ჩანს, დასამუშავებელი მიწის ფართობი 1938 წლიდან 1960 წლამდე ჩათვლით გაიზარდა 10 856 ათასი ჰექტრით[49]. პროდუქტიული მიწის მასივების ზრდა მიმდინარეობდა ძირითადად საძოვრების გადახვნის ხარჯზე, რამაც გარკვეული სიძნელეები შეუქმნა მეცხოველეობის განვითარებას. როგორც მე-8 ცხრი-

---

[48] Али Кенан, Внешняя политика Турции, „Форум", Анкара, „Зарубежом" № 30, 29/7 1961 г.

[49] როდესაც თურქეთის დასამუშავებელ მიწებს განვიხილავთ, არ უნდა გამოგვრჩეს მხედველობიდან, რომ თურქეთის მიწათმოქმედებაში გაბატონებულია სამმინდვრიანი სისტემა, რის შედეგად სათესი ფართობის ერთი მესამედი არ ითესება და ანეულად რჩება.

ლი მოწმობს, საძოვრების ფართობი 1960 წლისათვის 1938 წელთან შედარებით შემცირდა 12 410 ათასი ჰექტრით.

1950 წლის შემდეგ საკმაოდ გაიზარდა სასურსათო და ტექნიკური კულტურების სათესი ფართობი: მარცვლეული კულტურების — 8 244 ათასი ჰექტრიდან 1950 წელს 12 910 ჰექტრამდე 1960 წელს, ტექნიკური კულტურებისა—848 ათასი ჰექტრიდან 1 330 ათას ჰექტრამდე.

ცხრილი 8

თურქეთის მიწის ფართობის გამოყენება[50]

წლები	მთელი ტერიტორია	დასამუშავებელი მიწები	ტყეები	საძოვრები	დასახლებული პუნქტები, ბინა დაკავებული ფართობები, ნედლეულ ნაგებობები, ტბები, კანალები, ტბები
1938	76284	14.468	10.386	41.068	10.312
1951	77698	17.204	10.418	36.611	13.465
1952	"	19.079	"	34.737	13.464
1953	"	21.078	"	32.738	13.464
1954	"	21,376	"	32.441	13.463
1955	"	22.763	"	31.054	13.463
1956	"	24.329	"	29.489	13..162
1957	"	24.070	"	29.748	13.462
1958	"	24.684	10.584	29.134	13.296
1959	"	24.962	"	29.070	13.142
1960	"	25.324	"	28.658	13.132

უნდა აღინიშნოს, რომ სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა თურქეთში ძალზე არათანაბარია ცალკეული წლების მიხედვით. მოსავლიანობაზე დიდ ზეგავლენას ახდენს კლიმატური პირობები, ხშირია მოუსავლიანი წლები, როდესაც ქვეყანა სასურსათო სიძნელეების წინაშე დგება. მე-9 ცხრილი სრულყოფილად ასახავს ძირითადი კულტურების მოსავლიანობას უკანასკნელი წლების მანძილზე.

როგორც მე-9 ცხრილიდან ჩანს, მოსავლიანობის ზრდის მიხედვით პირველ ადგილზეა შაქრის ჭარხალი: თუმცა ცალკეულ წლებში

[50] «Ziraî istatistik özelleri 1958—1960», «Türkiye Cumhuriyet merkez bankası. Aylık bülten», Ankara, 1962, N 1—3.

(1950—1951) იგი საგრძნობლად შემცირდა, უმნიშვნელოდ გაიზარდა ბამბა და თამბაქო, ბრინჯი უცვლელი დარჩა, ხორბალი და ქერი კი, პირიქით, დაეცა.

ცხრილი 9

ძირითადი სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა[51]. (ცენტნერი ჰექტარზე)

	1938	1950	1951	1952	1953	1954	1955	1956	1957	1958	1959	1960
ბრინჯი (გაცეხილი)	22	21	21	19	22	24	21	22	16	20	20	22
ხორბალი	11,1	8.7	11,7	11.9	12,4	7,7	9,8	8.7	11,2	11.4	10,4	10,2
ქერი	12.2	10,8	13,1	13.8	14,9	9,6	11.8	11	13,9	13,3	12	10,3
ბამბა	2,4	2.6	2.3	2.4	2,3	2,4	2,5	2,6	2,2	2.8	3,1	2,8
თამბაქო	7	7.3	7.3	7,1	7,4	6,5	6,9	6,7	6,6	6,6	7,3	7,2
შაქრის ჭარხალი	127	80	79	86	95	92	102	100	145	167	210	216

ცხრილი 10

მარცვლეული, ბოსტნეული და ტექნიკური კულტურების სათესი ფართობები და მოსავლიანობა 1962 წელს[52]

კულტურები	სათესი ფართობი (ათასი ჰა)	მოსავალი (ათასი ტონა)	მოსავლიანობა (ცენტნერი ჰექტარზე)
ხორბალი	7800	8450	10,8
ქერი	2800	3500	12,5
ქვავი	670	690	10,3
შვრია	410	450	11,0
სპელტა	131	130	9.9
შერეული მარცვლეული	320	350	10,9
სიმინდი	667	800	12.0
ბრინჯი	81	165	20,4
ფეტვი	49	60	12,2
თამბაქო	82,2	82,2	10.0
კაოტოფილი	136,9	1489	108,7
შაქრის ჭარხალი	125.7	2730,9	217,2
კანაფი	13	9	6,9
ოპიუმი	36	0,3	0,08
ანისი	3,5	2,2	6,3
ბამბა	660	245	3,7
სელი	29	3,5	1,2
ბახვი	48,8	430	88,1
მზესუმზირა	81,3	60	7,4

[51] „Азия и Африка", Статистический сборник, стр. 340.

[52] «Ziraî istatistik özetleri 1941—1962», Ankara, 1963, ციტ. Türkei, «Petermans geogr. mitt.», 1963, N 4, p. 294.

თურქეთის სოფლის მეურნეობის სტრუქტურა კულტურების დიდი სიმრავლით ხასიათდება, რომელთა შორის ძირითადი ადგილი უჭირავს მარცვლეულს (სათესი მიწების 3/4). ცალკეული კულტურების სათესი ფართობი და მოსავლიანობა 1962 წელს წარმოდგენილია მე-10 ცხრილში.

სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგია მეცხოველეობა, რომელიც უმეტესად აღმოსავლეთ თურქეთშია განვითარებული. 1960 წელს პირუტყვის საერთო სულადობა თურქეთში უდრიდა 76 110 ათას თავს — აქედან 34. 463 ათასი ცხვარი, 18. 636 ათასი თხა, 5. 995 ათასი ანგორის თხა, 12 435 ათასი ძროხა და ხარი, 1. 140 ათასი კამეჩი, 65 ათასი აქლემი, 1. 312 ათასი ცხენი, 1. 891 ათასი სახედარი და 170 ათასი ჯორი იყო[53].

პროდუქტიული საქონლის სულადობის ზრდა უმნიშვნელოა მოსახლეობის ზრდის ტემპებთან შედარებით. პირუტყვის სულადობის ზრდას აფერხებს ფურაჟის სიმცირე და ვეტერინალური მომსახურეობის დაბალი დონე. ცუდი მოვლა-პატრონობის გამო დაბალია მეცხოველეობის პროდუქტიულობაც (ცხრილი 11).

ცხრილი 11

მეცხოველეობის ძირითადი პროდუქტების წარმოება თურქეთში[54]

	ზომის ერთეული	1939	1950	1951	1952	1953	1954	1955	1956	1957	1958	1959	1960
ხორცი	ათ. ტ.	69	89	99	102	106	121	138	154	157	135	....	162
რძე		2946	3173	3346	3486	3376	2563	3480	3658	3335	4179	4400	4192
მატყლი (გაურეცხავი)		34	30	33	35	37	36	37	39	40	42	44	....
ანგორის თხის მატყლი	„	7,6	5,5	6,8	7,4	7,5	7,5	7,9	8,9	9,7	9,7	10,3	....
ტყავის ნედლეული:													
მსხვილფეხა საქონლის	ათასი	367	562	640	701	772	955	1079	1285	1316	....	....	....
წვრილფეხა საქონლის		3447	4626	5182	5094	5062	5149	6919	6354	6257	....	....	....

[53] „1962 —Türkiye yilliği", s. 245.

[54] „Азия и Африка", Статистический сборник, стр. 344.

სოფლის მეურნეობის სხვა დარგებიდან ყურადღებას იმსახურებს მეფრინველეობა, მეფუტკრეობა და მეაბრეშუმეობა.

თანამედროვე თურქეთის ერთ-ერთი სერიოზული პრობლემათაგანია სასურსათო პრობლემა. სურსათის მწვავე ნაკლებობა, ხშირად კი შიმშილობაც, თურქეთის ომისშემდგომი სინამდვილისათვის ჩვეული მოვლენაა. პარადოქსალურია, მაგრამ ფაქტია, რომ აგრარული თურქეთი, რომლის მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა სოფლის მეურნეობასთან არის დაკავშირებული, ვერ უზრუნველყოფს ქვეყნის მოთხოვნილებებს კვების პროდუქტებზე და იძულებულია უცხოეთიდან (უმეტესად ამერიკის შეერთებული შტატებიდან) შემოზიდოს იგი.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სურსათისა და სოფლის მეურნეობის საკითხების ორგანიზაციის (FAO) მონაცემების მიხედვით, თურქეთი იმ სახელმწიფოთა რიცხვს მიეკუთვნება, სადაც მარცვლეულის მოსავლის ზრდა დიდად ჩამორჩება მოსახლეობის ზრდის ტემპებს[55], რის გამოც თურქეთი სულ უფრო დამოკიდებული ხდება მარცვლეულის იმპორტზე, მაგ., 1960 წელს აღებული მარცვლეულის საერთო მოსავალი (8. 450 ათასი ტონა) 100 ათასი ტონით ნაკლები იყო 1958 წლის მოსავალზე, მაშინ როდესაც განვლილი 2 წლის მანძილზე თურქეთის მოსახლეობა 1,5 მილიონი კაცით გაიზარდა[56].

თურქი ეკონომისტების გამოანგარიშებით, მოსახლეობის ზრდასა და მისი გამოკვების შესაძლებლობათა შორის პროპორციის მიღწევის ერთ-ერთი პირობაა სასოფლო-სამეურნეო წარმოების ყოველწლიური ზრდა სულ მცირე 3%-ით, მაგრამ ამ შემთხვევაშიც მიღწეული იქნება კვების პროდუქტების წარმოების მხოლოდ მინიმალური დონე, ეროვნული შემოსავლის ზრდა კი არ იქნება უზრუნველყოფილი, რისთვისაც საჭიროა სასოფლო-სამეურნეო წარმოების ზრდა 3%-ზე მეტი რაოდენობით[57]. სასურსათო პრობლემის გადაჭრის ერთ-ერთი პირობათაგანია სოფლის მეურნეობის პროდუქტიულობის ამაღლება, რადგან რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის (Dünya Bankası) გამოანგარიშებით, 1961—1971 წლებში თურქეთის სათეს ფართობზე აღებული მოსავლის მოცულობა გაი-

---

[55] თურქეთის მოსახლეობა ყოველწლიურად საშუალოდ 3%-ით (800 ათასი კაცი) იზრდება.

[56] Halûk Cillov, 1960, yılında ziraî istishalımız, «Iktisat ve maliye», 1961, N 11, s. 548.

[57] «1962 — Türkiye yilliği», s. 240.

ზრდება მხოლოდ 20%-ით, მოსახლეობის მატება კი ამავე პერიოდში შეადგენს 30%-ს[58].

თურქეთის ეკონომიკის საფუძვლის—სოფლის მეურნეობის აღმაველობის ინტერესები მოითხოვენ აგრარული რეფორმის განხორციელებას, რომლის ძალით მიწა გადაეცემა უშუალო მწარმოებლებს—გლეხებს. ღრმა აგრარული გარდაქმნების განუხორციელებლად თურქეთში არ შეიძლება გადაიჭრას სასურსათო პრობლემა და ბიძგი მიეცეს საწარმოო ძალთა განვითარებას.

ბურჟუაზიული თურქეთის ხელმძღვანელობა დიდხანს უარყოფდა თურქეთში აგრარული საკითხის არსებობას, გამომდინარე ყალბი თეზისიდან იმის თაობაზე, რომ თურქული საზოგადოებისათვის უცნობია კლასებად დაყოფა და ამდენად მისთვის უცხოა კლასთა ბრძოლაც. მაგრამ უკვე 30-იან წლებში სოფლის მეურნეობის ხანგრძლივი კრიზისი და გლეხთა უკმაყოფილების ზრდა აიძულებს სახელმწიფოს ლიდერებს აღიარონ, რომ გლეხობის საკითხის გადაუჭრელად შეუძლებელია ქვეყნის სოციალურ-ეკონომიური წინსვლის უზრუნველყოფა. 1936 წლის 29 დეკემბერს პრემიერ-მინისტრმა ისმეთ ინენიუმ განაცხადა: „სოფლის მეურნეობა თურქეთის წამყვანი დარგია, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ეკონომიკის წამოწევა, მაგრამ მიწას მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლია ჭარბი პროდუქტის მოცემა, თუ იგი მისი საკუთრებაა, ვინც მას ამუშავებს, ჩვენს ქვეყანაში უმიწაწყლო გლეხების რაოდენობა იმაზე მეტია, ვიდრე ეს შეიძლება ვივარაუდოთო"[59].

თურქეთის მთავრობა დიდხანს აჭიანურებდა აგრარული რეფორმის მიღებას, მაგრამ ბოლოს და ბოლოს იძულებული შეიქნა 1945 წლის 11 ივნისს მეჯლისში გაეტარებინა კანონი № 4753 „მიწათმოქმედთათვის მიწის გამოყოფის თაობაზე" (Çiftçiyi topraklandırma kanunu).

ახალი კანონი 8 თავისა და 68 მუხლისაგან შედგებოდა[60]. კანონის მეორე თავის მე-8 მუხლში ჩამოთვლილია მიწები, რომლებიც სათანადო ღირებულების გადახდის პირობით უნდა გადაცემოდათ გლეხებს. ეს მიწებია: ა) მიწები, რომლებიც სახელმწიფოს ან ადგილობრივ ორგანოებს ეკუთვნის და არ გამოიყენება საერთო ინტე-

---

[58] «1962 — Türkiye yıllığı», s. 240.

[59] Б. М. Данциг, Аграрная реформа в Турции, „Мировое хозяйство и мировая политика", 1945, № 12, стр. 61.

[60] კანონის სრული ტექსტი იხილე: Tevfik Tiğli, Toprak ve Çiftçi, Istanbul, 1945, s.s. 25—47.

რესებისათვის; ბ) ნაწილი სათემო მიწებისა, რომლებიც ერთ ან რა-შდენიმე სოფელს ეკუთვნის და მათ საჭიროებას აღემატება; გ) უპატ-რონო მიწები; დ) უპატრონო ჭაობების ამოშრობის შედეგად მო-პოვებული მიწები; ე) ტბების დაშრობისა და მდინარეების ამოვსე-ბის შედეგად მოპოვებული მიწები; ვ) მიწები, რომლებიც ამ კანო-ნის საფუძველზე უნდა გასხვისებულიყო. ბუნებრივია, რომ გლეხე-ბის ყველაზე დიდ ინტერესს იწვევდა მიწების უკანასკნელი კატეგო-რია, რადგან სახელმწიფოს ხელში არსებული თავისუფალი მიწები ნაკლებ გამოსადეგი იყო დასამუშავებლად, გლეხობა კი დაინტერე-სებული იყო პირველ რიგში იმ სავარგულების დანაწილებით, რომ-ლებიც მემამულეებისა და კულაკების პირად მფლობელობაში იმყო-ფებოდა.

მესამე თავის მე-14 მუხლის შესაბამისად გასხვისებული უნდა ყოფილიყო ა) ყველა სავაკუფო მიწა, რომელიც „მიუჰლაკ"-ისა და „მაზბუთ"-ის ტიპის ვაკფებს ეკუთვნოდა და ვაკფების მთავარი სამ-მართველოს ან მუთეველიების განკარგულებაში იყო, ბ) 5 ათას დე-ნიუმზე მეტი მიწის ფართობი, რომლებიც ფიზიკურ ან იურიდიულ პირთა საკუთრებაში იმყოფებოდა.

კანონის ყველაზე რადიკალურ დებულებას შეიცავდა მე-17 მუხ-ლი, რომლის ძალით მიწები, რომლებსაც უმიწაწყლო ან მცირემი-წიანი მოზიარეები (Ortakçılar), მოიჯარეები (Kiracılar) ან სოფლის მეურნეობის მუშები[61] (Tarım işçileri) ამუშავებდნენ შეიძლებოდა გასხვისებულიყო ამ პიროვნებათა სასარგებლოდ. რა თქმა უნდა, კანონში მე-17 მუხლის შეტანა არ გულისხმობდა იმას, რომ სამრეწ-ველო ბურჟუაზია (რომელმაც სამიწათმოქმედო ბურჟუაზიის მოთ-ხოვნის საწინააღმდეგოდ შეძლო კანონში ამ მუხლის შენარჩუნება) მხარს უჭერდა უმიწაწყლო გლეხობის მიწით უზრუნველყოფას. მას საკუთარი მიზნები ამოძრავებდა — მოზიარობის ინსტიტუტის ლიკვიდაცია გზას გაუხსნიდა სოფლის მეურნეობაში წარმოების კა-პიტალისტური წესის დანერგვას.

იმ მიზნით, რომ არ შელახულიყო მემამულეთა ინტერესები კანონი ადგენდა ფულად კომპენსაციას გასხვისებული მიწისათვის და მასზე არსებული ნაგებობისათვის.

აგრარული კანონის მიღების დღიდან 1947 წლამდე არავითარი ღონისძიება არ გატარებულა მისი პრაქტიკული განხორციელები-სათვის. „კანონი მიწათმოქმედთათვის მიწების გამოყოფის თაობაზე

---

[61] სეზონური მუშები ამ კატეგორიაში არ შედიოდნენ.

ძალაში შევიდა.—წერდა „ზაფერი“.—მაგრამ კანონის ძალაში შესვლა ერთია, განხორციელება კი სულ სხვა. კანონი მეჯლისიდან გამოვიდა, იგი თაროზე დადეს და მთელი ორი წლით მიივიწყეს. ე. ი. არც 1945 წელს და არც 1946 წელს ამ კანონის საფუძველზე გლეხებს არც ერთი დენიუმი მიწა არ მიუღიათ“[62]. 1947 წლიდან 1950 წლის მარტამდე სულ განაწილებული იქნა 90,9 ათასი ჰექტარი მიწა 20. 208 გლეხურ კომლზე, საშუალოდ კომლზე 4.5 ჰა; ამასთან, უმეტესად, გასხვისებული იქნა ყამირი მიწა[63].

1945 წლის აგრარული კანონი, მიუხედავად მისი შეზღუდული ხასიათისა, თურქეთის მემამულეთა კლასის შეუპოვარ წინააღმდეგობას იწვევდა. მსხვილ მიწათმფლობელთა უკმაყოფილების წყაროს წარმოადგენდა უწინარეს ყოვლისა მე-17 მუხლი, რომელიც საფრთხეს უქმნიდა ორთაკჩილიკის ინსტიტუტს. ამიტომ იყო, რომ იმ შესწორებათა შორის, რომლებიც მემამულეთა ზეგავლენით იქნა შეტანილი აგრარულ კანონში 1950 წლის 27 მარტს[64], ერთ-ერთი პირველთაგანი მე-17 მუხლს შეეხო. იგი გაუქმებული იქნა. საგრძნობლად შეიცვალა მე-16 მუხლიც. ახალი რედაქციის შესაბამისად „საშუალო მეურნეობათა“ (2—5 ათასი დენიუმი) ნამეტი მიწები უნდა გასხვისებულიყო მხოლოდ უკანასკნელ ეტაპზე, სხვა კატეგორიის მიწის ფონდების ამოწურვის შემდეგ. იმ შემთხვევაში თუ „საშუალო მეურნეობა“ მოწინავე აგრომეთოდებით მუშავდებოდა იგი გასხვისებას არ ექვემდებარებოდა. მნიშვნელოვნად გაიზარდა გამოყიდვის თანხა და სხვა. კანონში ახლადშეტანილ შესწორებათა ანალიზი ცხადყოფს, რომ 1945 წლის კანონი ფაქტიურად დაყვანილ იქნა სახელმწიფო მიწების დარიგებამდე; მემამულური მიწათმფლობელობა დაზღვეულ იქნა ხელყოფის საშიშროებისაგან.

სულ 1945—1960 წლებში აგრარული რეფორმა თურქეთის 40 ათასი სოფლიდან მხოლოდ 4. 302-ში განხორციელდა[65].

კანონის მოქმედების 14 წლის მანძილზე 347. 611 კომლმა მიიღო 1. 748 900 ჰექტარი მიწა[66], მაშინ როდესაც, არასრული ცნობით,

---

[62] Mumtaz Faik Fenik, Topraksiz çiftçiyi toprak dağıtımı, «Zafer», 4 Ocak 1951.

[63] «Zafer», 25 Aralık 1956.

[64] 1950 წ. 27 მარტის კანონის ტექსტი იხ. B. Selçuk, Belediye ve köylerimizin kitabi, Ankara, 1951, s. s. 906—914.

[65] «Zafer», 4 Şubat 1960.

[66] „Аграрные реформы в странах Востока“, ИВЛ, Москва, 1961, стр. 307—308.

უმიწაწყლო და მცირემიწიან გლეხთა რაოდენობა 2-5 მილიონს აღწევს. გარდა ამისა სასოფლო თემებს საერთო სარგებლობისათვის გადაეცათ 1. 191 ათასი ჰექტარი საძოვარი.

ბურჟუაზიული აგრარული რეფორმა, რა თქმა უნდა, უკეთესობისაკენ გადადგმული გარკვეული ნაბიჯი იყო იმ გაგებით, რომ მან ბიძგი მისცა საწარმოო ძალთა განვითარებას, საშინაო ბაზრის გაფართოებას დ ხელი შეუწყო ადრე გამოუყენებელი 1, 7 მილიონი ჰა მიწის ათვისებას. რეფორმის შედეგად გლეხობის ნაწილმა მიიღო მიწა, მაგრამ გატარებული ღონისძიებები არ ნიშნავდა აგრარული საკითხის საფუძვლიან გადაწყვეტას, რადგან ხელუხლებელი რჩებოდა მემამულური მიწათმფლობელობა, რომელიც „ბატონყმური საკუთრებაა, ბატონყმური ექსპლოატაციის წყარო და დასაყრდენია“[67]. რეფორმას არ მოუხდენია „რევოლუციური გადატრიალება“ სოფლად, როგორც მისი ავტორები წინასწარმეტყველებდნენ, რადგან იგი მხოლოდ დროებითი პოლიტიკური ეფექტისათვის იყო გამიზნული. „კაპიტალისტურ საზოგადოებაში რეფორმა,—გვასწავლის ვ. ი. ლენინი,—არის დათმობა, რომელსაც მმართველი კლასები მიმართავენ, რომ რევოლუციური ბრძოლა შეაჩერონ, შეასუსტონ ან ჩააქრონ, რომ რევოლუციური კლასების ძალა და ენერგია დაქსაქსონ, მათი შეგნება დააბნელონ და ა. შ.[68].

მენდერესის მთავრობის დაცემის შემდეგ თურქ ხალხს იმედი მიეცა, რომ ახალი ხელისუფლება სოციალურ რეფორმებს განახორციელებდა. განსაკუთრებით მწვავედ დაისვა მიწის რეფორმის საკითხი. ეროვნული ერთიანობის კომიტეტის საპროგრამო მიზანდასახულებაში აგრარული რეფორმის შესახებ შემდეგი იყო ნათქვამი: „მიღებული იქნება აუცილებელი ზომები იმისათვის, **რომ კერძო საკუთრების პრინციპების ხელყოფის გარეშე** (ხაზგასმა ჩვენია—ნ. კ.) უმიწაწყლო გლეხებს მიწები დაურიგდეთ“[69]. როგორც ჩანს, კომიტეტი კვლავ სახელმწიფო მიწების ხარჯზე აპირებდა აგრარულ წინააღმდეგობათა გადაჭრას.

სამხედრო გადატრიალების წლისთავზე. 1961 წლის 27 მაისს დამფუძნებელმა კრებამ მიიღო „მეორე რესპუბლიკის“ ახალი კონ-

---

67 ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, აგრარულ საკითხზე წარმოსათქმელი სიტყვის პროექტი, თხზ., ტ. 12, გვ. 325—326.

68 ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, როგორ არ უნდა იწერებოდეს რეზოლუციები. თხზ., ტ. 12, გვ. 278—279.

69 «Ulus», 11 Eylûl 1960.

სტიტუცია. ძირითადი კანონი აცხადებდა, რომ სახელმწიფო მიიღებდა აგრარულ რეფორმას, რომლის კანონპროექტის შემუშავება 1960 წლის ოქტომბერში დაიწყო სოფლის მეურნეობის სამინისტრომ. იმის შესახებ თუ რა პრინციპები დაედება საფუძვლად ახალ აგრარულ რეფორმას შეიძლება ვიმსჯელოთ სოფლის მეურნეობის მინისტრის პროფ. ოსმან თოსუნის შემდეგი განცხადების მიხედვით: „აგრარული რეფორმის განხორციელებისას ძირითადი ყურადღება მიექცევა მიწის პატარა ნაკვეთების გაერთიანებას იმ მიზნით, რომ ისინი უფრო რენტაბელური გავხადოთ. ამოშრობილი იქნება 2 მილიონამდე ჰექტარი ჭაობი და აღდგენილი იქნება ეროზიით დაზიანებული დაახლოებით 7 მილიონი ჰექტარი მიწის ნაყოფიერება. **ამ გზით ჩვენ ზიანს არ მივაყენებთ სოფლის მეურნეობის არც ერთ ჯგუფს** (ხაზგასმა ჩვენია—ნ. კ.)“[70]. ძნელი არ არის მიხვედრა თუ სოფლის მოსახლეობის რომელი ჯგუფის ინტერესებზე ზრუნავს ამ შემთხვევაში მინისტრი. იგივე გაიმეორა სოფლის მეურნეობის მომდევნო მინისტრმა ჯავით ორალმა, როდესაც ეხებოდა აგრარული რეფორმის ახალი კანონპროექტის არსს: „მიწის რეფორმის საფუძველია,—თქვა მან,—**საშუალო და დიდი მეურნეობების... ხელშეუხებლობის უზრუნველყოფა** და უფრო მოწინავე ტექნიკით აღჭურვა“[71]. ორალის ეს სიტყვები სრულ უფლებას გვაძლევენ დავასკვნათ, რომ მემამულურ მიწათმფლობელობას ამჯერადაც არავითარი საშიშროება არ ელის და ღარიბი გლეხობის მდგომარეობა ფაქტიურად უცვლელი დარჩება. ამრიგად, აგრარული საკითხი დღეს, ისევე როგორც ათეული წლების მანძილზე, თურქეთის სოციალურ-ეკონომიური განვითარების ყველაზე საჭირბოროტო პრობლემაა, რომელიც რადიკალურ გადაწყვეტას საჭიროებს.

კაპიტალისტურ ურთიერთობათა განვითარებაზე მეტყველებს, ასევე, სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო კოოპერაციის ზრდა, რომელშიც. უმეტესად, სოფლის შეძლებული მეურნეობები არის გაერთიანებული. მეორე მსოფლიო ომის ბოლოსათვის თურქეთში იყო 823 სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო კოოპერატივი 308. 700 წევრით, ხოლო 1959 წელს 15. 585 სოფელში 1. 560 კოოპერატივი 920. 000 წევრით. კოოპერატივები ძალზე არათანაბრად არის განაწილებული. მაგ., 1956 წელს არსებული 1488 საკრედიტო კოოპერატივიდან 84 ირიცხებოდა იზმირის ვილაიეთში, 81—მანისისა, ხოლო

---

[70] «L'Economiste d'Orient», 15/XI 1960.

[71] «Cumhuriyet», 20 Mart. 1962.

ქვეყნის აღმოსავლეთში, მაგ., ბითლისსა და ვანში მხოლოდ თითო[72]. როგორც თურქი ავტორი ჰუსეინ კაია წერს, კოოპერატივების რიცხვი მაღალია იმ რაიონებში, რომლებიც სასოფლო-სამეურნეო კულტურების სიმრავლით ხასიათდება. მონოკულტურულ რაიონებში და ქვეყნის აღმოსაელეთში მათი რიცხვი მცირეა[73].

დადგენილი წესის მიხედვით, სასოფლო-სამეურნეო ბანკი კოოპერატივებს სესხს აძლევს 4%-ის დარიცხვით, კოოპერატივები კი, თავის მხრივ, წევრებს სესხს 6%-ის დარიცხვით უნაწილებენ. იმის გამო, რომ კოოპერატივისაგან სესხის მიღება მხოლოდ გარკვეული უძრავ-მოძრავი ქონების მფლობელს შეუძლია, ნათელია, რომ მას პირველ რიგში სოფლის ბურჟუა იღებს, რომელიც ხშირად მიღებულ სესხს საკასშო ოპერაციების საწარმოებლად იყენებს და მას დიდი პროცენტებით აძლევს ღარიბ თანასოფლელებს. ამრიგად, კოოპერატივები თურქულ სოფელში ხელს უწყობენ ორგანიზებული მევახშეობის წარმოებას.

თანამედროვე თურქეთის ეკონომიურ ცხოვრებაში სერიოზული ადგილი აქვს დათმობილი, აგრეთვე, გასაღების კოოპერატივებს. მთავრობის ნებართვით ეს კოოპერატივები, რომლებშიც მემამულეები და კულაკები არიან წარმოდგენილი ,სავაჭრო ოპერაციებს აწარმოებენ უცხოეთთან. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გასაღების კოოპერატივები გაერთიანდნენ სპეციალურ კავშირებში (Birlik) გასაყიდი პროდუქციის სახეობის შესაბამისად. 1960 წელს თურქეთში იყო 15 ბირლიკი, 1 მესაქონლეთა კოოპერატივების გაერთიანება 16 კოოპერატივის შემადგენლობით და გასაღების 3 დამოუკიდებელი კოოპერატივი—სასელდობრ „Hasanköy Tütün" (თამბაქო). „Kütahya Yaş ve Meyva" (ხილბოსტნეული) და „Balıkesir Süt ve Mamulleri" (რძე და რძის ნაწარმი)[74].

ბირლიკებიდან ყველაზე მნიშვნელოვანია „Tarış„ (Izmir Tarım-Satış Kooperativleri Birliği, ადანისა „Çukobirlik" (Çukurova Tarım-Satış kooperativleri Birliği), გირესუნისა „Fiskobirlik" (Giresun Fındik) და სხვა.
ეს ბირლიკები გასაღების გარდა პროდუქციის პირველად დამუშავებასაც აწარმოებენ.

---

[72] «Halkçi», 30 Temmuz 1957.

[73] Hüseyin Kaya, Tarım kredi kooperativleri, «Forum», sayı 146, 15 Nisan 1960, s. 12.

[74] Д. И. Вдовиченко, Национальная буржуазия Турции, Москва, 1962, стр. 37.

საკრედიტო და გასაღების კოოპერატივებს თურქეთის მთავრობა იყენებს თავისი პოლიტიკის განხორციელებისათვის სოფლად და არც მალავს ამას. მაგალითად, ეკონომიკის ყოფილმა მინისტრმა რიფკი არკაჩმა ოფიციალურად განაცხადა მეჯლისში „ჩვენი კოოპერაცია მოწოდებულია ხელი შეუწყოს მთავრობას განახორციელოს თავისი პოლიტიკა თურქეთის სოფლის მეურნეობაშიო"[75].

სასოფლო-სამეურნეო კომლების დაკრედიტებას თურქეთში აწარმოებს აგრეთვე უძველესი სასოფლო-სამეურნეო ბანკი „Ziraat Bankası" ძველად იმ შემთხვევაში თუ კრედიტორს შეუძლია რაიმე ვირაო წარმოადგინოს. „ამიტომ,—წერს მაჰმეთ მაკალი, გლეხს თავისი ქონების ნუსხაში შეაქვს ის, რაც მას არც კი აქვს, იგი მიუთითებს, რომ ჰყავს ხარები, ძროხები, კამეჩები, ცხენები და ბევრი მიწა... ხოლო როცა სასამართლოს აღმასრულებელი მოდის ქონების ასაწერად, ირკვევა, რომ გლეხს ეს არ აბადია"[76]

1950—1960 წლებში კატასტროფული მასშტაბები მიიღო გლეხობის დავალიანების ზრდამ სასოფლო-სამეურნეო ბანკისადმი. მხოლოდ 6 წლის განმავლობაში (1950—1956) ერთი გლეხის დავალიანება ბანკისადმი საშუალოდ გაიზარდა 5-ჯერ და მეტად (20-დან 105 ლირამდე)[77] ვალის გადაუხდელობის გამო გლეხის ქონება საჯაროდ იყიდება. 1960 წლის 4 ნოემბრის № 123 კანონით ჯემალ გიურსელის მთავრობამ პოლიტიკური მოსაზრებით 10 წლით გადასწია გლეხთა მიერ ვალების დაფარვის ვადა. სასოფლო-სამეურნეო ბანკის მმართველის მიუნირ მუსტაფას აღიარებით, გლეხობას ამ დროისათვის ვადაგასული ვალების დასაფარავად უნდა გადაეხადა 1,215,2 მილიონი ლირა[78], მაგრამ კანონი შეეხო მხოლოდ 204 მილიონი ლირის ვალებს[79]. ამ გადაწყვეტილებით ახალ ხელისუფლებას გლეხობის გულის მოგება სურდა, თუმცა ეს არ ამსუბუქებდა გლეხების მდგომარეობას.

თურქი გლეხის ღარიბ ბიუჯეტს მძიმე ტვირთად აწვება გადასახადთა სიმძიმე. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გლეხობა თურქეთში იხდიდა შემდეგ პირდაპირ გადასახადებს: პირუტყვზე (Agnam Vergisi), ნადირობისა და თევზაობის უფლებაზე, მემკვიდრეობის მიღე-

---

[75] Халис Окан, Развитие на капитализма... стр. 63.

[76] Махмут Макал, Наша деревня, Москва, 1951, стр. 56.

[77] Mehmet Seyda, Toprak reformu üzerinde. «Forum», sayı 153, 15 Ağustos 1960, s. 9.

[78] «Hürriyet», 14 Eylül 1960.

[79] «Ulus», 3 Ağustos 1951.

პასა და ქონების გადაცემაზე, ნაგებობებზე ეროვნული ფონდის სასარგებლოდ და გამოსაღებს მიწის საკუთრების რეგისტრაციაზე.

1950 წელს სოფლის მოსახლეობისაგან პირდაპირი სახელმწიფო გადასახადების აკრეფის შედეგად ხაზინაში შევიდა 49 მილიონი ლირა, რაც პირდაპირი გადასახადებისაგან მთელი საბიუჯეტო შემოსავლის 22% შეადგენდა. 1958-59 საფინანსო წელს ბიუჯეტის ხარჯთაღრიცხვით სოფლის მკვიდრთ პირდაპირი გადასახადების სახით გადახდა 153 მილიონი ლირა, ე. ი. ამ სახის გადასახადების ხარჯზე გათვალისწინებული შემოსავლის მხოლოდ 11%. 1960 წლამდე საშუალოდ ერთ სასოფლო კომლზე აკრეფილი პირდაპირი გადასახადი 50 ლირას უდრიდა. განსაკუთრებულ აღნიშვნას მოითხოვს ის გარემოება, რომ თურქეთის სოფლის მოსახლეობის ცალკეულ ჯგუფებზე გადასახადთა სიმძიმე არათანაბრად იყო განაწილებული. 1960 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის განხილვისას მეჯლისში აღინიშნა, რომ „თუ მსხვილ მეურნეობაში გადასახადები შეადგენენ ყოველწლიური შემოსავლის მხოლოდ 1%, ღარიბი კომლები გადასახადების სახით თავიანთი მცირე შემოსავლის 25%-ზე მეტს იხდიან"[80]. გადასახადთა შედარებითი სიმცირე, რომელთაც სოფლის მოსახლეობა იხდიდა განპირობებული იყო იმით, რომ უკანასკნელ ხანამდე სოფლის მეურნეობისაგან მიღებული შემოსავალი არ იბეგრებოდა საშემოსავლო გადასახადით (Gelir vergisi). მართალია, 1955 წლის იანვარში მთავრობამ სცადა ასეთი გადასახადის დაწესება (საადგილმამულო გადასახადის ცხრამაგი გაზრდის გზით, რაც ბიუჯეტს დამატებით 13 მილიონ ლირას მისცემდა), მაგრამ მსხვილ მიწათმოქმედთა ბოიკოტის გამო ვერ შეძლო მეჯლისში მისი დამტკიცება[81]. სამხედრო გადატრიალების შემდეგ ეს საკითხი კვლავ დაისვა დღის წესრიგში[82] და სამრეწველო ბურჟუაზიის დაჟინებითი მოთხოვნით (ამასთან ხაზინაც ცარიელი იყო) 1960 წლის 31 დეკემბერს მიღებულ იქნა ახალი კანონი საშემოსავლო გადასახადის შესახებ (Gelir vergisi kanunu № 193), რომლის საფუძველზე თურქეთის ისტორიაში პირველად სოფლის მეურნეობაში მიღებულ შემოსავალზე დაწესებულ იქნა საშემოსავლო გადასახადი (მუხლი 2)[83]. კანონში აღნიშნულია, რომ „სოფლის მეურნეობისაგან მიღებულ შემოსავლად ითვლება მცენარეთა მოყვანის, პირუტყვისა და ფრინველის მოშენების, თევზის ჭე-

---

[80] «Ulus», 8 Şubat 1960.

[81] «Yeni İstanbul», 13 Şubat 1955.

[82] Son vergi degişiklikleri, «Forum», 15 Ocak 1961, s. 5.

[83] «T. C. Resmî gazete», 6 Ocak 1961.

რის. ნადირობისა. მეტყეველობისაგან; მემცენარეობის. მეფაქონლეობის, მეთევზეობის, ნადირობისა და მეტყეველობის პროდუქტების შენახვისა და გადაზიდვისაგან; ერთი მიწათმოქმედის სასოფლო-სამეურნეო მანქანების მეორე მიწათმოქმედის მამულში გამოყენებისაგან მიღებული შემოსავალი" (მუხლი 52). მე-10 მუხლის ძალით წვრილგლეხური მეურნეობანი განთავისუფლებული იყვნენ საშემოსავლო გადასახადისაგან. მე-12 მუხლი განსაზღვრავს ამ კატეგორიის მეურნეობებს და ადგენს, რომ წვრილ მეურნედ ითვლება მიწათმოქმედი, რომელიც ყოველწლიურად თესავს 15 ჰექტარამდე მარცვლეულს, ოპიუმის ყაყაჩოს ან მზესუმზირას. ან კიდევ არა უმეტეს 6 ჰექტარისა პარკოსან მცენარეებს, ბამბას. შაქრის ჭარხალს, ქუნჯუთს, თამბაქოს ან სელს; ან აქვს სამ ჰექტარამდე ვენახი, ლეღვისა და თხილის ნარგავები. ამ გადასახადისაგან თავისუფალი არიან ის მეურნეობანი, რომლებიც დაითვლიან 800-მდე მსხმოიარე ზეთისხილის ხეს და არა უმეტეს 400 ძირ ციტრუსოვანს. წვრილ მეურნედ ითვლება ასევე მესაქონლე, რომელსაც ჰყავს არა უმეტეს 25 სული მსხვილფეხა რქოსანი ან 100-მდე სული ცხვარი. საშემოსავლო გადასახადისაგან თავისუფალია ყველა მეურნეობა, რომლის წლიური შემოსავალი არ აღემატება 15 ათას ლირას (მუხლი 13). თუ მეურნეობა ეყრდნობა მოზიარობის პრინციპს საერთო შემოსავლის დადგენისას მხედველობაში მიღებული უნდა იქნას როგორც მიწათმფლობელის, ისე მოზიარე გლეხის წილი[84].

როგორც კანონის შინაარსი მოწმობს, ღარიბი და საშუალო გლეხობის ძირითადმა მასამ გარკვეული შეღავათები მიიღო.

გიურსელის განცხადებით, ეს გადასახადი შეეწერა სოფლის მოსახლეობის 10%-ს — მხოლოდ მსხვილ მეურნეობებს[85]. საბჭოთა თურქოლოგების მ. გასრატიანისა და პ. მოისეევის გამოთვლით, საშემოსავლო გადასახადი შეეწერა დაახლოებით 300 ათას მემამულურ და კულაკურ მეურნეობას[86]. საშემოსავლო გადასახადის გადამხდელთა წრის გაფართოებამ ახალი შენატანები გაუნაღდა მთავრობას და მის ხარჯზე უკვე 1961 წელს ნავარაუდევი იყო დამატებით 667 მილიონი ლირის მიღება[87].

---

[84] Ibid.

[85] «Ulus», 4 Şubat 1961.

[86] М. Гасратян, П. Моисеев, Турция ждет перемен, Москва 1963, стр. 44.

[87] «Ulus», 21 Şubat 1961.

თურქული პრესის აღიარებით, მსხვილმა მიწათმფლობელებმა საშემოსავლო გადასახადისაგან თავის დაძვრენის მიზნით დაიწყეს მამულების ფიქტიური დაყოფა მემკვიდრეებს შორის. მათი „გაჩუქება“ და სხვა.

სოფლის ღარიბობის განთავისუფლება ახალი გადასახადისაგან, ისეეე, როგორც სასოფლო-სამეურნეო ბანკისადმი მათი დავალიანების განვადება ახსნილი უნდა იქნას როგორც შორს გამიზნული პოლიტიკური მანევრი. რომლის საშუალებით თურქეთის მთავრობას სურს მშრომელი გლეხობის მხარდაჭერის მოპოვება. წინააღმდეგ შემთხვევაში ახალი ხელისუფლება სამუდამოდ დაკარგავდა ნდობას თურქი ამომრჩევლის თვალში.

გლეხობისათვის მინიჭებული შეღავათი ფაქტიურად გაუქმებულ იქნა სხვა სახელმწიფო გამოსაღებთა გაზრდის გამო, სახელდობრ, 1961 წლის მარტიდან საგრძნობლად გაიზარდა გადასახადები ადგილ-მამულზე და ნაგებობებზე—თუ ადრე ორივე გადასახადის აკრეფით მიღებულ იქნა 80 მილიონი ლირა, 1961 წლისათვის უკვე ნავარაუდევი იყო 209 მილიონი ლირის აკრეფა[88]. საადგილმამულო გადასახადს იხდის მიწის მესაკუთრე, ხოლო თუ მიწა იჯარით არის გაცემული—მოიჯარე, ე. ი. ამ გადასახადის გაზრდა პირველ რიგში ღარიბი მოიჯარის ბიუჯეტს აწვება.

გარდა სახელმწიფო გადასახადებისა, თურქი გლეხი რამდენიმე ადგილობრივ (საკილაიეთო და სასოფლო) გადასახადს იხდის. 1960 წლის დეკემბრამდე ვილაიეთების ბიუჯეტების საშემოსავლო ნაწილი ძირითადად ეყრდნობოდა საადგილმამულო და ნაგებობებზე გადასახადებს. მაგრამ ახალი კანონით ამ გადასახადების შემოსავალი ცენტრალურ ბიუჯეტს გადაეცა. რაც შეეხება სასოფლო გადასახადებს, მათ შორის, უწინარეს ყოვლისა, აღსანიშნავია: სალმა, იძეჯე და რამდენიმე სხვა გამოსაღები.

სალმა ისტორიულად დამკვიდრებული ფულადი ან ნატურალური (მარცვლეულით) გადასახადია. კანონით სალმა უნდა გადაიხადოს ყველა პიროვნებამ, რომელიც სოფელში ცხოვრობს და საკუთრება აქვს იქ. იგი ერთ კომლზე 20 ლირას არ უნდა აღემატებოდეს. სალმის ურჩ არგადამხდელს სოფლის უხუცესთა საბჭო ქოხების ნაწილს ართმევს, ან იძულებით ამუშავებს საზოგადოებრივ სამუშაოებზე.

---

[88] «Ulus», 6 Şubat 1961.

იმეჯე უფასო და განუსაზღვრელვადიანი შრომითი ბეგარაა, რომლის ძალით ყოველი გლეხი (20-60 წლის ასაკის) ვალდებულია მონაწილეობა მიიღოს სასოფლო თემის მიერ წარმოებულ ყველა სამუშაოში. გლეხს უფლება აქვს თავი დაიხსნას შრომითი ბეგარისაგან სათანადო ფულადი კომპენსაციით. ამისი საშუალება მხოლოდ ერთეულებს აქვთ. გარდა ამისა, თურქულ სოფლებში დღემდე შემორჩენილია ზოგი გამოსაღები, რომელიც ოფიციალურად დაკანონებული არ არის. მაგრამ გადახდა აუცილებელია (მაგ., გამოსაღები სასულიერო პირების სასარგებლოდ და სხვა).

სალმა, იმეჯე და ყველა სხვა გადასახადი გლეხობის დიდ უკმაყოფილებას იწვევს. სოფლის ღარიბი მშრომელები მოითხოვენ მათ გაუქმებას. გლეხობის ფართო მასების ბრძოლა საგადასახადო ექსპლოატაციის წინააღმდეგ, რომელიც თანდათან ღვივდება თანამედროვე თურქეთში, გლეხობის ეკონომიური ბრძოლის შემადგენელი ნაწილია და მეტყველებს იმაზე, რომ თურქი გლეხობა ირაზმება ადამიანური უფლებების, თანასწორობისა და სამართლიანობისათვის საბრძოლველად.

თავი მეორე

აგრარული ურთიერთობანი და საწარმოო ძალთა მდგომარეობა აღმოსავლეთ თურქეთის სოფელში მეორე მსოფლიო ომის შემდეგ

1. მიწათმფლობელობა და მიწათსარგებლობა

ისტორიული, სოციალურ-ეკონომიური და ბუნებრივ-გეოგრაფიული ხასიათის პირობებმა აღმოსავლეთ თურქეთის საწარმოო ძალების განვითარებაზე მეტად სერიოზული ზემოქმედება იქონიეს, რის საფუძველზე საკვლევი მხარის ცალკეული ოლქები თავისი სოციალურ-ეკონომიური და მასთან ერთად კულტურული ცხოვრების დონით საკმაოდ განირჩევა ერთიმეორისაგან. აღმოსავლეთი ვილაიეთების ეკონომიური განვითარების დონეთა შორის არსებული სხვაობითაა შეპირობებული მოსახლეობის მატერიალური კეთილდღეობის დონეც.

ბუნებრივ კომპონენტთა სპეციფიკური ხასიათი და სატრანსპორტო-ეკონომიური მიზეზები გარკვეულ ზეგავლენას ახდენენ მეურნეობის განვითარება-განლაგებაზე; აქედან გამომდინარე საკვლევ ტერიტორიაში დამკვიდრებული აგრარული ურთიერთობებისა და მეურნეობრივი კომპლექსის შესწავლა-შეფასებისას აუცილებელია მათი კონკრეტული გარემოსა და თავისებურებების გათვალისწინება.

საკვლევ მხარეში შეინიშნება შიდარაიონული ეკონომიური სხვაობანი და საკმაოდ გამოკვეთილი მეურნეობრივი დიფერენციაცია. მის ცალკეულ ეკონომიურ რაიონებად დაყოფისას ჩვენ ვითვალისწინებდით უწინარეს ყოვლისა სოციალურ-ეკონომიური და სამეურნეო ხასიათის ისეთ თავისებურებებს, როგორიცაა მეურნეობის წარმოების მეთოდი (წინაკაპიტალისტური თუ კაპიტალისტური) და წარმოებრივი სპეციალიზაციის ძირითადი მიმართულება, კერძოდ, მეურნეობის წამყვანი დარგების ხვედრიწონა კონკრეტული ეკონომიური რაიონის სამეურნეო ცხოვრებაში. ამასთან საჭიროდ ჩავთვალეთ მხედველობაში მიგვეღო საკვლევი ტერიტორიის ბუნებრივი პირობები.

ამ ფაქტორებზე დაყრდნობით, შესაძლებლად მიგვაჩნია აღმოსავლეთი თურქეთის შემდეგ ოთხ ეკონომიურ რაიონად დაყოფა:

1. აღმოსავლეთი შავიზღვისპირეთის სასოფლო-სამეურნეო რაიონი—ვილაიეთები ორდუ, გირესუნი, ტრაპიზონი, რიზე, ართვინი (ყოფილი ჭოროჰი) და გიუმუშანე[1]. ამ ეკონომიური რაიონის სამეურნეო განვითარების მნიშვნელოვანი ფაქტორია მისი ზღვისპირა განლაგება და სარეალიზაციო პროდუქციის ზღვით ტრანსპორტირების ფართო შესაძლებლობანი. მის სასოფლო-სამეურნეო სპეციალიზაციას განსაზღვრავს სუბტროპიკული და ტექნიკური მემცენარეობა და საბაღო კულტურების მოყვანა (ჩაი, თხილი, თამბაქო, ციტრუსები). სამომხმარებლო ხასიათი აქვს მეცხოველეობას და ნაწილობრივ მებოსტნეობა-მებაღეობას, მეურნეობის წარმოებაში გაბატონებულია კაპიტალისტური სისტემა.

2. ჩრდილო-აღმოსავლეთის სასოფლო-სამეურნეო რაიონი—ვილაიეთები ერზინჯანი, არზრუმი, ყარსი, აღრი, მუში და ვანი. ეს ძირითადად მესაქონლეობის რაიონია (მსხვილფეხა სახორაცე-სარძევე პირუტყვი) მეურნეობის წარმოების შერეული (კაპიტალისტური და კაპიტალიზმამდელი ფორმები) სისტემით. მსხვილი რქოსანი პირუტყვის მოშენების შემდეგ რაიონის მეურნეობრივ სპეციალიზაციაში მნიშვნელოვანი დარგებია: მეკარტოფილეობა, მარცვლეული მეურნეობა. გარკვეული ყურადღება ექცევა ტექნიკური კულტურების წარმოებას (იგდირის დაბლობის ზონაში).

3. სამხრეთ-აღმოსავლეთის სასოფლო-სამეურნეო (მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის) რაიონი, ვილაიეთები: გაზიანთეფი,

---

[1] თურქეთის სტატისტიკური ორგანოები გიუმუშანეს ვილაიეთს შავი ზღვის რაიონს აკუთვნებენ იხ. «Istatistik yıllıı», Ş cilt 17, yayın N 303, Istanbul, 1949, s. 4.

ურფა, მარდინი, დიარბაქირი, სიირთი, ბითლისი, ადიამანი, მალათია. ელიაზიგი, თუნჯელი და ბინგიოლი, მეურნეობის წარმოების შერეული სისტემით. ამასთან ხაზგასასმელია, რომ კაპიტალისტური ურთიერთობანი სოფლად შედარებით ძლიერია პირველ ოთხ ვილაიეთში. ეს პირველ რიგში ინტენსიური მარცვლეული მეურნეობისა და სამატყლე-სახორცე მეცხოველეობის (ცხვარი, თხა და ანგორის თხა) რაიონია. მოსახლეობის სამეურნეო საქმიანობაში დიდი ადგილი აქვს დათმობილი მაღალსაქონლური ოპიუმის, ფისტასა და ბამბის მოყვანას; სასაქონლო პროდუქციას იძლევა მეხილეობაც.

4. სამხრეთ-აღმოსავლეთის (ე. წ. ჰაკიარის) სასოფლო-სამეურნეო, მეცხვარეობის რაიონი. მეურნეობის წარმოების წინაკაპიტალისტური მეთოდი აქ ჯერ კიდევ ინარჩუნებს გაბატონებულ მდგომარეობას. ეკონომიურ რაიონში ჰაკიარის ვილაიეთის გარდა შედის რამდენიმე მოსაზღვრე კაზა ვანის (სამხრეთი), ბითლისისა და სიირთის (აღმოსავლეთი) ვილაიეთებიდან. იგი რესპუბლიკური თურქეთის ყველაზე ჩამორჩენილი და მივარდნილი კუთხეა ზედმიწევნით რთული ფიზიკურ-გეოგრაფიული გარემოთი და დაბალსაქონლური სოფლის მეურნეობით.

ჩვენ მიერ შემოსაზღვრული ეკონომიური რაიონები მნიშვნელოვნად განირჩევიან ერთმანეთისაგან როგორც მიწათმფლობელობის, ისე მიწათსარგებლობის ფორმებით.

აღმოსავლეთ თურქეთის ეკონომიურად ჩამორჩენილ რაიონებში, უწინარეს ყოვლისა სომხეთის ზეგანსა და ზემო მესოპოტამიაში განსაკუთრებით ძლიერია ბატონყმობის გადმონაშთები. აქ სახნავ-სათესი მიწების და სათიბ-საძოვრების უპირატესი ნაწილი მსხვილი მემამულეების ხელშია, რომლებიც შუა საუკუნეების დერებეების მსგავსად მბრძანებლობენ მიწათმოქმედ გლეხებსა და მესაქონლეებზე[2]. სტატისტიკური მონაცემების უქონლობა ერთობ ართულებს მსხვილ მიწათმფლობელთა რაოდენობისა და მათ საკუთრებაში არსებული სავარგულების მოცულობის განსაზღვრას, მაგრამ მსხვილ მიწათმფლობელური მამულების არსებობა ჩვენ საკვლევ მხარეში არავითარ ეჭვს არ იწვევს, რადგან ეს არაერთხელ აღუნიშნავთ სხვადასხვა ავტორებს.

როგორც ლონდონის „ტაიმსი" 1962 წლის ივლისში წერდა, „მსხვილი მიწათმფლობელები თურქეთის ყველა კუთხეში არიან. მა-

---

[2] Е. ф Лудшувейт, Турция, Экономико-географический очерк, Москва, 1955, стр. 87.

გრამ ქვეყნის აღმოსავლეთსა და სამხრეთ-აღმოსავლეთის ქურთულ რაიონებში ვხვდებით მსხვილ ფეოდალებსა და ტომის ბელადებს, რომლებიც მბრძანებლობენ ადგილობრივ გლეხებზე და შიშის ქვეშ ჰყავთ ისინიო"[3]. თურქეთის მმართველი წრეების წარმომადგენლებიც ვერ უვლიან ამ ფაქტს გვერდს. მაგალითად, ეროვნული ერთიანობის კომიტეტის სოფლის მეურნეობის მინისტრმა ფერიდუნ უსთიუნმა 1960 წლის 25 ივლისს პრესკონფერენციაზე აღიარა, რომ „თურქეთის აღმოსავლეთში არსებული მდგომარეობა ფეოდალურ სისტემას წააგავს (?!) და საჭიროა მისი შესწავლაო"[4]. უფრო მრავლისმთქმელი აღმოჩნდა ცნობილი თურქი აგრარიკოსი ეჯვეთ გიურესინი, რომელიც იმავე წლის სექტემბერში „ჯუმჰურიეთში" წერდა, „ახალი აგრარული რეფორმა აუცილებლად უნდა ითვალისწინებდეს ფეოდალური წყობის გარდაქმნას ქვეყნის აღმოსავლეთ რაიონებშიო"[5].

თურქულ და უცხოურ სპეციალურ ლიტერატურაში ძნელდება პოვნა ცნობებისა მიწათმფლობელობის მოცულობის შესახებ ქვეყნის ცალკეულ ვილაიეთებში. ამ ცნობებს (სასოფლო-სამეურნეო რაიონების მიხედვით) მივაგენით თურქი ეკონომისტის ოზემირ იაშარის სადოქტორო დისერტაციაში „თურქეთის სოფლის მეურნეობის მექანიზაციის წინამძღვრები და შესაძლებლობანი", რომელიც მან ბონის ფრიდრიჰ-ვილჰელმის უნივერსიტეტში დაიცვა 1961 წელს. სამწუხაროდ, ავტორი ცნობებს ორდუს, გირესუნის, ტრაპიზოხის, გიუმუშანესა და რიზეს შესახებ გვაწვდის მთელი შავიზღვისპირეთის ვილაიეთებთან ერთად, ხოლო გაზიანთეფის შესახებ ცნობები შეაქვს ხმელთაშუაზღვისპირეთის ზონაში. ეს ერთობ აძნელებს მიწათმფლობელობის ზომების დადგენას მთელი აღმოსავლეთ თურქეთის მასშტაბით, მაგრამ ო. იაშარზე დაყრდნობით შესაძლებელი ხდება ამ მდგომარეობის დადგენა 17 ვილაიეთის ფარგლებში, რაც ნაწილობრივ მაინც ავსებს ხარვეზს. (იხ. ცხრილი 12)[6].

როგორც ცხრილი გვიჩვენებს, თურქეთის ჩრდილო-აღმოსავლეთისა და ცენტრალური აღმოსავლეთის ვილაიეთებში მეურნეთა თითქმის ნახევარი ფლობს 10 ჰექტარზე ნაკლებ ნაკვეთს, ამასთან

---

[3] «The Times», London, 24/7 1962.

[4] «Cumhuriyet», 27 Temmuz 1960.

[5] Ecvet Güresin. Toprak reformu hakkında, «Cumhuriyet», 9 Eylül 1960.

[6] Özemir Yaşar, Vorraussetzungen und möglichkeiten für die mechanisierung..... s. 29.

ნაჩვენები არ არის მფლობელობის მინიმუმი და მეურნეობა საკუთრებაში მყოფი მთლიანი მიწის ფართობი. უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ კატეგორიის მეურნეობაში უმეტესობას შეადგენენ წვრილგლეხუ-

ცხრილი 12

მეურნეობათა კლასიფიკაცია დასამუშავებელი მიწების სიდიდის მიხედვით (ჰექტარებში) აღმოსავლეთ თურქეთის 17 ვილაიეთში

სასოფლო-სამეურნეო ოაიონები	გამოყენებული ფართობი (ჰექტარი)	10 ჰექტ. ნაკლები %	10—30 ჰექტარი %	30—50 ჰექტარი %	50—70 ჰექტარი %	70 ჰექტარზე მეტი %	ჯამურად
ჩრდილო-აღმოსავლეთი თურქეთი (ერზინჯანი, არზრუმი, ყაოსი, აღრი, ჰოროჰი)	908.940	46.8	37.0	8.3	7.9	„	100 %
თურქეთის ცენტრალური აღმოსავლეთი (მალათია, ელიაზიგი, ბინგიოლი, თუნჯელი)	1.447.440	47.2	27.4	3.5	2.6	19.3	100 %
სამხრეთ-აღმოსავლეთი თურქეთი, (ურფა, დიარბაქირი, მუში, სიირთი, ბითლისი, ვანი, მარდინი, ჰაკიარი)	1.631.580	31.3	28.9	7.7	2.4	30.1	100 %

რი პარცელები. შედარებით ნაკლებია ასეთ მეურნეობათა რაოდენობა სამხრეთ-აღმოსავლეთში (31, 3%), ნაცვლად ამისა მეურნეობათა თითქმის ერთი მესამედი აქ მსხვილი საკუთრების მფლობელია, რომელთაგან თითოეულს 70 ჰექტარზე მეტი სავარგული აქვს პირად საკუთრებაში. უნდა შევნიშნოთ, რომ არც აქ გვიჩვენებს ავტორი მსხვილ საკუთრებათა სრულ ფარგლებს, შესაძლებელია, რომ ცალკეული ასეთი მეურნეობის საზღვრებში კონცენტრირებული იყოს ათასობით დენიუმი მიწა.

თურქული წყაროების შესწავლა საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ ზოგიერთ მიწათმფლობელს აღმოსავლეთ ვილაიეთებში ათობით სოფელი ეკუთვნის და მემამულე გვევლინება გლეხის სრულ ბატონ-პატრონად[7], მას შეუძლია გაყიდოს სოფელი გლეხების ოჯახებთან ერთად. ამის შესახებ არაერთი განცხადება გამოქვეყნებულა თურქულ პრესაში. მაგ., გაზეთი „დიარბაქირი" წერდა: „დიარბაქი-

[7] „Работническо дело" София, 9 октомври 1961.

რის რაიონში იყიდება სოფელი მასზე მიწერილი 10. 000 დენიუმი სარწყავი და ურწყავი მიწებით"[8]. ჟურნალი „იაღმურ ვე თოფრაკ", რომელსაც ეს ცნობა მოჰყავდა, ხაზს უსვამდა, რომ „სამხრეთ-აღმოსავლეთ თურქეთში სოფლების ყიდვა-გაყიდვა ჩვეულებრივი მოვლენაა. იქ სოფლების უმეტესობა ისევე, როგორც მთელი მიწა, მემამულეებს ეკუთვნის. მიწას გლეხები ამუშავებენ, მოსავალი კი მემამულეს მიაქვს. აღებული მოსავლიდან გლეხს ერთი წლის სარჩოდ გამოუყოფენ წილს, რომელიც ძლივძლივობით ყოფნის მას მომავალი წლის მოსავლამდე. არიან ისეთი მსხვილი მემამულეები, რომლებსაც 30-40 სოფელი ეკუთვნის. ამ სოფლებში მემამულეს უფლება აქვს ისე მოექცეს გლეხს, როგორც მას მოესურვება. მემამულეებს შეუძლიათ გლეხების მიწიანად გაყიდვა საჯარო ვაჭრობით. მემამულის კუთვნილ სოფლებში ათასობით გლეხს ერთი გოჯა მიწაც კი არ გააჩნია. მაგრამ მაინც მიწაზეა მიჯაჭვული. ეს გლეხები იცვლიან თავიანთ ბატონს მიწასთან ერთად"[9].

„ჯუმჰურიეთის" კორესპონდენტი ფიქრეთ ოთიამი 1964 წლის დამდეგს ერთ გაზეთში წააწყდა განცხადებას იმის თაობაზე, რომ თუნჯელის ვილაიეთში იყიდება სოფელი დანაბურანი გლეხებთან ერთად „მთლიანად ან ნაწილობრივ" და წავიდა ამ სოფლის სანახავად. შემთხვევამ კორესპონდენტი მიიყვანა დანაბურანის მეზობელ სოფელში, რომელსაც, როგორც გამოირკვა, ასევე ყიდდა მემამულე. სოფელში იყო 8 ათასი დენიუმი მიწა, რომელსაც 25 გლეხური კომლი ამუშავებდა. როგორც გლეხებმა განუცხადეს კორესპონდენტს, მემამულე თავის საკუთრებაში სოფლის 400 მცხოვრებიანად 600 ათას თურქულ ლირას ითხოვდა[10].

ბინგიოლის ვილაიეთში ზოგიერთ მემამულეს 100-ზე მეტი სოფელი ეკუთვნის თავის მიწებიანად. ერთი ასეთი აღა მოხსენიებული ჰყავს სულეიმან სარაჩოღლუს თავის „დოღუ ანადოლუში": „ბინგიოლის ვილაიეთში ბაღირის მთის ძირიდან ჩერმესაკენ მიმავალ ხეობას პარალელურად მისდევს ფემ დერე. მის სამხრეთ ნაწილს აღა შენლიღი ჰქვია. აქაურობა ძველი დერებეილიკის, აღალიკის დროის სასოფლო-სამეურნეო რეჟიმის ერთ-ერთ ყველაზე შესანიშნავ მაგალითად შეიძლება იქნას წარმოდგენილი. ასზე მეტი სოფელი ერთი აღას საკუთრებაა (ზოგი სოფელი 3-5 კომლიანია). გლეხები აღას ში-

---

[8] «Diyarbakir», 7 Eylûl 1949.

[9] «Yagmur ve Toprak», N 16, Ekim 1949.

[10] Фикрет Отьям,На попечении Аллаха, „Джумхуриет", „За рубежом" № 11, 14 марта 1964 г. стр. 22.

წებს ამუშავებენ ან მოზიარობის წესით ან კიდევ, უფრო მეტად. დადგენილი საიჯარო ქირის საფასურად"[11].

1961 წლის ივნისში „ჯუმჰურიეთის" ფურცლებზე მოთხრობილი იყო თურქეთ-სირიის საზღვარზე მარდინის ვილაიეთის ჯიზრეს ილჩეში შემავალი 36 სოფლის შესახებ (890 კომლი, დაახლოებით 4450 კაცი), რომლებიც მთლიანად აღების საკუთრება იყო. კეთილმოწყობისა და დასახლების საავილაიეთო სამმართველოს უფროსის სითკი უნალის განცხადებით ამ სოფლების ყველა გლეხი უმიწაწყლო იყო და აღების მიწებზე მუშაობდა მოზიარედ[12].

„ამ ზაფხულს.—წერს „ულუსში" ფიქრეთ ულუდამარი,—ურფას 10 სოფელი მოვინახულე, რამაც დიდი გულისტკივილი მომაყენა. ათივე ერთი მდიდარი აღას ჩიფთლიკია. უმიწაწყლო გლეხები აღას მიწებზე მონახევრეებად მუშაობენ და აღას ყურმოჭრილი ყმები არიან. სოფლების მამასახლისებს აღას ნებართვის გარეშე ლაპარაკისაც კი ეშინიათ"[13].

ანკარის უნივერსიტეტის დოცენტი, საქმეში კარგად ჩახედული ჰარმანდალიოღლუ, როდესაც აღწერს აღების ძალმომრეობას თუნჯელის ვილაიეთში, აღნიშნავს: „აქ აბის ვინმე ისმაილ აღა. იგი ამ მხარეში ასობით აღადან ერთ-ერთია. ეს მთები ისმაილ აღასია, ამ მთებში მოხეტიალე ჯოგები და ფარები ისმაილ აღასია, ასე განსაჯეთ, რომ მიწის ბანიანი ათობით სოფელი ისმაილ აღასია, ამ სოფლების გლეხობაც მისია. აღასვე ეკუთვნის ამ მთების ძირში გაშლილი დაბლობები, ყანები და მწვანე მდელოები"[14].

თურქი ავტორი იუქსელ კასაფბაში თავის წერილებში საერთო სათაურით „აღების ბატონობის აღსასრული აღმოსავლეთში" წერდა „ჰურიეთში" 1960 წლის ნოემბერში, რომ აღმოსავლეთ თურქეთში მსხვილ მიწათმფლობელთა მამულები დღეს, ისევე როგორც საუკუნეების წინათ ათეულ ათასობით დენიუმზეა გადაჭიმული. ავტორი ასახელებს ზოგიერთ მემამულეს. „კინიას ქართალი, — წერს იგი,—5 სოფლის მებატონეა თავისი მიწებიანად. იგი ტომის ბურიუნქის ბელადია. კინიასი აურაცხელ ფულებს ფლანგავს, განცხრომას

---

[11] S. Saraçoğlu, Doğu Anadolu. s. 207.

[12] «Cumhuriyet», 26 Haziran 1961.

[13] Fikret Uludamar, Uria köyleri ve makinalaşmiş ziraat. «Ulus», 30 Ağustos 1952.

[14] Harmandalıoğlu, Insanlarin tikanıp kaldığı bir ülke, «Forum», sayı 157, 15 Ekim 1960. s. 12.

ეძლევა ანკარაში. მისი გლეხები კი დღენიადაგ მშიერი არიან და მთელი თავიანთი ცხოვრება აღას უნდა ემსახურონ[15]. მეორე მემამულე ებუბეკირ ერთაში 25-მდე სოფლის პატრონია. სოფლები ზახოსი, კურიტი, ვაკაკარიტი, ბიურკას იალაღი, მიწები მდინარე დიმდუსტისთან მხოლოდ ნაწილია იმ მფლობელობისა. რომელიც აღას კუთვნილებაა. ამ რაიონის ჩრდილოეთით სხვა აღები ბატონობენ, მაკალითად, ჰალის ოზთურქი, რომელიც ადრე მეჯლისის დეპუტატი იყო აღრის ვილაიეთიდან[16]. ბითლისის ვილაიეთის ჰიჯანის ილჩეს სოფელ გაიდაში 1960 წლამდე ცხოვრობდა შეიხი სელიაპეთინ ინანი. გლეხების გადმოცემით. 1925 წლიდან მოკიდებული შეიხმა სხვადასხვა მაქინაციების საშუალებით ხელთ ჩაიგდო ყველა მეზობელი სოფელი და თავის მამულში შეუზღუდავი დესპოტიზმი დაამყარა. 1935 წელს შეიხს ეკუთვნოდა 19 სოფელი. 1938 წლის აგვისტოში მემამულე გაასახლეს აღმოსავლეთ თურქეთიდან პოლიტიკური უნდობლობის მოტივით და გლეხებმა მისი მიწების დიდი ნაწილი დაიტაცეს. მაგრამ შეიხი მალე დაბრუნდა გადასახლებიდან და აღდგენილ იქნა თავის უფლებებში. 1945 წელს მას ეკუთვნოდა 24 სოფელი, ხოლო 1950 წელს უკვე 35. ამავე წელს იგი არჩეულ იქნა მეჯლისის დეპუტატად სახალხო-რესპუბლიკური პარტიისაგან, მაგრამ 2 წლის შემდეგ დემოკრატიულ პარტიაში გადავიდა, რადგან იგი მმართველი პარტია იყო[17].

ზემომოყვანილი მაგალითები მოწმობენ. რომ ქვეყნის აღმოსავლეთში შემორჩენილია მსხვილმემამულური მიწათმფლობელობა. ამ მამულებში უპირატესობა ენიჭება შრომის გაძღოლის საზიარო სისტემას — ორთაკჩილიკს.

როგორც აღინიშნა, თურქეთის ოფიციალური სტატისტიკა არ იძლევა სარწმუნო ცნობებს მიწათმფლობელობის მდგომარეობის შესახებ აღმოსავლეთ თურქეთში. თურქი ეკონომისტის ჭიაზიმ ჭიოილუს მოწმობით. რომელიც სახელმწიფო მონაცემებს ეყრდნობა, 50-იანი წლების დასაწყისში თურქეთში სულ იყო 428 მსხვილმემამულური მეურნეობა, რომელთა ფართობი (თითოეულის) აღემატებოდა 5000 დენიუმს; ამათგან აღმოსავლეთში იყო 48 მეურნეობა, სახელდობრ, გაზიანთეფში—18, ურფაში—17, ყარსში—10 და მარდინ-

---

[15] Yüksel Kasapba şı. Doğu ağalar saltanatının sonu. «Hürriyet», 19 Kasım, 1960.

[16] «Hürriyet», 21 Kasım 1960.

[17] «Hürriyet», 14 Ekim 1960.

ში—3[18]. რა თქმა უნდა, ეს ცნობები ოდნავადაც არ შეეფერება სინამდვილეს. ფაქტიურად თურქეთში გაცილებით მეტია მსხვილმემამულური მფლობელობა[19].

რეალური სურათის დადგენას დაბრკოლებას უქმნის მიწების რეგისტრაციისა და საკადასტრო აღწერის პირველყოფილი მდგომარეობა მთელ თურქეთში და განსაკუთრებით, მის აღმოსავლეთში

1950 წელს მილიონობით თურქი გლეხის საკუთრება. მთელი მიწების თითქმის 70% არ იყო აღწერილი, რაც გაუთავებელ დავასა და შეტაკებებს იწვევდა. მიწების საკადასტრო აღწერა დავალებული ჰქონდათ სპეციალისტთა საგანგებო კომისიებს, რომლებიც მიწების აზომვის შემდეგ სათანადო რუკებს ადგენდნენ. ნაკვეთის კუთვნილების საკითხი წყდებოდა არჩეული მსაჯულების — იარგიჩების დახმარებით, რის შემდეგ მესაკუთრეს ეძლეოდა თაფუ. მაგრამ, როგორც გამოირკვა, სპეციალისტთა არსებული კადრებით და იმ სახსრებით, რომლებიც სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოიყოფოდა ამ ღონისძიების ჩასატარებლად, მიწების კადასტრირებას დასჭირდებოდა დაახლოებით 1000 წელი. მუშაობის დასაჩქარებლად შემუშავებული იქნა პროექტი მიწების საკადასტრო აღწერისა თვითმფრინავიდან ფოტოგრაფირების გზით. პროექტის მიხედვით, ყოველ წელს უნდა აღწერილიყო სამი ვილაიეთის მიწები, რის შედეგად სამუშაოები 20 წლის განმავლობაში დასრულდებოდა. ყოველ წელს აღწერის ჩასატარებლად უნდა გამოყოფილიყო 5—7 მილიონი ლირა[20]. სახალხო-რესპუბლიკური პარტიის დამარცხებამ არჩევნებში 1950 წლის მაისში გაურკვეველი ვადით გადადო ამ პროექტის ცხოვრებაში გატარება, მაგრამ იგი რომ განხორციელდეს კიდეც ვერავითარ სიცხადეს ვერ შეიტანს მიწათმფლობელობათა მოცულობაში კონკრეტული მეურნეობების მიხედვით.

ქურთი ავტორი ნური დერსიმი ალეპოში (სირია) გამოცემულ თავის წიგნში „დერსიმი ქურთისტანის ისტორიაში" (დერსიმი თუნჯელის ქურთული სახელწოდებაა) ასე ახასიათებს მიწების საკადასტრო აღწერის ახლანდელ მდგომარეობას თუნჯელის ვილაიეთში: „დერსიმის მთიან რაიონებში მიწები მთლიანად არ არის რეგისტრირებული. ნასყიდობის საბუთებისა და საკადასტრო აღწერის დოკუმენტების უქონლობის შედეგად ხშირია უთანხმოებანი მთლიანი მამულებისა ან საკუთრებათა ცალკეული საზღვრების გამო. ეს ვან-

---

[18] Kâzım Köylü. Ziraî işletmecilik. Ankara. 1957, s. 146

[19] Взрбан Ангелов, Турция. София, 1954. стр. 146.

[20] Arazinin plânla tapulanması, «Ulus», 14 Mart, 1950.

ხეთქილებანი ზოგჯერ წლების მანძილზე გრძელდება და პიროვნებებს შორის წამოჭრილი აშირეთების სადაო პრობლემად იქცევა. თაკის დროზე კონფლიქტი შეიჭ ჰასანანისა და სეიდანის აშირეთებს შორის 60 წელს გაგრძელდა და ასობით ადამიანი შეიწირა[21].

მიწების რეგისტრაციის პრინციპები აღმოსავლეთ თურქეთის ცენტრალურ და სამხრეთ ვილაიეთებში იმდენად პირობითია, რომ შეუძლებელია მათზე დაყრდნობა მფლობელობის რეალური ზომების დადგენისას. პირველ რიგში ამით მსხვილი მიწათმფლობელები სარგებლობენ, რომლებიც თაფუს მიხედვით ფლობენ რეგისტრირებული ნაკვეთის გარკვეულ რაოდენობას, მაშინ როდესაც მათი ფაქტიური საკუთრების საზღვრები, ზოგ შემთხვევაში, 100-ჯერ აღემატება საბუთებში ფიქსირებულს. ცნობილი თურქი მკვლევარი და რომანისტი იაშარ ქემალი, რომლის შემოქმედებაში სოციალური მოტივები ჭარბობს, ახლოს იცნობს აღმოსავლეთ ვილაიეთების ცხოვრებას და რეპორტაჟებში აღმოსავლეთიდან სპეციალურად იხილავს თაფუს პრობლემას; იგი წერს: „აღმოსავლეთ თურქეთში მიწათმფლობელობის ფიქსირებული ნაკვეთის ზომა ძალზე საალბათოა და ადვილად შესაცვლელი, რადგან მიწების აღწერისას საზღვრებად მიიჩხევენ, მაგალითად, ასეთ კოორდინატებს—სამხრეთით კარაქეჩის ალისხე, ჩრდილოეთით საპანთაში, დასავლეთით დელიჯეს თხრილი და აღმოსავლეთით ესა და ეს ბორცვი. ამ კოორდინატებში მოქცეული 15 დენიუმი ყანა ამა და ამ პიროვნებას ეკუთვნის. მაგრამ აღა,—განაგრძობს იაშარ ქემალი,—იღებს კარაქეჩის ალისხეს და კილომეტრით იქით გადააქვს. ახალი საზღვრები უნდა დაამოწმოს 2—3-მა ნაცნობმა; ასე იცვლება სხვა საზღვრებიც, ნაკვეთი კი განუწყვეტლივ იზრდება. ანატოლიაში თაფუების 90% ასეა შედგენილი—ადამიანს თაფუ ერთ დენიუმზე აქვს, მის მფლობელობაში კი 1000 დენიუმი ნაკვეთია. ეს მითვისებული მიწები ხაზინისაა. აღებმა და ბეებმა სახელმწიფო საკუთრება მიიტაცეს“[22].

სახელმწიფოსა და აღებს შორის წლების მანძილზე წარმოებს დავა ძალით მიტაცებული მიწების ირგვლივ. მაგრამ აღები საერთო ძალებით გამოდიან ამ საკითხში სახელმწიფოს წინააღმდეგ და როგორც ავტორი აღნიშნავს, ჯერჯერობით შეძლეს მითვისებული მიწების შენარჩუნება. იაშარ ქემალს მოჰყავს ცალკეული მაგალითები იმისა (გვარის დაუსახელებლად) თუ როგორ იტაცებენ აღები სახელმწიფო მიწებს.

---

21 Nuri Dersimi, Kürdistan tarihinde Dersim, Halep, 1952, s. 13.

22 «Cumhuriyet», 11 Mart 1962.

1. ამ აღამ, — წერს ერთ-ერთის შესახებ ქემალი, — უმაღლესი განათლება მიიღო. იგი ერთ-ერთი სოფლის ბატონის ვაჟია. მას თაფუ 200 დენიუმ მიწაზე აქვს, მაგრამ ამ პიროვნებამ 5000 დენიუმი მიწა დაისაკუთრა. 5000-ს ამბობენ თორემ ალაჰმა იცის მისი საკუთრების ნამდვილი სიდიდე. ამ 5000 დენიუმიდან 4800 დენიუმი რეგისტრირებულია როგორც ხაზინის საკუთრება[23]. წლების მანძილზე ეს ადამიანი, რომელსაც უნივერსიტეტის დიპლომი აქვს, გლეხებს ამუშავებინებს სახაზინო მიწებს. სახელმწიფოს კი ერთ ყურეშს ქირასაც არ უხდის, სახელმწიფო დიდი ხანია ცდილობს ამ მიწების დაბრუნებას, მაგრამ უშედეგოდ და ამ გზით იგი ვერასდროს ვერ მიაღწევს სასურველ მიზანს. 1950 წელს მთავრობამ ამ 4800 დენიუმიდან 665 დენიუმი ამ რაიონში მოსულ ახალმოსახლეებს აჩუქა საკარმიდამო ნაკვეთად, მაგრამ გავიდა 12 წელი და ვერცერთმა ახალმოსახლემ ვერ გაბედა ფეხის დადგმაც კი იმ მიწაზე, რომელიც საჩუქრად მიიღო დასასახლებლად.

2. თაფუს პატრონს,—მოგვითხრობს მეორე აღას შესახებ იაშარ ქემალი,—ოფიციალურად 77 დენიუმი მიწა ეკუთვნის, მაგრამ ფაქტიურად მის ხელთ 1000 დენიუმი მიწაა. ამ ფართობიდან მთავრობამ გადმოსახლებულებს 220 დენიუმი მიწა აჩუქა, მაგრამ უშედეგოდ. მიწის მფლობელი არ თმობს თავის უაჩაღურ უფლებებს მიტაცებულ მიწებზე

3. თაფუ 350 დენიუმზე... სინამდვილეში კი 1000 დენიუმი. 1927 წელს ამ 1000 დენიუმიდან 650 დენიუმი ახალმოსახლეებს ებოძათ, მაგრამ მხოლოდ ქაღალდზე.

ამრიგად,—ასკვნის ავტორი, — აღების საკუთრებაში მიწების დიდი მასივები გადავიდა. ეს სახაზინო მიწები როგორმე რომ ჩამოერთვას აღებს, შესაძლებელი გახდება ბევრი ღარიბ-ღატაკის ძიწით დაკმაყოფილება. მაგრამ არა მგონია ვინმეს დღეს შესწევდეს ძალა ამ მიწების აღების ხელიდან გამოსაგლეჯადო"[24].

ანალოგიურ მაგალითს გვაწვდის იუქსელ კასაფბაში: „ირანის საზღვრიდან 30 კილომეტრზე განლაგებულია სამაზრო ცენტრი გიურპინარი. ამ მაზრის სოფელ დიმთან არის საზაფხულო იალაღი დუავი. ეს საძოვარი ადრე ხაზინას ეკუთვნოდა, მაგრამ სახელმწიფო მას არ იყენებდა და 1956 წლიდან იალაღი აღა ებუბექირ ერთუშიმ მი-

---

[23] ე. ი. თაფუს მიხედვით თუ ვიმსჯელებთ ამ აღას მხოლოდ 20 ჰა ფართობი ჰქონია, მაშინ როდესაც იგი ფაქტიურად 500 ჰა მიწის მესაკუთრეა.

[24] «Cumhuriyet», 11 Mart 1962.

ითვისა. ახლა აღამ გადაწყვიტა იალაღი მიყიდოს ჰაკიარის ვილაიეთის ბეითუშებაფის მაზრის ჰაჩიკის თემის სოფელ კაჩითბაჰრემის გლეხობას, რომლებიც გევდანის ტომის წევრები არიან. ეს ტომი ებუბექირ აღას სახელმწიფოს საკუთრებაში აძლევს 30 ათას ლირას და 500 ცხვარს, თუ გავითვალისწინებთ, რომ ერთი ცხვარი სულ მცირე 100 ლირა ღირს, გამოდის, რომ ებუბექირი 80 ათას ლირას ჩაიჯიბავს. ასე ხდება აღმოსავლეთ ანატოლიაში მიწების ყიდვა-გაყიდვა"[25].

მიწათმფლობელობის განსხვავებულ მასშტაბებთან გვაქვს საქმე აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში. მოსახლეობის მჭიდრო განსახლებისა და სათესი მიწების სიმცირის გამო აქ გაცილებით ნაკლებია მეურნეობათა ფართობები. 70 დენიუმი ნაკვეთი ზღვისპირა ზონაში კულაკური მეურნეობაა, ჩრდილო-აღმოსავლეთში კი ღარიბული[26]. ტრაპიზონის ვალი იუსუფ მაზჰარ არენი შემდეგს ამბობს ამის შესახებ: „აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში გამოყენებული მიწები მოსახლეობაზე ტოლად რომ გავანაწილოთ თითო სულზე 20-მდე დეკარი თხილნარი და 7-8 დეკარი ყანა მოვა. ამ მიწების უმეტესობა ძწირია და პირველყოფილი ხერხებით მუშავდება, ამიტომ ეს რაოდენობა (რომელიც საშუალოდ ერთ სულზე მოდის) ერთი ადამიანის გაძოსაკვებადაც არ არის საკმარისი. მაგრამ სინამდვილეში მიწების ასეთ განაწილებასაც კი არ აქვს ადგილი.

არსებული მიწების ორი მეშვიდედი ქალაქელების ან ქალაქს გადასახლებული გლეხების საკუთრებაა.

გლეხები, რომელთაც 10-15 დეკარი მიწა აქვთ შეძლებულებად ჩაითვლებიან, ვისაც 30 დეკარი თხილნარი ან ყანა აქვს მდიდრებს ეძახიან, ხოლო იშვიათია პიროვნება, რომელიც 100 დეკარზე მეტ მიწას ფლობდეს.

მოსახლეობის 40% შეადგენენ გლეხები, რომელთაც არა აბადიათ რა გარდა ერთი მტკაველა ნაკვეთისა სახლის წინ. ისინი მოსავლის აღებისას, ე. ი. 15—20 დღის მანძილზე თხილს კრეფენ და შემდეგ თუ სამუშაო იშოვეს (საბარავი ან სათოხნი) უმნიშვნელო დღიური გასამრჯელოს ფასად მუშაობენ ოჯახის გამოსაკვებად"; მისივე აღნიშვნით გლეხების რაოდენობა, რომლებიც 30 დეკარზე მეტ თხილნარს ან ყანას ფლობენ არ აღემატება მოსახლეობის საერთო რაოდენობის 10%[27].

---

[25] Yüksel kasapbaşı, Doğu ağalar...., «Hürriyet». 19 Kasim 1960.

[26] «Iktisadi yürüyüş», 30 Haziran 1952, s. 7.

[27] «Cumhuriyet», 6 13 Mart 1947.

1950 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერის მიხედვით. აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ვილაიეთებში ცხოვრობდა 1.5 მილიონამდე ადამიანი (299, 295 კომლი). ოფიციალური სტატისტიკის მიხედვით, კომლთა ეს რაოდენობა საქმიანობის პროფილისა და შემოსავლის ოდენობის მიხედვით შემდეგ ჯგუფებად იყოფოდა[28]:

კომლების რაოდენობა:

1. 7. 131 — ხელფასზე მომუშავე.
2. 10. 000 — ხელოსანი, ვაჭარი, საქონლის გადაზიდვის ხარჯზე მცხოვრები.
3. 106. 000 — თხილის მწარმოებელი.
4. 21. 000 — ჩაის მწარმოებელი.
5. 18. 608 — თუთუნის მწარმოებელი.
6. 3. 328 — 20-25 დეკარი ნაკვეთის მფლობელი, რომელიც მემინდვრეობას მისდევს.

166.067

ავტორი დასძენს, რომ ზემოთ ჩამოთვლილ 166.067 კომლს ცხოვრების მძიმე პირობები აქვს[29]. ზიჰნი დერინს ცალკე მოჰყავს მონაცემები 133. 228 კომლის კუთვნილი პარცელების თაობაზე, რომელნიც, მისივე თქმით, საერთოდ მოკლებული არიან მინიმალურ საარსებო პირობებს:

1. 10.000 კომლი — სიციელებისაგან ფორთოხლის ხარგაელები რომ დაეღუპათ.
2. 60. 000 კომლი — მიწა რომ სამ დეკარზე ნაკლები აქვთ.
3. 63.228 კომლი — მიწა რომ 3—15 დეკარი აქვთ[30].

ეს მონაცემები მოწმობენ, რომ 133,228 გლეხურ კომლს აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში არ გააჩნია მიწის საარსებო მინიმუმიც კი, ხოლო 3. 328 კომლი ფლობს მიწას 20-25 დეკარის ფარგლებში. რაც მხოლოდ იმისათვის არის საკმარისი, რომ ოჯახი "ბიმ"ძილის მსხვერპლი არ გახდეს მეორე წლის მოსავლამდე. სამწუხაროდ, ავტორი დუმილით უვლის გვერდს უმიწაწყლო გლეხობის მდგომარეობას და თავს არიდებს მსხვილი საკუთრების რაოდენობის დასახელებასაც.

ამ რაიონში სათესი ფართობები განლაგებულია შავი ზღვის სანაპირო ხაზის გასწვრივ ვიწრო ზოლად პონტოს მთაგრეხილის ძირში და მდინარეთა ხეობებში. ინტენსიურადაა ათვისებული ქედების ფე-

---

[28] Zihni Derin, Doğu Karadenizi Kalkındıralım, s. 7.

[29] Ibidem

[30] Ibidem

რდობები, გორაკ-ბორცვები და სერები. ზღვისპირა ვაკე-დაბლობები საგრძნობლად განიერდებიან მდინარეთა შესართავებთან, ძლიერ ვიწროვდებიან იქ სადაც ქედების განშტოებები ზღვის ნაპირთან ახლოს იფლატება. ჭანეთში ვაკე-დაბლობის სიგანე იშვიათად აღემატება 1-2 კმ. მთიან რაიონებში მოსახლეობის სიმჭიდროვე აიძულებს გლეხს საფეხურებრივი ტერასების მშენებლობით ყოველი მტკაველი მიწა გამოიყენოს. მაქსიმალურ ზომებს აღწევს აგრარული გადამეტსახლება. მაგ., 1955 წელს ყოველ 100 ჰექტარ გამოყენებულ ფართობზე თურქეთში საშუალოდ მოდიოდა სოფლის მეურნეობაში დასაქმებული 56 პიროვნება, ტრაპიზონის ვილაიეთში კი 79. საძოვრების ჩაუთვლელად ეს რიცხვი 230-მდე იზრდება, მაშინ როდესაც სხვა რაიონებში იგი 150 არ ჭარბობს. ამის შედეგად აქ მეურნეობანი შედარებით პატარაა და 1952 წლის ცნობებით. საშუალოდ 3 ჰექტარს უდრის, საძოვრების ჩათვლით კი 6 ჰექტარს[31]. ეჭვგარეშეა, რომ ს. ბოდური, რომელიც ამ ცნობებს გვაწვდის კულაკურ მეურნეობას გულისხმობს, რადგან როგორც ზემოთ აღინიშნა, გლეხურ მეურნეობათა უმეტესობა აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში დაქუცმაცებულ ჯუჯა პარცელებს შეადგენს. თუ შავიზღვისპირეთში კულაკური მეურნეობის საშუალო ზომა 3—6 ჰექტარია, სამხრეთ აღმოსავლეთში იგი გაცილებით დიდია, რადგან მეტია დასამუშავებლად გამოსადეგი მიწები და საშუალოდ 12 ჰექტარს უდრის საძოვრების ჩაუთვლელად, მათთან ერთად კი 21 ჰექტარს. მაგალითად, გაზიანთეფის ვილაიეთში 1955 წელს ყოველ 100 ჰა სავარგულზე (საძოვრების გარეშე) სოფლის მეურნეობაში დასაქმებული 39 პიროვნება მოდიოდა[32].

სოფლის მოსახლეობის განაწილება აღმოსავლეთ თურქეთში ყოველ 100 ჰექტარ სავარგულზე წარმოდგენილია მე-13 ცხრილში[33].

დიდია აღმოსავლეთ თურქეთში უმიწაწყლო და მცირემიწიანი გლეხურ მეურნეობათა რაოდენობა. მაშინ როდესაც მიწის დიდი მასივები (შავიზღვისპირეთის ვილაიეთების გამოკლებით) სახელმწიფო საკუთრებას შეადგენს და არ მუშავდება. „ქალაქ მუშის მიდამოებში თვალუწვდენელი უკაცრიელი ფართობებია,—წერდა „იენი გიუნი“, შავიზღვისპირეთში კი ათასობით გლეხი უმიწაწყლოა“[34].

---

[31] Süleyman Bodur, Agrargeographische und wirtschaftliche Verhältnisse der türkischen Landwirtschaft, Gießen, BDR, 1962, s. 83.

[32] Ibid., s. 99.

[33] Ibid., s. s. 108—115.

[34] «Yeni gün», 2 Kasım 1961.

მოსახლეობის განაწილება აღმოსავლეთ თურქეთში ვილაიეთების მიხედვით ყოველ 100 ჰა სავარგულზე (საძოვრების ჩაუთვლელად) 1955 წ.

	პიროვნება ყოველ 100 ჰა გამოყენებულ ფართობზე		
	მთლიანად	სოფლის მოსახლეობა	პირები, რომლებიც სოფლის მეურნეობაში არიან დასაქმებული
აღრი	17	14	7
აოთეინი	38	34	18
ბინგიოლი	18	16	8
ბითლისი	20	16	8
დიარბაქირი	33	24	13
ელიაზიგი	32	24	12
ერზინჯანი	22	18	9
არზრუმი	24	19	10
გაზიანთეფი	65	39	22
გირეესუნი	92	81	46
გიუმუშანე	33	30	15
ჰაკიარი	8	7	4
ყარსი	36	31	16
მალათია	34	26	14
მარდინი	46	37	20
მუში	23	20	10
ორდუ	111	100	56
რიზე	83	68	35
სიირთი	19	16	8
ტრაპიზონი	172	150	79
თუნჯელი	24	21	11
უოფა	21	15	8
ვანი	11	9	5

ცნობილი ფაქტია, რომ 1945 წელს აგრარულ კანონს რომ იღებდა თურქეთის მთავრობა უწინარეს ყოვლისა ითვალისწინებდა უმიწაწყლო გლეხობისათვის თავისუფალი სახაზინო მიწების დარიგებას. ამ კატეგორიის მიწები კი, უმეტესად, აღმოსავლეთ თურქეთის შიდა და სამხრეთ ვილაიეთებში ირიცხებოდა[35]. მიწის გამომყოფი კომისიებიც (ე. წ. Toprak komisyonları) პირველ რიგში სწორედ ამ რაიონებში შეიქმნა[36], მაგ., მიწის № 1 კომისია (1960 წელს მუშაობდა 80 ასეთი კომისია)[37] შეიქმნა დიარბაქირის ვილაიეთში და 1949 წლის დეკემბრისათვის დასარიგებლად შეარჩია 25 ათასი დე-

[35] „Современная Турция", стр. 68.
[36] „Аграрные реформы в странах Востока", стр. 20.
[37] «Cumhuriyet», 10 Ağustos 1960.

ნიუმი სახელმწიფო მიწა[38]. 1947 წლის იანვარში 10-10 კაციანი მიწის კომისიები შეიქმნა ურფას და მალათიის ვილაიეთებში, დენიზლის პარალელურად): „ჯუმჰურიეთი" იუწყებოდა, რომ მარტოოდენ მალათიის ვილაიეთში მიწა მიეცემოდა 22 ათას ოჯახს, რომელთაგან 2 ათასი სრულიად უმიწო-წყლო იყო დანარჩენები კი მცირე ნაკვეთების მქონენი[39]. როგორც მთელ თურქეთში ისე მის აღმოსავლეთში 1945—1946 წლებში გლეხებს არ მიუღიათ არც ერთი დენიუმი მიწა. კანონის ცხოვრებაში გატარება საკვლევ მხარეში დაიწყო 1947 წელს მალათიის ვილაიეთში (664 კომლს მიეცა 23. 911 დენიუმი მიწა)., 1948 წელს მას მიყვა ყარსი და ურფა, 1949 წელს ერზინჯანი, 1950 წელს დიარბაქირი, არზრუმი, გაზიანთეფი, მარდინი და მუში, 1951 წელს თუნჯელი და ვანი. ხოლო 1952 წელს ბითლისის ვილაიეთი.

შავიზღვისპირეთის ვილაიეთებში, სადაც ყველაზე მაღალია აგრარული გადამეტსახლება და მწვავედ იგრძნობა დასამუშავებელი მიწის ნაკლოვანება, მიწის პირველი კომისიები შეიქმნა 1955 წელს და ისიც იმ მიზნით, რომ შეესწავლა საძოვრების გადანაწილების საკითხი[40].

სათანადო მონაცემების უქონლობა ერთობ აძნელებს აგრარული კანონის მოქმედების შედეგების დადგენას აღმოსავლეთ ვილაიეთებში 1945 წლიდან დღემდე. თურქეთის ოფიციალური სტატისტიკა ამის თაობაზე ცნობებს გვაწვდის მხოლოდ 1945—1952 წლების ფარგლებში. სტატისტიკური ცნობების მიხედვით, 1945—1952 წლებში აღმოსავლეთ თურქეთის მხოლოდ 12 ვილაიეთში გატარებულა კანონი (ე. ი .საკვლევი ვილაიეთების ნახევარში) და 333 სოფლის 16. 546 გლეხურმა კომლმა მიიღო 1. 248. 821 დენიუმი მიწა. მიღებული მიწების ღირებულების კომპენსაციისათვის გლეხებზე დაკისრებული დავალიანების თანხა შეადგენს 478. 853. 782 ლირას. გარდა ამისა, სოფლებმა სათემო სარგებლობაში მიიღეს 220. 844 დენიუმი საძოვარი[41].

1952 წლიდან მოკიდებული გლეხობისათვის მიწის გამოყოფის ტემპები საგრძნობლად გაიზარდა; ყოველწლიურად მთელ თურქეთ-

---

[38] АВП СССР, фонд 132. опись 75, дело 18, папка 127, л. 147,

[39] «Cumhuriyet». 12 Şubat 1947.

[40] «T. S. Resmî gazete», 2 Kasim 1955.

[41] «Türkiye istatistik yıllığı», cild 19, yayin N 332, Ankara, 1951, s. 260. cild 21, yayın N 360, Ankara, 1953, s. 253.

ში საშუალოდ 30-40 ათასი კომლი იღებდა მიწას. მაგრამ ეს ტემპიც დაბალი იყო და 50-60 წელს საჭიროებდა სამუშაოთა მოსამთავრებლად. 1956 წლის 13 იანვარს მეჯლისის ბიუჯეტო კომისიის სხდომაზე მიწისა და დასახლების სამუშაოთა ბიუჯეტის განხილვისას სხდომაზე გამოსული ორატორები ექრემ ჯენანი (გაზიანთეფი), ელიაჰედინ ტოკერი (ელიაზიგი), იუსუფ აზიზოლღუ და მეჰმედ იუსრეფ უნალი (დიარბაქირი), შევქი ერქენი (არზრუმი) და სხვები შეეხენ მიწის რეფორმის განხორციელების საკითხს აღმოსავლეთ თურქეთში და აღნიშნეს, რომ ქვეყნის აღმოსავლეთში მიწის კომისიების მუშაობაში სერიოზული ნაკლოვანებანი შეიმჩნევა. ორატორებმა საჭიროდ მიიჩნიეს მიწათმფლობელობის მთელი სისტემის ხელახალი გადასინჯვა. ამასთან ერთად სხდომაზე აღინიშნა, რომ აგრარული კანონი ჯერჯერობით არ პასუხობს დღევანდელობის მოთხოვნებს და რომ მეტი სასოფლო-სამეურნეო კრედიტი უნდა მიეცეთ აღმოსავლეთში მცხოვრებ უმიწაწყლო გლეხებს, რომლებიც მონახევრეობით ირჩენენ თავს[42]. საგულისხმოა მეჯლისის ყარსელი დეპუტატის ოსმან ელთენინის სიტყვები წარმოთქმული მეჯლისში 1957 წლის ბოლოს, სადაც იგი აღნიშნავს: „ჩვენ ვილაიეთში მიწის ორი კომისია მუშაობს, რომლებიც წელიწადში 2—3 სოფლის შესწავლას ასწრებენ. გამომდინარე აქედან მარტოოდენ ამ რაიონში მიწების გამოსაყოფად 200-250 წელი იქნება საჭიროო"[43].

აღმოსავლეთ თურქეთის გლეხობა ვერ ურიგდებოდა კანონის განხორციელების გაჭიანურებას და გაბედულად გამოთქვამდა თავის უკმაყოფილებას. მართალია ოფიციალური პრესა სდუმს ამის შესახებ, მაგრამ ოპოზიციური გაზეთები დრო და დრო აქვეყნებდნენ აღმოსავლეთ ვილაიეთებიდან რედაქციებში შემოსულ წერილებს, რომლებშიც მოთხრობილი იყო გლეხობის მძიმე მდგომარეობაზე. აი ერთი მათგანი: ერზინჯანის ვილაიეთის თერჯანის მაზრის სოფ. ჯიბოს მკვიდრი ღარიბი გლეხი აჰმედ კოფი წერს „ულუსის" რედაქციას 1953 წლის ივლისში: „ჩვენ ღატაკი-უმიწაწყლო გლეხები ვართ. დღემდე ჩვენ ბატონს ვემსახურებით როგორც მოზიარეები და მუხლმოუდრეკელი შრომით დიდის ვაივაგლახით ვშოულობთ ლუკმა-პურს ჩვენი ოჯახების სარჩენად. ჩვენ არაერთხელ მივმართეთ შესაბამის ორგანოებს თხოვნით მიწების გამოყოფის შესახებ, მაგრამ ჯერჯერობით ჩვენს თხოვნას არავინ არ აქცევს ყურადღებას. ბო-

---

[42] «Zafer», 1-1 Ocak 1956.

[43] «Ulus», 27 Aralık 1957.

ლოს და ბოლოს ჩვენ გავყიდეთ ყველაფერი რაც გაგვაჩნდა და ანკარაში ჩამოვედით. მაგრამ აქაც ვერ ვეღირსეთ ყურადღებას ვერც პრემიერ-მინისტრის კანცელარიაში და ვერც სოფლის მეურნეობის სამინისტროში. ვერაფერს რომ ვერ გავხდით, იძულებული შევიქენით იმედგაცრუებულნი სოფელში დავბრუნებულიყავით[44].

არანაკლებ საინტერესოა აღმოსავლეთიდან ამავე რედაქციაში მოსული მეორე წერილი, რომელსაც ხელს აწერს თუნჯელის ვილაიეთის სოფელ გობიურგეს 300 უმიწაწყლო გლეხი: „ჩვენ სოფელში 300 კაცი სრულიად ღატაკი და უმიწაწყლოა. ვინაიდან სოფლის ახლომახლო არის 6 ათასი დენიუმი სახელმწიფო მიწა. ჩვენ გასულ წელს მივმართეთ თხოვნით მიწის კომისიას, რომელიც ჩვენ სოფელში მუშაობს, დაერიგებინა ეს მიწები ჩვენთვის—უმიწაწყლო გლეხებისათვის. კომისიამ ჩვენი თხოვნა არ დააკმაყოფილა. მაშინ ჩვენ თუნჯელის ვალის მივმართეთ. იგი არა თუ არ დაინტერესდა ჩვენი მდგომარეობით, არამედ თავისი კაბინეტიდან გამოგვყარა, ხოლო როდესაც ჩვენ გადაჭრით მოვთხოვეთ, რომ მას ჩვენთვის მოესმინა, ვალიმ პოლიციელები გამოიძახა, რომლებმაც შენობიდან გამოგვყარეს"[45]. შეიძლებოდა ამ საკითხზე სხვა მაგალითების მოტანა მაგრამ ვფიქრობთ ორი მაგალითიც საკმარისია იმის საილუსტრაციოდ თუ როგორ ეკიდებიან ხელისუფლების ორგანოები ღატაკი გლეხების სამართლიან მოთხოვნებს.

აღმოსავლეთ თურქეთში ხშირად გლეხი, რომელმაც მიიღო მიწა და ცოტაოდენი კრედიტი სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის შესაძენად, ვერ ახერხებს ამ ორიოდე კაპიკით გამწევი საქონლის შეძენას და მიწის დამუშავებას, რის გამოც იძულებული ხდება თავისი ნაკვეთი იჯარით მისცეს ტრაქტორის მქონე სოფლის მდიდარს; ასეთი გარიგების შედეგად გლეხის ნაკვეთი კულაკის ფაქტიური საკუთრება ხდება.

ზოგიერთი თურქი სპეციალისტი ამის საშიშროებას ითვალისწინებდა ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც მეჯლისი აგრარული კანონის პროექტს იხილავდა და მოითხოვდა, რომ კანონით დადგენილიყო სასოფლო-სამეურნეო კრედიტის შედარებით დიდი ოდენობა. თურქი ავტორი მურად სერთოღლუ გირესუნის ვილაიეთში აგრარული კანონის გატარების პერსპექტივების განხილვისას აღნიშნავდა, რომ აუცილებელია გლეხს მიეცეს საკმარისი თანხა სასოფლო-სამეურნეო

---

[44] «Ulus», 1 Ağustos 1953.

[45] «Ulus», 16 Ağustos 1953.

ინვენტარისა და გამწევი ძალის შესაძენად, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში „გლეხისათვის მიცემული მიწის ნაკვეთი ამთავითვე განწირული იქნება» გასაყიდად და იგი გარკვეულ პიროვნებათა საკუთრებაში გადავა. სოფლის გაიძვერა მდიდრები და აღები. რომელთა ნაწილი ამავე დროს მევახშეც არის, ამ მიწებს თანდათან ჩაიგდებენ ხელში. შესაძლოა ნასყიდობის საბუთებში მიწა ძველებურად გლეხის საკუთრებად იყოს ფიქსირებული, მაგრამ სინამდვილეში იგი აღასი იქნება, ხოლო გაჭირვებული გლეხები ძველებურად აღას მსახურნი იქნებიან როგორც მოჯამაგირეები"[46].

სერთოღლუს პროგნოზი სწორი აღმოჩნდა. დღეს მთელს თურქეთში შეიმჩნევა გლეხობისათვის გადაცემული მიწების კონცენტრაცია კულაკობის ხელში. ამის არაერთი მაგალითი მოყავს იაშარ ქემალს აღმოსავლეთ ვილაიეთების სინამდვილიდან — „იმ მიწების უდიდესი ნაწილი, რომლებიც გლეხებს დაურიგდათ,—სწერს ის, — სხვადასხვა გზებით აღების საკუთრებაში გადადის. მე ეს ჩემი თვალით ვნახე. გლეხები, რომლებმაც მიწები მიიღეს, ვალებში ჩაეფლნენ და ამის გამო კვლავ იქცნენ აღების მოზიარეებად, მხოლოდ ამჯერად განსხვავებული ფორმით — მათ ნაკვეთებს ამუშავებს აღას ტრაქტორი, იგი ითესება და მოსავლის აღების შემდეგ გლეხს მისი ნაწილი ეძლევა. მე ვნახე ეს ურფაში. მხოლოდ ახლა იმის გამო, რომ აკრძალულია გლეხებისათვის დარიგებული მიწების გაყიდვა. აღა სხვა ხრიკებს მიმართავს და თამასუქის საშუალებით რამდენიმე წლის განმავლობაში ეპატრონება გლეხების მიწებს"[47]. ფრანგული გაზეთის „მონდის" ანკარელი კორესპონდენტი ერიკ რულოც ემოწმება იაშარ ქემალს—„ურფაში მიწები განაწილებული იქნა ხელისუფლების სათავეში დემოკრატიული პარტიის მოსვლამდე (ე. ი. 1950 წლის მაისამდე—ნ. კ.). გლეხები, რომლებსაც სახელმწიფო კრედიტს არ აძლევდა და ვალებში იყვნენ ჩაფლული, ვეღარ უძღვებოდნენ თავიანთ პატარა მეურნეობებს. ამის გამო ეს ადამიანები... დემოკრატების მმართველობის წლებში მთლიანად კულაკების ხელში აღმოჩნდნენ, რომლებიც ახლა მთელს რაიონს უწევენ კონტროლს"[48]. სხვა ავტორს მიუფიტ დურუს ასეთი მოვლენები შეუმჩნევია დიარბაქირის ვილაიეთში. გლეხები, რომლებმაც მიწა მიიღეს, ორიოდე წლის შემდეგ ინვენტარის, გამწევი საქონლისა და თესლეუ-

---

46 Murad Sertolu, Toprak dâvasının diğer bir cephesi, «Tanin», 15 Mayıs 1945.

47 «Cumhuriyet». 10 Temmuz 1960.

48 «Le Monde», 4 Août 1960.

ლის უქონლობის გამო იძულებული ხდებიან მიწა მემამულეებს გადასცენ და მასზე მოზიარეებად იმუშაონ[49]. ასევეა აღმოსავლეთის იმ ვილაიეთებშიც, სადაც მიწები დარიგდა.

თუ აღმოსავლეთ თურქეთის შიდა და სამხრეთ რაიონებში გლეხობის ერთი ნაწილი მაინც გახდა გარკვეული პარცელის მფლობელი აგრარული კანონის შედეგად, აღმოსავლეთ. შავიზღვისპირეთში დაუმუშავებელი სახაზინო მიწების უქონლობამ მოსპო კანონის ცხოვრებაში გატარების შესაძლებლობა. კერძო მფლობელობაში მყოფი ნამეტი ფართობის ხელყოფას კი მმართველი ორგანოები არ აპირებდნენ. მთავრობის გადაწყვეტილებით თხილნარები, რომელთაც ამ მხარეში დიდი ფართობები უკავიათ, ბაღებად იქნენ მიჩნეული და კანონის მიხედვით გასხვისებას აღარ დაექვემდებარენ მათი ფართობებისდა მიუხედავად. ამ გზით ცენტრალურმა ხელისუფლებამ შეძლო დაეცვა ზღვისპირელ მემამულეთა თხილნარის ვრცელი პლანტაციების ხელშეუხებლობა. საქმეში ჩახედული სპეციალისტები მოითხოვდნენ თხილნარების გადანაწილებას, რაც, უდაოდ, ხელს შეუწყობდა მათი პროდუქტიულობის ზრდას. ეკონომისტი მურად სერთოღლუ წერილში „მიწის კანონი და თხილნარები" წერდა: „აგრარული კანონის.. .მიხედვით თხილნარები მიიჩნევიან ბაღებად და გასხვისებას არ ექვემდებარებიან. მე გირესუნისა და მთელი შავიზღვისპირეთის თხილის რაიონებს ძალიან კარგად ვიცნობ...' და ვთვლი, რომ თხილის ბაღები პირველ რიგში უნდა დანაწილდეს მწარმოებელ გლეხებს შორის შემდეგი მიზეზების გამო:

1. თხილნარების დიდი პლანტაციები ხელთ იგდო პიროვნებათა გარკვეულმა ჯგუფმა ჩალის ფასად ან სხვა და სხვა გაიძვერობის გზით სრულიად უსასყიდლოდ. ნასყიდობის საბუთები მთელი სიცხადით წარმოგვიდგენენ ამ სინამდვილეს. მსხვილ მესაკუთრეთა ეს ჯგუფი საკუთარ ენერგიას სრულიად არ ახმარს თხილნარებს (ე. ი. სხვის შრომას იყენებს—ნ. კ.) და ამიტომ უფლებაც არა აქვს მასზე. თუ მთავრობას სურს გაანთავისუფლოს ამ მხარეში მილიონობით თხილის მწარმოებელი გლეხი მსხვილ მესაკუთრეთა ძალმომრეობისაგან და მისცეს გლეხს განვითარებისა და მოლონიერების საშუალება, თხილნარები აუცილებლად და მთლიანად უნდა გაანაწილოს.

2. ეს ამავე დროს აუცილებელი პირობაა თხილის პროდუქციულობის გასაზრდელადაც... გლეხები, რომლებიც მუდამ მონახევრებად მუშაობენ პლანტაციებში, დაინტერესებული არ არიან მათი

---

[49] «Akşam», 29 Aralık 1960.

ᲛᲝᲕᲚᲐ-ᲞᲐᲢᲠᲝᲜᲝᲑᲘᲗ რადგან თხილნარები მათ არ ეკუთვნით. ამის ᲒᲐᲛᲝ მოსავლიანობა თანდათან მცირდება"[50].

კანონის მიღების შემდეგ განვლილი წლების პრაქტიკამ დაადასტურა სერთოღლუს წინასწარსდება. მსხვილ მესაკუთრეთა მამულების ხელშეუხებლობამ და თავისუფალი სახელმწიფო მიწების არარსებობამ აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში ფიქციად აქცია აგრარული კანონი. ზღვისპირელი ღარიბი გლეხების მდგომარეობა თანდათან უარესდება და არსებულ პირობებში მისი გაუმჯობესების არავითარი იმედი არ არის. ნაადრევი და უსაფუძვლო გამოდგა ტრაპიზონის სავილაიეთო გაზეთის „იენი იოლის" წინასწარმეტყველება იმის თაობაზე, რომ აგრარული კანონის მიღებით „ისტორიას ჩაბარდა „უმიწაწყლო გლეხი", რომელიც დაიბადება და თვალს გაახელს თუ არა მიწას ხედავს, მიწაზე იზრდება და ვაჟკაცდება, დაბოლოს მიწისათვის იბრძვის და კვდება"[51]. კლასობრივი ანტაგონიზმი თურქეთის სოფელში კიდევ უფრო მწვავდება.

ბურჟუაზიული თურქეთის მმართველმა წრეებმა, რომლებმაც საბოლოოდ უარი სთქვეს მემამულური მიწათმფლობელობის ხელყოფაზე, ქვეყნის მცირემიწიან რაიონებში (მათ შორის აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთშიაც) წარმოშობილ აგრარულ წინააღმდეგობათა შესუსტება სცადეს უმიწაწყლო გლეხობის აღმოსავლეთ თურქეთის ცალკეულ ვილაიეთებში გადასახლებისა და ახალი რაიონების კოლონიზაციის გზით. ახალმოსახლეთა გადმოყვანა აღმოსავლეთში ყანდარმერიის ჩარევით მოხდა, მაგრამ გლეხობა მაინც ახერხებდა უკან გაქცევას[52]. ახალი რაიონების კოლონიზაციის პოლიტიკას არ მოყოლია გლეხობის მასობრივი გადმოსახლება აღმოსავლეთში[53]. არ შეუსუსტებია მათი ბრძოლა მიწისათვის. მარქსისტულ-ლენინური მოძღვრება თვლის, რომ კოლონიზაციის მეოხებით შეუძლებელია აგრარულ წინააღმდეგობათა გადაჭრა და არსებული კრიზისის მიჩქმალვა „საქმე ის კი არ არის,—გვასწავლის ვ. ი. ლენინი. — რომ გადასახლებით იხსნა გლეხები ბატონყმობისაგან. საქმე ის არის, რომ ცენტრის აგრარულ საკითხთან ერთად დგას კოლონიზაციის აგრარული საკითხი"[54].

---

[50] Murad Sertoğlu, Toprak Kanunu ve findiklikler, «Tanin», 10 Mayıs 1945.

[51] «Yeni yol» (Trabzon), 20 Haziran 1945.

[52] «Cumhuriyet», 13 Mart 1947.

[53] Wolf-Dieter Hütteroth, Bergnomaden und Yaylabauern im mittleren Kurdischen Taurus. Marburg, 1959, s. 143.

[54] ვ. ი. ლენინი, აგრარული საკითხი რუსეთში XIX საუკუნის დამლევს, თხზ., ტ. 15, გვ. 83.

აღმოსავლეთ თურქეთში მიწათსარგებლობის განსხვავებულ ფორმებს ვხვდებით. ზღვისპირა რაიონებში და ნაწილობრივ სამხრეთ-აღმოსავლეთში (ვილაიეთები გაზიანთეფი, ურფა, დიარბაქირი. მარდინი), სადაც საგრძნობი განვითარება მიიღო სასაქონლო წარმოებამ, საქმე გვაქვს მეურნეობის გაძღოლის კაპიტალისტურ მეთოდებთან. აქ ტიპიურია ფერმერული მეურნეობები, სადაც ფართოდ გამოიყენება სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა, დაქირავებული შრომა და პროდუქცია ბაზრის საჭიროებისათვის მზადდება[55]. შიდა აღმოსავლეთის უმეტეს ოლქებში ეკონომიურ ურთიერთობათა საფუძველს შეადგენს მოზიარობა — ორთაკჩილიკი. ბურჟუაზიული ავტორების მტკიცებით, ორთაკჩილიკი გულისხმობს მემამულისა და უმიწაწყლო ან მცირემიწიან გლეხის „ამხანაგურ თანამშრომლობას" მიწის დამუშავების საქმეში, როდესაც ერთი მხარე—მიწათმფლობელი იძლევა მიწის ნაკვეთს, ხოლო მეორე—გლეხი საქმეში აბანდებს თავის სამუშაო ძალას, ზოგ შემთხვევაში კი გამწევ საქონელსა და თესლეულსაც. სინამდვილეში ორთაკჩილიკის ინსტიტუტი ბატონყმური ექსპლოატაციის წყაროა, რომელიც ფეოდალური წარსულიდან შემორჩა თურქეთს. ვ. ი. ლენინის განმარტებით, მოზიარობა წარმოადგენს „უდიდესი შეჩერების..., მშრომელი მასების უდიდესი დაბეჩავებისა და ჩაგვრის"[56] ფაქტორს. მოზიარობის ფორმები სხვადასხვაგვარია რაიონისა და მოწეული პროდუქციის სახეობის შესაბამისად[57]. ამასთან იგი რამდენიმე სახესხვაობად იყოფა იმისდა მიხედვით თუ პროდუქციის რა ნაწილი მიაქვს მიწათმფლობელს. იარიჯილიკის—მონახევრეობის სისტემით მონახევრეს საქმეში შეაქვს არა მარტო თავისი სამუშაო ძალა, არამედ ასევე გამწევი საქონელი ან თესლეული, რის გამო მას მოსავლის ნახევარი ეკუთვნის. მურაბაჯილიკის სისტემით, მურაბაჯის (ან მარაბას) მოსავლის მხოლოდ მეოთხედი ეკუთვნის, რადგან საქმეში მისი მხოლოდ ფიზიკური შრომაა წარმოდგენილი და მას სხვა არა გააჩნია რა გარდა საკუთარი ხელე-

---

55 მიუხედავად ამისა ჯერ კიდევ ძლიერია ფეოდალური წარსულის გადმონაშთი—მოზიარობა. 1952 წელს ჩატარებული გამოკვლევით დადგენილი იქნა, რომ სამხრეთ-აღმოსავლეთ თურქეთში, სადაც კაპიტალისტურ ურთიერთობათა განვითარებულ ფორმებს ვხვდებით, დასავლეთ თურქეთის სასოფლო-სამეურნეო რაიონებთან შედარებით მეტად იყო გავრცელებული ორთაკჩილიკის სისტემა.

56 ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, ახალი მონაცემები მიწათმოქმედებაში. კაპიტალიზმის განვითარების კანონების შესახებ. თხზ., ტ. 22. გვ. 18.

57 Ismail Hüsrev, Türkiye köy iktisadiyatı, Ankara, 1935, s. 187.

ბისა. კესიმჯილიკი—მიწის იჯარის სახეობაა, რომლის დროს მოზიარე გლეხი მოსავლის მხოლოდ ნაწილს იღებს მიწათმფლობელთან წინასწარი სპეციალური შეთანხმების მიხედვით.

ისმაილ ჰიუსრევის დახასიათებით, იურიდიულად მურაბაჯი არ არის მონა, მაგრამ ვინაიდან იგი მთლიანად მიწათმფლობელზეა დამოკიდებული (ცხოვრობს ქოხში, რომელიც მემამულეს ეკუთვნის, მუშაობს მის მიწაზე მისივე შრომის იარაღებით) მურაბაჯი მიწათმფლობელის ქონების შემადგენელ ნაწილად ითვლება და მამულის გასაყიდი ფასის დადგენისას მიიღება მხედველობაში როგორც ცოცხალი ინვენტარი[58]. მოზიარობის ყველაზე მძიმე და არქაულ ფორმებს (განსაკუთრებით მურაბაჯილიკს) ვხვდებით თურქეთის აღმოსავლეთში[59]. „დიარბაქირის ვილაიეთის სოფლებში, — წერს არიფ გელენი, — ყველაფერი კულაკს ეკუთვნის. დაბეჩავებულ გლეხებს „მარაბას "ეძახიან. კულაკს თავისი ნება სურვილით შეუძლია სოფლიდან გააძევოს ისინი, წაართვას ლუკმა-პური და ადგილიც კი სასაფლაოზე.

კულაკი და „მარაბა" გლეხი სხვადასხვა კასტის ადამიანები არიან. ერთი ექსპლოატატორია, მეორე კი ექსპლოატირებული:

სამხრეთ-აღმოსავლეთი ანატოლიის ყოველ სოფელს თავისი კულაკი ჰყავს. იგი ფლობს სოფელს მისი სახლებითა და ყანებით. გლეხი ამუშავებს ყანას და იღებს მოსავალს. ამის შესახებ იგი ატყობინებს მესაკუთრეს, რომელიც თავისი ამალის თანხლებით კალოზე მიდის და მოსავლის უმეტესი ნაწილი მიაქვს. მოსავლის აღებიდან მცირე ხნის შემდეგ გლეხი ისევ მეპატრონეს ეახლება სათხოვნელად. იგი კულაკის მუდმივი მევალეა და ხელ-ფეხი შებორკილი აქვს[60].

ელიაზიგის ვილაიეთში მარაბას მოსავლის ნახევარი ეძლევა, რადგან მემამულის მიწას საკუთარი გამწევი საქონლითა და კავით ამუშავებს. დოქტორი ნერმინ, ერდენტუგი, რომელმაც 1956 წელს სოფელ ჰალის შესახებ საინტერესო გამოკვლევა გამოაქვეყნა, წერს: „აქაურ მარაბას მემამულე მიწასთან ერთად აძლევს თესლეულს. მარაბა მიწას ხნავს, თესავს, მოსავალს იღებს და მიწის პატრონს აბარებს, მაგრამ თავისი შრომის საფასურად მოსავლის ნახევარს იღებს. სოფელში 5 ათასი დენიუმი სათესი მიწაა, სამიწათმოქმედო

---

[58] Ibidem.

[59] А. Д. Новичев, Крестьянство Турции в новейшее время, Москва, 1959, стр. 146.

[60] Арифф Гелен, Обездоленные „Мараба", „Ен" Анкара. оь. „За рубежом" № 23, 6 июля 1964, стр. 26.

მანქანა-იარაღებიდან კი არის 10 კარასაპანი და 2 სალეწი მანქანა. სოფელს ერთი გუთანიც არა აქვს"[61].

მალათიის ვილაიეთის ცალკეულ მაზრებში ზოგი იარიჯი მონახევრედ წოდებული გლეხი—აღას ნება-სურვილის მიხედვით. მოსავლის კუთვნილი ნახევრის ნაცვლად ხშირად ერთ მესამედს იღებს. „ჩვენ სოფელში,—განუცხადა „ჯუმჰურიეთის" კორესპონდენტს მალათიის ვილაიეთის არაფკირის მაზრის სოფ. დაღრეღენის მკვიდრმა ისმაილ იშიკლიმ,—მიწების უმეტესობა აღებისა და ბეების ხელშია. გლეხობის მეტი ნაწილი კი მონახევრე—იარიჯია. მონახევრეობა ჰქვია, მაგრამ სიკვდილზე უარესია. შენ სთეს, შენ მკი. მთელი ოჯახიანად სისხლს აქცევ სხვის ყანაში. მოსავალი მოგყავს. აღა მოდის და მოსავლის ნახევარი, **ორი მესამედი** (ხაზგასმა ჩვენია — ნ. კ.) მიაქვს. არსებობისათვის აღარაფერი გრჩება"[62].

ზოგი ქალაქელი მდიდარი მემამულისაგან ყიდულობს სოფელს, შემდეგ იქ უმიწაწყლო გლეხებს ასახლებს, რომლებიც საზიაროდ ამუშავებენ ბატონის მიწას. მესაკუთრე ქალაქში ცხოვრობს და მხოლოდ მოსავლის აღების დროისათვის ჩადის თავის მამულში. ასეთ სოფლებში გლეხს მოსავლის მხოლოდ მცირე ნაწილი ეკუთვნის. მაგალითად, ერთ-ერთი ასეთი სოფელია იენი გიუზელლერი მარდინის ვილაიეთის ჯიზრეს ილჩეში მდინარე ტიგროსის ნაპირზე. სოფელში 85 კომლია და იგი მთლიანად ჯიზრელი ვაჭრის შაქირ აღას საკუთრებაა. ვაჭარმა სოფელი იყიდა და იქ დაასახლა ბითლისის ვილაიეთის სოფ. იაკოდან მოყვანილი ბოგანო გლეხები. როგორც სოფლის მცხოვრებმა აბდულქერიმ იაქიშქანმა თქვა გლეხებს სოფელში ერთი გოჯი მიწაც კი არ ეკუთვნით; სთესენ, მკიან და მთელს მოსავალს აღას აბარებენ, საიდანაც წილი ეძლევათ[63].

ზოგიერთ შემთხვევაში მიწის მესაკუთრედ გვევლინება მონთაბარე-ძეჯოგე. გერმანელ ავტორს ვ. დ. ჰუტეროთჰს მიწათსარგებლობის ერთი საინტერესო მაგალითი აქვს მოტანილი: „თაიან-ე-რეშითის ქაბილე (გვარი — ნ. კ.) თურქეთის ქურთისტანში ერთ-ერთი ყველაზე დიდი მომთაბარე ტომის თაიანის შემადგენლობაში შედის. ქაბილეს ბევრ წევრს საკუთარი ნაკვეთი აქვს ჯიზრეს მიდამოებში; მაგრამ მიწის მესაკუთრენი საზაფხულო საძოვრებიდან არ ჩამოდიან მოსავლის ასაღებად, რადგან მიწას საზიაროდ ამუშავებინებენ იმ თე-

---

[61] Nermin Erdentuğ. Hal köyünün etnolojik tetkiki, Ankara. 1956, s. 11.

[62] Yaşar Kemal, Geri dönmek istemiyenler, «Cumhuriyet», 21 Şubat 1960.

[63] «Cumhuriyet», 26 Haziran 1961.

მების გლეხებს. რომლებიც ამ (ე. ი. ჯიზრეს... ნ. კ.) რაიონში ცხოვრობენ[64]. გარისანის ტომის ჰაბეშის ქაბილეს მდიდარ ნომადებს სიირთის ვილაიეთის ერუპის ილჩეს სოფ. ლუდიში აქვთ ნაკვეთები. ბატოვანის ტომის მეჰმედ დეღილის ქაბილეს ზოგ წევრს ჯიზრესა და შირნაკში. ამ მიწების მესაკუთრენი მხოლოდ მდიდარი ნომადები არიან, რომლებიც აღებისაგან ყიდულობენ ნაკვეთებს[65].

სულეიმან ბოდური წერს, რომ აღმოსავლეთ თურქეთში და. განსაკუთრებით, მის სამხრეთ რაიონებში ძალზე გავრცელებულია ნატურალური იჯარის სისტემა. მაგალითად, მეურნეობათა 11% სამხრეთ-აღმოსავლეთში ამ პირობით მუშაობს სხვის მიწაზე. გაცილებით ნაკლებია მიწის დამუშავება ფულადი იჯარით. ჩრდილო-აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ თურქეთში მეურნეობათა მხოლოდ 1% მუშაობს ამ სისტემით. როგორც ნატურალური, ისე ფულადი იჯარის დროს სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღები და გამწევი საქონელი მოიჯარესია, ე. ი. იგი მონახევრეა. ბოდურის აღნიშვნით, ჩრდილო-აღმოსავლეთ თურქეთში მეურნეობათა 25% სხვის მიწაზე მუშაობს[66].

ცხრილი 14

საკუთრების ფორმები და ჭონებრივი ურთიერთობანი აღმოსავლეთ თურქეთის 17 ვილაიეთში 1950 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერის მასალების მიხედვით (პროცენტულ გამოსახულებაში)

სასოფლო-სამეურნეო რაიონები	მეურნეობანი რაოდენობა	მესაკუთრე (%)	ნახევრად მესაკუთრე (%)	მოიჯარე (%)	ჯამი
ჩრდილო-აღმოსავლეთი თურქეთი (ერზინჯანი, არზრუმი, ყარსი, აღრი, ჭოროჰი)	155.169	75,4	20.8	3,8	100 %
თურქეთის ცენტრალური აღმოსავლეთი (მალათია, ელიაზიგი, ბინგიოლი, თუნჯელი)	209.682	75,3	18,8	5,9	100 %
სამხრეთ აღმოსავლეთი თურქეთი (ურფა, დიარბაქირი, მუში, სიირთი, ბითლისი, ვანი, მარდინი, ჰაკიარი)	144.389	67'5	16,3	16,2	100 %

[64] W. D. Hütteroth, Bergnomaden und Yaylabauern..., s. 56.

[65] Ibid., s. 72.

[66] S. Bodur, Agrargeographische und Wirtschaftliche...., s. 54.

შედარებით განსხვავებულ მონაცემებს გვთავაზობს ოზემირ იაშარი, რომელიც 1950 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერის მასალებს ეყრდნობა და, ჩვენი აზრით, უფრო სარწმუნოა[67] (იხ. ცხრილი 14)[68].

ზემომოყვანილი მონაცემები მოწმობენ, რომ მონახევრეთა ინსტიტუტი ყველაზე უფრო გავრცელებული ყოფილა ჩრდილო-აღმოსავლეთ თურქეთში (მეურნეობათა 20, 8%), შემდეგ მოდის ცენტრალური აღმოსავლეთი (18,8%) და სამხრეთ-აღმოსავლეთი (16,3%). რაც შეეხება მოიჯარეებს, თანმიმდევრობა პირუკუ მიდის და პირველ ადგილზეა სამხრეთ-აღმოსავლეთი (16,2%). ამასთან სამხრეთ-აღმოსავლეთში მეურნეთა 32,5% სხვის მიწაზე მუშაობს, ცენტრალურ-აღმოსავლეთში — 24,7%, ხოლო ჩრდილო-აღმოსავლეთში 24,6%.

აღმოსავლეთ თურქეთის ქურთულ რაიონებში ჯერ კიდევ ძლიერია პატრიარქალურ-გვაროვნული წყობის გადმონაშთები, განსაკუთრებით კი მომთაბარე და ნახევრად მომთაბარე მოსახლეობაში, რომელსაც დღემდე აქვს შენარჩუნებული ტომობრივი ორგანიზაცია (აშირეთის ქურთები) და მომთაბარე მესაქონლეობას მისდევენ[69]. მომთაბარე ქურთული ტომები ზამთრობენ მარდინის, ურფას, თუნჯელის, სიირთისა და გაზიანთეფის ვილაიეთებში, გაზაფხულზე კი მომთაბარეობას იწყებენ საზაფხულო იალაღებისაკენ, უმეტესად ჰერაკოლ დაღზე (შირნაკის ჩრდილოეთით), აღეროვ-დაღზე და გიუზელ-დერეს მიდამოებში (ჰიზანის რაიონი, ბითლის-თათვანის მიდამოებში). მართალია, ქურთების რამდენიმე ტომი ან კიდევ ქაბილეთა ნაწილი დაჯდა მიწაზე და მიწათმოქმედებას მოჰკიდა ხელი, მაგრამ ამ ჯგუფების დასახლების საზღვრები ძალიან ცვალებადი და დაუზუსტებელია. არის შემთხვევები, როდესაც ცალკეული ნომადური ტომები ნახევრად მომთაბარეობაზე გადადიან და ზოგჯერ მიწაზეც კი სხდებიან ან პირიქით, სამიწათმოქმედო ქაბილეები უბრუნდებიან სეზონურ მომთაბარე მესაქონლეობას[70].

ქურთული ტომის საკუთრება არ უნდა წარმოვიდგინოთ, რო-

---

67 აქ, ისევე როგორც № 12 ცხრილში, წარმოდგენილი არ არის ცნობები 7 ვილაიეთის შესახებ.

68 «1950 Ziraat Saimi Neticeleri», Ankara, 1956, N 371 ციტ. Özemir Yaşar. Voraussetzungen und möglichkeiten..., s. 32.

69 Ottin Merry, Camilly Jérôme, Le nomadisme en Anatolie, les Yuruks, «Connaisance du Monde», 1961, N 31, p. 67.

70 W. D. Hütteroth, Beobachtungen zur Sozialstruktur kurdischer Stämme im östlichen Taurus, «Zeitung Ethnol.», 1961, N 1, s. 40.

გორც ერთი ეთნიური ჯგუფის განუყოფელი საკუთრება. ქონებრივმა უთანასწორობამ აქ ღრმად გაიდგა ფესვები და სახეზეა პირადი საკუთრების კონტრასტული არათანაფარდობა.

პირუტყვის განაწილება ვ. ჰუტეროთჰის მიერ შესწავლილ ერთ-ერთ ქაბილეში (50 კარავი) გვიჩვენებს, რომ აქ არიან მდიდრები და თითქმის არაფრის მქონენიც. ავტორის აღნიშვნით, ქაბილეს აღასა და 2-3 მდიდარ ოჯახს პირად კუთვნილებაში ჰყავთ 1000-2000 თავი ცხვარი, 6 ოჯახს 200-300 თავი და ეს ოჯახები (კარავი) ასე თუ ისე შედარებით შეძლებულად ითვლებიან. 20-25 კარავს მხოლოდ 40-60 ცხვარი ჰყავს, მაშინ როდესაც 8-10 წევრიანი ოჯახისათვის საარსებო მინიმუმია 40-50 ცხვარი. ეს ოჯახები უკიდურეს ხელმოკლეობას განიცდიან. დარჩენილ 15-20 ოჯახს კი პირუტყვის კიდევ უფრო ნაკლები რაოდენობა ჰყავს და მდიდრების ფარებს მწყემსავენ სათანადო ქირის საფასურად[71]. მაგ., კინიას კართალს, ბურიუნქის ტომის ბელადს, (ვანის ვილაიეთში) 1960 წელს ცხვრის 7 ფარა ჰყავდა (4200 თავი). მას დაქირავებული ჰყავდა 7 მწყემსი, რომელთაც წელიწადში უხდიდა 200 ლირას თითოეულს, ე. ი. თვეში 16,5 ლირას[72].

ტომის აღა შეუზღუდავი უფლებებით სარგებლობს ტომის წევრებს შორის. იგი აწესებს მომთაბარეობის დაწყების დროს, ასრულებს მოსამართლის მოვალეობას. მომთაბარეობისას აღა რჩება დაბლა იალაღზე, თავის ფარებს კი დაქირავებულ მწყემსებს ატანს მაღალმთიან ალპურ საძოვრებზე. იგი თავის თანამეტომეებს აწერს გადასახადებსა და გამოსაღებებს და ურჩებს სასტიკად უსწორდება[73]. ყოველ აშირეთს ჰყავს თავისი ბელადი (რეისი), რომლის თანამდებობა მამიდან შვილზე გადადის მემკვიდრეობით. ბელაღი ტომის ბედს განაგებს. იმ მიზნით, რომ ბელადის უფლებები გაძლიერებულიყო მათ რელიგიური მოძღვრის უფლებებიც დაისაკუთრეს. საერო და სასულიერო რეისლიკის გაერთიანებით წარმოიქმნა შეიჰლიკი[74]. ტომების შეიჰები რელიგიას საკუთარი ინტერესების შესაბამისად იყენებენ და აიძულებენ თვისტომებს ყოველწლიურად იხადონ საეკლესიო შესატანი ე. წ. ზაქიათი (ქონებისა და მოსავლის ერთი

W. D. Hütteroth, Bergnomaden und Yaylabauern..., s. 91.

[72] «Hürriyet», 19 Kasım 1960.

[73] W. D. Hütteroth, Beobachtungen zur Sozialstruktur.... s. 42.

[74] S. Saraçoglu, Op. Cit., s. 462.

მეორმოცედი)[75]. შეიჰს საკუთარი შეიარაღებული დაცვა ჰყავს, რომელიც ამავე დროს დამსჯელი რაზმის მოვალეობასაც ასრულებს და აღას ტირანიის დასაყრდენია[76].

იუკსელ კასაფბაში თავის რეპორტაჟებში აღმოსავლეთიდან ქურთულ ტომებში (ბურიუნქი, ერთუში, კიუფრევი, ბუნიანიში, გირავი და შერეფჰანი) დამკვიდრებული სოციალური ურთიერთობების აღწერისას ამ ტომების ბელადების შესახებ ამბობს: „ისინი აკეთებენ რაც მოესურვებათ და ხელქვეითებს იყენებენ როგორც მონებს... მათ ყოველგვარი შიშის გარეშე შეუძლიათ მოკლან ადამიანი... ყველა ყაჩაღი, მოძალადე და კონტრაბანდისტია. ერთ-ერთი მათგანი ჰალის ოზთურქი, რომელიც ადრე მეჯლისის დეპუტატიც კი იყო აღრიდან. 2 კაცის მკვლელია. ეს აღები... ტომების ხარჯზე ცხოვრობდნენ და იტაცებდნენ მიწებს, რომლებიც მოსწონდათ“[77]. კასაფბაში გადმოცემით, ბურიუნქის ტომში დამკვიდრებული პატრიარქალური ადათ-ჩვეულების მიხედვით თითოეული კომლი ვალდებული იყო ყოველ წელს აღასთვის მიერთმია რამდენიმე ცხვარი; აღას დაახლოებულ პირებს შეგროვილი ფარა კონტრაბანდათ ერაყსა და ირანში გადაყავდათ და იქ ყიდდნენ[78]. გირავის ტომის მოსახლეობა, რომელიც თითქმის 25 ათას კაცს დაითვლის, თავის შეიჰად სცნობდა ებუბექირ აღას. ეს პიროვნება დიდი გავლენით სარგებლობდა ვანისა და ჰაკიარის ვილაიეთებში. მას დესპოტის სახელი ჰქონდა გავარდნილი. ებუბექირისა და მის დაახლოებულ პირთა თვითნებობას საზღვარი არ ჰქონდა. ტომის ღარიბები მას სხვადასხვა გამოსაღებს უხდიდნენ. მაგრამ ხშირი იყო რიგგარეშე დარბევაც ხარკის ასაკრეფად. ერთი ასეთი ფაქტის მოწმე ყოფილა სოფლის მასწავლებელი: „ერთხელ 1957 წელს მე გავჩერდი ნორდუზის (ვანის ვილაიეთშია- ნ. კ.) ილჩეს სოფ. არაზში. ამ დროს სოფელში შემოვიდა სამი შეიარაღებული მხედარი. სოფლის მოსახლეობა აფორიაქდა. მე მითხრეს, რომ მოსულთა შორის იყო ებუბექირ აღას ვაჟი ალი რიზა. ერთ-ერთმა მხედარმა გამოუცხადა სოფლელებს, რომ ყოველმა კომლმა ალი რიზას უნდა მიართვას ერთი ცხვარი და ერთი თხაო. არ გასულა 15 წუთიც კი, რომ მომხდურებმა სოფლის 60 კომლიდან შეაგროვეს ცხვრები და თხები და წავიდნენ“. ავტორის დასკვნით, იმ სოფელს რომ დაუყოვნებლივ არ შეესრულებინა ნაბრძანები მოძა-

---

[75] Д. И. Вдовиченко, Национальная буржуазия...., стр. 116.

[76] Ариф Гелен, Обездоленные „Мараба“...., стр. 26.

[77] Yüksel Kasapbaşı, Doğu ağalar...., «Hürriyet», 19 Kasım 1960.

[78] Ibidem

ლადეები სოფელს გადასწვავდნენ, მის თავკაცებს კი დახვრეტდ-ნენ[79].

ქურთი ფეოდალების თვითნებობა გაპირობებული იყო მმართველი დემოკრატიული პარტიის მხარდაჭერით, რომელიც ქურთული ტომების შეიჰებისა და ბელადების გავლენას ქურთულ რაიონებში თავისი ბატონობის გასამტკიცებლად იყენებდა. ბაიარ-მენდერესის მთავრობა ქურთ ფეოდალებს ქურთი მოსახლეობის ექსპლოატაციის შეუზღუდავ უფლებებს ანიჭებდა და ხელს არ უშლიდა მათ დესპოტურ მბრძანებლობას. სამაგიეროდ ტომების ბელადები აიძულებდნენ თავიანთ ტომებს მეჯლისის არჩევნებში ხმა დემოკრატიული პარტიისათვის მიეცათ, რითაც დიდ დახმარებას უწევდნენ მმართველ პარტიას ოპოზიციასთან ბრძოლაში. 1960 წლის სამხედრო გადატრიალების შემდეგ ახალმა ხელისუფლებამ პოლიტიკური მოტივებით დაიწყო დამხობილი რეჟიმის მომხრეთა დევნა-დაპატიმრება. სხვებთან ერთად რეპრესირებული იქნენ ქურთული ტომების ლიდერები. გადაწყდა მათი იზოლაცია და აღმოსავლეთიდან გასახლება. ეროვნული ერთიანობის კომიტეტის დეკრეტით დაპატიმრებული იქნა 270-ზე მეტი შეიპი, აღა და ტომის ბელადი, რომლებიც სივასის საპყრობილეში მოათავსეს. ცოტა მოგვიანებით მიღებულ იქნა კანონი № 105 აღმოსავლეთ თურქეთიდან შეიპების, აღებისა და ტომთა ბელადების იძულებითი გასახლების თაობაზე. ოფიციალური პროპაგანდის მტკიცებით, ეს კამპანია მიზნად ისახავდა გლეხობის ინტერესების დაცვას აღმოსავლეთ ვილაიეთებში; სინამდვილეში კი ახალ მთავრობას რეპრესიული ზომებით ზოგიერთი ქურთი დიდგვაროვანის მიმართ სურდა მისთვის არასასურველი პიროვნებების გაყვანა აღმოსავლეთ ვილაიეთებიდან, სადაც ისინი გარკვეული გავლენით სარგებლობდნენ და ამასთან დემაგოგიური ლოზუნგებით გლეხობის ინტერესების დაცვის შესახებ სიმპათიები და პოპულარობა მოეხვეჭა აღმოსავლეთის მოსახლეობაში. ძირითად საკითხში თურქეთის ახალმა ხელმძღვანელებმა არ უღალატეს წინამორბედთა პანთურქისტულ ტრადიციებს „თურქეთში არ არის ქურთი ეროვნება, აქ მხოლოდ თურქები არიან"—განაცხადა ჯემალ გიურსელმა მიტინგზე დიარბაქირში 1960 წლის 24 ოქტომბერს[80]. პანთურქისტთა მტკიცებით, ქურთები „მთის თურქები" არიან და უფლება არა აქვთ

---

[79] Yüksel Kasapbaşı, Haraç vermeyen köy yanmaya, köylüler de ölmeye mahküm, «Hürriyet», 20 Kasim 1960.

[80] «Hürriyet», 25 Ekim 1960.

პრეტენზიები წამოაყენონ ეროვნული ავტონომიის, მშობლიური კულტურისა და ენის დასამკვიდრებლად და დასაცავად.

უნდა აღინიშნოს, რომ მთავრობა არც ჩქარობდა ცხოვრებაში გაეტარებინა მიღებული კანონი ქურთი ფეოდალების იძულებითი გასახლების შესახებ. 1960 წლის ბოლოსათვის სულ გასახლებული იქნა 55 კაცი[81], მალე მთავრობამ საერთოდ აიღო ხელი რეპრესიებზე. 1961 წლის დეკემბერში პრემიერ ინენიუს ბრძანებით შეჩერებული იქნა ე. წ. „55-ის საქმე"[82]. 1962 წლის იანვარში „55-ის" წარმომადგენლები ერცელი პეტიციით შევიდნენ შინაგან საქმეთა სამინისტროში, ითხოვეს უკან დაბრუნება და № 105 კანონის გაუქმება[83]. იმავე წლის 7 თებერვალს სამინისტროს სპეციალური კომისიის გადაწყვეტილებით № 105 კანონი, როგორც უსაფუძვლო, გაუქმებული იქნა და მთავრობამ მიიღო ახალი დადგენილება, რომლის ძალით დაკავებულ 55 აღას მიეცა მუდმივ საცხოვრებლად თავის მამულებში დაბრუნების ნება და უკლებლივ დაუბრუნდათ უძრავი და მოძრავი ქონება[84]. „შეიჰები და აღები,—წერდა დასავლეთ გერმანიის გაზეთი „ზიუდდეიჩე ცეიტუნგი"—რომლებიც აღმოსავლეთიდან დასავლეთში იყვნენ გასახლებული, ნაწილობრივ დაბრუნდნენ უკან ან კიდევ ახალი რაიონებიდან განაგებენ თავიანთ სოფლებს"[85]. ამით დასრულდა ქურთი ფეოდალების შევიწროება და მათი ძალმომრეობა და დესპოტიზმი კვლავ ძალაში შევიდა.

2. საწარმოო ძალთა განვითარების დონე აღმოსავლეთ თურქეთის სოფელში

აღმოსავლეთ თურქეთის თანამედროვე სოფელი საწარმოო ძალთა განვითარების დონის მიხედვით ქვეყნის სხვა რაიონებზე გაცილებით დაბლა დგას. ეს მდგომარეობა გამოწვეულია იმით, რომ ცენტრალურ ხელისუფლებას ათეული წლების მანძილზე უყურადღებოდ ჰყავდა მიტოვებული უმდიდრესი ეკონომიური პოტენციალის მქონე აღმოსავლეთი. გარდა ამისა აღმოსავლეთის განვითარებას საგრძნობლად აფერხებდა ის გარემოება, რომ იგი მოწყვეტილი იყო თურქეთის განვითარებული რაიონებისაგან, მტკიცედ არ იყო ჩაბმული ქვეყნის საშინაო ბაზრის სისტემაში, იზოლირებული იყო

---

[81] «Yeni Sabah», 10 Aralik 1960.

[82] «Cumhuriyet», 12 Aralik 1961.

[83] «Cumhuriyet», 24 Ocak 1962.

[84] «Cumhuriyet», 8 Şubat 1962.

[85] «Süddeitsche Zeitung», 19/V 1962.

ასევე საგარეო ბაზრებისაგან, რომლებიც სტიმულს მისცემდნენ სასაქონლო ურთიერთობის განვითარებას, კარჩაკეტილ-ნატურალური მეურნეობის რღვევასა და ჭარბი საბაზრო პროდუქციის წარმოებას.

ამას ისტორიულად დამკვიდრებული ხასიათი აქვს. „პირველი მსოფლიო ომის წინ,—აღნიშნავს დოცენტი ო. გიგინეიშვილი,— განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობა იყო ანატოლიის აღმოსავლეთ ვილაიეთებში. ის მცირე პროგრესული სახის რეფორმები, რომლებიც თურქეთში ჩატარდა, აღმოსავლეთის ვილაიეთებს არ შეხებია. პონტოს ქედის აღმოსავლეთით, ვიდრე ირანის საზღვრამდე. მოსახლეობის უმეტესობა მესაქონლეობას მისდევდა და ნახევრად მომთაბარულ ცხოვრებას ეწეოდა. აქ ჯერ კიდევ ფეოდალური ურთიერთობანი ბატონობდნენ. პონტოს ქედის დასავლეთით. შავი ზღვის სანაპიროზე—ლაზისტანში მოსახლეობის ძირითადი სასოფლო-სამეურნეო კულტურა სიმინდი იყო. არსად თურქეთში ისე მწვავედ არ იგრძნობოდა მიწის ნაკლებობა, როგორც აქ. გლეხობის უმრავლესობას მიწის იმდენად მცირე ნაკვეთი ჰქონდა, რომ მოსავალი 1-3 თვეს ძლივსღა ჰყოფნიდა, მაგრამ ბევრს ესეც არ გააჩნდა. ამავე დროს მიწების დიდი რაოდენობა კონცენტრირებული იყო მემამულეთა ხელში“[86].

პირველყოფილ მდგომარეობაში იყო მიწათმოქმედების კულტურა. „რუსეთის მოსაზღვრე არზრუმის ვილაიეთში, — წერდა ი. გოლობოროდკო,—დამუშავებულია ვარგისი მიწის ერთ მეათედამდე და ისიც მეტად ცუდად... მიწათმოქმედება განვითარების დაბალ საფეხურზე დგას. მიწათმოქმედების სისტემა ისეთივეა, როგორიც იყო რამდენიმე საუკუნის წინ“[87]. მიწის დამუშავების დაბალი აგრიკულტურა განაპირობებდა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მცირე მოსავლიანობას. პირველ მსოფლიო ომიდან მეორე მსოფლიო ომამდე განვლილი წლების განძილზე აღმოსავლეთ თურქეთის სოფელში არ შეინიშნება საწარმოო ძალების რამდენადმე სერიოზული წინსვლა და რადიკალური ცვლილებები წარმოების ურთიერთობებში—ნატურალური ურთიერთობანი კვლავ ეკონომიური ცხოვრების საფუძველს შეადგენენ საკვლევი მხარის უმეტეს ნაწილში[88].

---

[86] ო. გ ი გ ი ნ ე ი შ ვ ი ლ ი, თურქიზმი და ოსმალეთის საგარეო პოლიტიკა, თბილისი, 1963, გვ. 114.

[87] И. И. Г о л о б о р о д ь к о, Турция, издание 2-ое, Москва, стр. 121, 125, 137. ციტირებულია ო. გიგინეიშვილი, დას. ნაშრომი, გვ. 115—116.

[88] Д. С. З а в р и е в, Восточная Анатолия, Тбилиси, 1936, стр. 37.

აღმოსავლეთ თურქეთის ეკონომიური განვითარება დიდად იყო დამოკიდებული მის კავშირურთიერთობებზე ამიერკავკასიასთან, რადგან ისტორიული და გეოგრაფიული პირობების გამო მხოლოდ აქეთ შეეძლო მას გამოეტანა თავისი პროდუქცია გასაყიდად და მისთვის აუცილებელი საქონელი შეეძინა. საქონელგაცვლა და ეკონომიური კონტაქტები აღმოსავლეთ თურქეთსა და ამიერკავკასიას შორის მუდამ კეთილისმყოფელ ზეგავლენას ახდენდა თურქეთის ამ მიყრუებული მხარის საწარმოო ძალთა განვითარებაზე. „თურქეთის დასავლეთი პროვინციების აღმოსავლეთთან დამაკავშირებელი გზების სუსტი განვითარება,—ხაზგასმულია ამიერკავკასიის საგარეო ვაჭრობის პალატის ეკონომიურ-საინფორმაციო ცნობარში — და მსოფლიო ბაზრების ფრიად შეზღუდული მოთხოვნილება თურქეთის საქონელზე. პირველ რიგში აყენებენ საბჭოთა რესპუბლიკების ეკონომიურ როლსა და მნიშვნელობას (თურქეთის — ნ. კ.) აღმოსავლეთი პროვინციების საწარმოო ძალთა ათვისების საქმეში. საკმარისია თუნდაც მითითება ამიერკავკასიის რკინიგზების შემაკავშირებელ როლზე თურქეთის აღმოსავლეთი ვილაიეთების ეკონომიურ ურთიერთობებში დასავლეთ ვილაიეთებთან (თურქული საქონლის ტრანზიტი ლენინაკანზე და ბათუმზე ტრაპეზუნდისაკენ და პირიქით)[89] და აგრეთვე თურქეთის აღმოსავლეთი პროვინციების სავაჭრო კავშირების ხასიათსა და მოცულობაზე ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაციულ რესპუბლიკასთან (ასფსრ).

ამიერკავკასიის გადაქცევა მეფის რუსეთის კოლონიიდან საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად და აგრეთვე აგრარულიდან ინდუსტრიულ-აგრარულად თავის მხრივ განსაზღვრავს ურთიერთობის ხასიათს ასფსრ-სა და თურქეთის ეკონომიურად ძალზე ჩამორჩენილ აღმოსავლეთ პროვინციებს შორის, რომელთა სოფლის საწარმოო ურთიერთობებში მტკიცედ არის დამკვიდრებული ფეოდალური გადმონაშთები. საეაჭრო ურთიერთობის განვითარება საბჭოთა კავშირსა და თურქეთის აღმოსავლეთ პროვინციებს შორის დაკავშირებულია თურქეთის ჩამორჩენილი რაიონების ჩაბმასთან ფულად საქონელბრუნვაში და თურქეთის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გასვლასთან საგარეო ბაზრებზე, დაბოლოს, ობიექტურად უქადის ამ რაიონებს მათი ეკონომიური მდგომარეობის წამოწე-

---

[89] ამის თაობაზე ხელშეკრულება საბჭოთა კავშირსა და თურქეთს შორის დაიდო 1931 წლის 16 მარტს.

ვას"[90]. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ 30 წლის წინათ გამოთქმული ეს მოსაზრება, დღესაც არ კარგავს თავის ძალას და შესანიშნავად ახასიათებს საბჭოთა კავშირის სავაჭრო-ეკონომიურ შესაძლებლობათა მნიშვნელობას აღმოსავლეთ თურქეთისათვის.

ამიერკავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების პირველივე დღეებიდან საბჭოთა მთავრობა კეთილმეზობლობის ლენინური პრინციპებიდან გამომდინარე დიდი გულისყურით მოეკიდა თურქეთის მოსაზღვრე ვილაიეთების ეკონომიურ ცხოვრებას. ყარსის, არტაანის, ართვინისა და ბათუმის ოლქის ნაწილის თურქეთის შემადგენლობაში გადასვლამ მნიშვნელოვანი დაბრკოლებები შეუქმნა თურქეთისა და საქართველოს საზღვრისპირა მოსახლეობას საძოვრებით სარგებლობის საქმეში. ყარსის ხელშეკრულების შესაბამისად 1922 წლის 20 მარტს თბილისში ხელმოწერილი იქნა კონვენცია 5 წლის ვადით საქართველოსა და თურქეთის საზღვრისპირა მოსახლეობისათვის საზღვრებზე გადასვლის უფლების მინიჭების[91] და მათ მიერ საზღვრის ორივე მხარეს განლაგებული საზაფხულო და საზამთრო საძოვრებით სარგებლობის თაობაზე[92]. ამ შეთანხმებამ საგრძნობლად შეუწყო ხელი თურქეთის სასაზღვრო რაიონების ეკონომიური ცხოვრების რეგულირებას[93]. იმავე წლის 9 ივლისს ხელმოწერილი იქნა სარკინიგზო კონვენცია ერთის მხრივ რსფსრ-სა და ასფსრ-სა და მეორეს მხრივ თურქეთს შორის და რამდენიმე დღით გვიან ბათუმის ნავსადგურით შეღავათიანი ტრანზიტის შესახებ. ამ შეთანხმებებმაც დიდი სარგებლობა მოუტანეს აღმოსავლეთ თურქეთის ეკონომიკის აღდგენა-განვითარებას. ნაყოფიერად ვითარდებოდა სავაჭრო კონტაქტები. თურქეთ-საბჭოთა საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დადგენის მიუხედავად აღმოსავლეთ თურქეთის მოსახლეობა არ წყვეტდა სავაჭრო ურთიერთობებს საქართველოს ბაზრებთან. როგორც „ზარია ვოსტოკა" წერდა „ბათუმთან მჭიდრო ეკონომიური კავშირების გამო და თურქეთ-ამიერკავკასიის საზღვრის დადგენისა და ართვინის ოლქის თურქეთის შემადგენლობაში გადასვლის მიუხედავად. მოსახლეობაში (თურქეთის—ნ. კ.) ძველებურად შეიმჩნევა იმის მისწრაფება, რომ სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია და ადგილობრივი ნა-

---

[90] Турция. Экономическо-информационный справочник. Закавказская палата внешней торговли, Тифлис, 1934, стр. 32—33.

[91] Сборник законов и распоряжений. 1927 г., № 32, отд. 2, с. 725.

[92] იქვე, 1928 г., № 34, отд. 2. стр. 934.

[93] 1927 წ. საბჭოთა მთავრობამ გაუქმა ეს კონვენცია იმის გამო, რომ თურქეთის ხელისუფლებამ ეს შეთანხმებები გამოიყენა მტრული საქმიანობის საწარმოებლად ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკის წინააღმდეგ.

წარმი გაიტანონ ბათუმის ბაზარზე, ე. ფაქტიურად საზღვარგარეთ[94].

ეჰვგარეშეა, რომ სავაჭრო-ეკონომიური კავშირურთიერთობის შესუსტება ამიერკავკასიასა და აღმოსავლეთ ვილაიეთებს შორის საგრძნობ ზიანს მიაყენებდა თურქეთის ეკონომიურ მდგომარეობას. მიუხედავად ამისა თურქეთის მთავრობა შეგნებულად უწყობდა ხელს აღმოსავლეთ ოლქების ხელოვნურ ეკონომიურ გამოცალკევებას ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკებისაგან. შედეგიც შესაბამისი აღმოჩნდა—აღმოსავლეთ თურქეთის იზოლირებამ გარე სამყაროსაგან შეაფერხა საკვლევი მხარის საწარმოო ძალთა განვითარება, პროდუქციის რეალიზაციის სირთულემ ნატურალური წარმოების ჩარჩოებში ჩაკეტა ეს უზარმაზარი და მდიდარი მხარე. ამიერიდან არზრუმის, ერზინჯანის, ყარსის, ბითლისის, აღრის, ვანის და სხვა ვილაიეთების მოსახლეობას, სარკინიგზო კავშირის უქონლობის გამო, გასაყიდი საქონლის ტრაპიზონში გასატანად პონტოს ქედის გადალახვა უსდებოდა[95], რაც წლის მხოლოდ რამდენიმე თვეშია შესაძლებელი და დიდ საფრთხესაც შეიცავს[96] უკვე 1931 წელს „აკშანი" წერდა: „ეკონომიური განვითარება შეჩერდა. წინათ ართვინის პროდუქცია მდ. ჭოროჰით და შავი ზღვით ბათუმში მიდიოდა. ახლა კი ქიშმიში, ლეღვი და ზეთისხილი ვეღარ პოულობს მყიდველსო"[97]

არანაკლები ზიანი მიაყენა აღმოსავლეთს ადგილობრივი მკვიდრი ქრისტიანი მოსახლეობის აყრამ. ვ. ჰუტეროთჰი, რომელმაც 1957-58 წლებში პირადად მოიარა ქრისტიანული კომლების ნასახლარები აღმოსავლეთ თურქეთში, წერს: „ამ მოსახლეობის განდევნა აღმოსავლეთ ანატოლიიდან დიდი დანაკარგი იყო ეკონომიური თვალსაზრისით. როგორც ამას აღნიშნავს ამ რაიონის მოსახლეობის ყველა ფენა. მოსახლეობის რაოდენობრივ შემცირებას მოყვა თვისობრივი „სელექციური" შემცირება იმ სოციალური ფენებისა, რომლებიც სპეციალურ ფუნქციებს ასრულებდნენ სახალხო მეურნეობაში"[98]. ქრისტიანული მოსახლეობის განდევნამ გამოიწვია ირიგატორების,

---

[94] „Заря Востока", 28 июля 1922.

[95] აღმ. შავიზღვისპირეთს თურქეთის შიდა რაიონებთან აკავშირებს გზა, რომელიც გადის გადასავლელებზე ზინგანა (დაახლოებით 2000 მ. სიმაღლეზე, მთებში ტრაპიზონსა და გიუმუშანეს შორის) და კოპადაღი (ბაიბურთსა და არზრუმს შორის).

[96] П. М. Жуковский, Земледельческая Турция, стр. 84.

[97] «Akşam», 9 Ocak 1931.

[98] W. D. Hütteroth, Bergnomaden und Yaylabauern..., s. 142, 143—144.

მეღვინეების, მეხილეების, მატყლის დამუშავების სპეციალისტების დაკარგვა. 30%-ით შემცირდა დამუშავებული კულტურული მიწების ფართობი, რის ხარჯზე გაიზარდა მომთაბარეობის ზონა. ბევრი საირიგაციო ნაგებობა დაინგრა, მოიშალა გზები. ამასვე უსვამს ხაზს ინგლისელი მეცნიერი პ. დევისი, რომელმაც 1954 წ. იმოგზაურა აღმოსავლეთ თურქეთში[99]. თურქი ავტორი ს. სარაჩოღლუ როდესაც აღნიშნავს, რომ ქრისტიანი მოსახლეობის განდევნა ამოქელტამ დააქვეითა მხარის ეკონომიური დონე, ცინიზმით აღსავსე სიტყვებით ამთავრებს თავის „დოღუ ანადოღლუს“: „მართალია, მდგომარეობის გამოსწორება ძნელია, მაგრამ სხვა თუ არა რასის ერთიანობას ხომ ჩაეყარა საფუძველიო“[100]. ამ კაცთმოძულე პანთურქისტულ თეორიას ანვითარებს დასავლეთ გერმანელი ვ. ჰუტეროთჰი, როდესაც წერს, რომ ადგილობრივ მკვიდრთა აყრა-ემიგრაციის შედეგად აღმოსავლეთ თურქეთში „მოსახლეობა უფრო ჰომოგენური გახდა, რადგან ქურთები და თურქები ერთ ტრადიციას მისდევენ და მათ ერთი რელიგია აერთიანებთ. ამით დადგა მომენტი თანამედროვე თურქეთის საშინაო სიძნელეების ლიკვიდაციისაო (?!)“[101], როგორც ჩანს, ეს გერმანელი ორიენტალისტიც ქურთებს „მთის თურქებად“ სთვლის.

როგორც განვლილი წლების გამოცდილება მოწმობს, ქრისტიანული მოსახლეობის რეპრესირებამ წარუშლელი დაღი დაასვა თურქეთის აღმოსავლეთი ოლქების სოციალურ-ეკონომიურ ცხოვრებას. მართალია მას შემდეგ საკმაო ხანი გავიდა, მაგრამ აღმოსავლეთმა ვერ შეძლო ქვეყნის სხვა განვითარებული რაიონების დონემდე ამაღლება.

არ შეინიშნება მდგომარეობის სერიოზული ცვლილება მეორე მსოფლიო ომის შემდეგაც.

ოფიციალური სტატისტიკის უკიდურესი სიღარიბე ზედმიწევნით ართულებს ისეთი საკითხების ამომწურავ გაშუქებას, როგორიცაა აღმოსავლეთ ვილაიეთების დასამუშავებელი მიწების მოცულობა, სოფლის მეურნეობის სტრუქტურა და კულტურების მოსავლიანობა, სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღებისა და გამწევი საქონლის რაოდენობა, სასუქების გამოყენება, მოზიარეთა აყრა მიწიდან, გლეხობის მზარდი პაუპერიზაცია, მიგრაცია და ა. შ. მაგრამ ჩვენ შეეცდებით არსებული მასალის ღრმა ანალიზის საფუძველზე კონკრეტულად განვიხილოთ ზემოდასახელებული პრობლემები.

---

99 P. H. Davis, Lake Van and Turkisch Kurdistan. «The Geographical journal», London, vol. CXXII, Part 2, June 1956, p. 163.

100 S. Saraçoğlu, Op. Cit., s. 493.

101 W. D. Hülteroth, Bergnomaden und Yaylabauern..., s. 144.

როგორც შესავალში აღვნიშნეთ, მიწათმოქმედებას აღმოსავლეთ თურქეთში ოაზისური ხასიათი აქვს. მრავალრიცხოვანი ხეები. პატარ-პატარა ველები, სადაც, ისევე როგორც ვრცელ ვაკეებზე, სასოფლო-სამეურნეო კულტურები მოყავთ, ერთმანეთისაგან გათიშული არიან ძნელად გადასალახი ქედებით. ამიტომ აქაური ოაზისები უფრო მეტად იზოლირებული არიან ერთმანეთისაგან. ვიდრე ცენტრალურ ანატოლიაში. ეს განცალკევებულობა და ცუდი გზები არც თუ იშვიათად განაპირობებს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების იმ რაოდენობით წარმოებას, რაც პირადი მოხმარებისათვის არის აუცილებელი[102]. აღმოსავლეთის შიდა რაიონების ნიადაგი მწირია და მხოლოდ 5-10% გამოიყენება სათეს ფართობად. დანარჩენი უკავია ნატურალურ ტყეებს, ეროზირებულ და ვულკანურ წარმონაქმნებს. ნიადაგის ეროზიის პროცესი ძალზე შორს არის წასული[103]. გაცილებით ინტენსიურადაა ათვისებული ნიადაგი აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში. მიწის ფონდის სტრუქტურა, სათესი ფართობების განაწილება, სასოფლო-სამეურნეო კულტურების სახეები და მოსავლიანობა, სამიწათმოქმედო ტექნიკის (გუთნების) რაოდენობა და გამწევი საქონლის სულადობა აღმოსავლეთ თურქეთში 1952 წელს ვილაიეთების მიხედვით ნაჩვენებია მე-15 ცხრილში[104]. ცხრილიდან ჩანს, რომ სათესი ფართობების მიხედვით პირველ ადგილზეა ურფას ვილაიეთი (359 ათასი ჰა), მას მოსდევს მალათია (269 ათასი ჰა), ყარსი, არზრუმი, დიარბაქირი და ა. შ. მაგრამ აქ ყურადღება უნდა მივაქციოთ მოსახლეობის რაოდენობას, რაც საშუალებას გვაძლევს მიახლოებითი წარმოდგენა ვიქონიოთ მეურნეობათა საშუალო სიდიდეზე. მაგალითად, ურფას ვილაიეთში 359 ათასი ჰა მიწა მოდის 311 ათას მცხოვრებზე, მაშინ როდესაც მალათიის ვილაიეთის ნახევარ მილიონიანი მოსახლეობა 269 ათას ჰას ამუშავებდა, არზრუმის ვილაიეთის 481 ათასი მოსახლე—143 ათას ჰას, ყარსის ვილაიეთის 437 ათასი მცხოვრები 173 ათას ჰას, ტრაპიზონის 437 ათასი მცხოვრები 65 ათას ჰას და ა. შ.

აღმოსავლეთ თურქეთში გამოყენებული ფართობების დაყოფა სოფლის მეურნეობის ცალკეული დარგების მიხედვით პროცენტულ გამოსახულებაში ნაჩვენებია მე-16 ცხრილში[105].

---

102 П. М. Жуковский, Земледельческая Турция, стр. 117.

103 S. Bodur, Agrargeographische und Wirtschaftliche...., s, 14,

104 ცხრილი შედგენილია ჩვენ მიერ. წყარო: «Türkiye istatistik yıllığı», Cild 21, yayın 360, Ankara, 1953, s. 232—233.

105 ცხრილი შედგენილია ჩვენ მიერ. წყარო, S. Bodur, Agrargeographische und Wirtschaftliche..., s. 108—115.

ცნობები სათოხნი (თამბაქო, ბამბა, სიმინდი) და მრავალწლიანი (ვენახი, თხილი, ზეთისხილი, ციტრუსები) კულტურების ფართობების შესახებ აღმოსავლეთის 5 ვილაიეთში (პროცენტულ გამოსახულებაში), შეიძლება წარმოდგენილი იქნას მე-17 ცხრილის საშუალებით[106].

ცხრილი 15

სოფლის მეურნეობის სტრუქტურა და პროდუქცია აღმოსავლეთ ვილაიეთების მიხედვით 1952 წ.

ვილაიეთები	მოსახლეობა 1000 კაცი	წარმოების საშუალებ. სათესი მიწები 1000 ჰა	ბაღნეული საქონელი 1000 სული	გუთნები 1000 ცალი	პროდუქცია მარცვლეული (1000 ტ.) მთლიანი რაოდენობა	აქედან ხორბალი	ქერი	პარკოსნები (1000 ტ) ადამიანის საკვები	ფურაჟი	ხილი (1000 ტ.) მთლიანი რაოდენობა	აქედან ყურძენი	ნესვი, სახამორი	თამბაქო (ტონა)
აღრი	162	97	78	1,8	143	97	43	—	—	5	—	5	—
ართვინი	182	55	49	0,02	42	14	12	—	—	16	1	—	346
ბინგიოლი	101	14	22	0,02	33	27	2	—	—	2	—	2	—
ბითლისი	92	11	30	3,8	13	7	2	—	—	5	1	—	274
დიარბაქირი	309	142	70	0,4	180	114	43	11	1	345	51	290	143
ელიაზიგი	222	96	43	0,4	101	69	29	5	1	10	3	3	—
ერზინჯანი	206	64	71	1,1	88	57	15	2	—	14	1	11	—
არზრუმი	481	143	137	7,1	132	53	29	4	2	28	3	9	—
გაზიანთეფი	343	117	43	0,9	107	62	40	4	3	231	188	32	423
გირესუნი	312	48	26	0,05	61	16	8	—	3	39	1	—	—
გიუმუშანე	212	119	69	2,6	132	42	30	2	3	1	—	—	—
ჰაკიარი	46	1	8	0,2	3	2	0,1	—	—	4	—	—	7
ყარსი	427	173	235	6,3	320	146	167	—	—	10	—	8	—
მალათია	504	269	96	1,3	292	188	92	4	4	95	21	55	1271
მარდინი	281	128	42	0,5	165	88	71	9	3	95	36	57	34
მუში	112	42	54	4,1	59	40	11	2	—	17	—	17	30
ორდუ	388	94	83	0,2	86	10	4	7	—	18	—	—	—
რიზე	189	20	5	0.02	22	0,1	0,3	1	—	10	1	—	113
სიირთი	163	34	38	0,02	35	23	11	1	—	9	3	6	134
ტრაპიზონი	437	65	5	0,02	51	4	1	4	—	39	1	5	5281
თუნჯელი	110	28	26	0,01	26	18	7	1	1	6	1	4	60
ურფა	311	359	56	0,05	388	220	160	24	3	48	23	22	—
ვანი	152	98	60	5,3	177	124	42	—	—	21	—	20	—

[106] S. Bodur, Op. Cit., s. 110—115.

ცხრილი 16

ვილაიეთები	საძოვარი	მარცვლეული მეურნეობა	ანეული	ინტენსიური მეურნეობა
	გამოყენებული მიწების პროცენტი			
აღრი	77	15	8	—
ართვინი	93	3	—	4
ბინგიოლი	95	3	2	—
ბითლისი	93	5	2	—
დიარბაქირი	69	16	10	5
ელიაზიგი	81	11	4	4
ერზინჯანი	82	9	7	2
არზრუმი	88	6	5	1
გაზიანთეფი	32	22	12	34
გირესუნი	60	10	—	30
გიუმუშანე	63	21	12	4
ჰაკიარი	99	—(+)[107]	—	—
ყარსი	77	15	7	1
მალათია	62	18	15	5
მარდინი	35	30	27	8
მუში	83	14	2	1
ორდუ	55	3	—	42
რიზე	86	— (+)	—	14
სიირთი	86	7	5	2
ტრაპიზონი	64	1	—	35
თუნჯელი	85	10	3	2
ურფა	42	29	23	6
ვანი	88	7	5	—

ცხრილი 17

	სათოხნი კულტურები გამოყ. ფართობის %	აქედან			მოავლწლიანი კულტურები %	აქედან ეენახი	ძირი ხე 1 ჰა სავარგულზე		
		თამბაქო	ბამბა	სიმინდი			თხილი	ზეთისხილი	ციტრუსები
რიზე	8	—	—	7	6	—			
ტრაპიზონი	23	4	—	15	12	—	93	—	—
გირესუნი	9	—	—	7	21	—	196	—	—
ორდუ	28	—	—	16	14	—	109	—	—
გაზიანთეფი	9	—	2	—	25	14	—	6	—

ამრიგად, საკვლევი მხარის ნიადაგურ-კლიმატური პირობები და რელიეფის ფორმები განსაზღვრავენ ვილაიეთების სასოფლო-სამეურნეო პროფილს.

[107] ე. ი. ან სრულიად არა ან კიდევ ერთამდე.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ აღმოსავლეთ თურქეთის სოფელში თანდათან ჩნდება სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა. თუმცა სოფლის მეურნეობის ტექნიკური აღჭურვა ქვეყნის დასავლეთ და სამხრეთ რაიონებთან შედარებით გაცილებით ნელა მიმდინარეობს. პირველივე მანქანების გამოჩენას შესამჩნევი ძვრები მოჰყვა. აღმოსავლეთის სოფელში დამკვიდრებულ სოციალურ-ეკონომიურ ცხოვრებაში (იხ. ცხრილი 18)[108].

ვე-18 ცხრილი მოწმობს, რომ 1949 წელს აღმოსავლეთ თურქეთში სულ ყოფილა 161 ტრაქტორი, აქედან ნახევარზე მეტი მოდიოდა ურფას ვილაიეთზე (84). არცერთი ტრაქტორი არ იყო ბინგიოლის, ჭოროჰის, გირესუნის, გიუმუშანეს, ჰაკიარის, ყარსის, ორდუს, რიზეს და ტრაპიზონის ვილაიეთებში, თითო აღრის, ბითლისის, არზრუმის და თუნჯელის ვილაიეთებში, ორ-ორი მუშსა და ვანში და ა. შ. უმნიშვნელოა სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების რაოდენობაც.

1949 წლიდან საგრძნობლად იზრდება სამიწათმოქმედო ტექნიკის ნომენკლატურა და რაოდენობა აღმოსავლეთში, რაზეც ნათლად მიგვითითებენ 1953 წელს გამოცემული სტატისტიკური მონაცემები. შესამჩნევად გაიზარდა სატრაქტორო პარკი საკვლევ რაიონში; ნაცვლად 161 ტრაქტორისა 1949 წელს 1952 წლისათვის აღმოსავლეთ თურქეთში იყო 3. 035 ტრაქტორი, ე. ი. 3 წლის მანძილზე შემოზიდული იქნა 2. 874 მანქანა[109]. რა თქმა უნდა, ყველა ტრაქტორი მსხვილმემამულურმა და კულაკურმა მეურნეობებმა შეიძინეს მთავრობისაგან მიღებული სპეციალური შეღავათიანი კრედიტებით. არ შეიძლება ყურადღება არ მივაქციოთ იმ გარემოებას, რომ აღმოსავლეთ თურქეთში, რომელიც 24 ვილაიეთს დაითვლის და ფართობის მიხედვით რესპუბლიკის ერთ მესამედს ჭარბობს, 1952 წელს კონცენტრირებული იყო ტრაქტორების საერთოდ რაოდენობის (31. 415) ერთ მეათედზე ნაკლები (3. 035). ამასთან, ტრაქტორების აბსოლუტური უმეტესობა მიიღეს დიარბაქირის, გაზიანთეფის, ყარსის, მალათიის, მარდინისა და ურფის კაპიტალისტურმა მეურნეობებმა, მაშინ როდესაც კვლავ უტრაქტოროდ

---

108 ცხრილი შედგენილია ჩვენ მიერ. წყარო: «1949. Köy Sayimi Hulâsa Sonuçları», yayın N 344, Ankara, 1953, s.s. 20—82.

109 «Türkiye istatistik yıllığı», cild 21, yayın N 360, Ankara, 1953, s. 256.

ცხრილი 1

სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების რაოდენობა თურქეთის აღმ. ვილაიეთებში 1949 წლის საცდელი აღწერის მასალების მიხედვით

	აღრი	ბინგიოლი	ბითლისი	ეორუჯი (ართვინი)	დიარბაქირი	ელიაზიგი	ერზინჯანი	ერზრუმი	გაზიანთეფი	გირესუნი	გიუმუშანე	ჰაკიარი	ყარსი	მალათია	მარდინი	მუში	ორფა	რიზე	სიირთი	ტრაპიზონი	თუნჯელი	ურფა	ვანი
გუთანი	3181	44	339	534	1908	644	2068	7409	722	7	1471	649	7085	130	52	1329	457	—	7	12	13	211	5214
კულტივატორი	—	—	—	—	48	1	—	1	5	—	—	235	1	1	—	2	—	—	—	—	—	7	—
სათესი მანქანა	—	—	1	—	12	3	2	—	3	—	—	—	3	—	2	2	1	—	1	—	—	33	—
სათიბი მანქანა	1	—	1	—	97	59	2	8	20	—	1	—	176	7	3	8	—	—	51	—	12	28	—
თივის სათიბი მანქანა	14	—	1	—	—	1	10	6	1	—	2	—	633	—	—	60	—	—	—	—	—	2	2
ხვინების დამდგმელი მანქანა	—	78	—	248	9	836	1137	358	1	860	507	—	422	123	—	1	275	—	—	—	277	18	—
სალეწი მანქანა	3	75	—	349	9	214	51	144	4	—	36	—	57	67	4	4	8	—	1	—	48	24	—
ტრაქტორი	1	—	1	—	31	3	—	1	21	—	—	—	—	4	7	2	—	—	3	—	1	84	2
საბარგო მანქანა, რომელიც სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებში გამოიყენება	—	—	—	—	1	—	3	4	10	3	—	—	—	—	1	—	1	—	—	—	—	47	—

ჯიპი, რომელიც სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებში გამოიყენება	—	—	—	—	5	—	—	1	8	—	22	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	9	—
ორთვალა, რომელიც სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებში გამოიყენება	6860	766	1108	752	1	935	8942	24.040	—	3321	10149	—	9874	181	—	1646	5526	—	1	—	95	2	3511
ურემი (ორი ან ოთხთვლიანი)	1913	54	116	194	493	692	427	5423	308	—	499	36	14.142	119	44	2235	885	6	13	12	94	30	1213
წყლის მოტორიანი ტუმბო	—	—	—	—	2	—	1	20	2	—	—	—	43	—	—	—	—	—	—	—	—	2	1
ჰიდრავლიკური ბორბალი (სარწყავი)	—	—	—	—	—	1	1	2	6	—	14	—	15	—	—	1	1	—	—	—	—	6	—
ნაღების მოსახდელი მანქანა	323	—	—	273	10	1	1 01	2755	82	—	387	—	6935	7	—	172	88	291	3	1141	—	—	6
მექანიკური კარაქის სადღვებელი	2	84	50	960	81	—	50	1519	51	—	355	—	710	141	—	76	160	33	3	5	192	—	40

დარჩა მთელი ართვინი და რიზე, ხოლო სხვა ვილაიეთებმა ტექნიკის უმნიშვნელო რაოდენობა შეიძინეს (ბინგიოლი და ორდუ 9-9, ჰაკიარი—1, გირესუნი—3, ტრაპიზონი—6, თუნჯელი—15, გიუმუშანე—23, და ა. შ.). ანალოგიური მდგომარეობაა სხვა მანქანა-იარაღების მხრივაც.

მანქანების გამოყენების ზრდა, რაც კაპიტალისტურ ურთიერთობათა განვითარების ერთ-ერთი მომასწავებელია, სოფლად მნიშვნელოვან სოციალურ ცვლილებებს იწვევს და პირველ რიგში აჩქარებს გლეხობის დიფერენციაციის პროცესს. მიწათმფლობელი, რომელმაც ახალი მანქანა-იარაღი შეიძინა თავის მამულს ზრდის მეზობელი ჩია მეურნეობის ხარჯზე, მსხვილი მესაკუთრენი კი მიწიდან ყრიან მოზიარეებს, რომლებიც ოდითგან ამუშავებდნენ ამ მიწებს ნატურალური იჯარის პირობით. ეს პროცესი აღმოსავლეთ თურქეთის ფარგლებში შედარებით რელიეფურად გამოისახა გაზიანთეფის, ურფას, დიარბაქირის და მარდინის ვილაიეთებში, სადაც მეტად გამოიყენება სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა. ანკარის უნივერსიტეტის მიერ 1952 წელს ჩატარებული გამოკვლევა ამ ვილაიეთების 68 სოფელს შეეხო, რომლებიც სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების სიმრავლით გამოირჩეოდნენ. გამოკვლევამ ნათელყო, რომ სამიწათმოქმედო ტექნიკის გამოყენება იწვევს ორთაჯილიკისა და იარიჯილიკის სფეროს შევიწროებას. 1948—1952 წლებში ამ სოფლების ველებზე 294 ტრაქტორის გამოჩენას შედეგად მოყვა 1. 977 მოზიარე გლეხის მიწიდან აყრა (სოფლების მოსახლეობის 6,4%). ამათგან სოფლად დარჩა 1. 269 გლეხი (ე. ი. მოჯამაგირის ან სოფლის მეურნეობის მუშის კატეგორიაში გადავიდა). 708 კი ქალაქში წავიდა[110]. მექანიზაციის პერიოდში მოზიარეთა გარდა, იჯარით აღებული მიწები რომ დაკარგეს, ზარალი განიცადა ჩია მეურნეობების მფლობელთა კატეგორიამაც, რომლებიც სხვადასხვა მიზეზების გამო იძულებული შეიქნენ ტრაქტორის მესაკუთრე მიწათმფლობელისათვის მიეყიდათ თავისი ნაკვეთი და თითონ ქალაქს წასულიყვნენ სამუშაოს საძებნელად. 4 წლის მანძილზე ამ მიზეზით, შესწავლილი 68 სოფელი მიატოვა 1. 616 გლეხმა. ამასთან, წლითიწლობით ეს პროცესი სულ უფრო იზრდება—1948 წელს წავიდა 111 გლეხი, 1949 წელს—206, 1950 წელს 241, 1951 წელს—351 და 1952 წელს—707[111]. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ სოფლიდან ამ მიზეზით წასულთა რაოდენობის მიხედვით (შესწავლილი სოფლების მოსახლეობის 5,4%) აღმოსავლე-

---

[110] «Türkiyede zirai makinalaşma», Ankara, 1954, s. 129.

[111] Ibid., s. 133.

თის ეს 4 ვილაიეთი გაცილებით უსწრებს ქვეყნის სხვა შემოწმებულ რაიონებს, რადგან საშუალოდ მთელ თურქეთში ეს ციფრი არ აღემატება 0.82%-ს.

ტრაქტორების რაოდენობის ზრდის შესაბამისად შესწავლილ სოფლებში მცირდება გამწევი საქონლის სულადობა და მათ მიერ დამუშავებული მიწების ფართობი (იხ. ცხრილი 19)[112]. კაპიტალიზმის

ცხრილი 19

სათესი ფართობი	1948	1949	1950	1951	1952
გამწევი საქონლით დამუშავებული (დენიუმი)	65820	64840	60500	49500	40900
ტრაქტორით დამუშავებული (დენიუმი)	123171	164726	244767	365517	458592

განვითარებას სოფლის მეურნეობაში თან სდევს დამუშავებული ფართობების ზრდა, რაც წინ უსწრებს მიწის საკუთრების კონცენტრაციას. კაპიტალისტურ ურთიერთობათა განვითარება აღმოსავლეთ თურქეთის სოფელში, ისევე როგორც ყველგან, წარმოების კონცენტრაციაში იჩენს თავს. გაზიანთეფის, ურფას, მარდინისა და დიარბაქირის სოფლის შეძლებული ფენების შეიარაღებამ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით[113] ხელი შეუწყო მათი მეურნეობების ზრდას. მაგ., თუ 1948 წ. მექანიზებული მეურნეობის საშუალო სიდიდე უდრიდა 4.024 დენიუმს, 1952 წლისათვის იგი 5, 463 დენიუმამდე გაიზარდა. სატრაქტორო პარკის ზრდას მოსდევდა ახალი მიწების შეძენა. შემოწმებით გამოირკვა, რომ მსხვილ მესაკუთრეთა მიერ ამ პერიოდში შეძენილი მიწების 69% მდებარეობდა იმავე სოფელში სადაც ტრაქტორის მფლობელი ცხოვრობდა, 31% კი სხვა სოფელში. საკუთრებათა გაფართოება მოხდა ისეთი მიწების ხარჯზე, რომელთაგან გასხვისებამდე 67% სხვის საკუთრებას შეადგენდა და მთლიანად მუშავდებოდა, 26% ნაწილობრივ მუშავდებოდა, ხოლო 7% არ მუშავდებოდა.

აღმოსავლეთ თურქეთში მიწის საკუთრების კონცენტრაცია გაცილებით ნელა მიმდინარეობს ვიდრე მიწათსარგებლობისა. ამის მიზეზია წვრილ მესაკუთრეთა სიმრავლე, რაც მნიშვნელოვნად აფე-

---

112 Ibid., s. 76—77.

113 ეპეს გარეშეა. რომ შემმოწმებლებს შეძლებულ მესაკუთრეებთან აქვთ საქმე, რადგან: 1. ტრაქტორის შეძენა მხოლოდ მათ შეუძლიათ; 2. როგორც დადგენილ იქნა ტრაქტორის აქაური მფლობელი დაქირავებულ ტრაქტორისტს თვეში უხდის 212,65 ლირას და საშუალოდ ერთი ტრაქტორის შეკეთება წელიწადში უჯდება 1. 670 ლირა (Ibid., s. 55, 63). ასეთი თანხების გაღება კი მხოლოდ მდიდარს შეუძლია.

რხებს მიწის საკუთრების კაპიტალისტურ კონცენტრაციას და აბრკოლებს მიწათსარგებლობის დაქვემდებარებას ბაზრის მოთხოვნილებისადმი. კაპიტალისტი-მეწარმენი ცდილობენ დასძლიონ ეს წინააღმდეგობა მიწის საიჯარო ოპერაციების გაფართოებით. იჯარის როლზე წარმოების კონცენტრაციაში ზემოდ აღნიშნული ოთხი ვილაიეთის 68 სოფელში მონაცემებს გვაწვდის მე-20 ცხრილი[114].

ცხრილი 20

საკუთარი და იჯარით აღებული მიწების ხვედრითი წილი მეწარმეობრივი მეურნეობის მთლიან სათეს ფართობებში გამოკვლეული 68 სოფლის მიხედვით

წლები	მეურნეობის საშუალო სიდიდე (დენიუმი)	საკუთარი მიწა (%)	იჯარით აღებული მიწა (%)	საზიაროდ* (ორთაკჩილიკი) აღებული მიწა (%)
1948	4.024	89	5	6
1949	4.107	87	7	6
1950	4.585	86	8	6
1951	5,150	78	13	9
1952	5.463	75	14	11

* ეს ჩვენ მიერ აღნიშნული მოზიარობის ე. წ. „შებრუნებული“ ნაირსახეობაა.

ე. ი. 5 წლის მანძილზე მსხვილ მეწარმეთა მიერ იჯარით აღებული მიწების ფართობი გაიზარდა თითქმის ორნახევარჯერ; საზიაროდ აღებული მიწებისა თითქმის ორჯერ, მაშინ როდესაც პირადი საკუთრების ზრდა შედარებით ნელა მიმდინარეობს. მაგრამ ფერმერის მიერ სხვისი ნაკვეთის იჯარით აღება უკვე მოწმობს, რომ წარმოების ძირითადი საშუალება—მიწა თანდათან ებმება კაპიტალისტურ საქონელწარმოებაში.

მეურნეობის გაფართოება ზრდის მოთხოვნილებას დაქირავებულ მუშა-ხელზე; პარალელურად იზრდება იმ მეურნეობათა რაოდენობაც, სადაც დაქირავებულ შრომას იყენებენ. მაგ., გამოკვლეულ სოფლებში 1948 წ. მექანიზებულ მეურნეობათა 59% იყენებდა დაქირავებულ მუშახელს, 1949 წ.—60%, 1950 წ.—65%, 1951 წ—74%, 1952 წ.—76%. მექანიზაციის ზრდის ზეგავლენით მცირდება მოთხოვნილება მუდმივ სასოფლო-სამეურნეო მუშებზე, მეტ გამოყენებას პოულობს სეზონური მუშა-ხელი.

[114] Ibid., s. 120.

დაქირავებული შრომის ანაზღაურება ხდება როგორც ნაღდ ანგარიშზე ისე ნატურითაც, უპირატესობა ენიჭება ფულად ანაზღაურებას და შეინიშნება მისი ზრდის ტენდენცია. თურქეთის აღმოსავლეთში ქვეყნის სხვა რაიონებთან შედარებით მეტადაა გავრცელებული მუშა-ხელის დაქირავება ნატურალური ანგარიშსწორების საფუძველზე, რაც ასევე მეტყველებს საკვლევ მხარეში კაპიტალისტურ ურთიერთობათა სუსტ განვითარებაზე.

სოფლის მეურნეობის მექანიზაციით გამოწვეულ ყურადსაღებ ცვლილებათა შორის აღსანიშნავია მიწის ღირებულების ზრდა 5 წლის მანძილზე შესწავლილი სოფლების 86%-ში და მისი იჯარისა 64%-ში. დაკლებას არსად ადგილი არა ჰქონია.

აღმოსავლეთ თურქეთის მიწების უმეტესობა მწირია, რის გამო სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის რეგულირება შესაძლებელია მხოლოდ სასუქების გამოყენებით. საკვლევ მხარეში ხელოვნური სასუქები უმნიშვნელო რაოდენობით გამოიყენება, რადგან ადგილზე თითქმის არც არის ორგანიზებული მათი წარმოება. მდგომარეობა ნაწილობრივ გაუმჯობესდება მას შემდეგ რაც პროდუქციის გამოშვებას დაიწყებს სუპერფოსფატის ქარხანა, რომლის მშენებლობა გათვალისწინებულია ჰოფაში. ეს ქარხანა შავიზღვისპირეთის ვილაიეთებს მიაწვდის სასუქს, ნედლეულს გოგირდმჟავას მურგულიდან[115] და კარაბიუქის მეტალურგიული კომბინატიდან მიიღებს. აღმოსავლეთის სხვა რაიონების მოთხოვნილებას ხელოვნურ სასუქებზე დააკმაყოფილებს იზმირსა და ბახდირმაში აგებული ქარხნები[116]. მაგრამ ეს მომავლის საქმეა. დღეისათვის სასუქების შეტანა საკვლევ რაიონში დაბალ დონეზეა, რადგან სასუქი, რომელიც არასაკმაოდ იწარმოება თურქეთში და კვლავ უცხოეთიდან შემოდის, აღმოსავლეთამდე ფაქტიურად ვერ აღწევს, უკეთეს შემთხვევაში კი, მხოლოდ შეძლებულთა მცირე პროცენტის საჭიროებებს ხმარდება. განსაკუთრებით რთულია ამ მხრივ მდგომარეობა შიდა რაიონებში, სადაც ორგანული სასუქი გამოიყენება არა როგ-

---

115 მურგულის გოგირდმჟავას ქარხანა, რომელიც ადგილობრივი სპილენძსადნობი ქარხნის გოგირდოვანი გაზის ბაზაზე მუშაობს 1962 წელს ჩადგა მწყობრში. მაგრამ წარმოებას აფერხებს ნედლეულის სიმცირე და მზა ნაწარმის გადატანის სირთულე (ავტოშარა ჰოფამდე, სიგრძე 56 კმ და შემდეგ ზღვით ისკენდერუნისა და იარიმჯას-იზმითთან სუპერფოსფატის ქარხნებამდე). იხ. The Turkish sulphur industry. «Sulphur», England, 1963. N 49. p. 17.

116 Expansion of superphosphates industry (Turkey)... «Middle East Econ. Digest», 1964. N 20, p. 240.

ორც სასუქი, არამედ როგორც ერთადერთი საწვავი მასალა (კიზიაკი)[117] ხელოვნურ სასუქზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია.

ანკარის უნივერსიტეტის მიერ ჩატარებულმა გამოკვლევამ შუქი მოჰფინა ხელოვნური სასუქების გამოყენებას გაზიანთეფის, მარდინის, ურფასა და დიარბაქირის ვილაიეთების მექანიზებულ კულაკურ მეურნეობებში. გამოირკვა, რომ თუ ეგეოსის ზღვის რაიონში ხელოვნურ სასუქს იყენებს შემოწმებული სოფლების 65%, მარმარილოს ზღვის რაიონში 54%, ხოლო სამსუნისა და ტოკატის ვილაიეთებში 25%, ზემომოხსენებულ ოთხ ვილაიეთში ხელოვნურ სასუქს შემოწმებული სოფლების მხოლოდ 16% იცნობს, ამასთან მიწათმოქმედთა 6,5%. სასუქების გამოყენება დაწყებულა 1947 წელს. 1952 წ. ოთხი ვილაიეთის შესწავლილი სოფლების საშუალოდ აღებულ ერთ დენიუმზე გამოყენებული ხელოვნური სასუქის რაოდენობა 600 გრამს უდრიდა[118] (სხვა რაიონებში სასუქების გამოყენება გაცილებით მაღალი იყო). როდესაც ისეთ შეძლებულ პიროვნებას, როგორიცაა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის მფლობელი კულაკი ერთ დენიუმზე საშუალოდ შეუძლია მხოლოდ 600 გრამი სასუქი შეიტანოს, ეჭვი არ არის, რომ ღარიბი და საშუალო გლეხისათვის ხელოვნური სასუქი მიუწვდომელ ოცნებად რჩება.

სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის სიმცირე და მიწათმოქმედების დაბალი აგრიკულტურა უარყოფით ზეგავლენას ახდენენ კულტურების მოსავლიანობაზე, რომელიც ძირითადად კლიმატურ პირობებზეა დამოკიდებული. დროული წვიმებისას მოსავალი მოდის, წინააღმდეგ შემთხვევაში კი იგი კატასტროფულად მცირდება და მოსახლეობა შიმშილობის საფრთხის წინაშე რჩება.

საკვლევი მხარე სასოფლო-სამეურნეო კულტურების მრავალფეროვნებითაა ცნობილი, მაგრამ ცალკეულ ვილაიეთებში, მეურნეობრივი სპეციალიზაციიდან გამომდინარე, უპირატესობა ენიჭება ამა თუ იმ კულტურას, რომელიც ადგილობრივ პირობებში მეტ ეკონომიურ ეფექტს იძლევა. მაგ., აღმოსავლეთში ხ ო რ ბ ლ ი ს ძირითადი რაიონებია ვილაიეთები მალათია, ურფა, დიარბაქირი, ვანი და ყარსი სადაც წელიწადში 100 ათას ტონაზე მეტი ხორბალი მოჰყავთ, შემდეგ მოდის გაზიანთეფი, მარდინი, ელიაზიგი, ერზინჯანი, აღრი, არზრუმი, ორდუ და გიუმუშანე—50-100 ათასი ტ., დაბოლოს სიირთი, ბითლისი, ჰაკიარი, ბინგიოლი, მუში, თუნჯელი, ართვინი, რიზე,

---

[117] «Spectator», London, 2/12 1960.

[118] «Türkiyede ziraî makinalaşma», s. s. 20—22.

ვირესუნი და ტრაპიზონი—50 ათ. ტონაზე ნაკლები. ქ ე რ ი ს[119] ტრადიციული რაიონებია ურფა, მარდინი, ყარსი—50 ათას ტ მეტი დიარბაქირი, გაზიანთეფი, ელიაზიგი, ვანი, აღრი, გიუმუშანე, გირესუნი—25-50 ათ. ტ. სხვა ვილაიეთებში ქერის ნაკლებ მოსავალს იღებენ. ს ი მ ი ნ დ ი უმეტესად გავრცელებულია ვილაიეთებში ორდუ, გირესუნი და ტრაპიზონი—25 ათ. ტ. მეტი. შემდეგ მოდიან რიზე, ართვინი, არზრუმი 10-25 ათ. ტ; სხვა ვილაიეთებში წლიური მოსავალი არ აღემატება 10 ათ. ტონას. კ ა რ ტ ო ფ ი ლ ი მოყავთ ვანის, არზრუმის, ტრაპიზონისა და ორდუს ვილაიეთებში — 25 ათ. ტ. მეტი, ყარსსა და გიუმუშანეში 10-25 ათ. ტ. ბ რ ი ნ ჯ ი კულტივირებულია გაზიანთეფის, ართვინის, დიარბაქირის, რიზეს, მალათიის, მარდინის, ურფასა და სიირთის ვილაიეთებში, ფ ე ტ ვ ი მარდინში, დიარბაქირში, სიირთში, გაზიანთეფში, ურფაში. ლ ო ბ ი ო ტრაპიზონში, ართვინში, არზრუმსა და ორდუში. ბ ა მ ბ ა მალათიაში, გაზიანთეფში, მარდინსა და ელიაზიგში. თ ა მ ბ ა ქ ო ტრაპიზონში, მალათიაში, ართვინში, დიარბაქირში, გაზიანთეფში, ბითლისში, რიზეში. ო პ ი უ მ ი ს ყ ა ყ ა ჩ ო — მალათიის ვილაიეთში[120].

მეაბრეშუმეობას მისდევენ ართვინის, დაიარბაქირის, ელიაზიგის, ერზინჯანის, მალათიის, რიზეს, თუნჯელის ვილაიეთებში, მ ე ფ უ ტ კ რ ე ო ბ ა ს კი ყველგან, ოღონდ მეტნაკლები რაოდენობით. **თაფლის** საერთო წარმოების 17-18% აღმოსავლეთზე მოდის (განსაკუთრებით ცნობილია ყარსისა და არზრუმის თაფლი).

უკანასკნელ ხანს დიდი მნიშვნელობა მიენიჭა შაქრის ჭარხლის მოყვანას, განსაკუთრებით კი მას შემდეგ რაც 1956 წ. ერზინჯანში, ელიაზიგში, არზრუმსა და მალათიაში რამდენიმე შაქრის ქარხანა აიგო. ჭარხალი ძირითადად ველებზე მოჰყავთ, მაგრამ მისი საჰექტარო მოსავლიანობა არ აღემატება 150 ცენტნერს, რაც გაცილებით დაბალია ტრადიციული რაიონების მოსავლიანობაზე[121].

აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში 6500 ჰექტარზე ითესება სოია და მისი მთელი მოსავალი თითქმის ამ მხარეზე მოდის[122].

აღმოსავლეთის მიწებზე მოყვანილი სასოფლო-სამეურნეო კულტურებიდან ქვეყნის საერთო ეკონომიური ბალანსისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს თხილს, ჩაის, ფისტასა და ოპიუმს.

თხილის გავრცელების ძირითადი რაიონია გირესუნის ვილაიეთი. იგი ხარობს აგრეთვე ორდუს (ფატსა და უნიე), ტრაპიზონის

---

[119] ქერს აღმოსავლეთში დიდი გავრცელება აქვს იმის გამო, რომ მას სხვა მარცვლეულთან შედარებით მოკლე სავეგეტაციო პერიოდი აქვს.

[120] «Türkiye istatistik yıllığı». cilt 21, N 360, Ankara, 1953, s. 219.

[121] S. B o d u r, Op. Cit., s. 62.

[122] Ibid., s. 85.

(ბეშიკდუზე, ვაკფიქებირი, აკჩააბათი, მაჩკა, დირანა. არსენი, არაკ-ლი. ჰამირგიანი. სოლაკლი, ბალთაჯი), რიზეს (ძაფავრი, ფაზარი, გახე, არდესინი, ვიჩე) და ართვინის (ჰოფა და არჰავი) ვილაიეთებში[123]. თხილის კულტივირებას ხელს უწყობს ნალექების სიმრავლე. იგი ხარობს მთის ზონაში ზღვის დონიდან 600 მეტრის სიმაღლემდე, ეს ზევით იწყება მესაქონლეობისა და სხვა სამეწარმოქმედო კულტურების ზონა. საშუალოდ ყოველ 100 ჰა სავარგულზე აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში მოდის თხილის 300 ძირი, გირესუნის ვილაიეთში კი 19.651 ძირი[124]. თხილნარის 85% თავმოყრილია გირესუნის. ორდუსა და ტრაპიზონის ვილაიეთებში და მათზე მოდის თხილის საერთო წარმოების 70-80%. ჰექტარზე საშუალოდ 8-10 ცენტნერ ნაყოფს იღებენ[125].

თხილის პლანტაციების გაფართოება ცვლილებებს იწვევს სხვა კულტურების ნათესთა გეოგრაფიულ განლაგებაში. თხილის ნარგავების ფართობების გადიდების პარალელურად მიმდინარეობდა სიმინდით დაკავებული ფართობების შემცირება. მაგ., თუ ნახევარი საუკუნის წინათ აქ ერთადერთი საარსებო კულტურა იყო სიმინდი. რომლის მოყვანას გლეხობის 60-80% მისდევდა, ახლა სიმინდის ნათესები აქა-იქ გხვდება (ზღვის დონიდან 1300 მეტრამდე) და იგი გლეხობის მხოლოდ 3—5% მოჰყავს. საკვლევი მხარის აგრარულ სპეციალიზაციაში თხილის მონოკულტურის გაბატონებამ სხვა უფრო შრომატევადი კულტურების ხარჯზე გამოიწვია მოთხოვნილების შემცირება მუშა-საქონელზე (თხილი მას არ საჭიროებს), ამან კი თავის მხრივ ხელი შეუწყო სეზონური მეჯოგეობის ზრდას. ამრიგად საექსპორტო პროდუქციის წარმოების გაფართოებამ ბიძგი მისცა მეჯოგე-მესაქონლეობის, როგორც სამომხმარებლო დარგის განვითარებას. ნახევრად მეჯოგეები 20 მაისისათვის ადიან იალაღებზე, თხილის მოსაკრეფად კი აგვისტოს ბოლოს ბრუნდებიან. სამუშაოების მომთავრების შემდეგ ზოგი მათგანი კვლავ უბრუნდება ალპურ საძოვრებს და სექტემბრის ბოლომდე რჩება იქ[126].

აქაური თხილი მსოფლიო ბაზარზე გადის. მისი რეალიზაცია მონოპოლიზირებული ჰქონდათ გირესუნელ ვაჭრებს, რომლებიც შუამავლობდნენ მწარმოებელ გლეხსა და მსოფლიო ბაზარს შორის, ამასთან ვაჭრობის ორგანიზაციას დიდ კონტროლს უწევდა მთავრო-

---

[123] «Tanin», 25 Mayıs 1945.

[124] S. Bodur, Op. Cit., s. 25,

[125] R. Z. Magden, Özel meyvacilik. I. Istanbul, 1950, s. 163.

[126] X, de Planhol. A travers les chaînes pontiques. Plantations côtières et vie montagnarde. «Bull. Assoc. géographes franç.», 1963, N 311—312, p. 4—5.

ბა. ჰლანოლის ცნობით, 1963 წელს თხილის საერთო მოსავლის ნახევარი მწარმოებელთა კოოპერატივების გაერთიანების „ფისკო ბირლიკის" ხელში იყო. რომელიც 26 კოოპერატივს აერთიანებს[127]. თხილის პროდუქციულობა ძალზე არათანაბარია წლების მიხედვით.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში დიდი გავრცელება ჰპოვა ჩაის კულტურამ. საყურადღებოა, რომ ჩაის თესლი და ნერგი თურქეთში საქართველოდან შევიდა. იგი ბათუმიდან რიზეში ჩაიტანა და დათესა რიზელმა სპეციალისტმა ჰულუსი კარადენიზმა ქემალისტური რევოლუციის წლებში. 1924 წ. მეჯლისის გადაწყვეტილებით რიზეში საფუძველი ჩაეყარა ჩაისა და ციტრუსების პირველ სანერგეს. იმავე წელს თურქეთის მთავრობამ საქართველოში მოავლინა სოფლის მეურნეობის სამინისტროს პასუხისმგებელი თანამშრომელი ზიჰნი დერინი. რომელმაც ბათუმიდან თურქეთში ჩაიტანა ჩაის თესლი და ნერგები, ციტრუსებისა და სხვა ხეხილის ნერგები და სპეციალური ლიტერატურა. აქ იღებს სათავეს თურქეთში ეროვნული ჩაის მოშენება[128]. რიზეში ჩაის პირველი ფოთლების მოსავალი აიღეს 1938 წელს 30 კგ რაოდენობით. სოფლის მეურნეობის სამინისტრომ დაიწყო ჩაის შესყიდვა, რის გამო ჩაის სათესი ფართობი პროგრესულად იზრდებოდა. სულ ჩაის პირველი ქარხნის აგებამდე რიზეს ვილაიეთში მოკრეფილ იქნა 210. 659 კგ ჩაი. ჩაის პირველი ფაბრიკის მშენებლობას რიზეში საფუძველი ჩაეყარა 1946 წლის 21 ივნისს[129] და იგი საექსპლოატაციოდ გადაეცა 1947 წლის 16 ივლისს[130]. მშენებლობა 655 ათასი ლირა დაჯდა, სამრეწველო აღჭურვილობა ინგლისიდან შემოიტანეს[131]. ჩაის ფაბრიკის აგებამ ბიძგი მისცა ჩაის ფართობისა და წარმოების ზრდას[132]. (იხ. ცხრილი).

ჩაის წარმოება თურქეთში 1950—1960 წლებში (ტონა)

1950	1951	1952	1953	1954	1955	1956	1957	1958	1959	1960
208	315	423	513	719	1191	1535	2500	3500	4150	5400

შავიზღვისპირეთის თურქეთის ზოლში ჩაის პლანტაციები იწყება ოფთან და სსრკ-თურქეთის საზღვრებამდე მოდის (150 კმ). 1946

---

[127] 1959 წ. ეს ბირლიკი აერთიანებდა 22 კოოპერატივს 65 ათასი წევრით. ე. ი. 4 წლის მანძილზე 4 ახალი კოოპერატივი შეიქმნა. ეს ბირლიკი ერთ-ერთი ყველაზე სანიმუშო და უდიდესია თურქეთში. იხ. L. Birol, Türkiyede konperativler, Ankara, 1960, s 77.

[128] «Ulus», 20 Ocak 1950.

[129] «Cumhuriyet», 22 Haziran 1946.

[130] «Ulus», 18 Temmuz 1947.

[131] «Ulus», 27 Şubat 1946.

„Азия и Африка", Статистический сборник. стр. 342.

წელს ჩაის ფართობი უდრიდა 25 ათას დეკარს[133], 1950 წ. ჩაის მოშენებას მისდევდა რიზეს ახლო-მახლო (რადიუსი 20 კმ) 160 სოფლის 120 ათასი კომლი და ყოველი მათგანი საშუალოდ 2-5 დენიუმი ჩაის მფლობელი იყო. რიზეს ცენტრალურ ილჩე ჩაელიში (ძველი მაფავრი) ჩაის პლანტაციებს 30 ათასი დენიუმი ფართობი უჭირა. 1961 წ. აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში ჩაი კულტივირებული იყო

სურ. 1. შეძლებული გლეხის კარმიდამო რიზეს ვილაიეთის თაშლი დერეს ილჩეში. წინა პლანზე მოჩანს ჩაის ნარგაევები

600 სოფელში, მის მოყვანას 12 ათას ჰექტარზე 60 ათასი კაცი მისდევდა[134], ხოლო 1963 წ. 73.680 კაცი და პლანტაციები 160. 575 დენიუმზე იყო გადაჭიმული[135].

ჩაის სათესი ფართობისა და წარმოების ზრდა განაპირობებს ჩაის ახალი ფაბრიკების აგების აუცილებლობას. 1952 წელს არსებული ერთი ფაბრიკა უკვე ვეღარ ერეოდა ნედლეულის გადამუშა-

---

[133] «Cumhuriyet», 22 Haziran 1946.

[134] E. Winkler, Bericht über eine Studienreise nach der Türkei 1961. «Milt. Österr. Geogr. Ges.», 1961, N 3, s. 310; «Cumhuriyet», 21. Kasim 1961; S. Bodur, Op. Cit., s. 26.

[135] «Ekonomi gazetesi», 26 Ekim 1963.

ვებას[136]. საჭირო გახდა ახალი ფაბრიკების აგება. გიუნდოღდუსა ან ჩაელიში, რადგან გიუნდოღდუში ჩაის ფოთლის წლიური მოსავალი უდრიდა 450-500 ტონას, ჩაელიში კი 150-200 ტონას. 1961 წლისათვის აგებული იყო ჩაის 5 ფაბრიკა და ჩაის გადამამუშავებელი 14 წვრილი საწარმო (ატელიე), 1965 წლის დასაწყისში იყო 7 ფაბრიკა და 21 ატელიე[137]. ჩაის ფაბრიკები იგება ჩაის შემდეგ ზონებში— ჩაელი, ჰოფა, სიურმენე, არჰავი, ფინდიკლი, კალკანდერე. ჰრთაფაზარი და ბეიაზსუ. მათი ექსპლოატაციაში გადაცემა ნავარაუდევია 1966 წლისათვის[138].

ჩაის წარმოება-გადამუშავება მონოპოლიზირებულია საბაჟოებისა და მონოპოლიების სამინისტროს მიერ. მწარმოებელი გლეხები ჩაის აბარებენ ფაბრიკას ან ჩაის შემსყიდველ პუნქტებს. მწარმოებელთა ძირითადი მასა წვრილი მესაკუთრეა და წინასწარ იღებს მონოპოლიისაგან მოსაკრეფი ჩაის ღირებულებას[139]. 1960 წელს თურქეთმა უზრუნველყო საშინაო მოთხოვნილება ჩაიზე ეროვნული წარმოების ჩაით[140], 1963 წელს ჩაის მრეწველობაში კაპიტალდაბანდებათა გაზრდით ნავარაუდევი იყო ჩაის საერთო პროდუქციის ღირებულების აყვანა 340 მლნ ლირამდე. მიღებული იქნა ზომები ჩაის ხარისხის ამაღლებისა და მზანაწარმის შეფუთვის გაუმჯობესებისათვის[141]. იმავე წელს დაიწყო საექსპორტო ჩაის გამოშვება. 1964 წელს ექსპორტირებული იქნა 1000 ტონა ჩაი. 1965 წლის დასაწყისში ჩაის წარმოების უკეთ ორგანიზებისათვის ზემომოხსენებული სამინისტროს სისტემაში შეიქმნა ჩაის მთავარი სამმართველო[142]. ინგლისელი სპეციალისტის დოქტორ ჰარლერის აღნიშვნით, რომელიც მოწვეულია თურქეთში ჩაის მოყვანისა და დამუშავების საქმეთა გასაშლელად, თურქებს გადაწყვეტილი აქვთ 1970 წლისათვის ძლიერი პოზიციები დაიმკვიდრონ ჩაის მსოფლიო ბაზარზე[143]. ჩაის განვითარებამ შეაფერხა თხილის მონოკულტურული განვითარება, რომელსაც მანამ დომინირებული მდგომარეობა ეპყრა აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში.

მალათიის ოპიუმი, რომელსაც მთლიანად საექპორტო დანიშნულება აქვს, ცნობილია მორფის მაღალი შემცველობით, რის გამო

136 «Akşam», 1 Mayıes 1952.
137 «Vatan», 30 Ocak 1965.
138 «Ekonomi gazetesi», 31 Aralık 1963.
139 For all the tea in Turkey. «The Times», London, 9/VI 1962.
140 Ibidem.
141 «Cumhuriyet», 6 Ocak 1963.
142 «Vatan», 30 Ocak 1965.
143 «The Times», 9/VI 1962.

მსოფლიო ბაზარზე. მასზე დიდი მოთხოვნილებაა. მალათია ცხობილია თავისი აბრიკოსითაც, რომლის ჩირი უცხოეთში გააქვთ. აბრიკოსის ჩირის ექსპორტი ნორმალურ წლებში მალათიას 6 მლნ ლირა შემოსავალს აძლევს.

ყურადღებას იმსახურებს გაზიანთეფის ფისტა, რომელიც ასევე საექსპორტო ნომენკლატურაში შედის.

აღმოსავლეთ თურქეთი, განსაკუთრებით მისი მაღალმთიანი ზონა, მესაქონლეობის ძირითადი რაიონია. თავისი საძოვრებით გახთქმულია ერზინჯან-მუშის ხაზის აღმოსავლეთის მაღალი იალაღები, ყარსის საძოვრები, ალეშკერტის მთები, თეკმანის იაილა და სარაის მხარე, სადაც თითქმის მეტრამდე ბალახი იზრდება[144]. საქონლის სულადობა ვილაიეთების მიხედვით (1952 წლის მდგომარეობა) ნაჩვენებია 21-ე ცხრილში[145].

ცხრილი 21

საქონლის სულადობა აღმ. თურქეთში

პირუტყვი (ათასი თავი)	აღრი	ერზინჯანი	ბინგიოლი	ბითლისი	დიარბაქირი	ელაზიზი	ერზინჯანი	ერზრუმი
წვრილფეხა რქოსანი	772	309	445	401	481	406	426	797
მსხვილფეხა რქოსანი	195	197	62	65	158	94	170	413
ცხენი, ჯორი, სახედარი, აქლემი	16	8	9	9	35	28	24	42

პირუტყვი (ათასი თავი)	გაზიანთეფი	გირესუნი	გიუმუშანე	ჰაკიარი	ყარსი	მალათია	მარდინი	მუში
წვრილფეხა რქოსანი	605	226	385	217	1225	823	884	384
მსხვილფეხა რქოსანი	99	130	168	12	718	218	91	137
ცხენი, ჯორი, სახედარი, აქლემი	39	11	16	3	46	80	46	10

პირუტყვი (ათასი თავი)	ორდუ	რიზე	სირთი	ტრაპიზონი	თუნჯელი	ურფა	ვანი
წვრილფეხა რქოსანი	310	36	551	213	278	1075	1001
მსხვილფეხა რქოსანი	221	82	67	219	73	125	140
ცხენი, ჯორი, სახედარი, აქლემი	19	2	23	5	15	44	17

[144] S. Saraçoğlu, Op. Cit., s. 444.

[145] «Türkiye istatistik yilliği», cill 21, s. 232—233.

1963 წელს საკვლევ მხარეში (ზღვისპირა ვილაიეთების. გაზიანთეფისა და მალათიის გამოკლებით) კონცენტრირებული იყო ქვეყნის ცოცხალი პირუტყვის საერთო რაოდენობის ერთი მესამედი, უფრო ზუსტად 18. 206. 593 სული. ამ ვილაიეთებზე მოდიოდა ქვეყნის ხორცისა და რძის პროდუქტების წარმოების 25%. არსებული პირუტყვი კაპიტალის სახით შეადგენდა 4. 790. 665. 000 ლირას. ბაზრის მოთხოვნილებისათვის განკუთვნილი ცოცხალი პირუტყვის 47-53% აღმოსავლეთიდან მოდის[146].

ჩრდილო-აღმოსავლეთი ზაფხულის პერიოდში ნალექების სიმრავლის გამო საკვების ჩინებული ბაზაა მსხვილფეხა საქონლისათვის, რომლის მოშენებას აქ უპირატესობა ენიჭება, მაგრამ არც მეცხვარეობაა უყურადღებოდ მიტოვებული. მაგ., ყველაზე მაღალი იალაღების მქონე 5 ვილაიეთში (ყარსი, აღრი. არზრუმი, ვანი და მუში) 1955 წ. 3 მილიონამდე სული ცხვარი იყო. ე. ი. საძოვრების ყოველ კვ. კმ-ზე დაახლოებით 50 სული[147]. ყარსი და არზრუმი ხორცისა და რძის პროდუქტების წარმოების მნიშვნელოვანი რაიონებია. ყარსის ვილაიეთი პირუტყვის ექსპორტისაგან ნორმალურ წლებში 30 მლნ ლირას იღებს, რძის პროდუქტების წლიური ღირებულება 3 მლნ ლირაა[148], არზრუმის ვილაიეთი კი სხვა ვილაიეთებში მეცხოველეობის პროდუქტების გატანით ყოველ წელს 85 მლნ ლირას იღებს, რაც სოფლის მეურნეობის სამინისტროს წლიური ბიუჯეტის ერთ მესამედს უდრის[149].

სამხრეთით, მაგ., ვანის ტბის რაიონში მშრალი ზაფხულის გამო მსხვილფეხა საქონლის სულადობა თანდათან იკლებს და მატულობს მეცხვარეობა. სამხრეთ-აღმოსავლეთ თურქეთში (განსაკუთრებით მარდინის ვილაიეთში) დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ანგორის თხის მოშენებას. მარდინში ყოველი 100 ჰა სავარგულზე მოდის 16 თავი მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, 85 ცხვარი, 60 თხა და 30 ანგორის თხა (ანგორის თხის ძირითად პროვინციებში ანკარასა და კონიაში 50 თხა)[150].

მესაქონლეობას ძირითადად მთის სოფლები მისდევენ, ვაკე-დაბლობებში კი უპირატესობა მიწათმოქმედებას ენიჭება. ერზინჯანის დაბლობის სოფლები, რომლებიც მებაღეობით არიან დასაქმებუ-

---

[146] Doğu Anadolu bölgesinin kalkınması ve özel seklör. «Türkiye iktisat gazetesi», 22 Ağustos 1963.

[147] S. Saraçoğlu, Op. Cit., s. 444.

[148] Ibid., s. 315.

[149] Harmandalioğlu, Bir hayvancı köyünün gelir-gider tablosu. «Forum», sayı 212, 1 Şubat 1963, s. 19.

[150] S. Bodur, Op. Cit., s. 75—76.

ლი თავის პირუტყვს მთის სოფლების მოსახლეობას აძლევენ მოსავლელად გარკვეული ქირის საფასურად. ამ გარიგებას „კაბალ“ ეწოდება[151]. მიწათმფლობელობის მსგავსად მესაქონლეობაშიც იჩენს თავს ქონებრივი უთანასწორობის ინტენსიური ზრდა. ზოგიერთი მსხვილი მესაქონლე ფლობს მსხვილფეხა რქოსანი და წვრილფეხა საქონლის ჯოგებსა და ფარებს, რომლებიც ათასობით თავ პირუტყვს დაითვლიან, მაშინ როდესაც მესაქონლეთა ძირითადი მასა ღარიბ-ღატაკია. ნიშანდობლივია, რომ იმ ნომადურ ტომებშიც კი, რომელთა არსებობის ერთადერთი წყარო პირუტყვის მოშენებაა, ბევრია ისეთი მომთაბარე, რომელიც არაფრის მქონეა და მდიდარი თვისტომის ფარების მწყემსვით არჩენს ოჯახს.

მესაქონლეობის ინტენსიფიკაციას ხელი შეუწყო არზრუმში ხორც-კომბინატის აგებამ 1953 წ. მას შეუძლია დღეში დაამუშავოს 800 თავი მსხვილფეხა და 1500 თავი წვრილფეხა საქონელი. ხორცკომბინატმა არზრუმი თურქეთის ხორცის საწყობად აქცია[152]. მაგრამ დღეისათვის იგი უკვე ვეღარ აკმაყოფილებს აღმოსავლეთ ვილაიეთების გაზრდილ მოთხოვნილებებს. სპეციალისტების დასკვნით საკვლევ მხარეს ყოველწლიურად შეუძლია 100 მლნ დოლარის ღირებულების მესაქონლეობის პროდუქციის მიწოდება საგარეო ბაზრისათვის, მაგრამ არზრუმის ხორცკომბინატის მცირე მწარმოებლურობის გამო მომწოდებლები იძულებული ხდებიან ცოცხალი პირუტყვის ჯოგები გადმორეკონ ქვეყნის სამხრეთ და დასავლეთ რაიონებამდე, რაც წელიწადში 9-10 მლნ. ლირის ზარალს იწვევს[153]. „აღმოსავლეთ თურქეთში მესაქონლეობის განვითარების ერთ-ერთი ძირითადი დამაბრკოლებელი გარემოებაა ბაზრის უკმარისობა“ — წერს ოსმან ოკიარი[154]. ამ ვითარებაში თურქეთისათვის მეტად ხელსაყრელია სავაჭრო კონტაქტების განვითარება მეზობელ საბჭოთა კავშირთან, რომელსაც საკვლევ მხარესთან უშუალო სარკინიგზო ურთიერთობა აქვს. სასურველია, რომ თურქეთის მხარემ უფრო ფართოდ გამოიყენოს საბჭოთა კავშირში თავისი მეცხოველეობის (და არა მარტო მეცხოველეობის) პროდუქციის რეალიზაციის არსებული შესაძლებლობანი.

საშინაო ბაზრისათვის აღმოსავლეთის მესაქონლეობის პროდუქციის შესყიდვაში დიდ როლს თამაშობენ ცენტრალური და დასავ-

---

[151] S. Saraçoğlu, Op. Cit., s. 23,

[152] Osman Yalçin, Erzurum, Özyürek yayinlari, Istanbul, 1957., s. 1.

[153] «Türkiye iktisat gazetesi», 22 Ağustos 1963.

[154] Osman Okyar, Doğunun iktisadî meseleleri, «Forum», sayı 228, 1 Ekim 1963, s. 10.

ლეთი თურქეთის ვაჭრები, რომელთაც შეძენილი საქონელი უმთავრესად ანკარისა და სტამბოლის ბაზრებზე მიჰყავთ. ამასთან ტრადიციულად დადგენილია სავაჭრო ზონები და შესასყიდი საქონლის ნომენკლატურა. მაგ., ანკარელები ყველა სახის პირუტყვს (მათ შორის ცხენებსაც) ყიდულობენ, კაისერიელი შემსყიდველები მოზვრებს. გამწევ საქონელს ძროხებსა და ხარებს ეტანებიან. სივასელები სხვა პირუტყვთან ერთად კამეჩებს, სიირთელები კი უმეტესად ცხვრებს. სავაჭრო ოპერაციები იწყება ზაფხულის დასაწყისში, ვაჭრები აღმოსავლეთის საქონლის ბაზრებზე მოდიან (ძირითადად არზრუმში) და იძენენ პირუტყვს. შესყიდული პირუტყვი ზაფხულის განმავლობაში ყარსის იალაღებზეა გაშვებული, შუა შემოდგომაზე შესუქებულ პირუტყვს. სანამ თოვლი გზას გადაკეტავდეს. ართვინის გავლით ჰოფაში მიერეკებიან, სადაც გემებზე ტვირთავენ და სტამბოლში გადაჰყავთ.

ზემო მურატის აუზში, ისევე როგორც არაქსისა და კარასუს აუზებში შეგროვებული საქონელი ყარა იაზის, ჩაკმაკ დაღის, ნალბანტის, შაჰველეთის, პალანდიოქენის და ჯემალ-დაღის იალაღებზე ძოვს, სუქდება და ზამთრის მოახლოებისას 3 გზით მიჰყავთ გასასყიდათ—ზემო თერჯანის, ჩიმენ იაილას, რეფაჰიეს და სივასის გავლით ცენტრალურ თურქეთში ან (სწრაფი გადაზიდვისათვის) არზრუმში და სხვა დიდ ქალაქებში საქონელი მატარებლებში იტვირთება და ერთ კვირაში სტამბოლში ჩაჰყავთ. მაგრამ სარკინიგზო გადაყვანას ზიანი მოაქვს შემსყიდველებისათვის, რადგან მგზავრობის პერიოდში საქონელი წონაში იკლებს. სატრანზიტო გზით (ტრაპიზონი—არზრუმი—ირანი) პირუტყვის გადაყვანა მიუხედავად გრძელი ძარშრუტისა არ იწვევს სერიოზულ დანაკარგებს რადგან, იგი ძოვებით მიჰყავთ ტრაპიზონამდე და იქ გემებზე ტვირთავენ.

ვანის ტბის აუზის და მთელი აღმოსავლეთი თავრის მესაქონლეებს კავშირურთიერთობა დიარბაქირთან და სიირთთან აქვთ და შესყიდული საქონელიც ამ გზით იგზავნება.

საქონლის შემსყიდველები აღმოსავლეთ თურქეთში აპრილსა და მაისში ყიდულობენ ბატკნებს და თიკნებს, მათ მთელ ზაფხულს ასუქებენ და გამოსაზამთრებლად უტოვებენ მაღალი იალაღების სოფლელებს სათანადო ქირით. შესყიდული ნამატი მეორე ზაფხულისათვის ერთი წლის ხდება და მხოლოდ ამის შემდეგ მიჰყავთ დასავლეთში. ყარსის, ოვაჯიკისა და თეკმანის იაილას მაღალმთიანი ზონის მოსახლეობა, რომელიც ვაჭრებისაგან ქირით აყვანილი საქონლის საზამთრო მოვლა-პატრონობას მისდევს, ზაფხულში თივის მარაგს მოსავლელად აყვანილი საქონლის რაოდენობის მიხედვით იკეთებს.

მესაქონლეობის პროდუქტებით ვაჭრობაში ერთი ასეთი წესი დადგინდა. მსხვილი ვაჭრები გაზაფხულზე ან უფრო ადრე ურიგდებიან მესაქონლეებს და ან ახლადშობილ ნამატს ყიდულობენ ახ დოლამდე აძლევენ წინდაწინ მეპატრონეებს ნამატის საფასურს. ეს არის ე. წ. „ფეშინ ფარა". იგივე მდგომარეობაა კარაქის წარმოებაშიც. ამ გარიგებას საკვლევ მხარეში „სელეფ"-ს უწოდებენ. ეს შეთანხმება მესაქონლეების ინტერესებს არ შეესაბამება და ხშირად მათი სურვილის საწინააღმდეგოდაც იდება, მაგრამ ღარიბი გლეხი, რომელსაც ფული სჭირდება გადასახადის გადასახდელად ან ვალის დასაფარავად იძულებულია ასეთ გარიგებაზე წავიდეს. ამით კი სარგებლობს ვაჭარი, რომელიც დიდ მოგებას ნახულობს[155].

ცოცხალი პირუტყვის გარდა აღმოსავლეთის მესაქონლეობის პროდუქტებიდან, რომელთაც სასაქონლო მნიშვნელობა აქვთ, აღსანიშნავია კარაქი, მატყლი, ტყავეული და ყველი.

მსხვილ მესაქონლეებს, რომელთაც უძნელდებათ ჭარბი პროდუქციის რეალიზაცია საშინაო ბაზარზე ფარული საავაჭრო ურთიერთობანი აქვთ საზღვარგარეთთან (ერაყი, სირია, ირანი). მარტო 1963 წ. აღმოსავლეთიდან ირანში კონტრაბანდით გაყვანილი იქნა 200 ათასი სული ცხვარი[156]. ვანის ვილაიეთის სავეტერინარო სამმართველოს ცნობით, ერაყში და ირანში საკვლევი მხარიდან ყოველწლიურად ფარულად გააქვთ 500 ტ მატყლი[157]. ამას თურქეთის პრესა მესაქონლეთა შემოსავლის იდუმალ წყაროებს უწოდებს.

სასაქონლო წარმოების განვითარებას სოფლის მეურნეობაში აბრკოლებს პროდუქტის ბაზარზე გატანის სირთულე, ამიტომ არის, რომ აღმოსავლეთ თურქეთის რიგ რაიონებში მეურნეობას კარჩაკეტილი ხასიათი აქვს და არ სცილდება ადგილობრივი მოთხოვნილების ფარგლებს. მაგ., არზრუმიდან ანტალიამდე ერთი კგ კარაქის გადაზიდვა საშუალოდ 27 ყურუში ჯდება. კარაქი, რომელსაც მაღალი ფასი აქვს, ამართლებს ამ ზედნადებ ხარჯებს, მაგრამ სხვა პროდუქციის გადატანა ასეთი სატრანსპორტო ხარჯებით არარენტაბელურია.

აღმოსავლეთ თურქეთის იზოლირებულობამ ქვეყნის დასავლეთი და სამხრეთი რაიონებიდან ხელი შეუწყო განცალკევებული საშინაო ბაზრის ფორმირებას საკვლევი მხარის ფარგლებში. რა თქმა უნდა ეს არ გამორიცხავს სასაქონლო პროდუქტის გარკვეული ნაწილის რეალიზაციას რაიონის ფარგლებს გარეთ.

---

155 S. Saraçolu, Op. Cit., s, 478—479.

156 Osman Okyar, Doğunun iktisadi..., s. 10.

157 W. D. Hütteroth, Bergnomaden und Yaylabauern... s. 93,

საქონელგაცვლა აღმოსავლეთის ცალკეულ მხარეთა შორის ეშყარება მათ სამეურნეო სპეციალიზაციას. მესაქონლენი თავისი შრომის პროდუქტების ნაცვლად მიწათმოქმედების პროდუქტებს იძენენ. მაგ., ოვაჯიკის ჩუკურუს (გიაურის მთების დასავლეთი ფერდობები) მოსახლეობა მესაქონლეობითაა დასაქმებული. სურსათ-სანოვაგეს კი არზრუმის დაბლობის სამიწათმოქმედო ზონაში იძენს. ბაშკალეს რაიონიდან (ვანის ვილაიეთი) კარაქი, მატყლი და ტყავი გააქვთ და აუცილებელი კვების პროდუქტები შემოაქვთ. ინტენსიური საქონელგაცვლა წარმოებს მომთაბარე ქურთულ ტომებსა და მიწათმოქმედ გლეხებს შორის. ქურთი ნომადები, რომლებიც ზაფხულობით სინეკ იაილაზე მიერეკებიან თავიანთ ჯოგებს სავაჭრო ურთიერთობაში არიან დოღუ ბაიაზითის (აღრის ვილაიეთი) სოფლებთან, სადაც ჭარბ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას იძენენ[158], ხოლო როდესაც ზამთრის საძოვრებს უბრუნდებიან მარდინის ვილაიეთში მესაქონლეობის პროდუქტებს ადგილობრივ გლეხობას უცვლიან საჭირო სურსათ-სანოვაგეზე[159]. კაგიზმანის მოსახლეობას (ყარსის ვილაიეთი) სუსხიან ზამთარშიც კი ჯორებით ააქვს თეკმანის იაილაზე (არზრუმის ვილაიეთი)თუთის ბექმეზი, ნიგოზი, ვაშლი და სხვა ხილი და აღებული ფულით კარაქს ყიდულობს.

საკვლევი რაიონის ფარგლებში სავაჭრო ოპერაციების მასშტაბების დადგენა შეუძლებელია რადგან, ს. სარაჩოღლუს მოწმობით, არ წარმოებს მათი სტატისტიკური აღრიცხვა. მაგრამ ცნობილია ყოველი რაიონის ტრადიციული სასაქონლო პროდუქტი და მათი შემსყიდველი მხარეებიც. აღმოსავლეთ თავრიდან, რომელიც საბაღო კულტურების სიუხვითაა ცნობილი, ჩრდილო-აღმოსავლეთ ვილაიეთებში გააქვთ ხილი და შემოაქვთ მარცვლეული. ლიჯეს (დიარბაქირი) მკვიდრნი ზამთარ-ზაფხულ ვაჭრობენ არზრუმთან ბექმეზითა და ქიშმიშით. ჰიზანის მხარე (ბითლისი) თავის ხილს მალაზგირტამდე (მუში), მუკუსისა ვანამდე, შემდინლისა (ჰაკიარი) იუკსეკოვაში და ბაშკალეში (ვანი) გზავნიან. სარკინიგზო მიმოსვლის გახსნის შემდეგ მალათიიდან და ელიაზიგიდან იმატა ბოსტნეულისა და ხილის შეტანამ არზრუმისა და ყარსის ვილაიეთებში, რითაც გაქახება მიეცა მებოსტნეობის განვითარებას. ქემალიესა (ერზინჯანი) და არაფკირს (მალათია) ჩრდილო-აღმოსავლეთში ხილის გარდა საკუთარი წარმოების ქსოვილებიც შეაქვს. ერზინჯანის საზამთრო და ნესვი

---

[158] S. Saraçoğlu, Op. Cit., s. 248.

[159] Wolfram Eberhardt, Nomads and Farmers in Southeastern Türkey. Problems of settlement, «Oriens», Leiden, 1953 juns, vol. 6, N 1, p. 37.

მალათიისა და სივასის ბაზრებზე საღდება.ყარსის ვილაიეთის ძოთ-ხოვნილებას საბაღო და ბოსტნეულ კულტურებზე აკმაყოფილებს ჰოროჰის აუზი და პოსოფის ილჩე, ბევრი ხილი შემოდის აგრეთვე კაგიზმანიდან და იგდირიდან, რომლებიც ამავე დროს კარაკოსესა (აღრი) და თეკმანს (არზრუმი) ამარაგებენ. არზრუმში ხილი და ბოსტნეული ისპირიდან (არზრუმის ვილაიეთი) იუსუფელიდან (ართვინი) და თორთუმიდან (არზრუმის ვილაიეთი) შემოაქვთ, ვანის ტბის აუზი ხილს გზავნის ბულანიკში და მალაზგირტში (მუში), კარაკოსეში (აღრი) და სარიყამიშში (ყარსი). გიოლესა და არდაჰანს (ყარსი) სამშენებლო მასალები შეაქვს მუშსა და ვანში. ადიამანის ძთის რაიონებიდან მალათიაში გააქვთ თუთუნი, კარაქი, მატყლი და ტყავეული, ურფაში კი ხილი და ბექმეზი. აღმოსავლეთი თავრის დასავლეთი ნაწილის სოფლები ლეღვით, ბროწეულით, კარაქითა და ცოცხალი პირუტყვით (უმეტესად თიკნები) ვაჭრობენ ელიაზიგში, მადენსა (ელიაზიგის ვილაიეთი) და სივერეკში (ურფა). ბითლისის ვილაიეთის სამხრეთ-დასავლეთი სოფლები (განსაკუთრებით სოფლები ჰომაჩ დუზიუ და ზივზიკი) განთქმულია კაკლისა და ხილის სიუხვით, მათ შესასყიდათ ვაჭრები მუშიდან, ვანიდან, დიარბაქირიდან და ნუსაიბინიდან (მარდინი) მოდიან. ბეითუშებაფი (ჰაკიარი) საკაჭრო ურთიერთობაშია სიირთსა და ჯიზრესთან (მარდინი), ჩოლემერიკი და შემდინლი (ჰაკიარი) კი ვანთან, სადაც ცოტაოდენი ხილი და კარაქი მიაქვთ. იგდირის ველიდან ხილი მიაქვთ ყარსში, აღრისა და არზრუმში.

ხორბლის წარმოება საკვლევ მხარეში (გაზიანთეფის, დიარბაქირის, ურფასა და მარდინის გამოკლებით) ჩამორჩება მოხმარებას. გამონაკლისს შეადგენენ მუშისა და ბულანიკის ვაკეების სამიწათმოქმედო მეურნეობანი, რომლებიც აუცილებელ პროდუქტზე ნამეტ ხორბალს მეზობელ რაიონებში ასაღებენ. მატულობს ხორბლის მოსავალი ყარსის დაბლობზე, რაზეც მეტყველებს მიწათმოქმედების პროდუქტების სამმართველოს მიერ ხორბლის შესყიდვის ზრდა ამ რაიონში; ამრიგად ყარსი ხორბლის ექსპორტიორი გახდა.

შავიზღვისპირეთის ზონა აღმოსავლეთის შიდა რაიონებს აწვდის თავისი შრომის ისეთ მნიშვნელოვან პროდუქტებს, როგორიცაა მანდარინი, ფორთოხალი, ლიმონი, ვაშლი, თამბაქო და ჩაი. აღებული ფულით გლეხობა ძირითადად სიმინდს ყიდულობს. მაგრამ საქონელგაცვლა მეტწილად სახელმწიფო ორგანოებისაგან მალულად ხდება, რადგან თამბაქოსა და ჩაის შესყიდვა მონოპოლიზირებული აქვს მიწათმოქმედების პროდუქტების სამმართველოს. გლეხობას, რომ-

ელიც თავისუფალ ვაჭრობაში მეტ სარგებლობას ხედავს. შეიარაღებული რაზმების დაცვით ფარულად გააქვს თამბაქო და ჩაი აღმოსავლეთის სხვა ვილაიეთებში. კონტრაბანდისტებს სისხლისმღვრელი შეტაკებები აქვთ პოლიცია-ჟანდარმერიის ოპერატიულ ჯგუფებთან და საგუშაგოებთან პონტოს ქედის გადასასვლელებზე. ამ ბრძოლებს მრავალი ადამიანის სიცოცხლე ეწირება. თურქული პერიოდიკა ხშირად სთავაზობს თავის მკითხველებს ასეთ შემთხვევათა დაწვრილებით აღწერებს.

ბეითუშებაფისა და შემდინლის ე. წ. „დოღუ თუთუნლერი"-ს ჯიშის თამბაქო მართალია ოდნავ უხეშია, მაგრამ მალათიის თამბაქოს ფაბრიკასა და ბითლისის ატელიეში სპეციალური გადამუშავების შემდეგ რეალიზაციისათვის გამოსადეგი ხდება. იგდირისა და ელიაზიგის დაბლობებზე, ჩერმიკსა და ლიჯეში მოყვანილი ბამბის ბაზაზე მუშაობენ მალათიისა და ერზინჯანის ძაფსართავი ფაბრიკები.

სასაქონლო პროდუქციის წარმოებას საკვლევ მხარეში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ქალაქებსა და სამიმოსვლო გზებთან ახლო მდებარე დასახლებულ პუნქტებში. ბაზრის სიახლოვე და საქონლის ტრანსპორტირების ხელსაყრელი პირობები სტიმულს აძლევენ აღებმიცემობის განვითარებას კაპიტალისტურ საფუძველზე, სასოფლო-სამეურნეო წარმოების დაქვემდებარებას ბაზრის მოთხოვნილებისადმი.

გლეხობის საშოვარზე წასვლა. სათესი მიწების სიმცირე, აგრარული გადამეტსახლება, ცხოვრების დაბალი დონე, მემამულეთა და ბობოლების ძალმომრეობა, კვების პროდუქტების სისტემატური უკმარისობა აიძულებს გლეხებს სამუდამოდ ან დროებით მაინც მიატოვონ სოფელი. აღმოსავლეთ თურქეთის გლეხობის ნაწილმა სამუდამოდ დასტოვა მშობლიური მხარე და ქვეყნის სხვა რაიონებში გადასახლდა ან ბედის საძიებლად უცხოეთში წავიდა, ნაწილი კი სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების მომთავრების შემდეგ საშოვარზე (გურბეთ) მიდის თურქეთის განვითარებულ რაიონებში იმ მიზნით, რომ გაყიდოს თავისი სამუშაო ძალა და აუცილებელი სარჩო მიაწოდოს ოჯახს. საშოვარზე წასვლა აღმოსავლეთისათვის სიახლეს არ წარმოადგენს. პირველი მსოფლიო ომის წინ რუსი პუბლიცისტი ი. გოლობოროდკო აღმოსავლეთი ვილაიეთების მოსახლეობის თურქეთის სხვა რაიონებში გურბეთზე წასვლის პრობლემას რომ ეხებოდა, წერდა: „მოდიან ისინი არტელებად და არჩეული მამასახლისებით და სამუშაოდ დგებიან მემამულეებთან მთელი თავისი არტელით

ნაღდი ფულის ან მოსავლის ანგარიშში. მოდიან მომკელები., მთიბავები, მიწის მთხრელები— ეს არის მიწათმოქმედთა უღარიბესი ფენა, რომელიც დიდ სიდუხჭირეში ცხოვრობს. შემდეგ ეს არმია უბრუნდება თავის საცოდავ მიწურებს, მემამულის მოსავლიდან მიღებული ნამცეცებით იკვებება და მოსავლის ახალ აღებამდე ნახევრად შიმშილობს"[160].



სურ. 2. აღმოსავლეთ თურქეთიდან გლეხობის საშოვარზე წასვლისა და შინამიგრაციის მიმართულება

აღმოსავლეთის ყოველ ვილაიეთს გურბეთისა და შინამიგრაციის ტრადიციულად დადგენილი მარშრუტი აქვს. „შავიზღვისპირეთი და სამხრეთ-აღმოსავლეთი,—წერს ქემალ კარპატი.—იქცნენ მუშახელის მუდმივ წყაროებად. მოუსავლიან წლებში კი ეს პროცესი გაცილებით იზრდება. შავიზღვისპირეთის მოსახლეობა უმეტესად სტამბოლსა და სხვა საპორტო ქალაქებს ეტანება. სამხრეთ-აღმოსავლეთისა კი ჩუკუროვას"[161]. აღმოსავლეთიდან ქვეყნის სხვა რაიონებისაკენ მოსახლეობის ლტოლვას სხვა მიზეზებთან ერთად განაპირობებს საკვლევ მხარეში სამრეწველო საწარმოთა სიმცირე. მოსახლეობის მიგრაციის შეზღუდვისათვის აუცილებელია აღმოსავლეთში მრეწველობის განვითარება. „აღმოსავლეთის ზოგ რაიონში,—წერს ს. სარაჩოღლუ.— ზამთარი ექვს თვეზე მეტს გრძელდება, გარე სამყაროსთან კავშირი წყდება და გლეხი უსაქმოდ ზის. აქ რომ ინდუსტრია (კონსერვების, რძის, კარაქის, ყველის წარმოება, შაქრის ჭარ-

---

160 იხ. ო. გ ი ბ ი ნ ე ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 114—115.

161 K e m a l K a r p a t, Memleketimizde şehirlere nüfus akını, «Forum», Ankara, sayı 142, 15 Şubat 1960, s. 7.

ხლის მოყვანა და გადამუშავება, საფეიქრო მრეწველობა, ხალიჩების გამოშვება, ოქრომჭედლობა და სხვ.) განვითარდეს, დიდძალი იაფი მუშახელის პოვნა მუდამ იქნება შესაძლებელი. წიაღისეულის დამუშავებაც საშუალებას მოგვცემს მეტი მოსახლეობა ვასაზრდოოთ და გლეხობა სხვაგან აღარ ვაიქცევაო"[162] ამ მოსაზრებას იზიარებს აგრეთვე ცნობილი თურქი სტატისტიკოსი და ეკონომისტი დოქტორი ჰალუკ ჯილოვი,- „სხვა ვილაიეთებისაკენ მოსახლეობის ლტოლვა,—აღნიშნავს იგი,- -ეკონომიური პირობებით აიხსნება. აღმოსავლეთის ვილაიეთებში ცოტაა დასამუშავებლად ვარგისი მიწები და სამრეწველო საწარმოები, რომლებიც მოსახლეობას არსებობის საშუალებას მისცემდნენო"[163]. „გლეხობა დიდ სამრეწველო ცენტრებს ან განვითარებულ სასოფლო-სამეურნეო რაიონებს აწყდება უწინარეს ყოვლისა ტრაპიზონის, რიზეს, მალათიის, არზრუმის, ერზინჯანის და ორდუს ვილაიეთებიდან, რაც მტკიცდება 1950 წ. ჩატარებული მოსახლეობის აღწერის მასალებით[164] (იხ. ცხრილი 22).

ცხრილი 22

მოსახლეობის მიგრაცია საკვლევი მხარის ზოგიერთი ვილაიეთის მიხედვით[165]

ვილაიეთები	მოსახლეობა მუდმივი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით (ათასი)	მოსახლეობა დაბადების ადგილის მიხედვით (ათასი)
ტრაპიზონი	440	506
მალათია	480	504
რიზე	183	247
არზრუმი	450	467
ერზინჯანი	200	214
ორდუ	370	383

ე. ი. 1950 წლისათვის მშობლიური კუთხე მიტოვებული ჰქონია 66 ათას ტრაპიზონელს, 64 ათას რიზელს, 24 ათას მალათიელს, 17 ათას არზრუმელს, 14 ათას ერზინჯანელს და 13 ათას ორდუელს.

---

[162] S. Saraçoğlu, Op. Cit., s. 341.

[163] Halûk Cillov, Nüfus istatistikleri ve demografinin genel esasları. Istanbul, 1960, s. 435.

[164] მოსახლეობის სხვა, მათ შორის მომდევნო, აღწერებიდან განსხვავებით 1950 წ. სააღრიცხვო ანკეტებში შეტანილი იქნა სპეციალური მუხლი პიროვნების დაბადებისა და მუდმივი საცხოვრებელი ადგილის დასადგენად.

[165] Halûk Cillov, Op. Cit., s. 432—434.

ძალათიის თავროსის მოსახლეობა ადანასა და სტამბოლს ეტანება. ირგათლი-გლეხები იქ დარჯებად და მტვირთავებად მუშაობენ და სოფელთან ურთიერთობას არ სწყვეტენ. ჩვეულებრივ ერთი ძმა ძიდის, მეორე კი სოფლად რჩება და საქმეებს უძღვება. ელიაზიგის ვილაიეთის მცხოვრებნი ყოველ წელს საშოვარზე მადენში (ელიაზიგის ვილაიეთი) და დიარბაქირში, უმეტესად კი ჩუქუროვასა და სტამბოლში მიდიან[166]. „სათესი მიწებისა და სამუშაოთა მოცულობის სიმცირე,—წერს „ულუსი",—ყოველ წელს ათეულ ათასობით რიზელს აიძულებს დროებით ან მუდმივ მუშად სხვა ვილაიეთებში წავიდესო"[167]. ორდუს მთის ზონის სოფლელები (განსაკუთრებით ძესუდიეს ილჩედან) ზამთრობით ბარად ჩამოდიან საარსებო საშუალებათა საძიებლად და სხვის მამულში მუშაობენ[168]. ტრაპიზონში როგორც ქალაქში ისე ნავსადგურში ბარგის მზიდავებად, მტვირთავებად, მეურმეებად, მოჯამაგირეებად და ყველა სხვა შავ სამუშაოზე გიუმუშანელი (კელკითი, შირანი, ბაიბურთი) გლეხები მუშაობენ ტრაპიზონელი გლეხები კი სხვაგან ამჯობინებენ წასვლას, რადგან ტრაპიზონის ვალის იუსუფ მაზჰარ არენის თქმით, „ტრაბზონელი გლეხი ძალზე ამაყია, იგი ნახევრად მშიერი ივლის, თავისი მეზობლებისა და ნათესავების თვალწინ კი დამამცირებელ საქმეს ხელს არ მოკიდებსო". იქ სადაც მას არავინ არ იცნობს ტრაპიზონელი გლეხი არავითარ საქმეს არ თაკილობს. გურბეთში მიმავალთა შეტი წილი ზონგულდაქ-ერეგლის ქვანახშირის მაღაროებში მუშაობენ, მაგრამ მცირე გასამრჯელოს იღებენ და ხშირად ხელცარიელი ბრუნდებიან შინ[169]. გიუმუშანელი გლეხები გარდა ტრაპიზონისა, გირესუნსა და სამსუნში მუშაობენ,[170] გირესუნელები კი სტამბოლსა და ზონგულდაქში[171].. ელიაზიგის ვილაიეთის ზოგიერთი სოფლიდან ზამთრის თვეებში მამაკაცთა 80-90% მიდის საშოვარზე თარსუსში, მერსინსა და ადანაში, ზოგ მათგანს ოჯახიც მიჰყავს თან და გაზაფხულზე უბრუნდება გაცეებულ კერას[172].

ბოლო წლებში აღმოსავლეთის მოსახლეობა უცხოეთშიც კი მიდის საშოვარზე. „იენი საბაჰი" წერდა 1963 წლის დასასრულს, რომ

---

166 S. Saraçoğlu, Op. Cit., s. 52; 59.

167 Rizelilerin en büyük emeli, «Ulus», 7 Ocak 1950.

168 Orduda açlık iddiası yalan, «Ulus», 7 Şubat 1950.

169 Yusuf Mazhar Aren, Trabzonun halkı bünyesi zayıf insanlardır. «Cumhuriyet», 13 Mart 1947.

170 «Zafer», 5 Eylûl 1951.

171 «Ulus», 27 Şubat 1953.

172 Nermin Erdentuğ, Hal Köyünün..., s. 7.

ელიაზიგის ვილაიეთის 146 მცხოვრებმა, რომლებმაც უცხოეთში საშუშაოდ წასვლის სურვილი გამოთქვეს, მიიღო საზღვარგარეთის პასპორტები. ამათგან 100 კაცი დასავლეთ გერმანიაში გაემგზავრება, 46 კი ბელგიაშიო. ამათ გარდა 1964 წლის იანვარში 135 კაცი უნდა გამგზავრებულიყო დასავლეთ გერმანიაში და 25 ბელგიაში[174].

ძნელია იმის დადგენა, თუ ყოველწლიურად რამდენი გლეხი მიდის საშოვარზე საკვლევი მხარიდან. რადგან თურქეთის ოფიციალური სტატისტიკა ამის აღრიცხვას არ აწარმოებს. ცნობები გლეხობის საშოვარზე წასვლის თაობაზე შეგროვილი იქნა მხოლოდ 1949 წელს მოსახლეობის საცდელი სასოფლო-სამეურნეო აღწერისას. აღწერის მასალების მეცნიერული ანალიზი დიდ დახმარებას გვიწევს აღმოსავლეთის სოფელში დამკვიდრებული საწარმოო ურთიერთობათა კვლევისას.

როგორც აღწერით დადგინდა, აღმოსავლეთ თურქეთის 4493 სოფლიდან 1949 წელს საშოვარზე წასულა 170. 533 გლეხი, რომელთაც სოფლის გარეთ—გურბეთში დაჰყვეს 25. 678. 693 სამუშაო დღე [174]. საშოვარზე წასულთა მრავალრიცხოვნებით გამოირჩეოდნენ ვილაიეთები—ტრაპიზონი (426 სოფლიდან 25. 856 გლეხი 4. 676. 951 დღით), ორდუ (310 სოფლიდან 18. 658 გლეხი 2. 544. 580 დღით), რიზე (265 სოფლიდან 16. 087 გლეხი 3. 362. 219 დღით), მალათია (276 სოფლიდან 13. 581 გლეხი 1. 679. 223 დღით), გიუმუშანე (444 სოფლიდან 12. 996 გლეხი 2. 216. 355 დღით), გირესუნი (364 სოფლიდან 12. 975 გლეხი 2. 972. 555 დღით) და არზრუმი (341 სოფლიდან 10. 588 გლეხი 1. 535. 226 დღით).

აღმოსავლეთიდან ქვეყნის სხვა რაიონებისაკენ გლეხობის ძალობრივი ლტოლვა სამუშაო ძალის გასაყიდათ აიძულებს საკვლევი მხარის მემამულეებსა და კულაკებს თავის მამულში მოზიარე გლეხის ნაცვლად სხვა ვილაიეთებიდან მოსული გლეხების დაქირავებული შრომა გამოიყენონ. მაგ., 1949 წელს აღრის ვილაიეთიდან საშოვარზე 316 გლეხი წავიდა, ადგილობრივ შეძლებულთა მეურნეობებში კი სხვა რაიონებიდან საშოვარზე მოსული 1207 გლეხი მუშაობდა, დიარბაქირში შესაბამისად 3253 და 3596, გაზიანთეფში 4243 და 11. 342, ყარსში 6158 და 20. 151, ვანში 1097 და 2255, ერფაში 716 და 1568 და ა. შ. სულ 1949 წელს აღმოსავლეთ ვილაიეთების 1031 სოფელში საშოვარზე მოვიდა 70.574 გლეხი.

---

[173] «Yeni Sabah», 29 Aralık 1963.

[174] «1949 Köy Sayımı Hulâsa Sonuçları», yayın N 341. Ankara, 1953, s. 22—82.

სასოფლო-სამეურნეო მუშახელის მოძრაობა ძირს უთხრის მოზიარეობისა და შრომამიგების კაბალურ ფორმებს და ხელს უწყობს კაპიტალისტურ ურთიერთობათა განვითარებას საკვლევ მხარეში.

3. თურქეთის ცენტრალური ხელისუფლება და აღმოსავლეთ ვილაიეთების კულტურულ-ეკონომიური განვითარების პროგლემა

აღმოსავლეთი თურქეთი რესპუბლიკურ მთავრობას წლების მანძილზე მივიწყებული ჰქონდა. საკმარისია ითქვას, რომ თურქეთში რესპუბლიკური წყობის დამყარებიდან (1923 წ. ოქტომბერი) მეორე მსოფლიო ომის დასასრულამდე ცენტრალურ ხელისუფლებას არავითარი ზომები არ მიუღია საკვლევი მხარის კულტურულ-ეკონომიური დონის წამოსაწევად. სახალხო-რესპუბლიკური პარტიის მთავრობის (იგი ხელისუფლების სათავეში იდგა 1923-1950 წწ. 27 წლის მაძილზე) უმოქმედობასა და უყურადღებობას მისი ერთ-ერთი წარმომადგენელი ყოფილი პრემიერის მოადგილე და კეთილმოწყობის მინისტრი ნიჰათ ერიმი შემდეგი „მიზეზებით" ხსნის: „ძველ ხელისუფლებას (ე. ი. რესპუბლიკელთა მთავრობას—ნ. კ.) კარგად ესმოდა, რომ აღმოსავლეთი ვილაიეთები ქვეყნის სხვა მხარეებთან შედარებით მეტ ყურადღებასა და მხარდაჭერას საჭიროებდნენ. მთავრობამ შეისწავლა მათი საჭიროებანი და მწუხარებანი, მაგრამ ამ რაიონში ერთი მეორეს მიყოლებით სამი აჯანყების აფეთქებამ (ავტორს მხედველობაში აქვს ქურთთა ტომების აჯანყება თურქეთში 1925, 1931-1932 და 1937 წლებში—ნ.კ.) ჩაშალა მთავრობის გეგმები. სახელმწიფომ უწინარეს ყოვლისა მიიღო ზომები ქვეყნის მთლიანობისა და უშიშროების დასაცავად. უკანასკნელი აჯანყების ჩახშობის შემდეგ ორი წელიც არ იყო გასული, რომ დაიწყო მეორე მსოფლიო ომი... მხოლოდ მისი დამთავრების შემდეგ გახდა შესაძლებელი ქვეყნის აღმოსავლეთის განვითარებისათვის სწრაფი მუშაობის დაწყება"[175].

ყოფილი სახელმწიფო მოღვაწის მიერ მოყვანილი „მოტივები" მოკლებულია დამაჯერებლობას თუნდაც იმიტომ, რომ თურქეთი, როგორც ნეიტრალური სახელმწიფო მეორე მსოფლიო ომში არ მონაწილეობდა და მთავრობას, ამის სურვილი რომ ჰქონოდა, შეეძლო აღმოსავლეთისათვის აუცილებელი სახსრები გამოენახა.

აღმოსავლეთით მთავრობა დაინტერესდა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. ჩვენი დასკვნით ამაში გადამწყვეტი დამსახურება მიუძღ-

---

[175] Nihat Erim, Doğu illere ait, «Ulus», 23 Ağustos 1952.

ვის საკვლევი მხარის სტრატეგიულ მონაცემებს. კერძოდ. მის სიახლოვეს საბჭოთა კავშირთან. ამერიკის შეერთებული შტატების მხედრობის, რომელიც ახალი მსოფლიო ომის ფსიქოზს აღვივებს. სურს თურქეთი ჩაითრიოს საბედისწერო სამხედრო ავანტიურაში და მისი ტერიტორია გამოიყენოს პლაცდარმად სსრ კავშირის წინააღმდეგ. პენტაგონის საომარი სამზადისისათვის აუცილებელი იყო საგზაო კომუნიკაციების დაჩქარებული მშენებლობა მთელ აღმოსავლეთ თურქეთში, რომლებიც ხმელთაშუა ზღვას შავ ზღვასთან. ხოლო ქვეყნის შიდა რაიონებს საზღვისპირა ზონასთან დააკავშირებდა. ამაზე მიგვითითებენ შემდეგი მონაცემები.

1947 წლის 12 მარტს ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ოფიციალურად გამოაცხადეს „ტრუმენის დოქტრინა" თურქეთისა და საბერძნეთისათვის „დახმარების" აღმოჩენის თაობაზე. არავისათვის არ წარმოადგენდა საიდუმლოებას, რომ თურქეთზე არჩევანი მეჩერდა იმიტომ, რომ, როგორც ამერიკელები აღნიშნავდნენ. იყო „სტრატეგიულ კარიბჭეს" წარმოადგენდა სოციალისტური ბანაკის მისადგომებთან. დოქტრინის გამოცხადებიდან რამდენიმე კვირის შემდეგ „ჯუმჰურიეთმა" აუწყა თავის მკითხველებს, რომ თურქეთის მთავრობამ 50 ინსპექტორი გაგზავნა აღმოსავლეთ ვილაიეთებში „მდგომარეობის შესასწავლად". ინსპექტორებს დაევალათ მთავრობისათვის ვრცელი მოხსენებითი ბარათების წარმოდგენა. რომელიც საფუძველზე შემდგომ შემუშავდებოდა „რეფორმების პროგრამა"[176]. 1947 წლის ივლისში უკვე ხელმოწერილი იქნა აშშ-თურქეთის შეთანხმება „დახმარების" შესახებ და თურქეთმა მიიღო პირველი სესხი 100 მლნ დოლარის რაოდენობით. ამ თანხიდან 20 მლნ დოლარი სტრატეგიული გზებისა და ნავსადგურების მშენებლობაზე უნდა დახარჯულიყო[177].

შეთანხმების მიღწევის შემდეგ გახშირდა თურქეთის ოფიციალური პირებისა და მათი ამერიკელი „მრჩევლების" საინსპექციო ვიზიტები აღმოსავლეთ ვილაიეთებში. 1948 წ. ზემომოხსენიებულმა ნიჰათ ერიმმა სხვა მინისტრებთან ერთად საკვლევ მხარეში ხანგრძლივი მოგზაურობიდან დაბრუნების შემდეგ მთავრობას წარუდგინა საერთო მოხსენებითი ბარათი, რომლის საფუძველზე მინისტრთა

---

[176] Doğuda yapilacak islahat, «Cumhuriyet», 12 Haziran 1917.

[177] А. Ф. Миллер, Очерки новейшей истории Турции. Москва. 1948, стр. 228.

საჭვომ დაადგინა „აღმოსავლეთის აღორძინების პროგრამის“[178] სასწრაფო შემუშავება. როგორც პირადად ნ. ერიმი აღნიშნავს. ამ პროგრამაში გზების ვაყვანის გარდა გათვალისწინებული იყო ფარაონ



სურ. 3. აღმოსავლეთ თურქეთში გზების მშენებლობის სამწლიანი პროგრამა (1949—1951)

ღონისძიებების დასახვა განათლების, ჯანდაცვისა და სოფლის მეურნეობის წამოსაწევად და 3 წელიწადში მათი სრული განხორციელება[179], მაგრამ მიღებული პროგრამის გამოქვეყნების შემდეგ გა-

[178] «Doğu Kalkınması Programı».
[179] «Ulus», 23 Ağustos 1952.

მოირკვა, რომ იგი საკვლევ მხარეში ძირითადად საგზაო მშენებლობის გაშლას ითვალისწინებდა.

პროგრამის მიხედვით, აღმოსავლეთში უნდა აგებულიყო შემდეგი ახალი გზები: 1. გაზიანთეფი—ურფა—დიარბაქირი, 2. სიირთი—ერუჰი—შირნაკი — ბეითუშებაფი—ჰაკიარი, 3. მარდინი—სავური—მიდიათი—ჯიზრე—შირნაკი, 4. ჰაკიარი—ვანი, 5. ელიაზიგი—მუში, 6. ბინგიოლი—ერზინჯანი—არზრუმი, 7. მუში—თათვანი, 8. მუში—ჰინისი—არზრუმი, 9. ვანი—ერჯიში—პატხოსი—თუთაკი—აღრი, 10. რიზე—ისპირი—არზრუმი, 11. შავშათი—ისპირი—არზრუმი, 12. არზრუმი—იუსუფელი—ჭოროჰი—ჰოფა, 13. ჭოროჰი—არდაჰანი—გიოლე—ყარსი, 14. ყარსი—სარიყამიში, 15. სარიყამაში—იგდირი განშტოებით აღრიმდე და 16. იგდირი—დოღუბაიაზითი—ერჯიში[180].

როგორც ვხედავთ, გეგმა დიდის სამუშაოების შესრულებას ითვალისწინებდა სსრკ—თურქეთის საზღვრის სიახლოვეს, რასაც უეჭველად სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა. ამის შესახებ გაზეთი „ისტანბული" პირდაპირ წერდა „აღმოსავლეთში ჩქარი ტემპებით მიმდინარეობს ს ტ რ ა ტ ე გ ი უ ლ ი (ხაზგასმა ჩვენია—ნ. კ.) და ეკონომიური გზების მშენებლობაო"[181]. მშენებლობას ამერიკელი სპეციალისტები ხელმძღვანელობდნენ, ტექნიკა და ფულადი სახსრებიც ოკეანის გაღმიდან მოვიდა[182]. პროგრამის შედგენაში კი საქმიანი მონაწილეობა მიიღო აშშ-ს გზების ფედერალური სამმართველოს უფროსის მოადგილემ მ. ჰილტსმა[183].

გზების მშენებლობის პროგრამის განხორციელება დაიწყო 1949 წელს და 1950 წლის მაისამდე გაგრძელდა. 2 წლის მანძილზე ჰაკიარი ვანს, ვანი აღრის, ურფა დიარბაქირს, რიზე ისპირის გავლით არზრუმს დაუკავშირდა[184].

ნ. ერიმის მოწმობით, 1949 წელს გზების მშენებლობისათვის ბიუჯეტში გამოყოფილი იქნა 10 მლნ ლირა, 1950 წ.—13 მლნ ლირა, 1951 წლისათვის ნავარაუდევი იყო 50 მლნ ლირის ასიგნება[185], მაგრამ სახალხო-რესპუბლიკურ პარტიას აღარ დასცალდა. 1950 წ. მაისში მეჯლისის არჩევნებში მან სასტიკი მარცხი განიცადა და სახელმწიფო საჭე ოპოზიციურ „დემოკრატიულ" პარტიას გადააბარა, რომელმაც სოციალურ-პოლიტიკური დემაგოგიით და ბუნდოვანი და-

---

180 Ibidem.

181 «Istanbul», 9 Ağustos 1949.

182 «Ulus», 23 Ağustos 1952.

183 «Ulus», 6 Nisan 1950.

184 «Ulus», 15 Ekim 1950.

185 «Ulus», 16 Şubat 1950.

პირებებით შეძლო ამომრჩეველთა მიმხრობა. მოკიშპე პარტიისადმი სიძულვილით დაბრმავებულმა ახალმა მმართველმა პარტიამ „ძველი ხელისუფლების" სხვა წამოწყებებთან ერთად აკრძალა „აღმოსავლეთის აღორძინების პროგრამის" განხორციელება იმ მოტივით, რომ თურქეთი ერთიანი ქვეყანაა და მისი ცალკეულ კუთხეებად დაყოფა და მათთვის განსხვავებული პრივილეგიების მინიჭება ვითომდა ეწინააღმდეგებოდა სახელმწიფოებრივი მთლიანობისა და განუყოფლობის კონცეფციას.

მაგრამ მთავრობა არც ფიქრობდა ხელის აღებას საგზაო მშენებლობაზე საზღვრისპირა ზონაში. პირიქით, მან ბრალი დასდო ძველ მთავრობას იმაში, რომ იგი არაორგანიზებულად აწარმოებდა სამუშაოებს ყოველგვარი გეგმებისა და ფინანსიურ საშუალებათა მაქსიმალური მობილიზების გარეშე. „დემოკრატთა" კეთილმოწყობის მინისტრი ქემალ ზეითინოღლუ ოფიციოზურ „ზაფერში" წერდა: „იმ გზების საერთო სიგრძე, რომელთა აგება აღმოსავლეთში რესპუბლიკელებს ჰქონდათ გათვალისწინებული 2500 კმ ჭარბობს, რისთვისაც 150 მლნ ლირა იყო საჭირო, ე. ი. ყოველწლიურად ბიუჯეტიდან 50 მილიონის ასიგნება, რადგან პროგრამა 3 წელიწადში უნდა შესრულებულიყო. 1949 წელს „აღმოსავლეთის გზების პროგრამის" განხორციელებისათვის გამოყოფილი იქნა 5. 100. 000 ლირა (და არა 10 მლნ. როგორც ნ. ერიმი აღნიშნავს—ნ. კ.), ხოლო 1950 წლის ბიუჯეტში, რომელიც ასევე რესპუბლიკელთა მიერ იყო შედგენილი, 6. 220. 000 ლირა (და არა 13 მლნ—ნ.კ.). ამრიგად 2 წელიწადში ე. ი. პროგრამის შესრულებაზე გამოყოფილი დროის ორ მესამედში. ამ მიზნებისათვის მთავრობამ გამოყო საჭირო თანხის (150 მლნ) მხოლოდ 7,6%. ამ ტემპით საგზაო მშენებლობის პროგრამა განხორციელდებოდა არა 3 წელიწადში, არამედ მხოლოდ 26 წელიწადში"[186].

აღმოსავლეთში გზების მშენებლობა გაგრძელდა ევროპის სტანდარტების მიხედვით, მაგრამ არა სპეციალური, არამედ საერთო-სახელმწიფოებრივი გეგმის ფარგლებში. საგრძნობლად დაჩქარდა დიარბაქირ-ჯიზრე, გაზიანთეფ-კარკამიშ, ჰორასან-სარიყამიშ, გენჩ-მუშ—თათვანის რკინიგზების მშენებლობა, გრძელდებოდა პასინლერ—ჰინის—მუშის, აღრი—ერჯიშ—ვანის შოსეების მშენებლობა, დამთავრდა ელიზიგ-ბინგიოლის, ბითლის—მუშის გზები. დაიწყო ურფა—მარდინის, მარდინ—ჯიზრეს გზების გაყვანა[187].

---

[186] Doğu Yolları Programı». Zafer», 9 Eylûl 1953.

[187] «Akşam», 19 Ağustos 1953.

მხოლოდ 1952—1953 წლებში სახელმწიფო ბიუჯეტების საგზაო პროგრამებში აღმოსავლეთის გზებისათვის გამოყოფილი და ათვისებული იქნა 24 მლნ ლირა, დიდი ყურადღება დაეთმო სამუშაოთა მექანიზაციას. საგზაო მშენებლობათა ხელმძღვანელობა დაეკისრა სპეციალურად შექმნილ მეთერთმეტე რაიონის საგზაო სამმართველოს, რომლის ცენტრი ქ. ვანში იყო.

„დემოკრატთა" მმართველობის წლებში (1950—1960 წწ) საგზაო მშენებლობას საკვლევ მხარეში უფრო ორგანიზებული ხასიათი მიეცა და ამისი მიზეზები გასაგებია—თურქეთი ჯერ „ნატოს", ხოლო შემდეგ „სენტოს" სამხედრო-პოლიტიკური კავშირების წევრი გახდა და გარკვეული მოვალეობანი იკისრა იმპერიალისტური სამყაროს წინაშე.

სტრატეგიული გზების მშენებლობამ გარკვეული დაღი დაასვა აღმოსავლეთ თურქეთის სოციალურ-ეკონომიურ ცხოვრებას. სამიმოსვლო საშუალებათა განვითარებამ ხელი შეუწყო შიდარაიონული კონტაქტებისა და განვითარებულ რაიონებთან კავშირურთიერთობის გაფართოებას, ქვეყნის საშინაო ბაზრის სისტემაში აღმოსავლეთის ხვედრითი წილის ზრდას; ბიძგი მიეცა საწარმოო ძალთა წინსვლას, მეურნეობის წარმოების კაპიტალისტური ფორმების დამკვიდრება—სრულყოფას.

„როგორც „რესპუბლიკელთა", ისე „დემოკრატთა" მთავრობები ხაკლებ დაინტერესებული იყვნენ აღმოსავლეთი ვილაიეთების კონკრეტული სოციალურ-ეკონომიური პრობლემებით. რაც მმართველ და ოპოზიციურ პარტიებს შორის გაუთავებელ დემაგოგიურ „კონფლიქტებს" იწვევდა და პოლიტიკური სპეკულაციისათვის ერთ-ერთი ნაცადი თემა იყო[188]. ქაღალდზე რჩებოდა ის გადაწყვეტილებებიც, რომლებიც საკვლევი ტერიტორიის სამეურნეო ცხოვრებას ეხებოდა. კერძოდ, 1959 წლის დასაწყისში მმართველმა „დემოკრატიულმა" პარტიამ გამოაცხადა რომ შემუშავებული იქნა სოფლის მეურნეობის, სახელდობრ, აღმოსავლეთში მეცხოველეობის აღმავლობის ათწლიანი პროგრამა, იგი დაიბეჭდა კიდეც პრესაში. მაგრამ ლიტონი დაპირება აღმოჩნდა. „პროგრამის გამოქვეყნებიდან ნახევარ

---

[188] იხ. მაგალითად, «Iklisadi kalkınma», 1958 bülçe müzakerelerinde C. H. P. milletvekillerinin yaptıkarı tenkit ve tekliflerden özetler. C. H. P. Genel Sekreterliği Araştırma ve Dökümantasyon Bürosu. Yayin N 3, Ankara, 1958; აგრეთვე Ali Riza Erem. Doğ u Kalkınma Programı. «Yeni Ulus», 10. Mart 1954.

წელზე მეტი გავიდა, — წერდა თურქი ავტორი. — მაგრამ ჯერჯერობით არავინ ცდილობს მის განხორციელებას. გლეხებმა არც კი იციან მისი არსებობა. როგორც ჩანს ახალი პროგრამა მმართველი პარტიის მხოლოდ დემაგოგიური ჟესტია ამომრჩეველთა შეცდომაში შესაყვანად მეჯლისის მომავალ არჩევნებთან დაკავშირებით"[189].

1960 წლის 27 მაისის სამხედრო გადატრიალების შემდეგ კვლავ დადგა დღის წესრიგში აღმოსავლეთის გადაუჭრელი პრობლემატიკა. ახალარჩეული მეჯლისის 40-მდე დეპუტატმა სახალხო-რესპუბლიკური პარტიიდან პარტიის საპარლამენტო ჯგუფის ხელმძღვანელობას წინადადება მისცა შეექმნა 7 კაციანი კომისია აღმოსავლეთ ვილაიეთების კულტურულ-ეკონომიური წინსვლის პროგრამის შესამუშავებლად „რადგან ეს ჩვენი პარტიის ძველთაგან ცნობილი მიზანი და ნატვრაა (?!)". კომისიას უნდა მოემზადებინა და მეჯლისისათვის განსახილველად წარედგინა სათანადო კანონპროექტები[190]. უკვე 1962 წლის დასაწყისში აღმოსავლეთს ეწვია სახელმწიფო საგეგმო კომისიის განყოფილებათა ხელმძღვანელებისა და სპეციალისტებისაგან შემდგარი კომისია, რომელსაც დავალებული ჰქონდა დოკუმენტაციისა და მასალების შეკრება საკვლევი მხარის სუსტად განვითარებული რაიონების ეკონომიური წინსვლის ღონისძიებათა კომპლექსის დასახვისათვის. კომისიის მიერ წამოყენებული წინადადებები შემდგომ აისახებოდა 1962—1967 წწ. პირველ ხუთწლიან გეგმაში[191].

ოფიციალური წყაროების ცნობით, კომისიის მუშაობის შედეგები წარმოდგენილია ხუთწლიან გეგმაში, მაგრამ საქმეში ჩახედული სპეციალისტები სთვლიან, რომ კომისია ნაჩქარევად და ზედაპირულად გაეცნო აღმოსავლეთის ცხოვრებას, რის გამო დასკვნებიც არასრულყოფილი გამოიტანა.

1963 წლის შემოდგომაზე ჩვენს საკვლევ მხარეს ეწვია თურქეთის ხელისუფლების ოფიციალური კომისია, რომელსაც სახელმწიფო მინისტრი ვეფიკ ფირინჩჩიოღლუ ხელმძღვანელობდა. ამ კომისიის ერთ-ერთი წევრი თურქი ეკონომისტი ოსმან ოკიარი ამის შესახებ წერდა „ფორუმში": „ჩვენი კომისია აღმოსავლეთში მოგზაურობისას შეხვდა და ესაუბრა მრავალ ადგილობრივ მცხოვრებს და მათგან გეგმასა (ე. ი. ხუთწლიანი გეგმის—ნ. კ.) და დაგეგმვის მეთოდებზე ბევრი საყვედური და პრეტენზია მოისმინა. მათი აღნიშვნით, გეგმა-

---

[189] Исмет Кюлю, В турецкой деревне, „Новое время", № 39 25/IX 1959, стр. 25.

[190] Doğunun süratle kalkınması, «Cumhuriyet», 11 Kasım 1961.

[191] «Cumhuriyet», 7 Ocak 1962.

ში აღმოსავლეთს არასაკმაო ყურადღება აქვს დათმობილი და მგეგმავები აღმოსავლეთ ვილაიეთებში ყოფნისას საკუთარი თვალით კი არ გაეცნენ სინამდვილეს, არამედ მხოლოდ "საწერ მაგიდასთან, თეორიულად". ოკიარის აღნიშვნით, გეგმაში არსებული დეფექტები და უსწორობანი შეპირობებულია მგეგმავებისათვის გამოყოფილი დროის სიმცირით. ამასთან ავტორი სთვლის, რომ აღმოსავლეთის ბედით საქმიანი დაინტერესება მოითხოვს საკვლევი მხარის განვითარების საგანგებო პროგრამის შემუშავებასა და განხორციელებას ხუთწლიანი გეგმის ფარგლებში. ავტორი თავის მოსაზრებას სამი მოტივით ასაბუთებს: 1. ასეთი გეგმის მიღებას ფსიქოლოგიური მნიშვნელობა აქვს, რადგან საშუალებას მისცემს აღმოსავლეთის მკვიდრთ დავიწყებას მისცენ იმის შეგრძნება, რომ ისინი მარტოხელანი და უმწეონი არიან ბედის წინაშე 2. საერთო გეგმის ჩარჩოებში ჯეროვნად არ არის გათვალისწინებული აღმოსავლეთის სოციალურ-ეკონომიური თავისებურებანი და სინამდვილე, სპეციალური გეგმის მიღებისას კი ეს მხედველობაში მიიღება, რის საფუძველზე შესასრულებელი სამუშაოები უფრო ნათელი და კონკრეტული გახდება 3. შესაძლებელი იქნება ასევე გამოცალკევებული ფინანსიური ხარჯთაღრიცხვის შედგენა და მისი განხორციელება დაევალება სპეციალურ ორგანიზაციას[192]. ავტორი იმედოვნებს, რომ ასეთი პროგრამა შეტანილი იქნება მეორე ხუთწლიან გეგმაში, რომლის შესრულება 1967 წ. უნდა დაიწყოს[193].

უკანასკნელი წლების მანძილზე სერიოზული ყურადღება ეთმობა წყალსაცავებისა და ჰესების მშენებლობას აღმოსავლეთ თურქეთში. საკვლევი რაიონის ჰიდროლოგიური სისტემა შეიქმნება ორი მდინარის—ევფრატისა და ტიგროსის აუზებიდან, რომელთა ფართობი თურქეთის ტერიტორიაზე 162 ათ. კვ. კმ უდრის. ე. ი. სახელმწიფოს ტერიტორიის 21% (ევფრატის აუზი 118 ათ. კვ. კმ—14%. ტიგროსისა 44 ათ. კვ. კმ—7%). დაპროექტებული კაშხალებიდან აღსანიშნავია ევფრატზე—ქებანი, ბილალუშაგი, სარსაფი, ჰალფეტი; ტიგროსზე—სელმანი, დიარბაქირი, დერმაჰი; ტიგროსის შენაკად ბა-

---

[192] Osman Okyar. De unun iktisadi.... s. 8.

[193] საყურადღებოა, რომ პროგრამაში ჰ. ს. ურგიუფლეს მეოთხე კოალიციური მთავრობისა, რომელმაც 1965 წ. თებერვალში შეცვალა ისმეთ ინენიუს კაბინეტი, არაფერია ნათქვამი აღმოსავლეთის შესახებ. როგორც ჩანს, მთავრობა არ აპირებდა ახლო მომავალში აღმოსავლეთის პრობლემის გადაწყვეტას. ამით დაუყოვნებლივ ისარგებლა ოპოზიციაში გადასულმა სახალხო-რესპუბლიკურმა პარტიამ მთავრობის პროგრამის გასაკრიტიკებლად, იხ. «Ulus», 2. Mart 1965.

თმანზე—ჰუსეინკანი, მეორე შენაკად გარზანზე - -ბეშირი. საგუბარეერების მშენებლობა სამ ამოცანას ისახავს—1. წყალსაცავების შექმნა და წყლის მარაგის რეგულირება. 2. ელექტროენერგიის წარმოება და 3. გვალვიანი რაიონების მორწყვა (დაახლოებით 2. 5—10⁹ ჰა ფართობი)[194].

ევფრატი საკვლევი ტერიტორიის ყველაზე დიდი მდინარეა, მასთან აღმოსავლეთის 15 ვილაიეთია დაკავშირებული. მდინარის აუზში განლაგებულია 69 ილჩე, 466 ბუჯაკი და 5206 სოფელი. 1960 წ. აუზის მოსახლეობა 5. 420 000 კაცს შეადგენდა. ხანგრძლივი შესწავლის შემდეგ ევფრატის აუზი 16 საპროექტო ფართობად დაიყო აღრიდან თურქეთ-სირიის საზღვრამდე, ამათგან ყველაზე დიდია „ევფრატის პროექტი", რომლის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია ქებანის კაშხალი[195].

კაშხალების აგება გადაწყვეტს ევფრატისა და მურატის აუზების 2, 2 მლნ ჰა ხრიოკი მიწის ირიგაციის პრობლემას. მორწყვას განაკუთრებით საჭიროებს ერთი მილიონი ჰა ფართობი თურქეთ-სირიის საზღვრის რაიონში (მარდინი, ვირანშეჰირი, ჰარანი, სივერეკი და სიურუკი). სადაც მაისიდან ოქტომბრამდე ე. ი. ვეგეტაციის პერიოდში ნალექების საშუალო რაოდენობა 60 მმ-ს არ აღემატება[196]. 2. 2 მლნ ჰა ტერიტორიის მოსარწყავად 20 მლრდ კუბ. მეტრი წყალია საჭირო. ევფრატის საერთო ჩადინება კი 28 მლრდ კუბ. მეტრია. რა თქმა უნდა, თურქეთის საზღვრებში ევფრატიდან ამ მოცულობის წყლის ხარჯვას არ დაუშვებენ სირია და ერაყი, ამიტომ გამოყენებული უნდა იქნას მორწყვის შედარებით ეკონომიური მეთოდი, მაგ., ხელოვნური დაწვიმვა[197].

პროექტების განსახორციელებლად გათვალისწინებულია უცხოელი სპეციალისტების მოწვევა, შრომითი ბეგარის დაწესება, საამ-

---

[194] Rouvé Gerhard, Der Ausbau des Euphrat-Tigris-Beckens auf türkischem boden «Wasserwirtschaft», Stutgart, 1961, N 6, s. s. 141, 148.

[195] ევფრატის აუზის შესწავლა-დაპროექტების შემდეგ დაიწყო ტიგროსის აუზის გამოკვლევა, რაც 1965 წ. უნდა დაბოლოდეს. აქ აღსანიშნავია დეველეგეჩიდის პროექტი, რომლის მშენებლობა 1965 წ. მარტში დაიწყო. პროექტის ღირებულება 162 მლნ ლირაა, აგებული კაშხალი 103 ათ. დენიუმ ფართობს მორწყავს, მთელს ტიგროსზე გათვალისწინებული კაშხალები კი 220 ათ. ჰექტარს. იხ. «Ulus», 2. Şubat 1965.

[196] ტიგროსის აუზის თურქულ ნაწილში მორწყვას საჭიროებს 600 ათ. ჰა მიწა.

[197] Heinrich Schmidt, Entwicklungspläne für den türkischen Teil des Euphrat und Tigrisgebietes, «Wasserwirtschaft», Stutgart, 1963, N 3, s. 79.

შენებლო სამუშაოებში იმ გლეხების ჩაბმა. რომლებიც თავიანთ მეურნეობაში წლის მანძილზე 60—80 დღე არიან დასაქმებული[198].

იმ ობიექტებს შორის, რომელთა მშენებლობის დაწყება აღმოსავლეთში 1962—1967 წლების ხუთწლიანი გეგმითაა გათვალისწინებული, ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია ქებანის კაშხალი მდ. ევფრატზე ელიაზიგიდან 40 კმ-ის დაშორებით, მდინარეების მურატისა და კარასუს შერთვის ადგილზე. მას თურქეთის ასუანს უწოდებენ[199]. კაშხალის სიმაღლე იქნება 185 მეტრი, წყალსაცავის ტევადობა 12 მლნ კუბ. მეტრი, ე. ი. თითქმის იმდენი, რამდენიც თურქეთის ყველა წყალსაცავისა ერთად, შესაძლებელი გახდება 60 ათ. კვ. კმ ფართობის მორწყვა, აგებული ჰესი ყოველწლიურად 4.200 მლნ კვტ. საათ ენერგიას გამოიმუშავებს, რაც ხელს შეუწყობს საკვლევი მხარის სამრეწველო განვითარებას. ქებანის ნაგებობათა კომპლექსის საპროექტო ღირებულებაა 307 მლნ დოლარი (3.7 მლრ ლირა). მშენებლობის დაფინანსებაში მონაწილეობენ ამერიკის შეერთებული შტატები, დასავლეთი გერმანია, რეკონსტრუქციის და განვითარების მსოფლიო ბანკი (დუნია ბანკასი) და ევროპის ბანკი (ავრუპა ბანკასი)[200] ქებანის კაშხალის მშენებლობა უნდა დასრულდეს 1970 წელს[201].

აღმოსავლეთ თურქეთის საწარმოო ძალთა განვითარებაში უკანასკნელ ხანს თავისი წვლილი შეაქვთ სოციალისტურ ქვეყნებსაც. თურქეთსა და უნგრეთს შორის მიღწეული შეთანხმების საფუძველზე აღმოსავლეთი შავიზღვისპირეთის ეკონომიური აღმავლობის უზრუნველსაყოფად უნგრეთის ტექნიკური დახმარებით მთლიანად ავტომატიზებული 4 ჰესი და ქვესადგურები იგება ტრაპიზონში, არაკლიში, იიდერესა და რიზეში და დიდი ტევადობის წყალსაცავები. ელექტრო მოწყობილობას ჰესებისათვის ამზადებენ ცნობილი უნგრული ქარხნები „განძ-მავოგი", „ჰატერვი", „კლემენტ გოტვალდი", „დარუგიარი" და სხვები. ელექტროსადგურები თურქი ექსპე-

---

[198] H. Schmidt, Große Bewässerungsprojekte im türkischen Teil des Euphrat und Tigrisgebietes. «Wasser und Nahrung», 1962, N 3. s. 178.

[199] Turkey. Aswan on the Euphrats. «Economist», London. 1964. Oct. 24, vol. 213, N 6322, p. 351.

[200] „Cumhuriyet", 27 Şubat 1965. აღსანიშნავია, რომ თურქეთის მთავრობამ დაიწუნა, როგორც ეკონომიურად არახელსაყრელი, ქებანის კაშხალის პროექტის ამერიკული ვარიანტი, რომლის განხორციელებას 4 მლრდ ლირა ჭირდებოდა და ტექნიკურად არაეფექტური იყო.

[201] «Vatan», 9 Ocak 1965.

რტების დასკვნით, ყველაზე თანამედროვე და სრულყოფილია ახლანდელ თურქეთში[202].

1963 წლის გაზაფხულზე ანკარაში გაიმართა სსრ კავშირ-თურქეთის შერეული კომისიის სხდომები სასაზღვრო მდინარე აჰურიანზე წყალსაცავის მშენებლობის საკითხზე. სხდომებში მონაწილეობდნენ—სსრ კავშირის დელეგაცია—სომხეთის სსრ წყალთა მეურნეობის ძინისტრის გ. ა. ბაგრამიანის მეთაურობით და თურქეთის დელეგაცია—თურქეთის სახელმწიფო წყალთა სამმართველოს გენერალური დირექტორის ნ. აკმანდორის მეთაურობით.

მოლაპარაკების მსვლელობაში მხარეებმა განიხილეს პირველი რიგის საპროექტო-საძიებო და კვლევით სამუშაოთა საკითხები. აგრეთვე მდ. აჰურიანზე წყალსაცავის ერთობლივი მშენებლობის სხვა საკითხები სსრ კავშირისა და თურქეთის მიწების მორწყვისა და ახლო-მახლო რაიონების საჭიროებისათვის ელექტროენერგიის წარმოების მიზნით.

ერთობლივი მშენებლობა წყალსაცავისა მდ. აჰურიანზე ორმხრივ სარგებლობას მოუტანს ორივე ქვეყნის საზღვრისპირა რაიონების სოფლის მეურნეობის განვითარებას[203].

საბჭოთა კავშირს შეუძლია დიდი დახმარება აღმოუჩინოს თურქეთს აღმოსავლეთი ვილაიეთების კულტურულ-ეკონომიურ განვითარებაში ეს მოლაპარაკება პირველია მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. თურქეთის ეროვნული ინტერესები მოითხოვენ, რომ მისმა მთავრობამ საღად შეაფასოს საბჭოთა მხარის პოტენციური შესაძლებლობანი და მეტი დაინტერესება გამოიჩინოს მათი ფართო გამოყენებისათვის.

თავი მესამე

აღმოსავლეთ თურქეთის გლეხობის მდგომარეობა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ

1. საყოფაცხოვრებო პირობები

თურქი მასწავლებელი მაჰმუდ მაკალი თავის წიგნს „ჩვენი სოფელი", რომელშიც ნიგდეს ვილაიეთის ერთ-ერთი სოფლის უსიხარულო ცხოვრებაა აღწერილი, შემდეგი სიტყვებით იწყებს: „აღმოსავლეთ ანატოლიის ცხოვრებაზე ცუდი ხმები დადის. ჩვენ ცენტრალურ ანატოლიაში ვცხოვრობთ. მე საკუთარი თვალებით ვხედავ-

---

[202] Konczos Yànos. Magyar vizierömü Törökorszagban. «Külkereskedelem» (Budapest), 1961, N 9, o. 22.

[203] გაზეთი „კომუნისტი", 7 მაისი 1963 წელი.

ჩვენ ტანჯვა-წამებას და შეძრწუნება მიტანს. როდესაც ვფიქრობ: „ნუთუ ცხოვრება აღმოსავლეთ ანატოლიაში ჩვენზე უფრო მძიმეა?"[1]

სამწუხაროდ, ეს ასეა. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ აღმოსავლეთი ვილაიეთები თურქეთის ყველაზე ჩამორჩენილი ოლქებია არა მარტო საწარმოო ძალთა დონის მიხედვით, არამედ მატერიალურ-კულტურული ცხოვრების დონითაც. აღმოსავლეთის ხშირი სტუმარია შიმშილობა, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. პირველყოფილ მდგომარეობაშია სოფლის მოსახლეობის სამედიცინო მომსახურება და განათლება. ზოგიერთ რაიონებში თურქული ოჯახები ჯერ კიდევ გამოქვაბულებში ცხოვრობენ.

თურქი გლეხის საშუალო სასოფლო-სამეურნეო შემოსავალი 100% რომ მივიჩნიოთ ჰაკიარელი გლეხის საშუალო სასოფლო-სამეურნეო შემოსავალი იქნება 41%, ბითლისელის 48%, დიარბაქირელის 65% და ყარსელის 93%[2].

აღმოსავლეთის ერთ-ერთი მწვავე პრობლემათაგანია საკვების უკმარისობა. სასურსათო პრობლემა განსაკუთრებით საშიში ხდება მოუსავლიან წლებში. სპეციალური ლიტერატურის შესწავლა საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ შიმშილობა თითქმის ყოველ წელს ატყდება თავს საკვლევ მხარეს და უდიდესი სიძნელეების წინაშე აყენებს როგორც სოფლის ისე ქალაქის ღარიბ მოსახლეობას. ყველაზე მძიმე იყო ამ მხრივ 1949—1950 და 1961 წლები.

1949—1950 წლებში მარტო აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში ჰოფადან სამსუნამდე 1,5 მილიონზე მეტი გლეხი შიმშილობდა. მშიერი გლეხები ბალახებითა და ფოთლებით იკვებებოდნენ[3]. სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სამმართველომ შიმშილით მოცულ ვილაიეთებში სიმინდი შეზიდა, მაგრამ, როგორც გამოირკვა, იგი მეტწილად დაობებული და დამპალი იყო[4]. მეჯლისის სხდომაზე დეპუტატმა ორდუდან ფევზი ბოზთეფემ პარლამენტის წევრებს უჩვენა ამომრჩევლების მიერ ორდუდან გამოგზავნილი ტომარა სიმინდი და სთქვა „ეს სიმინდი პირუტყვსაც კი ავნებს და ბოროტებაა მოსახლეობისათვის სესხად მისი მიცემაო". შიმშილობდა არზრუმის ვილაიე-

---

[1] Махмут Макал, Наша деревня, Записки турецкого учителя, Москва, 1951. стр. 25.

[2] «Türkiye iktisat gazetesi». 22 Ağustos 1963.

[3] «La République», 14/XII 1949.

[4] «Cumhuriyet», 20 Haziran 1950; იგივე გამეორდა 1952 წ. იხ. «Akşam», 22 Aralık 1952.

თის 400 ათასი მცხოვრები' და თუნჯელის მოსახლეობის უმეტესობა[6]. დამშეული გლეხობა სხვა რაიონებში გაქცევით შველიდა თავს. „ჯუმჰურიეთის" კორესპონდენტი ჯევათ ფეჰმი რედაქციას ატყობინებდა: „ჰოფის საზღვაო სააგენტოში ვარ. რუსეთის საზღვრამდე 5 მილია. ტირიან ბავშვები და ქალები. ისმის ხმები: ბატონო! მოგვკალი და აქ ნუ დაგვტოვებ! მშივრები ვართ!

400 კაცს სამგზავრო ბილეთი უნდა სტამბოლამდე ან ზონგულდაქამდე. მაგრამ გემზე ამ ნავსადგურისათვის მხოლოდ 45 ადგილია გამოყოფილი. ყველა მსურველი რომ აქ აიყვანო გემბანზე, შავ ზღვაზე ხომ 20 ნავსადგურია კიდევ. იქაურმა მგზავრებმა რაღა უნდა ქნან. ისინიც მშივრები არიან.

მგზავრების ნაწილი რუსეთის მოსაზღვრე ჰოსოფის კაზადან არის. ნავსადგურამდე 7 დღე ფეხით მოდიოდნენ, ღამეებს გამოქვაბულებში ათენებდნენ. თავშიშველები, ფერმკრთალები, უილაჯონი არიან. უიმედო გამოხედვა აქვთ.

— გასულ თვეს 1750 ასეთივე მგზავრი გადავიყვანეთ სტამბოლსა და ზონგულდაქში—მეუბნება აგენტი"[7]

უარესი მდგომარეობა შეიქმნა 1961 წელს. მართალია, 1960 წელთან შედარებით მარცვლეულის სათესი ფართობი გაიზარდა, მაგრამ ხორბალი აღებული იქნა 7 მლნ ტონამდე (ე. ი 800 ათ. ტონით ნაკლები ვიდრე წინა წელს) მაშინ როდესაც მოთხოვნილება 9 მლნ ტონას უდრიდა[8]. გვალვისაგან დაზარალდა ვილაიეთები: ყარსი, აღრი, არზრუმი. ვანი და ერზინჯანი. შიმშილობის ცენტრი იყო არზრუმი, სარიყამიში, კაგიზმანი, არფაჩაი, დიგორი და მათ გარშემო მდებარე ტონას უდრიდა[8]. გვალვისაგან დაზარალდა ვილაიეთები: ყარსი, აღრი, სავლეთ ვილაიეთების უმეტესობას კვებავს, 1961 წ. ერთი მტკაველი მიწაც კი არ დაითესა, სხვა ილჩეებიდან მხოლოდ სუსუზში—80%, თუზლუჯაში, იგდირსა და ილდიზში 60% და ჰოზათში 45% დაითესა. თუ წინა წლებში საშუალოდ 130 ათ. ტ ხორბალი და 90 ათ. ტ ქერი იქნა მოწეული, 1961 წ. მხოლოდ 40 ათ. ტ. ხორბალი და 60 ათ. ტ ქერი აიღეს[9]. დეკემბრის ბოლოსათვის ამ რაიონებში კგ ხორბალი ღირდა 89 ყურუში და კგ ქერი 52 ყურუში.

---

[5] Erzurum ve Karadeniz illerinreki darlık, «Akşam», 20 Haziran 1950

[6] Н. М. Лавров, Турция в 1939—1951 гг., Москва, 1952, стр. 25.

[7] Cevat Fehmi, Rus hududunda, «Cumhuriyet», 16 Nisan. 1950

[8] «Türkiye iktisat gazetesi», 4 Ocak 1962.

[9] «Cumhuriyet», 12 Aralık 1961.

იმ პირთა რაოდენობა, რომლებიც ოჯახისათვის სარჩოს საძიებლად დასავლეთ რაიონებში წავიდნენ, დეკემბრის პირველი კვირიდან მოკიდებული 40 ათასამდე ავიდა. შრომის ბირჟამ[10] მათი რიცხვიდან მხოლოდ 4992 კაცის დასაქმება შეძლო[11]. მარტო ყარსის ვილაიეთი 1961 წ. ზამთარში 15 ათასმა გლეხმა მიატოვა[12].

ხორბლის უქონლობამ საკვლევი მხარის გლეხობა აიძულა საკვებად გამოეყენებინა სათესლედ შემონახული მარცვლეული, რომელიც სხვადასხვა ქიმიკალიებით იყო დაწამლული და ხშირად ადამიანთა მსხვერპლს იწვევდა[13]. „ყარსის ვილაიეთის სოფლებში, წერდა „ჰიურ ვათანი",—სიღატაკე და შიმშილი მძვინვარებს. შეუძლებელია დაგავიწყდეთ თოვლში მდგომი ფეხშიშველა გლეხები, რომლებსაც შიმშილისაგან ყბები ჩასცვივნიათ. ყველას მიერ მრავალი წლის განმავლობაში მივიწყებული აღმოსავლეთი სოფლები ახლა თავიანთ გაჭირვებაზე შემოგვღაღადებენ. რა სამწუხაროა, რომ ჩვენ ეს სავალალო ჭეშმარიტებანი მხოლოდ მაშინ შევიტყვეთ, როცა შიმშილობამ იქ აუტანელი ეროვნული უბედურების ხასიათი მიიღო"[14].

გამოუვალ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ მესაქონლეები. ფურაჟის უქონლობის გამო დაიწყო საქონლის მასობრივი დაცემა. შიმშილისაგან სიკვდილის საშიშროება დაემუქრა საკვლევი რაიონის ძირითად სიმდიდრეს—3,5 მლნ პირუტყვს. პირუტყვის ფასი (მაგ. ცხვრის) 150 ლირიდან 30-მდე დაეცა, კგ თივა კი 75 ყურუშად იყიდებოდა, ხოლო კგ ხორბალი 85—90 ყურუშად. 2 ცხვარში აღებული ფულით გლეხს არ შეეძლო ცოლ-შვილისა და დარჩენილი საქონლის 2 დღის სარჩო შეეძინა[15]. გლეხები ჩალის ფასად ყიდდნენ გაძვალტყავებულ საქონელს, რაზედაც სპეკულიანტები ითბობდნენ ხელს. გაიზარდა პირუტყვის კონტრაბანდა.

მინისტრთა საბჭომ 1961 წლის 19 დეკემბერს გადაწყვეტილება გამოიტანა აღმოსავლეთში საკვები პროდუქტების გაგზავნისა და 50 მლნ ლირის ფარგლებში კრედიტის გახსნის შესახებ. დაიწყო ამერიკული ხორბლისა და ფქვილის შეზიდვა ისკენდერუნისა და ტრაპიზონის ნავსადგურებიდან, მაგრამ გაღატაკებულ გლეხობას

---

10 „İş ve İşçi Bulma Kurumu».

11 «1962—Türkiye yıllığı,» s. 341.

12 „Работническо дело", 25 декември 1961.

13 В. Попов, С. Първанова, В съвременна Турция, София, 1963, стр. 48.

14 გაზეთი „კომუნისტი". 5/IX 1962.

15 «Cumhuriyet», 26 Aralık 1961.

მათი შესყიდვის საშუალება არ ჰქონდათ — „ხორბლის, ბზისა და თივის გამოგზავნით საქმე არ მთავრდება—წერდა „ჯუმჰურიეთი"— მთავარია იმის გათვალისწინება შესწევს თუ არა გლეხს ძალა შეიძინოს ეს საქონელი. ამჟამად იმ გლეხთა რაოდენობა ჯიბეში რომ ცოტა ფული აქვთ 10%-ს არ ჭარბობს, ეს ფულიც მათ ნაშოვნი აქვთ პირუტყვის ჩალის ფასად გაყიდვით"[16]. რაც შეეხება კრედიტს, მის შესახებ, როგორც აღვნიშნეთ, მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება, მაგრამ გავიდა უაღრესად მძიმე ორი კვირა და კრედიტის გახსნის თაობაზე აღმოსავლეთში არავითარი ოფიციალური ცნობა არ მოსულა. „გლეხები და მესაქონლეები, რომლებიც კრედიტს ელიან, — წერდა „ჯუმჰურიეთი" დეკემბრის ბოლოს, — თხოვნით მიმართავენ კუბერნატორებს, მაზრის უფროსებსა და სასოფლო-სამეურნეო ბანკის განყოფილებებს, მაგრამ ხელცარიელი ბრუნდებიან უკან"[17]. 1962 წლის იანვრის მეორე დეკადაში გადაწყდა გლეხებისთვის კრედიტის სახით ხორბლის დარიგება (სულზე 10 კილო) ურთიერთთავდებობის საფუძველზე; ვალი ოქტომბერში უნდა დაფარულიყო, მაგრამ სოფლის მეურნეობის მინისტრის ოსმან თოსუნის აღიარებით მთავრობას არ გააჩნდა იმის საშუალება, რომ ძირფესვიანად გადაეჭრა შიმშილობის პრობლემა აღმოსავლეთში. გარდა ამისა აღმოსავლეთის იმ სოფლებმა და დაბებმა, რომლებიც დიდი თოვლისა და უგზოობის გამო მოწყვეტილი იყვნენ გარე სამყაროს, ეს უმნიშვნელო დახმარებაც ვერ მიიღეს. მთავრობამ ვერ დააკმაყოფილა აღმოსავლეთის დაზარალებული რაიონების მოთხოვნილება სათესლე მარცვლეულზე.

ცენტრალური ორგანოების განცხადებით შიმშილობა აღმოსავლეთში მხოლოდ არახელსაყრელი კლიმატური პირობებით იყო გამოწვეული. რა თქმა უნდა ეს არ არის ერთადერთი მიზეზი. როგორც წელიწდეული „თურქეთი — 1962 წელი" ასკვნის „შიმშილობა აღმოსავლეთში ამ მხარისადმი საუკუნეობრივი უყურადღებობისა და უკანასკნელ წლებში მზარდი საფრთხის უგულვებელყოფის შედეგია"[18]. თურქეთის ვეტერინართა ყრილობაზე 1962 წლის იანვარში აღინიშნა, რომ „შიმშილობა იყო რეზულტატი არა მარტო გვალვიანობისა, არამედ ამავე დროს მოსახლეობის უცოდინარობისა და ფარული შიმშილობისა წლების მანძილზე რომ გრძელდება"[19] ამასვე

---

[16] «Cumhuriyet», 28 Aralık 1961.
[17] «Cumhuriyet», 30 Aralik 1961.
[18] «1962—Türkiye yiligi», s. 341.
[19] Doğudaki açlığın sebebi, «Cumhuriyet», 8 Ocak 1962.

გაუსვა ხაზი აღრის ვალიმ ქიაზიმ ათაკურთმა „დღეს აღმოსავლეთის მოსახლეობის წინაშე მდგარი სერიოზული პრობლემების ერთად ერთი მიზეზი გასული წლის დიდი გვალვიანობა არ არის. მიზეზები წლების მანძილზე გროვდებოდა და მხოლოდ ახლა იჩინა თავი... ამჟამად მთავრობა იღებს ზომებს წარმოქმნილ სიძნელეთა დასაძლევად. მაგრამ აღმოსავლეთის პრობლემების გადაწყვეტა ამ ნაჩქარევი და ეპიზოდური ღონისძიებებით შეუძლებელია. საჭიროა აღმოსავლეთით ხანგრძლივი და სერიოზული დაინტერესება"[20]. როგორც ჩანს, ზოგჯერ გუბერნატორსაც სძლევს გულახდილობის გრძნობა.

აღმოსავლეთის შეძლებული ფენები დიდ უკმაყოფილებას გამოსთქვამდნენ იმის გამო, რომ ზოგიერთი გაზეთი ვრცლად აშუქებდა სასურსათო საკითხის სიმწვავეს საკვლევ მხარეში. „ჯუმჰურიეთის" თანამშრომელი მუჯაჰით ბეშერი თავის კორესპონდენციაში აღ-

სურ. 4. ტიპიური ერთსართულიანი საცხოვრებელი სახლი (მიწური) აღმოსავლეთ თურქეთის მთიან ზონაში, რომელშიც ადამიანი და საქონელი ერთად ცხოვრობს

მოსავლეთიდან მრავლისმეტყველი სათაურით „მდიდრები მალავენ, რომ აღმოსავლეთში შიმშილობაა" იტყობინებოდა „არზრუმში ისე მიგვიღეს თითქოს ბოროტმოქმედები ვიყავით და გვარწმუნებდ-

[20] «Cumhuriyet», 26 Aralık 1961.

ნენ. რომ სასურსათო სიძნელეების საკითხში ახალი და არაჩვეულებრივი არაფერიაო"[21]. როგორც ჩანს, რეალური სინამდვილის პრესაში ასახვა ამჯერადაც ეწინააღმდეგებოდა აღმოსავლეთ თურქეთის გარკვეული წრეების ინტერესებს იმის შიშით, ალბათ, რომ ამით კვლავ „მტრული ძალები" ისარგებლებდნენ.

მძიმეა აღმოსავლეთის გლეხობის საბინაო პირობები. საცხოვრებელი სახლის ყველაზე გავრცელებული ტიპია სწორბანიანი მიწური, რომელშიც ადამიანი პირუტყვთან ერთად ცხოვრობს. გამონაკლისს შეადგენს უშუალოდ ზღვისპირა ზონა, სადაც ჰავის სირბილე და სამშენებლო ხის მასალის არსებობა შესაძლებელს ხდის ფიცრული ქოხმახების მშენებლობას. ნომადი ქურთები ზამთარ-ზაფხულ კარავებში ცხოვრობენ.



სურ. 5. ტიპიური ორსართულიანი საცხოვრებელი სახლი აღმოსავლეთ თურქეთის მთიან ზონაში. პირველი სართული საქონლისათვის არის განკუთვნილი

არზრუმში, ერზინჯანში, მალათიასა და ელიაზიგში სახლს ალიზისაგან აშენებენ. საცხოვრებელი უმეტესად ერთსართულიანია, ორსართულიანი სახლის ქვედა ნაწილი პირუტყვს ეთმობა. თუნჯელიში, ქემალიესა და არაფკირში სამშენებლო მასალად ქვა გამოიყენება.

[21] Mücahit Beşer. Varlıklılar Doğudaki açlığı gizliyorlar. «Cumhuriyet», 6 Şubat 1962.

სახლები სწორბანიანია. მხოლოდ ელიაზიგში აქვს ზოგ საბლს სახურავი. ამ სახლებს იმდენად ვიწრო ფანჯრები აქვს, რომ სულეიმან სარაჩოღლუს თქმით „შიგ კატა ძლივს გაძვრება და უფრო სათოფურს წააგავსო"[22]. საცხოვრებლის შიდა მოწყობილობა მეტად ღარიბულია. მაგ., დოღუ ბაიაზითის დაბლობში სოფლის სახლები იმდენად მარტივია, რომ შიგ თითქმის არაფერი არ უდგათ და იალაღებზე წასვლისას კარებს, როგორც ყველაზე ძვირფასს რაც სახლში მოიპოვება, ხსნიან და თან მიაქვთ[23].

ეროლ გიუნაიდინი ასე აგვიწერს აღრის ვილაიეთის ღარიბი სოფლელის ტიპიურ საცხოვრებელს: „სოფ. ბილიკანს ვუახლოვდებით. მაგრამ სახლის მსგავსი არაფერი ჩანს. უცებ მიწიდან ქალები, კაცები და ბავშვები ამოცვივდნენ მათი საცხოვრებელი თხუნელას სოროსავითაა. მიწა ამოუთხრიათ და გადაუხურავთ. სახლში კიბით ჩადიხარ. სინათლე საკვამურიდან ჩამოდის. მთელი სახლი ორი თვალისაგან შედგება. ერთში ადამიანები ცხოვრობენ, მეორე საქოხლის სადგომია. ორ თვალს შუა პატარა კედელია, რომელიც ჭერამდე არ აღწევს. შუალედია დატოვებული. ზამთრობით საქონლის სითბო ადამიანთა ნახევარში შემოდის. ადამიანი და პირუტყვი ერთად იღამებენ. სახლს ერთი კარი აქვს. აქედან პირუტყვი სადგომში, ადამიანები კი თავის საწოლში შედიან"[24]. მიწისქვეშა ქოხმახებში ცხოვრობენ მუშის დაბლობის გლეხური კომლები[25] და ყარსის ვილაიეთის ღარიბი სოფლელებიც, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ სახურავი ოდნავ აშორებულია დედამიწის ზედაპირს[26]. თურქეთში ინგლისის საელჩოს პრესბიუროს წარმომადგენელი ალენი, რომელმაც ჰასანკალე, არზრუმი, ბითლისი, ვანი, აჰლატი და ტრაპიზონი მოიარა წერდა შემდეგ — „ისეთი სახლები ვნახე, რომ შიგ შესვლაც კი ვერ გავბედეო"[27].

1953 წლის აგვისტო-სექტემბერში იაშარ ქემალმა „ჯუმჰურიეთში" მოათავსა წერილების სერია საერთო სათაურით „გამოქვაბულის ადამიანები აღმოსავლეთში". ავტორი მოგვითხრობს თავის შეხვედრებზე ვანის ვილაიეთში კლდის მღვიმეებში მცხოვრებ თურქ მოქალაქეებთან, რომლებსაც არ უნახავთ ფული, გაზეთი. მანქანა, თვითმფრინავი, მატარებელი; არ იციან რა არის მთავრობა, ექიმი და

---

[22] S. Saraçoğlu. Op. Cit., s. 466.

[23] Ibidem.

[24] Erol Günaydin. Bilikan köyünde halk toprak altinda yaşıyor. «Cumhuriyet». 9 Ocak 1961.

[25] «Yeni Istanbul», 21 Haziran 1959.

[26] Harmandalıoğlu. Bir hayvancı köyünün.... s. 18,

[27] «Vatan», 6 Ağustos 1945.

ვერ წარმოუდგენიათ ორსართულიანი სახლი. თავის შთაბეჭდილებებზე იაშარ ქემალი წერს „გამოქვაბულიდან გამოდიოდნენ ადამიანები, რომლებიც ისტორიის წიგნში დახატულ არსებებს ჰგავდნენ. გეოცებისაგან გავშეშდი. ქვის ხანა მეოცე საუკუნის 50-იან წლებში. ჩემთვის გავიფიქრე, რომ სოფ. სორის[28] მსგავსი აღმოსავლეთში შეიძლება მხოლოდ ერთი-ორი იყოს. მაგრამ შემდეგ არზრუმიდან აღრიმდე, ბითლისიდან სიირთამდე და მუშამდე მთელი აღმოსავლეთი მოვიარე და დავრწმუნდი, რომ იქაური სოფლების უმეტესობა მეტნაკლებად სოფ. სორის მსგავსია"[29]. ავტორმა გამოქვაბულებში ეხით აუწერელი ანტისანიტარია. სივიწროვე და სიღატაკე იხილა. გამოქვაბულის მკვიდრთა განცხადებით ზამთარში მათ საცხოვრებელში აუტანელი სიცივეა, სძინავთ თივაზე და გარეთ არაფრისათვის არ გამოდიან. აქვეა პირუტყვი და გამოქვაბულთა კარები ქვით იხურება[30].

დაბალ დონეზეა მოსახლეობის სამედიცინო მომსახურება. აღმოსავლეთი მედპერსონალის მწვავე ნაკლებობას განიცდის. 1962 წ. თურქეთში სულ იყო 12000 ექიმი, აქედან აღმოსავლეთის 15 ვილაიეთში მუშაობდა 1628 სპეციალისტი[31]. სტამბოლში ერთ ექიმზე მოდის 561 კაცი, ანკარაში—798, ორდუში—17. 237 და გიუმუშანეში—22. 396[32]. აღმოსავლეთში ბევრია რაიონი სადაც ერთი ექიმი 80 ათას მოსახლეს ემსახურება. „გლეხობა აღმოსავლეთის ვილაიეთებში. — წერს დოქტორი საიმ პოლატ ბენგისერი, — მრავალი წელია ბედის ანაბარად არის მიტოვებული ჯანმრთელობისა დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის თვალსაზრისით"[33].

ექიმები გაურბიან აღმოსავლეთში მუშაობას, რადგან იქ ცხოვრების მძიმე პირობებია. თურქეთის ჯანდაცვის უოფილი მინისტრის უსთიუნდაღის აღიარებით, სახელმწიფო სამსახურში მყოფი ექიმები აღმოსავლეთში სამუშაოდ რომ ინიშნებიან სტოვებენ სახელმწიფო სამედიცინო ორგანიზაციებს და კერძო პრაქტიკაზე გადადიან დიდ ქალაქებში[34]. ,ვიტომ არის, რომ აღმოსავლეთის საკილაიეთო ცენტ-

---

[28] სოფლები სორი, გომა და სხვ., რომელთაც ავტორი აღწერს, ვანის ვილაიეთშია ესრიუკის მთის ძირში.

[29] Yaşar Kemal. Doğuda mağara insanlarr «Cumhuriyet» 25 Ağustos 1953.

[30] «Cumhuriyet», 27 Ağustos 1953.

[31] Г. Г. Громоздов. Здравоохранение в Турции, „Здравоохранение Российской федерации", 1963, № 12, стр. 31.

[32] „Азия и Африка сегодня". 1964, № 11. стр. 27.

[33] «Cumhuriyet», 10 Ağustos 1962.

[34] «Akşam», 19 Kasım 1951.

რების საავადმყოფოებშიც კი ვაკანტურია მედმუშაკის ბევრი ადგილი. მაგ., 1960 წ. თუნჯელის საავადმყოფოში არ იყო ექიმი-თერაპევტი, ართვინისა და ბინგიოლის საავადმყოფოებში ქირურგები. ჰაკიარის ვილაიეთში 6 ახლად დანიშნული ექიმი არ ჩავიდა[35].

საავადმყოფოები ღარიბია სამედიცინო აპარატურითა და პრეპარატებით. „ვანში არის სახელმწიფო საავადმყოფო 25 საწოლით.— წერდა გაზეთი „ვან სესი" (ვანის ხმა),—მაგრამ მას არაეითარი სამედიცინო მოწყობილობა არ გააჩნია. ავადმყოფი სოფლელები, იმის გამო რომ არ არის სატრანსპორტო კავშირი, ფეხით მოდიან საკურნალოდ და ხშირად გზაში კვდებიან"[36]. ელიაზიგისა და თუხჯელის ვილაიეთებში სნეულებისაგან დაუძლურებული გლეხები თახასოფლელებს კუბოთი მიჰყავთ ქალაქში მცხოვრებ მკურნალამდე[37].

ზოგიერთ სოფელში ექიმის მოვალეობას მასწავლებელი ასრულებს. მაგრამ ძირითადად სოფლის მოსახლეობის „ავი სულებისა და ბოროტი თვალისაგან" დაცვა და ყოველგვარი სენისაგან განკურნება შეიჰების, მოლებისა და ხოჯების, სხვა და სხვა ჯურის შემლოცველებისა და ექიმბაშების ხელშია. მათი სამედიცინო პრაქტიკა მეტწილად უბედურებით ბოლოვდება. მოსახლეობის სიბნელისა და „მკურნალობის მეთოდების" საილუსტრაციოდ შეიძლება ასეთი მაგალითის მოტანა: დიარბაქირში ცხოვრობს ვინმე შეიჰი ჰეიბუთი. იგი ძეტად პოპულარულია აღმოსავლეთში როგორც უებარი მკურნალი. როგორც ამბობენ, საკმარისია მალარიით შეპყრობილმა ავადმყოფმა დალიოს შეიჰის ფეხით ნაზელი ტალახის ნახარში, რომ მყისვე განიკურნება; იმისათვის, რომ უშვილო ქალი დედა გახდეს, შეიჰის შარდი უნდა დალიოს. „ჯუმჰურიეთი" აღნიშნავს, რომ შეიჰ ჰეიბუთს მრავალი პაციენტი ჰყავს და თავის „პრეპარატებს" მხოლოდ დიდი ხვეწნა-მუდარით სთმობს, რა თქმა უნდა, საკმაოდ მოზრდილი ანაზღაურების ფასად[38].

ჯანმრთელობის დაცვის ცუდი ორგანიზაცია, მძიმე საყოფაცხოვრებო პირობები, ანტისანიტარია და შიმშილი ხელს უწყობენ სხვადასხვა დაავადებათა გავრცელებას. საკვლევი მხარის ცალკეული კუთხეები ცნობილია როგორც ამა თუ იმ დაავადების ტრადიციული კერა—შავიზღვისპირეთში მოდებულია ფილტვებისა და ძვლის ჭლე-

---

[35] «Ulus», 2 Mart 1960.

[36] «Van sesi», 17 Mart 1952.

[37] Фикрет Отьям, На попечении Аллаха, „За рубежом", № 11, 14 марта 1964, стр. 22.

[38] «Cumhuriyet», 15 Ağustos 1953.

ქი[39], აღმოსავლეთის ცენტრალურ რაიონებში გლეხობისათვის დიდ უბედურებას წარმოადგენს მალარია[40], სამხრეთ-აღმოსავლეთში კი ტრაქომა[41], 1962 წელს სამხრეთ-აღმოსავლეთის შემოწმებულ 478 სოფელში 354 ათასი გლეხიდან ტრაქომით ავად იყო 162 ათასი კაცი (40%)[42].

ვანის, აღრის, ყარსის, მარდინის, არზრუმის, მუშის, მალათიისა და ჰაკიარის ვილაიეთებში დიდია კეთროვანთა რაოდენობა; 1962 წ. ვანის და ჰაკიარის მარტო 4 ილჩეში (ბაშკალე, იუკსეკოვა, ჩუკურჯა, შემდინლი) 4 ათასზე მეტი კეთროვანი იყო[43]. 1963 წლის დასაწყისში კეთროვანთაგან ელიაზიგის საავადმყოფოში სტაციონარულ მკურნალობაზე იმყოფებოდა 218 სნეული, რომელთაც მხოლოდ 1 ექიმი ემსახურებოდათ[44].

ხშირია სხვადასხვა ეპიდემიური დაავადებების გავრცელება, რომელთა წინააღმდეგ ეფექტურ ბრძოლას მედიკამენტების უქონლობა აძნელებს. ამის გამო მაღალია სიკვდილიანობის პროცენტი, განსაკუთრებით მცირეწლოვანთა შორის. თურქეთის ჯანდაცვის სამინისტროს დედათა და ბავშვთა დაცვის განყოფილების გამგემ ფეთჰი ალთინთუგმა თურქეთის პედიატრთა ყრილობაზე აღნიშნა, რომ თურქეთში საშუალოდ ყოველი 1000 ბავშვიდან სხვადასხვა დაავადებისაგან იღუპება 150, აღმოსავლეთ ვილაიეთებში კი 285 ბავშვი[45].

განსაკუთრებით მძიმე კვალი დასტოვა შავი ჭირის ეპიდემიამ ურფაში 1947 წ[46], ხუნაგისა—ყარსში 1962 წელს და წითელისა—სიირთში 1960 წ. და არზრუმში 1965 წლის დასაწყისში. 1962 წ. ხუნაგმა ერთ თვეში 400 ბავშვი იმსხვერპლა ყარსში. ბავშვთა მასობრივი სიკვდილიანობის მიზეზი სპეციალისტთა კომისიის დასკვნით იყო „უპმელობა, მოუვლელობა, არადროული საექიმო დახმარება, მედიკამენტების უქონლობა. ბავშვი ვერ იღებდა საკმაო რაოდენობით საკვებს, რის გამო დაუძლურებულ ორგანიზმს იოლად

---

[39] «Ulus», 11 Haziran 1946; «Cumhuriyet», 13 Mart 1947; «Cumhuriyet», 9 Ocak 1961.

[40] «Ulus», 2 Kasım 1950.

[41] «Türk ekonomisi», Ankara, Kasım 1951, s. 323; «Zafer», 9 Ağustos 1951

[42] «Cumhuriyet», 7 Ocak 1963.

[43] «Yeni Sabah», 12 Aralik 1962.

[44] «Yeni Sabah», 6 Şubat 1963.

[45] „Работническо дело", 14 юли 1963.

[46] «Cumhuriyet», 23 Mart 1947.

სძლევდა სნეულება"[47]. 1965 წლის თებერვალ-მარტში არზრუმის ვილაიეთში წითელა მძვინვარებდა. ფიქსირებული იქნა დაავადების 5 ათასამდე შემთხვევა. თუ 1960—1965 წლებში წითელისაგან თურქეთში 795 ავადმყოფი დაილუპა, ახლა ეპიდემიამ მარტო არზრუმში 400-მდე მცირეწლოვანის სიცოცხლე შეიწირა[48].

არადამაკმაყოფილებელია სახალხო განათლების მდგომარეობაც. საკვლევ მხარეში გაცილებით მაღალია უწიგნურთა პროცენტი, ვიდრე საშუალოდ აღებული მთელ თურქეთში. ცოტაა სკოლები, მასწავლებლები, სასკოლო ასაკის ათასობით ბავშვი სკოლის გარეთ არის დატოვებული.

1950 წლის მაისამდე აღრის ვილაიეთის 645 სოფელზე მოდიოდა 92 სკოლა, ბინგიოლის 329 სოფელზე — 49, ბითლისის 241 სოფელზე—39, დიარბაქირის 718 სოფელზე—96, გაზიანთეფის 560 სოფელზე—54, ჰაკიარის 326 სოფელზე—29. მარდინის 683 სოფელზე—100, სიირთის 490 სოფელზე—41, ურფის 620 სოფელზე—32, ვანის 597 სოფელზე—43 სკოლა და ა. შ. ე. ი. 10 ვილაიეთის 5. 218 სოფელზე სულ 575 სკოლა მოდიოდა (საშუალოდ 9 სოფელზე ერთი სკოლა)[49]. ამასთან ამ სკოლების ნაწილი ვილაიეთებისა და დაბების ცენტრებში იყო.

1950 წლის მაისში ხელისუფლების სათავეში „დემოკრატიული" პარტია მოექცა. ყურადღებას იმსახურებს ის ფაქტი, რომ ეს პირველი პოლიტიკური ორგანიზაცია იყო თურქეთში, რომელმაც თავის პროგრამაში აუცილებლად მიიჩნია „აღმოსავლეთ რაიონში სკოლების მშენებლობა, ფაკულტეტების, ინსტიტუტებისა და კულტურული ცენტრების შექმნა"[50]. ახალმა მთავრობამ კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა ძველი ხელისუფლება, რადგან იგი „გულგრილად ეკიდებოდა აღმოსავლეთი ვილაიეთების კულტურული წინსვლის საკითხებს".

1953 წ. შემუშავებული იქნა სახალხო განათლების აღორძინების 12 წლიანი პროგრამის პროექტი, რომლის მიხედვით 1965 წ. თურქეთის ყოველ სოფელში უნდა ყოფილიყო სკოლა[51]. მაგრამ სახელ-

---

47 «Cumhuriyet», 19 Mart 1962.
48 «Cumhuriyet», 3 Mart 1965.
49 «Zafer», 25 Ağustos 1951.
50 T. Z. Tunaya. Türkiyede Siyasi Partiler. Istanbul, 1952, s. 667.
51 «Hürriyet», 3 Ağustos 1953.

მწიფოს ახალი მესვეურების დაპირება ფაქტიურად განუხორციელებელი დარჩა. ეს პროექტი 1958 წელსაც კი არ ჰქონდა განხილული თურქეთის პარლამენტს[52].

50-იან წლებში აღმოსავლეთ ვილაიეთებში აიგო სასკოლო შენობების გარკვეული რაოდენობა, მაგრამ ძნელი აღმოჩნდა მათი უზრუნველყოფა პედაგოგებით, რის გამო შენობები უპატრონოდ დარჩა და ინგრეოდა. აღრის ვილაიეთში აგებულ ერთ ასეთ სკოლაზე მოგვითხრობს „ჯუმჰურიეთის" კორესპონდენტი: „მას შემდეგ რაც ეს სკოლა აიგო მისი კარები არავის შეუღია. ერთი საათის წვალების შემდეგ როგორც იქნა კარები გავაღეთ. შიგ სიცარიელეა, კედლები დამსკდარა. საძირკველი დამპალა. ვერ გამიგია ეს ნაგებობა როგორ დგას ფეხზე... ათასში ერთ სკოლას აგებენ და იმასაც ასეთს"[53].

ოპოზიციური სახალხო-რესპუბლიკური პარტიის კვლევისა და დოკუმენტაციის ბიურომ 1959 წ. გამოსცა ბროშურა სათაურით „სოციალური პრობლემები", რომელშიც გამახვილებულია ყურადღება განათლების კატასტროფულ მდგომარეობაზე ქვეყნის აღმოსავლეთში. „არსებული 508 საშუალო სკოლიდან,—ნათქვამია ამ დოკუმენტში,— ჰათაიდან ყარსამდე გადაჭიმულ 8-10 ვილაიეთში (რაც ქვეყნის მთელი ტერიტორიის ერთ მესამედს შეადგენს) მხოლოდ 50-მდე საშუალო სკოლაა ასიოდე მასწავლებელით, მაშინ როდესაც 100 პედაგოგი ანკარის ჯებეჯის საშუალო სკოლაშია. მასწავლებელთა კადრების სიმცირემ აღმოსავლეთ ვილაიეთებში კიდევ უფრო სერიოზული ხასიათი მიიღო"[54].

თურქული ყოველკვირეული ჟურნალის „აკისის" ცნობით, 1958—1959 სასწავლო წელს დიარბაქირის ვილაიეთში დამატებით საჭირო იყო 469 სასკოლო შენობა, ვანის ვილაიეთში 424, მარდინისა—551. 1959—1960 სასწავლო წელს დიარბაქირის ვილაიეთში სკოლის გარეთ დარჩა 28.389 ბავშვი, არზრუმის ვილაიეთში კი 34.016[55].

თურქული პირველწყაროების მოწმობით, ახლანდელ თურქეთში 16 მილიონი უწიგნურია, ე. ი. მოზრდილი მოსახლეობის 61%-ზე მეტი. უწიგნურთა პროცენტი განსაკუთრებით დიდია ქალთა შორის, მით უმეტეს აღმოსავლეთში. მაგ., 1953 წ. აღრის ვილაიეთში

---

52 «Içtimaî meseleler». CHP Genel Sekreterliği Araştırma ve Dökümantasyon Bürosu. Yayın N 4, Istanbul, 1959, s. 19.

53 «Cumhuriyet», 18 Mart 1961.

54 «Içtimaî meseleler», CHP Genel Sekreterliği..., s. 40.

55 იხ. ნ. კომახიძე, თანამედროვე თურქეთის სახალხო განათლება, „სკოლა და ცხოვრება" № 12, 1964 წ., გვ. 80.

უწიგნური იყო მამაკაცთა 82,6%, ქალთა 97,3%, ელიაზიგის ვილაიეთში მამაკაცთა 75,4%, ქალთა 93,7%, თუნჯელის ვილაიეთში მამაკაცთა 83%, ქალთა 93,7%, მალათიის ვილაიეთში მამაკაცთა 72, 9%, ქალთა 94, 6%, ბინგიოლის ვილაიეთის სოფლებში წერა-კითხვა იცოდა 34 კაცმა და 8 ქალმა. ანალოგიურია მდგომარეობა აღმოსავლეთის სხვა ვილაიეთებშიც[56].

1960 წლის სამხედრო გადატრიალების შემდეგ აღმოსავლეთში უწიგნურობის ლიკვიდაციისათვის მთავრობის საკანონმდებლო გადაწყვეტილებით მასწავლებლებად გაიგზავნენ თადარიგის ოფიცრები. ბოკლე ხანში ბევრმა მათგანმა მიატოვა დანიშნულების ადგილი.

აღმოსავლეთის კულტურულ ცხოვრებაში მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ყველაზე დიდ მოვლენად შეიძლება ჩაითვალოს ათათურქის სახელობის უნივერსიტეტის გახსნა არზრუმში 1958 წლის 17 ოქტომბერს, რომლის დაარსების იდეა ქემალ ათათურქმა 1937 წ. წამოაყენა. უნივერსიტეტში სამუშაოდ მოწვეულ იქნა 5 ამერიკელი პროფესორი ნაბრასკას უნივერსიტეტიდან[57]. გათვალისწინებულია უნივერსიტეტში 12 ფაკულტეტის შექმნა. სახელდობრ, ეხისა და ლიტერატურის, ისტორიის, არქეოლოგიის, სოციოლოგიის, გეოგრაფიის, ეკონომიკისა და სტატისტიკის, მათემატიკის, ქიმიის, ბიოლოგიის, ფიზიკის, სამთამადნო და სოფლის მეურნეობის[58]. უნივერსიტეტის გახსნას მოითხოვენ ვანი და დიარბაქირი[59]. პარალელურად აცხოველებენ საქმიანობას აღმოსავლეთში გაფანტული მედრესეები, რომლებიც მთელი თურქეთისათვის ამზადებენ დიპლომირებულ ხოჯებს. აღმოსავლეთის მედრესეთაგან ყველაზე მნიშვნელოვანია მუშის ვილაიეთის ნორშინის მედრესე, დიარბაქირის ვილაიეთის ჰანესა და სილვანის მედრესეები და ლიჯეს მოლა ჰალილის მედრესე[60].

საკვლევი მხარის კულტურული დონის აღმავლობას ხელს უშლის ადგილობრივი საგამომცემლო ბაზების სიმცირე. ცენტრალური პრესა კი ნაკლებ ეხმაურება შორეული ვილაიეთების საჭირბოროტო საკითხებს. 1952 წ. საკუთარი სტამბების უქონლობის გამო ადგილობრივი გაზეთები არ გამოდიოდა ვილაიეთებში—ბითლისი, ჭოროჰი, გიუმუშანე, ჰაკიარი, მარდინი, რიზე, მუში და თუნჯელი[61].

---

[56] Е. К. Саркисов. Положение трудящихся масс в современной Турции, Ереван, 1955, стр. 143—144.

[57] «Cumhuriyet», 18 Ekim 1958.

[58] «Erzurumu anarken», sayı 1, yıl I, 12 Mart 1956, s. 21.

[59] «Forum», sayı 225, 15, Ağustos 1963, s. 13.

[60] «Cumhuriyet», 12 Ağustos 1953.

[61] «Hür ses», 26, Mayıs 1952.

მეტად მცირეა საკვლევ რაიონებში ბიბლიოთეკებისა და სამკითხველოების რაოდენობა. უმნიშვნელოა წიგნადი ფონდი. 1961 წელს აღმოსავლეთის 21 ვილაიეთში[62] სულ 39 სამკითხველო იყო, აქედან 36 ტრაპიზონში, თითო ელიაზიგში, ვანსა და სიირთში, 17 ვილაიეთში კი არცერთი. 5. 745. 915 მოსახლეზე სულ იყო 213. 790 წიგნი (1000 წიგნი ბინგიოლის 131.793 მოსახლეზე, 1.688—ადიამანის 235. 147 მოსახლეზე, ერთი წიგნიც არ გაანდათ თუნჯელისა და ჰაკიარის ვილაიეთებს 207.343 მოსახლეზე) ე. ი. საშუალოდ ყოველ 100 კაცზე—3[63]. ერდოგან არიფინარი, რომელსაც ეს ცნობები მოჰყავს, გულისტკივილით დასძენს: „ქრისტეს დაბადებამდე 290 წ. ბერგამას წიგნთსაცავში 200 ათასი ტომი იყო, ისკენდერიეს სამკითხველოში კი 700 ათასი ტომი და აი ქრისტეს დაბადებიდან 1961 წლის შემდეგ თურქეთში არის ვილაიეთები სადაც არცერთი წიგნი არ მოიპოვება. თუ აღმოსავლეთს არ გავანათლებთ, იგი ჩვენ უმეცრებასა და წყვდიადში ჩაგვითრევსო"[64].

აღმოსავლეთში არ არის გაშლილი ბრძოლა კულტურული ჩამორჩენილობის დასაძლევად. საკმარისია აღინიშნოს, რომ ელიაზიგში 72 სხვადასხვა სახელწოდების ორგანიზაცია არსებობს, მაგრამ არცერთი მათგანი არ ისახავს მიზნად ჩამორჩენილობის ლიკვიდაციას, რისი მიზეზით ვილაიეთის ქალთა 80% დღესაც ჩადრით დადის, თუმცა ამის ამკრძალავი ზომები ჯერ კიდევ რესპუბლიკური წყობის გარიჟრაჟზე იქნა მიღებული[65].

ზემომოყვანილი მასალა ცხადყოფს, რომ აღმოსავლეთი თურქეთის მშრომელი გლეხობის ფართო ფენებს უკიდურესად მძიმე საყოფაცხოვრებო პირობები აქვთ. ცხოვრების სიდუხჭირე, ეკონომიური ხელმოკლეობა და შიმშილი, ავადმყოფობა, რელიგიური ფანატიზმი და უწიგნურობა მათი უსიხარულო ცხოვრების განუყრელი თანამგზავრებია.

ღარიბობა ჩაფლულია ვალებში[66], მას სისხლს სწოვს მევახშე და გლეხი წლიდან წლამდე ვალის პროცენტებსაც ვერ ფარავს[67]. ოჯახის სუსტ ბიუჯეტს მძიმე ტვირთად აწვება საგადასახადო უღელი.

---

62 ცნობები არ მოგვეპოვება ეილაიეთების გაზიანთეფის, ორდუსა და გირესუნის შესახებ.

63 «Cumhuriyet», 12 Şubat 1962.

64 Ibidem.

65 «Vatan», 28 Ocak 1965.

66 «Ulus», 16 Ağustos 1958.

67 «Ulus», 9 Nisan 1951.

ამას ერთვის გლეხის პოლიტიკური უუფლებობაც. იგი მიწათმფლობელის ზეგავლენის ქვეშ იმყოფება, რადგან მასზეა ყოველმხრივ დამოკიდებული. ბეები, აღები და მევახშეები შეუზღუდავი უფლებებით სარგებლობენ გლეხებზე, მუდმივი შიშისა და ტერორის ქვეშ ჰყავთ ისინი. „აღმოსავლეთი ანატოლია განწირულ ადამიანთა მხარეა,—წერდა „ჰურიეთი" 1960 წელს,—ასეულ ათასობით ადამიანი იტანჯება ადგილობრივი მდიდრების უღელქვეშ. აღმოსავლეთი რაიონების მთავარი უბედურებაა აღა, რომელიც აქაურობის სრულუფლებიანი ბატონ-პატრონია"[68].

მალათიის ვილაიეთის სოფელ ბაბიკის გლეხთა ჯგუფმა სტამბოლის ერთ გაზეთს მიმართა თხოვნით, რომ პრესა დაეხმაროს მათ— თავი დააღწიონ უუფლებობას. „კულაკები. — განაცხადეს მათ, — ძალადობით გვახდევინებენ ხარკს. იარაღით გვემუქრებიან და ფულს მოითხოვენ იმ ოჯახებისაგან. რომელთა წევრები მზიდავებად მუშაობენ სტამბოლში და გაჭირვებით შოულობენ ცხოვრების სახსარს. ხარკის გადაუხდელობისათვის კულაკები ცეცხლს უკიდებენ ნათესებს, ჭრიან ხეებს, კიდევაც ხოცავენ იმ გლეხებს, რომლებიც მათ არ ემორჩილებიან"[69]. მთავრობა გულგრილი რჩება გლეხობის საჩივრებისადმი.

შეძლებული ფენები გლეხებს იყენებენ თავიანთი პოლიტიკური მიზნების განსახორციელებლად. „იენი საბაჰის" კორესპონდენტი 1961 წლის ოქტომბერში მეჯლისის პირველი არჩევნების წინ ადიამანიდან იუწყებოდა: „ადიამანში არჩევნების შედეგები აღების ხელშია. ქალაქის სასტუმროები ავსილია აღების დელეგაციებით, რომლებიც ფლობენ გლეხობის საარჩევნო ხმებს. ყოველი პარტიის კანდიდატები ერთმანეთს ეჯიბრებიან აღების გულის მოგებაში. ისინი პირობას იძლევიან, რომ უსიტყვოდ შეასრულებენ აღების ყველა პრეტენზიას"[70].

გლეხობის ნაწილი იმედოვნებს, რომ მთავრობა ბოლოს მოუღებს შეძლებულთა აღვირახსნილობას.

თურქეთის სოფლის მეურნეობის ყოფილი მინისტრი შევქეთ რაშიდ ჰათიფოღლუ შემდეგი მიზეზებით ხსნის აღმოსავლეთი ვილაიეთების ღარიბი გლეხობის პოლიტიკურ უუფლებობას: „აღმოსავლეთის საკითხი", რომლის შესახებ მუდამ ბევრი ლაპარაკია თურქეთში, უწინარეს ყოვლისა მიწასთანაა დაკავშირებული. როგორც ცნო-

---

[68] «Hürriyet», 19 Kasım 1960.

[69] М. Гасратян, П. Моисеев, Турция ждет перемен, Москва, 1963, стр. 69.

[70] „Отечествен Фронт", София, 8 октомври 1961.

ბილია, იქაურ მკვიდრთა უმეტესობა არსებობის საშუალებათა პოვნის თვალსაზრისით მიწათმფლობელზეა დამოკიდებული. მიწის რეფორმის შედეგად არსებობის საშუალებებით უზრუნველყოფის საკითხის გადაჭრისა და აღასთან, რომელიც ყოველგვარ ძალმომრეობას მიმართავს, ურთიერთობის გაწყვეტის შემდეგ შეიცვლება გლეხის შეხედულებები და აზროვნების მანერა, რადგან მას საკუთარი ნაკვეთი ექნება"[71]. ნიშანდობლივია, რომ ამ მართებულ დასკვნამდე ყოფილი მინისტრი მივიდა მაშინ, როდესაც აღარ იყო მთავრობის წევრი.

მიწისა და აღას პრობლემების გადაჭრასთან ერთად აუცილებელია სახელმწიფო ორგანოთა წარმომადგენლების თვითნებობის ალაგმვა, რადგან „დღეს აღმოსავლეთის სოფლებში მეტი პატივისცემით სარგებლობენ (პოლიციისა და ჟანდარმერიის—ნ. კ.) ეფრეიტორები და სერჟანტები, ვიდრე მასწავლებლები". სამწუხაროდ ეს „სიძპათიები" ცარიელა შიშზეა დამყარებული[72].

წლითიწლობით იზრდება საკვლევ მხარეში გლეხობის სიღატაკე და უკმაყოფილება, სულ უფრო მწვავე და შეურიგებელი ხდება სოციალური წინააღმდეგობანი სოფლად, რაც თავის გამოხატულებას პოულობს გლეხთა მოძრაობის აღმავლობაში.

2. გლეხთა მოძრაობა აღმოსავლეთ თურქეთში მეორე მსოფლიო ომის შემდეგ

კლასობრივი ჩაგვრა და მძიმე მატერიალური პირობები აიძულებს თურქ გლეხებს ხმა აიმაღლოს სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ, იარაღს მოჰკიდოს ხელი ადამიანური უფლებების მოსაპოვებლად. თურქეთში შესამჩნევად გაძლიერდა გლეხთა მოძრაობა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ.

საცენზურო შეზღუდვები აბრკოლებენ გლეხთა ძოძრაობის სრულ ასახვას პერიოდულ პრესაში, მაგრამ დროდადრო თურქული გაზეთების ფურცლებზე ჩნდება ცნობები გლეხთა სტიქიური გამოსვლების, მათ მიერ მემამულეებისა და აღების მიწების მიტაცების, ჟანდარმერიისა და პოლიციის შენაერთებთან შეიარაღებული შეტაკებების, გადასახადების გადახდაზე უარისთქმის თაობაზე. გაღატაკებული გლეხთა მასა, რომელსაც „დღეს ისევე როგორც 6 საუკუნის წინათ არწმუნებენ, რომ მთავრობის წინააღმდეგ ბუნტი—ალაჰის

---

[71] «Cumhuriyet», 14 Ağustos 1960.

[72] «Cumhuriyet», 5 Haziran 1961.

წინააღმდეგ ბუნტია"[73], გამოსავალს თავისი მდგომარეობიდან ხედავს იმაში, რომ იარაღდება ორთითებით, ცულებით—რაც კი მოჰყვება ხელში და ილაშქრებს მემამულეებზე. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ამ მხრივ. 1949 წელი. გაზეთების ცნობათა მიხედვით 1949 წელს ექვსი თვის განმავლობაში ქვეყნის 22 გუბერნიაში მოხდა გლეხთა 323 შეიარაღებული შეტაკება ჟანდარმებთან, პოლიციასთან და ჯარებთან. გლეხები სწვავდნენ მემამულეების კარმიდამოს, ბეღლებს, გომურებს, მიერეკებოდნენ საქონელს, იყოფდნენ ურთიერთშორის მიწას. თურქეთის ცალკეულ რაიონებში წარმოებდა ნამდვილი ბრძოლები, რომლებშიც ასეული გლეხი იღებდა მონაწილეობას[74]. „უკანასკნელ ხანს,—წერდა გაზეთი „თასვირი"—გლეხობა სულ უფრო გაბედულად ილაშქრებს ჟანდარმერიის წინააღმდეგ და არ ემორჩილება კანონებს. მთელ თურქეთში გაისმის მოთხოვნა: „მიწა და თავისუფლება გვწყურია"[75]. 1951 წლის იანვარ-ივნისში თურქეთში ადგილი ჰქონდა გლეხობის მიერ „საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის" 718, მემამულეების პირუტყვის გარეკვის 400-ზე მეტ და მემამულეების და კულაკების მიწების დატაცების 43 შემთხვევას[76].

„დემოკრატთა" მმართველობის პირველ წლებში ოდნავ შენელებული გლეხთა მოძრაობა ახალი ძალით გაიშალა 1955 წლის შემდეგ.

თავისუფლების, მიწისა და პურისათვის გლეხობის საერთო ბრძოლაში თავისი წვლილი შეაქვთ აღმოსავლეთი ვილაიეთების სოფლის ღარიბ და საშუალო ფენებს. საკვლევ მხარეში მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გლეხობის მასობრივი უკმაყოფილების ზრდის შესახებ მეტყველებს ის ფაქტი, რომ აღმოსავლეთ ვილაიეთების მშრომელი გლეხობა თავისი უწიგნურობისა და რელიგიური სიბნელის მიუხედავად სულ უფრო გაბედულად გამოდის უსამართლობის წინააღმდეგ. გახშირდა ხელისუფლების საწინააღმდეგო გამოსვლები, რომელთა ჩასახშობად მთავრობა დამსჯელ ექსპედიციებს აწყობს. ტრაპიზონის „ჰალკ გაზეთესი" 1952 წლის ივლისში წერდა: „ამ ბოლო დროს აღმოსავლეთ ვილაიეთებში მთავრობის ძალების

---

[73] Fakir Baykurt, Türk köylüsünün hakları. «Forum», 1 Temmuz 1960, s. 9.

[74] ს. უსთიუნგელი, საპყრობილე და „თავისუფლება", თბილისი, 1953 წ, გვ. 127—128.

[75] «Tasvir», 1 Haziran 1952.

[76] „Проблемы современной Турции", Москва, 1963, стр. 98.

წინააღმდეგ გამოსელა ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. მთავრობას ძალა არ შესწევს დააკავოს... წესრიგის დამრღვევნიო"[77].

თურქეთის სოფელში ყველა ხასიათის წინააღმდეგობის ძირითადი წყაროა მიწის პრობლემა. უმიწაწყლო გლეხი იბრძვის საკუთარი პარცელისათვის, ჩია მეურნეობის მფლობელი ცდილობს საკუთრების გაფართოებას თუნდაც „მშიერი ნორმის" ზომამდე. ვ. ი. ლენინი მეფის რუსეთის გლეხობის მოთხოვნების განხილვისას 1905 წელს წერდა: „გლეხს აქვს მხოლოდ სავსებით მომწიფებული, ასე ვთქვათ, ტანჯვით განცდილი და ხანგრძლივი ჩაგვრით გამობრძმედილი მოთხოვნა განაახლოს, გაამაგროს, განამტკიცოს, გააფართოოს წვრილი მიწათმოქმედება, გახადოს იგი გაბატონებული,— და სხვა არაფერი. გლეხს წარმოდგენილი აქვს მხოლოდ მემამულეთა ლატიფუნდიების გადასვლა მის ხელში; გლეხი ამ ბრძოლაში ყველა გლეხის, როგორც მასის, ერთიანობის ბუნდოვან იდეას მოსავს სიტყვებით მიწის სახალხო საკუთრების შესახებ"[78].

ვ. ი. ლენინის ეს სიტყვები თურქეთის გლეხობასაც შეესაბამება.

გლეხობის გარკვეული ნაწილი ჯერ კიდევ ვერ გარკვეულა ვინ არის მისი ჭეშმარიტი კლასობრივი მტერი და დუხჭირი ცხოვრებისაგან გაწამებული ყოველი მტკაველი მიწისათვის ებრძვის მასავით ღარიბ-ღატაკს. ეს გლეხობის დაბალ კლასობრივ თვითშეგნებაზე მეტყველებს. თურქული პრესა აღსავსეა ცნობებით „მიჯნების გამო კონფლიქტების" (სინირ დავალარი) შესახებ. ეს ცნობები ქვეყნის ყველა კუთხიდან და მათ შორის აღმოსავლეთიდანაც მოდის. უთანხმოებებს ადგილი აქვს როგორც ცალკეულ პიროვნებებს ასევე სოფლებს შორისაც და უმეტესად ადამიანთა მსხვერპლით მთავრდება. ხშირია შემთხვევა, როცა სოფლად წამოჭრილი დავა სასამართლოებში მუშტი-კრივითა და სისხლით ბოლოვდება. გამოთვლილია, რომ თურქეთში საშუალოდ ყოველ წელს „მიჯნების" გამო წარმოშობილ უთანხმოებებში 1000 კაცი იღუპება[79].

გაზიანთეფის, ურფას, მარდინისა და დიარბაქირის ვილაიეთების 68 სოფელში 1948—1952 წლებში ადგილი ჰქონდა 355 კონფლიქტს მიწის გამო, აქედან 48,2% მოხდა თანასოფლელებს შორის, 6,2% გლეხებსა და სოფელს შორის, 17,2% მეზობელი სოფლის გლეხებთან, 6,8% გლეხებსა და სახელმწიფოს შორის, 21,6% გლეხებსა და იმ

---

[77] «Ulus», 17 Eylûl 1952.

[78] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, სოციალ-დემოკრატიის აგრარული პროგრამა რუსეთის 1905—1907 წლების პირველ რევოლუციაში, თხზ., ტ. 13, გვ. 364.

[79] «Hürriyet», 20 şubat 1955.

ქალაქელებს შორის, რომელთაც ნაკვეთები ჰქონდათ სოფლად. ამ სოფლების მოსახლეობის 26% ედავებოდა სხვას მიწის გამო. სადაო საკითხების 10%-ში მოპასუხე იყო ნათესავი, 28%-ში ერთ-ერთი თანასოფელი, 1%-ში სოფლის ხელმძღვანელობა, 38%-ში მეზობელი სოფლის მოსახლეობა და 23%-ში სახელმწიფო. შემოწმებული 24 ვილაიეთიდან 1948-52 წლებში სახელმწიფოსთან მიწის თაობაზე კონფლიქტების ყველაზე მეტი რაოდენობა ამ 4 ვილაიეთზე მოდიოდა[80].

მარდინის ვილაიეთის კიზილთეფეს მაზრის სოფ. გირბელში 1949 წ. მაისში ორი ოჯახი შეეტაკა ერთმანეთს მიწის გამო. დაიღუპა 5 გლეხი[81]. სიირთის ვილაიეთის ყველაზე დიდ სოფელ თელოში, რომელიც 3 ათას მოსახლეს დაითვლის ფაკირულაჰისა და მუჯაჰითის გვარის კომლებს შორის წამოჭრილ დავაში მთელი სოფელი ჩაერია, კამათი შეიარაღებულ კონფლიქტში გადაიზარდა[82]. 1952 წლის აპრილში რიზეს ვილაიეთის ორთაფაზარის ილჩეში მიწის გამო მოკლეს გლეხი სეფერი, ხოლო ფაზარის კაზა არდეშენის ბუჯაკში სოფელი იჰსან დურმაზი[83]. იმავე წლის ივნისში ორი სისხლისმღვრელი შეტაკება მოხდა გლეხებს შორის მარდინის ვილაიეთში, დაბოლოს გლეხები დაერივნენ მათ წინააღმდეგ გამოგზავნილ ჟანდარმთა შენაერთს. ორივე მხარეზე იყო მოკლულები და დაჭრილები[84]. ივნისშივე მოხდა შეიარაღებული შეტაკებები მარდინის ვილაიეთის ნუსაიბინის ილჩეს სოფლებში ფალასა და ზიმარში, რომლებიც სისხლისღვრით და მკვლელობით დამთავრდა. გლეხობის დასაშოშმინებლად ჟანდარმები იქნენ გამოძახებული. „იენი ერზერუმის“ ცნობით, 5 ივლისს სარიყამიშის ილჩეს სოფ. კაზიკაიაში უბედურება დატრიალდა საძოვრების გამო, მოკლულ და დაჭრილ იქნა 10 გლეხი, დააპატიმრეს 6 კაცი, დანარჩენები გაიქცნენ[85]. ივლისში შეტაკებები მოხდა აგრეთვე გირესუნის ვილაიეთში; მარდინის ვილაიეთის გერჯუშის ილჩეს სოფლებში ჰოსკანში, აჯიფსა და კირკათში მიწისათვის მოკლეს 12, დაჭრეს 30 გლეხი[86]. 2 სოფელი დაიღუპა და რამდენიმე დაიჭრა მძიმედ ერზინჯანის ვილაიეთის ქემალიეს ილჩეს სოფლების აღილლარის და ბიზმისენის და ელიაზიგის ვილაიეთის

---

80 «Türkiyede ziraî makinalaşma», s. 136—137.

81 АВП СССР, Фонд 132, опись 35, дело 18, папка 127, л. 62.

82 «Ulus», 20 Kasım 1951.

83 «Akşam», 9 Nisan 1952.

84 АВП СССР, Фонд 132, опись 42, дело 15, папка 133, л. 122.

85 «Ulus», 8 Temmuz 1952.

86 «Akşam», 18 Temmuz 1952.

სოფლების კოჩანისა და პალუს შეტაკებებისას[87]. იმავე წლის სექტემბერში კონფლიქტებს ჰქონდა ადგილი მალათიის ვილაიეთის დოღანშეჰირის ილჩეს სოფლებს ელმანსა და სოგიუთს შორის, დაიჭრა 4 კაცი; მარდინის ვილაიეთის სავურის ილჩეს სოფ. რისსინში, სადაც ასევე დაიღვარა სისხლი; მიდიათის ილჩეს სოფ. ჩელიკში ერთი გლეხი მოკლეს, ერთიც მძიმედ დაჭრეს[88]. 1953 წლის მაისში ორდუს ვილაიეთის სოფ. ჩათალიში ერთი გოჯა მიწისათვის ბრძოლას შეეწირა მრავალშვილიანი გლეხი—ქალი[89].

1958 წლის იანვარში დიარბაქირის ვილაიეთის ბისმილის კაზას თეფეს ნაჰიეს სოფ. ჩემბერლიში 30 გლეხი შეებრძოლა ერთმანეთს სანადირო თოფებით, მძიმედ დაიჭრა 3, დააპატიმრეს 12 გლეხი[90], ივლისში მუშის ვილაიეთის სოფ. აბულბაჰარში ნახევარი დენიუმი მიწისათვის წამოჭრილ კონფლიქტში 50 გლეხი მონაწილეობდა და ამათგან 19 დაიჭრა[91]. 1959 წლის მაისში ერთმანეთს ქვებით, კეტებით და თოფებით დაერივნენ დიარბაქირის ვილაიეთის კერმიკის ილჩეს სოფლების ჰაბურმანისა და ჰადიკის გლეხები, დაიღუპა 2, დააპატიმრეს 12 გლეხი[92]. ივლისში ვანის ვილაიეთის ერთ-ერთ სოფელში საძოვრებისა და მიწისათვის ატეხილი დავა სისხლისღვრით დამთავრდა[93]. 1961 წლის მარტში მიწის გამო შეტაკებისას მუშის ვილაიეთის სოფ. ორგინოსში მოკლეს და დაჭრეს 16 გლეხი[94]. 1963 წლის თებერვალში ბითლისის ვილაიეთის აჰლათის ილჩეს სოფ. თურჰისში 300 გლეხი მონაწილეობდა შეიარაღებულ კონფლიქტში. მაჰასახლისმა გამოიძახა ჟანდარმთა შენაერთები[95]. თებერვალში დატრიალდა უბედურება მიდიათის ილჩეს სოფლებში ეფშისა და კინდერიპში[96]. 1964 წლის 14 ოქტომბერს ურფას ვილაიეთის სოფ. ანაზში ბერიტანისა და სიჰის მეზობელ აშირეთებს შორის მიწის გამო წამოჭრილი დავა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში გადაიზარდა. დაიღვარა 35 გლეხის სისხლი, ჟანდარმერიამ 64 კაცი დააპატიმრა[97].

---

87 «Ulus», 13 Temmuz 1952.
88 «Ulus», 6—8 Eylül 1952, «Akşam», 15 Eylül 1952.
89 «Milliyet», 18 Mayıs 1953.
90 «Cumhuriyet» 14 Ocak 1958.
91 «Cumhuriyet», 5 Temmuz 1958.
92 «Cumhuriyet», 15 Mayıs 1959.
93 «Yeni işik», 4, Temmuz 1959.
94 «Cumhuriyet», 9 Mart 1961.
95 «Yeni sabah», 22 şubat 1963.
96 «Ulus», 2 Mart 1963.
97 «Vatan», 15 Ekim 1964.

სისხლისღვრა არ ცხრება სასამართლოშიც. სადაც სადაო საკითხები ირჩევა. ელიაზიგის ვილაიეთის პალუს ილჩეს სოფ. ოჯრიანსა და კარაკოჩანის ილჩეს სოფ. სარიჯანს შორის ძველთაგან არის დავა მენდიკის იაილას ირგვლივ. საქმეში ჩაერია კარაკოჩანის სასამართლო. პროცესის დაწყებამდე ორივე სოფლის 50-მდე მკვიდრი მაზრის მუნიციპალიტეტში კეტებითა და მუშტებით დაერია ერთმანეთს, მოკლეს 2. მძიმედ დაჭრეს რამდენიმე გლეხი[98]. იგივე გაძეორდა 1960 წლის მარტში ბითლისის სასამართლოს ბაღში. სადაც დაშავდნენ სოფ. ჰურმოზის გლეხები[99]. 1965 წლის თებერვალში დიარბაქირის ვილაიეთის ჩინარის ილჩეს სოფ. ბარიში სადაო ყანის გამო გამართულ ჩხუბში 4 კაცი მოკლეს. დიარბაქირში დაიწყო ჩხუბის მოთავეთა გასამართლება. შეიარაღებული დაცვით მოყვანილი 20 გლეხი სასამართლოს დერეფანში ქვებითა და ბარებით დაერივნენ ერთმანეთს. ჩხუბმა მალე ჟანდარმთა პოლკის სარდლობის ეზოში გადაინაცვლა. საქმეში ჩაერიენ ჟანდარმები, მაგრამ გლეხებმა ჟანდარმებსაც დაუწყეს ცემა და თოფ-იარაღი დაუმტვრიეს. მძიმედ დასახიჩრდა 6 კაცი[100].

მრავალი ადამიანის სიცოცხლე ეწირება აგრეთვე გაუთავებელ კონფლიქტებს სარწყავი არხებისა და წყლის გამო.

აღმოსავლეთ თურქეთში გლეხთა ბრძოლის ერთ-ერთი ფორმაა „ეშკიალიკი". ეშკია შეიარაღებული გლეხია, რომელიც მთებსა და ტყეს აფარებს თავს და ებრძვის თავის მჩაგვრელებს: აღას, ბეგებსა და ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს. მართალია ბრძოლის ეს ფორმა დიდი ხანია ცნობილია თურქეთში, მაგრამ უკანასკნელ წლებში იგი გაცილებით მასობრივი გახდა. „აღმოსავლეთსა და სამხრეთ-აღმოსავლეთში ეშკიალიკი პროფესიად იქცა,—წერს „ულუსი", — უმუშევრობა, სიღატაკე, ერთი გოჯა ნაყოფიერი მიწის უქონლობა აიძულებს ადამიანებს მთებს შეაფარონ თავი"[101].

თურქეთში სხვადასხვა თვალსაზრისი არსებობს ეშკიას როლისა და პიროვნების შეფასებაში. ოფიციალური აზრი ეშკიას მიიჩნევს ყაჩაღად და მძარცველად, რომელიც მოსახლეობას ავიწროებს, უბრალო ხალხისათვის კი ეშკია გლეხობის ინტერესების დამცველი და მეგობარია. ხალხი დესტანებს თხზავს გამოჩენილ ეშკიებზე. იაშარ ქემალმა შესანიშნავი რომანი მიუძღვნა ერთი ეშკიას ცხოვრებასა და

---

[98] «Ulus», 26 Haziran 1952.
[99] «Cumhuriyet», 6 Mart 1960.
[100] «Ulus», 24 Şubat 1965.
[101] «Ulus», 30 Ocak 1962.

ბრძოლას, რომელიც სახალხო შურისმაძიებლად იქცა და ოცნებობს მიწა გლეხებს დაურიგოს[102]. ჰარმანდალიოღლუ ახალგაზრდა ეშკიას მალათიელი შუქურის შესახებ აღნიშნავს „ზოგიერთებისათვის იგი „მთის ლომია", ზოგისათვის კი ყაჩაღი. იყვნენ ისეთებიც, რომლებიც მას „ჩაგრულთა მამას" ეძახდნენ. როგორც მოსახლეობა ჰყვება იგი ძარცვავდა მდიდრებს და მთელ ნადავლს ღარიბებს ურიგებდა... ხალხს ახსოვს და უყვარს იგი"[103]. გლეხობა იფარავს და ეხმარება ეშკიებს. 1958—1959 წლებში რიზეს მიდამოებში მოქმედებდა სამი ეშკია შევქეთი, საბითი და ღურსუნ ალი ეკში. მაგრამ პოლიციამ ვერასგზით ვერ შეძლო მათი დაპატიმრება 8 წლის მანძილზე. რადგან ადგილობრივი მოსახლეობა ეშკიების მხარეზე იყო[104].

დამსჯელი ორგანოები სასტიკად უსწორდებიან გლეხებს. რომლებიც ეშკიების მფარველობაში არიან შემჩნეული. 1947 წლის შემოდგომაზე მთელ ქვეყანას მოედო საზარელი ცნობა იმის შესახებ, რომ ჟანდარმებმა აღრის ვილაიეთის, დოღუ ბაიაზითის ილჩეს სოფ. შენსოში ცემით მოკლეს გლეხი ჰაჯი თეკინი და მძიმედ დააშავეს მისი ვაჟი იმის გამო, რომ მათ ბრალად ედებოდათ ეშკიებთან კავშირი. აი რა მოუთხრო სასამართლოს ამის შესახებ სოფ. სემოს მცხოვრებმა არიფ თაიფურმა, რომელიც შემთხვევით შეესწრო გლეხის წამებას: „შუადღისას ჟანდარმები სოფელში მოვიდნენ. ჰაჯი თეკინი და მისი ვაჟი დაატუსაღეს. პოდპოლკოვნიკმა საიმმა მიბრძანა მომეტანა კეტი. თითის სიმსხო ჯოხი ვიპოვე და მივუტანე. პოდპოლკოვნიკი გაბრაზდა, რამდენიმე სილა გამაწნა და დამიღრიალა—„უფრო მსხვილი მოიტანე!" მისი ბრძანება შევასრულე, მოვიტანე მაგიდის ფეხის სიმსხო კეტი. უფროსმა ლეიტენანტმა და რიგითმა ჟანდარმებმა ჰაჯი მიწაზე დააწვინეს. პოდპოლკოვნიკმა კეტი უფროს ლეიტენანტს ვედად იოზბეკეს მისცა, იქვე ჩამოჯდა და გაროზგვას უყურებდა. ჟანდარმებმა ჰაჯის და მის ვაჟს ტანსაცმელი შემოახიეს და კეტით ცემა დაუწყეს. როცა დაიღალნენ, გაჩერდნენ. ჰაჯი და მისი ვაჟი აღარ ინძრეოდნენ. ისინი ძალით წაათრიეს სასაფლაოსაკენ და იქ დასტოვეს. სოფელი გაჩხრიკეს, ეძებდნენ იარაღს. ნაპოვნი 4 თოფი წაიღეს, ჰაჯი და მისი ვაჟი წიხლებისა და კონდახების ცემით წინ გაიგდეს და სევაპის ჟანდარმერიის განყოფილებაში წაიყვანეს"[105]. მეორე

---

[102] Яшар Кемаль. Тощий Мемед, Изд. Иностранной литературы, Москва, 1959.

[103] Harmandalıoğlu. Bir eşkiya. «Forum», sayı 166, 1 Mart 1961, s. 14—15.

[104] «Ulus», 16 Eylûl 1959.

[105] «Cumhuriyet», 3 Ekim 1947.

მოწმის ჰაჯი თაიფურის ჩვენებით, გლეხებმა პოდპოლკოვნიკი საიმი-
რომ დაინახეს მიხვდნენ, რომ ცემა-ტყეპის გარეშე საქმე არ დამთავ-
რდებოდა[106]. ჰაჯი თეკინი მიღებული დაზიანებებისაგან დოღუ ბაბა-
ზითის ჟანდარმერიაში გარდაიცვალა. ფაქტი გახმაურდა და ჟანდარ-
მთა ბარბაროსობა მთელი ქვეყნისათვის გახდა ცნობილი. გლეხთა
მღელვარებისა და მოწინავე საზოგადოებრივი აზრის ზეგავლენით
მთავრობა იძულებული შეიქნა დაეკავებინა მკვლელები პოდპოლ-
კოვნიკი საიმ ზერენი, კაპიტანი იბრაჰიმ იილმაზი, უფროსი ლეი-
ტენანტი ვედად იოზბეკე, რიგითი ჟანდარმები მეჰმედი და კასიმი. სა-
სამართლო პროცესის ინსცენირების შემდეგ მსაჯულებმა პორტ-
მოქმედები „უდანაშაულოდ" სცნეს და გაათავისუფლეს[107]. ეჭვგარე-
შეა, რომ მსგავსი ბოროტება არაერთხელ ჩადენილა საკვლევ მხარე-
ში, მაგრამ, სამწუხაროდ, პრესა ამაზე სდუმს.

ეშკიები თავს ესხმიან საპოლიციო უბნებს და იარაღს ართმევენ
პოლიციელებს. 1952 წლის სექტემბერში მარდინის ვილაიეთის
მიდიათის ილჩეში ეშკიები თავს დაესხნენ ჟანდარმებს, იარაღი აჰ-
ყარეს მათ და მიიმალნენ[108]. 1953 წლის თებერვალში ეშკიების ჩეთე
განაიარაღა ელიაზიგის ვილაიეთის კარაკოჩანის ილჩეს საპოლიციო
უბანი და გაიტაცა 20 თოფი და 2500 ვაზნა[109], 1961 წლის დეკემბერ-
ში ეშკიები ამავე მიზნით დაეცნენ სიირთის ვილაიეთის ეროზან-
შირნაკის გზაზე მდებარე მიმარონის საპოლიციო უბანს[110].

1959 წელი ეშკიალიკის აღმავლობით ხასიათდება. მეჯლისის
ყარსელმა დეპუტატებმა თურგუთ გიოლემ, რასიმ ილკერმა, ოსმან
იელთექინმა და ფევზი აქთაშმა, რომლებიც 1959 წლის აგვისტო-
სექტემბერში 20 დღე იმყოფებოდნენ ყარსის, აღრისა და არზრუ-
მის ვილაიეთებში, ანკარაში დაბრუნების შემდეგ მეჯლისში განაცხა-
ღეს, რომ აღმოსავლეთ ვილაიეთებში დაუყოვნებლივ საჭიროა გა-
დამჭრელი ზომების მიღება ეშკიალიკის წინააღმდეგ[111].

ეშკიები დაუნდობელ ტერორს უცხადებენ სოფლის ბობოლ-
ებს, მით უმეტეს თუ ისინი დამსჯელი ორგანოების დამსმენებიც
არიან. აღები თავის დასაცავად სხვადასხვა ზომებს მიმართავენ, ხში-
რად კი შეიარაღებულ მცველებსაც ქირაობენ. სიირთის ვილაიეთის

---

[106] Ibidem
[107] «Cumhuriyet», 23 Ekim 1947.
[108] «Akşam», 15 Eylûl 1952.
[109] «Cumhuriyet», 6 Şubat 1953.
[110] «Cumhuriyet», 8 Aralık 1961.
[111] «Ulus», 17 Eylûl 1959.

ბეშირის ილჩეში ცხოვრობდა ძალიან მდიდარი აღა ჰაჯი აჰმეთ კუმბეთი, რომელმაც ეშკიების შიშით 4 შეიარაღებული მცველი ძიუჩინა თავის კარმიდამოს. მიუხედავად ასეთი სიფრთხილისა, ეშკიები ღამით ეწვივნენ აღას, თავს წაადგნენ მას, მცველს რომ ჩაეძინა და თოფით მოკლეს. ასევე გაუსწორდნენ ეშკიები ერუჰისა და კურტალანის ილჩეებში სამ აღას[112]. 1961 წ. მათ მოკლეს სიირთის ვილაიეთის ერთ-ერთი სოფლის მფლობელი აბდულგანი თეკინი. როგორც „ჯუმჰურიეთი" წერდა, ეშკიებს გადაწყვეტილი ჰქონდათ თეკიხის მამულების სოფლის ღარიბებისათვის დარიგება. ამ ცნობამ დიდად შეაშფოთა ახლომახლო სოფლების მფლობელი აღები, რომლებმაც დაიწყეს სასწრაფო ზომების მიღება საკუთარი სიცოცხლისა და საკუთრების დასაცავად[113].

ეშკიათა ჩეთეების რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზარდა 1961 წლის ბოლოს. „ჯუმჰურიეთის" მოწმობით, მარტო სიირთის ძთებში ამ დროს მოქმედებდა „ეშკიების ურიცხვი (საზგასძა ჩვეხია— ნ. კ.) რაზმები"[114], რომელთაგან გამოირჩეოდნენ ნამლი ჰაჯოს, კოჩერნოს, თილკი სელიმისა და აბდოს (აბიდინის) ჩეთეები[115]. ეშკიების მოულოდნელი და გაბედული ოპერაციების წინააღმდეგ ძთავრობა ვერ იღებდა ეფექტურ კონტრზომებს. საქმე იქამდე მივიდა, რომ მათი შიშით სიირთში ცხოვრება დღის 3 საათზე წყდებოდა[116].

ცენტრალურმა ხელისუფლებამ ჟანდარმთა მსხვილი შენაერთები გადმოისროლა აღმოსავლეთში. ზოგ რაიონში ჟანდარმთა რაოდენობა 100%-ით გაიზარდა. მიღებული იქნა საგანგებო ზომები აღმოსავლეთი ვილაიეთების მოსახლეობის იდუმალი შეიარაღების აღსაკვეთად—გაძლიერდა იარაღის კონტრაბანდისტთა დევნა; დეკემბერის თვეში დაკავებული იქნა კონტრაბანდისტთა 13 კაციანი ჯგუფი, რომელიც იარაღით ამარაგებდა აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთისა და შიდა რაიონების გლეხობას. კონტრაბანდისტებს 1000-ზე მეტი მაუზერი აღმოუჩინეს[117]. დაბოლოს, ეშკიების წინააღმდეგ მიეკრობამ ფართო ოპერაცია წამოიწყო. აღმოსავლეთი გაიყო სამ საგანგებო ზონად (შტაბები სიირთში, ბითლისსა და დიარბაქირში), რომელთაც საველე ჟანდარმერიის სპეციალური ნაწილები შეამაგრეს. პრემიერ ინენიუს დავალებით საბრძოლო დანაყოფების სადამსჯელო ექსპე-

---

[112] «Ulus», 19 Eylûl 1952.
[113] «Cumhuriyet», 25 Aralik 1961.
[114] «Cumhuriyet», 31 Aralık 1961.
[115] «Cumhuriyet», 25 Aralik 1961.
[116] «Cumhuriyet», 26 Aralık 1961.
[117] «Cumhuriyet», 8 Aralık 1961.

დიცეებს ადგილზე ხელმძღვანელობდნენ შინაგან საქმეთა მინისტრი ა.ჰმედ თოფალოღლუ და ჟანდარმერიის მთავარსარდალი ა.ბ.ერ.ა.ჰ-მან დორუკი. ეშკიათა რაზმების წინააღმდეგ მოტორიზებული ნაწილები იქნა გამოყვანილი[118]. 16 დეკემბერს დაიწყო „ნადირობა ბოროტმოქმედებაზე" (სუჩლუ ავი)-- ასე მონათლა ოფიციალურმა პრესამ მთავრობის ორგანოების ოპერაციები.

ეშკიების რაზმები სერიოზულ წინააღმდეგობას უწევდნენ ჟანდარმერიას, მაგრამ სადაც ეს აუცილებელი არ იყო თავს არიდებენ უმიზნო სისხლისღვრას. 1962 წლის თებერვალში სიირთის ვილაიეთის ულუდერეს ილჩეს ელჯანის რაიონში ჟანდარმთა ქვეგანაყოფთან შეიარაღებული შეტაკებისას, ეშკია ჰაიდარ ორიუსის ჩეთემ 10 რიგითი ჟანდარმი დაატყვევა. ეშკიებმა ჟანდარმებს იარაღი აკყარეს და გაუშვეს. სიირთისა და ჰაკიარის გუბერნატორებმა გადაჭრით უარყვეს ეს ფაქტი, მაგრამ იგი დაადასტურეს შემთხვევის უშუალო მოწმეებმა[119].

ჩვენ არ ვცდილობთ წარმოვსახოთ „ეშკიალიკი", როგორც გლეხობის მიერ თავისი უკმაყოფილების გამოხატვის ფორმა, რომელსაც არა აქვს უარყოფითი მხარეები. „ეშკიალიკის" შეფასებისას მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს, რომ ეშკიათა ნაწილი. დაბალი კლასობრივი შეგნების გამო თავისი ჭეშმარიტი მტრისა და მოძალადის წინააღმდეგ კი არ იბრძვის, არამედ ძარცვა-გლეჯას ეწევა, ავიწროებს გლეხობას, რიგ შემთხვევაში კი აღას ინტერესების დამცველადაც გვევლინება. მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, ეს ეხება ეშკიათა მხოლოდ ცალკეულ ჯგუფებს, რომელთა გაიგივება „ეშკიალიკის" საერთო მოძრაობასთან ყოვლად დაუშვებელია.

უკიდურესობამდე მიყვანილი გლეხობა იარაღით ხელში გამოდის მთავრობის ორგანოებისა და ადგილობრივი მოძალადეების წინააღმდეგ, შეუპოვარ ბრძოლებს მართავს ჟანდარმერიის დამსჯელ რაზმებთან და რეგულარული არმიის ნაწილებთან, წვავს მემამულეთა კარმიდამოს, თავს ესხმის გადასახადების ამკრეფთ, იყოფს მდიდრების მიწებს, სიცოცხლეს ასალმებს საძულველ აღებს, მევახშეებს, ბობოლა მამასახლისებს, ათავისუფლებს ჟანდარმერიის მიერ მთავრობის საწინააღმდეგო საქმიანობისათვის დატუსაღებულ პირებს.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გლეხთა მღელვარებამ და ხელისუფლების წინააღმდეგ გამოსვლებმა აღმოსავლეთში ისეთ მასშტაბებს მიაღწია, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს მოუხდა 1952

---

[118] «Cumhuriyet», 13 Aralık 1961.

[119] «Cumhuriyet», 7 Nisan 1962.

წ. ივლისში საგანგებო გადაწყვეტილების მიღება და ღონისძიებათა დასახვა საკვლევ მხარეში სასურველი წესრიგის დასაცავად (პროფილაქტიკური ზომები იარაღის ტარების, მიწის გამო შეტაკებებისა და დანაშაულებათა ზრდის აღსაკვეთად)[120]. აღმოსავლეთის გლეხობა იარაღდება თავისი მოთხოვნების დასაცავად. 1952 წ. დიარბაქირში გამართულ მიტინგზე გამოსულმა სახელმწიფო მინისტრმა ექრემ ჰაირი უსთიუნდაღმა განაცხადა, რომ მთავრობას განზრახული აქვს ზომების მიღება აღმოსავლეთის მოსახლეობის განიარაღებისათვისო[121]. და მართლაც, 1953 წ. ივლისში მეჯლისმა მიიღო კანონი № 6136 „ცეცხლსასროლი იარაღისა და დანების შესახებ", რომელმაც იარაღის ტარების ახალი წესები განსაზღვრა. კანონი ძალაში შევიდა 15 აგვისტოს: აიკრძალა იარაღის თავისუფალი წარმოება, შემოზიდვა და გაყიდვა კერძო პირებისა და ორგანიზაციების მიერ, ცეცხლსასროლი იარაღის (გარდა სანადირო და სპორტული თოფებისა)შენახვა და ტარება; დაშვებული იქნა, აგრეთვე, მხოლოდ საოჯახო და სოფლის მეურნეობისათვის აუცილებელი დანების შენახვა[122].

კანონი პირველ რიგში აღმოსავლეთს შეეხო. მისი ძალაში შესვლიდან 25 დღის მანძილზე (15 აგვისტო—10 სექტემბერი) საკვლევ მხარეში ჩამორთმეული იქნა 386 მაუზერი და ავტომატი, 1575 დამბაჩა, 1333 ხანჯალი და დანა[123]. გლეხობა ახერხებდა იარაღის გადამალვას და ახლის შეძენასაც. იარაღის ტარების აკრძალვას მთავრობისათვის სასურველი შედეგი არ მოუტანია[124].

1952 წლის ოქტომბერში ტრაპიზონის ვილაიეთის სოფ. მელიაქლის ამბოხებული გლეხების დასასჯელად და „წესრიგის აღსადგენად" ჟანდარმთა რაზმი გაიგზავნა. გლეხები თავს დაესხნენ ჟანდარმებს; რაზმის უფროსმა მაშველი ძალა გამოიძახა, სოფელში დამატებით 10 ჟანდარმი მიავლინეს კაპიტანის წინამძღოლობით, მაგ-

---

[120] АВП СССР, Фонд 132, опись 42, дело 15, папка 133, л. 161, აგრეთვე «Hür ses», 1 Temmuz 1952.

[121] «Doğu illerinde halk niçin silâhlanıyor?», «Akşamı», 30 Mayis 1952.

[122] «Cumhuriyet», 21 Eylûl 1953.

[123] «Akşam», 11 Eylûl 1953.

[124] თურქული პრესის ცნობით, ამჟამად აღმოსავლეთ თურქეთში მალულად იარაღს ითხოვს ყველა ატარებს, ზოგ შემთხვევაში ქალებიც. 1961 წლის ბოლოს ჟანდარმებმა ორდუს ვილაიეთის მესუდიეს ილჩეში ჩხრეკისას 2 გლეხქალს საფინაზ გიულმეზსა და ჰიბიბე ჩობანს უსაბუთო რევოლვერები და დანები აღმოუჩინეს. «Cumhuriyet», 4 Aralık 1961.

რამ შეიარაღებული გლეხები არ შეუშინდნენ მომხდურებს და საშინლად სცემეს ისინი. ჟანდარმები, რომელთაგან 9 მძიმედ დაშავდა, სოფელს გაეცალნენ[125]. იმავე წლის ივნისში მარდინის ვილაიეთის სავურის ილჩეს სოფ. კერმიკში ჟანდარმებმა დააკავეს ერთი გლეხი და პოლიციის განყოფილებაში წაიყვანეს, მაგრამ მათ თავს დაესხნენ სოფლების მესკენის, ჰირბისა და კარბოს მცხოვრებლები, ტუსაღი წაართვეს, ჟანდარმები კი ქვებითა და კეტებით სცემეს[126]. 1953 წლის აპრილში მალათიის ვილაიეთის სოფ. იაზიჰანის გლეხები დაეცნენ ჟანდარმთა განყოფილებას და ქვებით ფანჯრები ჩაუულეწეს; რამდენიმე ჟანდარმი დაიჭრა[127]. 1954 წლის ივლისში სარიყამიშის სოფ. ილეკოის გლეხებს ნამდვილი ომი ჰქონდათ პოლიციის შენაერთებთან, სისხლისღვრა რამდენიმე დღე გაგრძელდა; ორივე მხარემ სერიოზული ზარალი განიცადა[128]. 1957 წ. მენდერესის მთავრობამ გაზიანთეფში მთავრობის საწინააღმდეგო გამოსვლების ჩასახშობად ტანკები და ავიაცია გამოიყენა, აღმოსავლეთის 9 ვილაიეთში საგანგებო მდგომარეობა გამოცხადდა[129]. თუნჯელის ვილაიეთის კაზა ოვაჯიკში 1958 წლის ოქტომბერში სოფლელებმა ჟანდარმთა ქვეგანაყოფს დიდი უსიამოვნება მიაყენეს: ჟანდარმებმა ფალაკაზე[130] გაროზგეს გლეხი მეჰმედ ალი; აღშფოთებული თანასოფლელები შეეტაკნენ ჟანდარმებს. ერთსაათიანი მუშტი-კრივის შემდეგ ჟანდარმებმა გაქცევით უშველეს თავს. ზოგი მათგანი დაიჭრა. ჟანდარმთა მეთაური კი ტანსაცმელშემოფლეთილი და ნაბეგვი წაიყვანეს[131]. მარდინის ვილაიეთის კიზილთეფეს ილჩეს სოფ. კურსის გლეხები ჟანდარმთა მიერ დაპატიმრებული თანასოფლელის გასანთავისუფლებლად კეტებითა და იარაღით აღჭურვილები შეცვივდნენ ჟანდარმთა განყოფილებაში და სცემეს ჟანდარმებსა და მათ უფროსს. ჟანდარმები მძიმე განსაცდელიდან ტელეფონით გამოძახებულმა მაშველმა რაზმმა იხსნა[132]. იგივე გამეორდა დიარბაქირში 1962 წლის თებერვალში[133].

---

125 «Ulus», 5 Ekim 1952.

126 «Akşam», 6 Haziran 1952.

127 «Cumhuriyet», 22 Nisan 1953.

128 «Halkçı», 2 Temmuz 1954.

129 В. Попов, С. Първанова, В съвременна Турция, стр. 6.

130 ფალაკა სპეციალური ხის დაზგაა, რომელზეც ფეხებით აბამენ დასასჯელს და ქუსლებზე სცემენ როზგებით.

131 «Cumhuriyet», 24 Ekim 1958.

132 «Cumhuriyet», 2 Şubat 1960.

133 «Cumhuriyet», 10 Şubat 1962.

გლეხები ფიზიკურად უსწორდებიან მოძალადე მამასახლისებს, მოლებსა და სახელმწიფო მოხელეებს. 1952 წ. გლეხებმა ურფაში მოკლეს სურუჩის სოფლის მეურნეობის პროდუქტების სამმართველოს ერთ-ერთი პასუხისმგებელი პირი[134]. 1958 წლის ივლისში იგივე ბედი ეწია თუნჯელის ვილაიეთის ჰოზაკის კაზას სოფ. თეკელის მამასახლისს ალი რიზა აკგიუნს[135], 1962 წლის თებერვალში სიირთის ვილაიეთის ბეშირის ილჩეს სოფ. ავიზკეს მამასახლისს მუსა ასლანსა და იმამს შუქრუ ასლანს[136]. 1963 წლის დეკემბერში კი ურფას ვილაიეთის სივერენის ილჩეს სოფ. ჰირბესტიანის მოლა რამაზან აღას[137]. 1953 წ. 8 შეიარაღებული გლეხი თავს დაესხა მეჯლისის დეპუტატს აზიზ ურასს, როცა იგი დიარბაქირიდან მარდინს მიემგზავრებოდა მანქანით. დაჭრილი დეპუტატი სასწაულით გადაურჩა სიკვდილს[138].

ზოგიერთ შემთხვევაში გლეხობა არ ემორჩილება მთავრობის ორგანოების ნება-სურვილს. თურქულ პრესაში არაერთხელ აღნიშნულა, რომ მამასახლისის არჩევისას გლეხები, რომლებიც უარს ამბობენ ხელმძღვანელი ინსტანციებისათვის სასურველ კანდიდატებზე, თავის გადაწყვეტილებათა დასაცავად იარაღს მიმართავენ. ამ ნიადაგზე მრავალი კონფლიქტი წარმოშობილა საკვლევ მხარეში და არაერთი გლეხი შეეწირა თავისი მოთხოვნის დაცვას. 1960 წლის იანვარში დიარბაქირში თავმოყრა დაიწყო ახლომახლო სოფლების უკმაყოფილო გლეხობამ. ვილაიეთის ხელმძღვანელობამ უშიშროების დასაცავად ქალაქის ყოველ კუთხეში ჟანდარმერიისა და პოლიციის ბადრაგების მორიგეობა დააწესა. უშიშროების განყოფილების უფროსი სალაჰათინ თუგალი სამსახურიდან გადააყენეს იმისათვის, რომ ადრე არ გაატარა საჭირო პროფილაქტიკური ზომები[139]. ბითლისის ვილაიეთის სოფ. შეიჰანში 1961 წ. მამასახლისის არჩევისას გლეხების ჯგუფი არ იყო თანახმა ხმა მიეცა წამოყენებული ბობოლასათვის. მოხდა შეტაკება, რის შედეგად დაიღუპა 4 და დაიჭრა 3 გლეხი[140], ანალოგიური მდგომარეობა შეიქმნა 1963 წელს ურფას ვილაიეთის სოფ. პირჩობანში, სადაც მოკლეს და დაჭრეს 15 და დაპატიმრეს 24 კაცი[141].

---

[134] «Ulus», 15 Temmuz 1952.
[135] «Cumhuriyet», 17 Temmuz 1958.
[136] «Cumhuriyet», 19 Şubat 1962.
[137] «Yeni sabah», 23 Aralık 1963.
[138] «Akşam», 9 Ekim 1953.
[139] «Cumhuriyet», 2 Şubat 1960.
[140] «Ulus», 18 Eylül 1961.
[141] «Yeni sabah», 11 Şubat 1963,

სოციალური ჩაგვრის წინააღმდეგ ამხედრებული გლეხები ანადგურებენ მემამულეთა კარმიდამოს და ავლადიდებას, იტაცებენ მათ მიწებსა და პირუტყვს. 1960 წელს სისხლისმღვრელი შეტაკებები მოხდა ბოგანო გლეხებსა და მსხვილ მიწათმფლობელებს შორის ვანის, სიირთის, ელიაზიგისა და ჰაკიარის ვილაიეთებში. ჟანდარმები ულმობლად გაუსწორდნენ კეტებითა და ბარებით შეიარაღებულ გლეხებს და სისხლში ჩაახრჩვეს მათი ამბოხება[142]. 1961 წელს საკვლევ მხარეში აჯანყებულ გლეხებს ჟანდარმებმა ცეცხლი დაუშინეს, განსაკუთრებით უმოწყალოდ იქნა ჩახშობილი მღელვარებანი აღმოსავლეთის ქურთულ რაიონებში[143], როგორც „იუხაიტედ პრეს ინტერნეიშნლის“ სააგენტო იუწყებოდა 1961 წლის 10 მაისს ურფას ვილაიეთის სამ ილჩეში მღელვარებათა დროს, მოკლეს და დაჭრეს 100-მდე კაცი. სიირთის ვილაიეთის სოფ. განიასის მცხოვრებლებმა 1963 წ. მოკლეს იქაურობის ბატონ-პატრონი ფეოდალი და მისი მიწები ერთმანეთში გაინაწილეს[144]. იმავე წელს დამსჯელი ორგანოების მუშაობის შესაფერხებლად სარიყამიშის სოფლელებმა რამდენიმე დღეში მოჭრეს ტელეფონის 70 ბოძი და გაანადგურეს სატელეფონო კაბელები. მაზრის ჟანდარმერია დიდი ხნით მოწყვეტილი აღმოჩნდა გარე სამყაროს[145].

ზემომოყვანილი მასალა მოწმობს, რომ სოციალური წინააღმდეგობანი აღმოსავლეთ თურქეთის სოფელში მეტად გამწვავებულია. შეძლებული კლასების ძალმომრეობა და შეუწყნარებელი უსამართლობა სოფლის ღარიბი და საშუალო ფენების დიდ უკმაყოფილებას იწვევს. მართალია გლეხობის დაბეჩავებულობისა და სიბნელის გამო მათი პროტესტი ნაწილობრივ პასიურ ხასიათს ატარებს და მიწის, საძოვრებისა და წყლისათვის ერთმანეთს შორის სისხლისმღვრელი კონფლიქტების სახეს იღებს, მაგრამ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გახშირდა მემამულეთა მიწებისა და ავლადიდების დატაცება, გამოსვლები გადასახადების აკრეფისა და რეკვიზიციების წინააღმდეგ, ჟანდარმერიისათვის შეიარაღებული წინააღმდეგობის გაწევა. ეს შეტაკებანი ზოგჯერ ნამდვილი ბრძოლის ხასიათს ატარებს.

---

[142] «Öncü», 6 Ekim 1960.

[143] „Работническо дело“, 11 февруари 1962.

[144] П. Моисеев, Турция: реформа или голод? „Азия и Африка сегодня“, № 6 1964 г. стр. 12.

[145] «Yeni sabah», 7 Aralık 1963.

გლეხთა გამოსვლებს ჯერჯერობით სტიქიური, ლოკალური ხასიათი აქვს, მოკლებულია ერთიანობასა და მასობრიობას. გლეხთა მოძრაობა ძირითადად გამოიხატება სოფლელთა ჯგუფის, უკეთეს შემთხვევაში ერთი ან ორი სოფლის მოსახლეობის მთავრობის საწინააღმდეგო აქციით კონკრეტული ეკონომიური ხასიათის მოთხოვნის დაკმაყოფილებისათვის. სოფლის ღარიბი და საშუალო ფენების ბრძოლა არ წარმოადგენს ფართო მასშტაბის რევოლუციურ მოძრაობას მკაფიოდ გამოკვეთილი პოლიტიკური და ეკონომიური ლოზუნგებით.

დაბალია გლეხობის კლასობრივი თვითშეგნება; სოფლის მშრომელები არ არიან გაერთიანებული მათი ინტერესებისათვის მებრძოლ ჰეშმარიტად გლეხურ პოლიტიკურ ორგანიზაციებსა და კავშირებში, მათ გარკვეულ ნაწილს ჯერ კიდევ სჯერა მმართველი წრეების დემაგოგიური დაპირებებისა; საკმაოდ ძლიერია რელიგიური და ნაციონალისტური ტენდენციები, რაც მნიშვნელოვნად აბრკოლებს საკვლევი მხარის მშრომელი გლეხობის ერთიან დარაზმვას მემამულური ექსპლოატაციის წინააღმდეგ პროლეტარული ინტერნაციონალიზმისა და კლასობრივი მონოლითურობის სულისკვეთებით.

აღმოსავლეთის სოფელი მოკლებულია საზოგადოებრივ-პოლიტიკური განვითარების მოწინავე და გადამწყვეტი ძალის—მუშათა კლასის ხელმძღვანელობას, რადგან საკვლევი მხარე ზედმიწევნით ღარიბია ისეთი სამრეწველო ობიექტებით, სადაც შეიძლება შეიქმნას და ნაყოფიერი მუშაობა გაშალოს რევოლუციური პროლეტარიატის კლასობრივმა ორგანიზაციებმა. ეს გლეხთა გამოსვლების სტიქიური ბუნებისა და დაქსაქსულობის გადამწყვეტი ფაქტორია.

თურქეთის კომუნისტური პარტია თავისი დაარსების პირველივე წლებიდან ღრმა იატაკქვეშეთში იმყოფება და მეტად რთულ პირობებში უხდება გაღატაკებულ გლეხთა მასების დარაზმვა ბატონყმური ძალმომრეობის, პარაზიტული სავაჭრო-სავახშო კაპიტალის წინააღმდეგ საბრძოლველად, აუტანელი საგადასახადო უღლის დასამხობად. ამას ერთვის ხელისუფლების ორგანოების სასტიკი რეპრესიები.

მაგრამ თურქეთის რეაქციას, ქვეყნის პროგრესული ძალების რეპრესიებისა და დევნის მიუხედავად, ძალა არ შესწევს შებოჭოს ხალხის ფართო მასების რევოლუციური მოძრაობა. თურქეთში სულ უფრო მაღლა იწევს კლასობრივი ბრძოლის ტალღა, ძლიერდება გლეხთა ბრძოლაც მიწის, პურის, სოციალური თანასწორუფლებიანობის, მშვიდობისა და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის.

ძირითადი წყაროები და ლიტერატურა

ვ. ლენინი — კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში, თხზ., გამოცემა IV, ტ. 3.

ვ. ლენინი — თანამედროვე მიწათმოქმედების კაპიტალისტური წყობილება, თხზ., გამოცემა IV, ტ. 16;

ვ. ი. ლენინი — მეორე სახელმწიფო სათათბიროში აგრარულ საკითხზე წარმოსათქმელი სიტყვის პროექტი, თხზ., გამოცემა IV, ტ. 12.

ვ. ი. ლენინი — როგორ არ უნდა იწერებოდეს რეზოლუციები, თხზ., გამოცემა IV, ტ. 12;

ვ. ი. ლენინი — „სოციალ-დემოკრატიის აგრარული პროგრამა რუსეთის 1905—1907 წლების პირველ რევოლუციაში", თხზ., გამოცემა IV, ტ. 13.

ვ. ლენინი — რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის პლატფორმა, თხზ., გამოცემა IV, ტ. 12.

ვ. ი. ლენინი —აგრარული საკითხი რუსეთში XIX საუკუნის დამლევს, თხზ., გამოცემა IV, ტ. 15.

ვ. ლენინი — მოხსენება აგრარულ საკითხზე 26 აპრილს (11 მაისს), თხზ., გამოცემა IV, ტ. 24.

„საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამა", თბილისი, 1962.

„განცხადება კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა თათბირისა, რომელიც გაიმართა მოსკოვში 1960 წლის ნოემბერში", თბილისი, 1961.

ო. გიგინეიშვილი — თურქიზმი და ოსმალეთის საგარეო პოლიტიკა, თბილისი, 1963.

დ. ზავრიევი — ნარკვევები საზღვარგარეთის აღმოსავლეთის ქვეყნების უახლესი ისტორიიდან, თბილისი, 1960.

ნ. ნაკუბია — თურქეთის სოფლის მეურნეობა („საქართველოს ეკონომისტი", 1958, № 5).

ს. უსთიუნგელი — საპყრობილე და „თავისუფლება". თურქი კომუნისტის ჩანაწერები, თბილისი, 1953.

ა. ტერელაძე — აპარისა და ჩრდილო-აღმოსავლეთ ანატოლიის ფიზიკურ-გეოგრაფიული დახასიათება. სადისერტაციო შრომა გეოგრაფიულ მეცნ. კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. თბილისი, 1961 (ხელნაწერი).

«Аграрный вопрос и национально-освободительное движение». Материалы обмена мнениями марксистов-аграрников, состоявшегося в июле-сентябре 1960 г. в Гаване и Бухаресте. М., 1963.

«Азия и Африка. 1950—1960». Статистический сборник. М., 1964.

Валуйский А. М., Данциг Б. М., Моисеев П. П., Турция — сб. «Аграрные отношения в странах Востока», М., 1958.

Вдовиченко Д. И., Национальная буржуазия Турции. М., 1962.

Гасратян М., Моисеев П., Турция ждет перемен, М., 1963.

Гасратян М. А., Турция в 1960—1963 годах., М., 1965.

Даркот Б., География Турции, М., 1959.

Демир Я., Турция в тисках реакции («Проблемы мира и социализма», 1963, № 11).

Демир Я., Окан Х., Турция: пути развития («Проблемы мира и социализма», 1965, № 5).

Дяткин Е. О., Экспортные рессурсы восточных вилайетов Турции, сб. статей, Внешторгиздат, М-Л., 1933.

Жуковский П. М., Земледельческая Турция (Азиатская часть — Анатолия) М-Л., 1933.

Завриев Д. С., — Восточная Анатолия. Экономические очерки, Тбилиси, 1936.

Завриев Д. С., К новейшей истории северо-восточных вилайетов Турции, Тбилиси, 1947.

Зикмунд М. — Ганзелка И., Турция, Прага, 1962.

Лудшувейт Е. Ф., Турция. Экономико-географический очерк, М., 1955.

Макал М., Наша деревня. Записки турецкого учителя, М., 1951.

Моисеев П. П., О новых явлениях в сельском хозяйстве Турции, «Турецкий сборник», М., 1958.

Моисеев П. П., Аграрные отношения в современной Турции, М., 1960.

Моисеев П. П., Турция, сб. «Аграрные реформы в странах Востока», М., 1961.

Моисеев П. П., Проблемы экономической стабилизации современной Турции («Краткие сообщения Института народов Азии», 73, 1963).

Моисеев П. П., Национальный доход Турции («Народы Азии и Африки», 1964, № 5).

Моисеев П. П., Турция: реформа или голод? («Азия и Африка сегодня», 1964, № 6).

Новичев А. Д., Крестьянство Турции в новейшее время, М., 1958.

Новичев А. Д., Источники и литература о крестьянстве Турции в новейшее время, сб. «История и филология стран Востока», Л., 1959.

Обзор положения сельского хозяйства в Европе на конец 1961, 1962 годов. ООН, Женева, 1962, 1963.

Победина М. П., Цыбульский В. В., Афганистан. Иран. Турция. М., 1961.

«Проблемы современной Турции», М., 1963.
Программа действия Коммунистической партии Турции.
«Програмные документы коммунистических партий Востока», М., 1934.
Розалиев Ю. Н., Особенности развития капитализма в Турции, М., 1962.
Саркисов Е. К., Положение трудящихся масс в современной Турции, Ереван, 1955.
«Современная Турция» (справочник), М., 1958.
Уразова Е. И., Государственные налоги в Турции. «Турецкий сборник», М., 1958.
Устюнгель С., Свержение правительства Мендереса в Турции («Проблемы мира и социализма», 1960, № 8).
Цыбульский В. В., Античные географические названия в современной Турции, сб., «Топонимика Востока», М., 1962.

Ангелов В., Турция, София, 1954.
Окан Х., Развитие на капитализма в Турция, София, 1961.
Окан Х., Условната на труд и живот на трудещите се в Турция («Труд и цены», София, 1961, № 5).
Окан Х., Аграрниат вопрос в Турции («Икономическа мисъл», София, 1961, № 6—7).
Попов В., Първанова С., В съвременна Турция, София, 1963.

„Atatürkün söylev ve demeçleri", Ankara, 1954.
„Beş senelik tarımsal kalkınma programı", Ankara, 1948.
„C. H. P. yedinci kurultay tutanağı", Ankara, 1948.
„Doğu Anadolu bölgesinin kalkınması ve özel sektör" („Türkiye iktisat gazetesi", 22 Ağustos 1963).
„Doğu yolları programı" („Zafer", 9 Eylûl 1953).
„Içtimaî meseleler" — yayın № 3, „Iktisadî kalkınma" — yayın № 4. 1958 bütçe müzakerelerinde C. H. P. millet vekillerinin yaptıkları tenkit ve tekliflerden özetler. C. H. P. Genel Sekreterliği Araştırma ve Dokümantasyon Bürosu, Ankara, 1959.
„Istanbul Ticaret Odası Mecmuası", Istanbul, 1960, № 1.
„Istatistik yıllığı", c.c. 17 — 21, Ankara 1949 — 1953.
„Köyler istatistiği. 1945 anket sonuçları". Yayın № 287. Ankara, 1948.
„1948 köy sayımı hulâsa sonuçları", yayın № 320, Ankara, 1952.

„1949 köy sayımı hulâsa sonuçları", yayın № 344, Ankara, 1953.
„1950 ziraat sayımı neticeleri", yayın № 371, Ankara, 1956.
„Sonbahar ziraat anketi (1952)", Ankara, 1956.
„Milli Eğitim Bakanlığı. Doğu Üniversitesi hakkında rapor. Istanbul, 1952.
„Modern büyük atlas", hazırlayanlar Besim Darkot, Visintin, U. Bonapace. Ankara, 1965.
„Rize bölgesinde çay yetiştirmenin ve işlemenin meseleleri". Tarım Bakanlığı. Ilmî Rapor ve Araştırma Serisi: c. 9. Hazırlayan prof. Sait Tahsin Tekeli, Ankara 1961.
„Türkiye ticaret Odaları, Sanayı Odaları ve Ticaret borsaları birliği. Iktisadî raporu". Istanbul, 1961.
„Türkiye yıllığı" (1962 — 1965), Ankara, 1962 — 1965.
„Türkiyede ziraî makinalaşma. Ziraatte makina kullanılmasının doğurduğu teknik, ekonomik ve sosyal meseleler üzerinde bir araştırma", Ankara, 1954.
„Ziraî istatistik özetleri 1936 — 1957", Ankara, 1958.
„Ziraî istatistik özetleri 1958 — 1960", Ankara, 1962.
„Ziraî istatistik özetleri 1941 — 1962", Ankara, 1963.
„T. C. Resmî gazete", Ankara, 1945 — 1963.
„Türk ansiklopedisi", c.c. 1 — 10, Ankara, 1946 — 1957.

Aktan R., Rizede çay, Ankara, 1946.
Aras A., Güney — Doğu Anadoluda arazi mülkiyeti ve işletme şekilleri, Ankara, 1956.
Ären, Y. Mazhar, Trabzonun halk bünyesi zayıf insanlardır („Cumhuriyet", 13 Mart 1947).
Arer R., Rize. Içtimaî, iktisadî ve kulturel bakımından bir tetkik, Ankara, 1952.
Atak, M. Sadık, Doğunun kilidi Aras, Ankara, 1953.
Aytekin H. (Harmandalıoğlu), Doğuda kıtlık vardı, Ankara, 1965.
Batu S., Doğu illeri hayvancılığı, Ankara, 1953.
Batu S., Türk ekonomisinde hayvancılığın önemi. Inkişafı sağlıyacak tedbirler („Iktisadî yürüyüş", 1958, № 361).
Beğenç C., Diyarbakır ve Raman, Ankara, 1949.
Bilâlof M., Türkiyede işçilerin ve köylülerin durumu. Sofya, 1959.

Birol L., Türkiyede kooperativler, Ankara, 1960.
Cillov H., Türkiyede ziraî makineleşme („Iktisat ve Maliye", 1960, № 11).
Cillov H., Nüfus istatistikleri ve demoğrafının genel esasları, Istanbul, 1960.
Darkot B., Türkiye iktisadî coğrafyası, Istanbul, 1958.
Darkot B., Türkiye coğrafyası, Istanbul, 1965.
Derin Zihni, Doğu Karadenizi kalkındıralım, Ankara, 1952.
Dersimi N., Kurdistan tarihinde Dersim, Halep, 1952.
Doğan E., Dıyarbakır evleri, Istanbul, 1953.
„Doğuda yapılacak ıslahat" („Cumhuriyet", 12 Haziran 1947).
„Doğudaki açlığın sebebi" („Cumhuriyet", 8 Ocak 1962).
„Doğunun süratle kalkınması" („Cumhuriyet", 11 Kasım 1961).
Dünder T., Tunceli ile çevresinde üç vilayetin ziraî durum ve gelişme imkânları, Istanbul, 1943.
Erdentuğ N., Hal Köyünün etnolojik tetkiki, Ankara, 1956.
Erdentuğ N., Sün Köyünün etnolojik tetkiki, Ankara, 1959.
Erin N., Doğu illere ait („Ulus", 23 Ağustos 1952).
Erinç S., Doğu Anadolu coğrafyası, Istanbul, 1953.
Erzurum ve Karadeniz illerindeki darlık („Akşam", 20 Haziran 1950).
Feyhi R., Doğu köylerinde tetkikler, Istanbul, 1938.
Fırat M. Şerif, Doğu illeri ve varto tarihi, Istanbul, 1961.
Furuzan K., Doğu ve Güney — Doğu Anadoluda tetkik gezisi raporu. Ankara, 1954.
Gökgöl M., Doğu — Karadeniz bölgesinde, bir araştırma gezisi. Istanbul, 1937.
Gökgöl M., Şimali — Şarki Anadolu yaylasında ziraat araştırmaları, Istanbul, 1937.
Günaydın E., Bilikan köyünde halk toprak altında yaşıyor, („Cumhuriyet", 18 Mart 1961).
Harmandalıoğlu, Fındık bölgesindeki köylülerin kredi ve borçlanma durumu („Forum", 1959, № 126).
Harmandalıoğlu, Insanların tıkanıp kaldığı bir ülke („Forum", 1960, № 157).
Harmandalıoğlu, Bir hayvancı köyünün gelir — gider tablosu (Tunceli) („Forum", 1960, № 158).
Harmandalıoğlu, Bir eşkiya („Forum", 1961, № 166).

Harmandalıoğlu, Bir hayvancı köyünün gelir — gider tablosu (Van) („Forum", 1961, № 173).
Harmandalıoğlu, Bir hayvancı köyünün gelir—gider tablosu (Kars) („Forum", 1963, № 212).
İstanbul „Vatan" gazetesi: Ağrı, Bingöl, Bitlis, Çoruh, Diyarbakır, Elâzığ, Erzincan, Erzurum, Gaziantep, Giresun, Gümüşane, Hakâri, Kars, Malatya, Mardin, Muş, Siirt, Ordu, Rize, Trabzon, Tunceli, Urfa ve Van ilâveleri, İstanbul, 1952 — 1953.
Karadenizli K., Trabzon tarihi, Ankara, 1954.
Karpat K., Memleketimizde şehirlere nüfus akını („Forum", 1960, № 142).
Kasapbaşı Y., Doğu ağalar saltanatının sonu („Hürriyet", 19 Kasım 1960).
Kasapbaşı Y., Haraç vermeyen köy yanmaya, köylüler de ölmeye mahkûm („Hürriyet", 20 Kasım 1960).
Kemal Y., Doğuda mağara insanları („Cumhuriyet", 25 Ağustos 1953).
Kop K. Kemal, Ankaradan Van gölüne, Ankara, 1937.
Kop K. Kemal, Doğu illerinde geziler, Ankara, 1945.
Mağdenli Z., Türkiye hayvancılığına coğrafya bakımından kısa bir bakış, Ankara, 1954.
Nazlı N., Elâzığ ilinin coğrafî, ziraî, ticarî, tarihî, nüfus ve jeolojik durumu, Ankara, 1939.
Okyar O., Doğunun iktisadî meseleleri („Forum", 1963, № 228).
Orhon E., Rizenin iktisadî değeri („İktisadî yürüyüş", 1958, № 360).
Peker K., Trabzonun kıymetleri („İktisadî yürüyüş, 1959, № 380).
Saraçoğlu H., Doğu Anadolu, cilt I, İstanbul, 1956.
Sarı S., Adıyaman ve kazaları, Ankara, 1955.
Saygın A., Rize, Artvin ve Kars havalısı, İstanbul, 1937.
Suuguroğlu I., Harput yollarında, c.c. I — III, İstanbul, 1958 — 1961.
Tanoğlu A., Malatya dolaylarında coğrafî geziler, c.c. I — II, Ankara, 1943 — 1944.
Taymas A., Yeşil Rize ve ili, Ankara, 1950.
Torosoğlu A., Rizenin ziraî durumu („İktisadî yürüyüş", 1958, № 360).

Tekeli, S. Tahsin, Rizede çay yetiştirmenin tabii esasları, Ankara, 1943.
Uludamar F., Urfa köyleri ve makinalaşmış ziraat („Ulus", 30 Ağustos, 1952).
Us A., Istanbuldan Çoruha, Istanbul, 1948.
Ünsel M. Ziya, Yeşil Malatya, Istanbul, 1959.
Yalçın O., Erzurum. Istanbul, 1959.
Yücel T., Fırat nehrinin rejimi üzerine bir deneme, Ankara, 1955.

Devis P. H., Lake Van and Turkisch Kurdistan („The Geographical journal", London, 1956, vol. CXXII, Part 2).
„For all the tea in Turkey" („The Times", London, 9.VI.1962).
Granlid O., Det turkiska jordbruket („Ymer", Stokholm, 1963, № 3 — 4).
Hütteroth W. D., Bergnomaden und Yaylabauern im mittleren Kurdischen Taurus, Marburg, 1959.
Hütteroth W. D., Beobachtungen zur sozialstruktur Kurdischer Stämme im östlichen Taurus („Zeitung Ethnol.", 1961, № 1).
Konczos Y., Magyar vízierőmű Törökországban („Külkereskedelem", Budapest, 1961, № 9).
Planhol X. de, A travers les chaînes pontiques. Plantations côtières et vie montagnarde („Bull. Assoc. géographes franç.", 1963, № 311 — 312).
Rouvé Gerhard, Der Ausbau des Euphrat — Tigris — Beckens auf türkischem Boden („Die Wasserwirtschaft", Stutgart, 1961, № 6).
Schmidt H., Große Bewässerungsprojekte im türkischen Teil des Euphrat und Tigrisgebietes, („Wasser und Nahrung", 1962, № 3).
Stratil — Sauer G., Forschungen in Nordost Anatolien („Mitteilungen der Österreichischen Geographischen Gesellschaft" Wien, 1958, №3).
Turkey. Aswan on the Euphrats („Economist", London, 1964, № 6322).
Vlach R., Anatolský breh. Kniha o turecku. Praha, 1961.

Winkler E., Bericht über eine studienreise nach der Türkei 1961. („Mitteilungen Der Österreichischen Geographischen Gesellschaft", Wien, 1961, № 3).
Wolfram E., Nomads and farmers in Southeastern Turkey. Problems of settlement („Oriens", Leiden, 1953, vol. 6, № 1).
Yaşar Ö., Voraussetzungen und möglichkeiten für die mechanisierung der türkischen Landwirtschaft, Bonn, 1961.

შინაარსი

შესავალი 5

საკვლევი ტერიტორიის მოკლე ფიზიკურ-გეოგრაფიული დახასიათება 14

თ ა ვ ი პ ი რ ვ ე ლ ი. სოფლის მეურნეობა და გლეხობის მდგომარეობა თურქეთში მეორე მსოფლიო ომის შემდეგ 23

1. აგრარული ურთიერთობანი 23
2. სასოფლო-სამეურნეო წარმოების დონე 38

თ ა ვ ი მ ე ო რ ე. აგრარული ურთიერთობანი და საწარმოო ძალთა მდგომარეობა აღმოსავლეთ თურქეთის სოფელში მეორე მსოფლიო ომის შემდეგ 53

1. მიწათმფლობელობა და მიწათსარგებლობა 53
2. საწარმოო ძალთა განვითარების დონე აღმოსავლეთ თურქეთის სოფელში 82
3. თურქეთის ცენტრალური ხელისუფლება და აღმოსავლეთ ვილაიეთების კულტურულ-ეკონომიური განვითარების პრობლემა 116

თ ა ვ ი მ ე ს ა მ ე. აღმოსავლეთ თურქეთის გლეხობის მდგომარეობა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ 126

1. საყოფაცხოვრებო პირობები 126
2. გლეხთა მოძრაობა აღმოსავლეთ თურქეთში მეორე მსოფლიო ომის შემდეგ 142

ძირითადი წყაროები და ლიტერატურა 158

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედ.-საგამომც. საბჭოს დადგენილებით

*

რედაქტორი ღ. გიგინეიშვილი

გამომცემლობის რედაქტორი დ. ლეჟავა
ტექრედაქტორი ე. ბოკერია
კორექტორი ზ. ავალიანი

ხელმოწერილია დასაბეჭდად 12.10.1965; ქაღალდის ზომა 60×90¹/₁₆;
ნაბეჭდი თაბახი 10.50 სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 9.52;
უე 02249; ტირაჟი 1000; შეკვეთა 1171;
ფასი 84 კაპ.

გამომცემლობა „მეცნიერება", თბილისი, ძერჟინსკის ქ. № 8
Издательство «Мецниереба», Тбилиси, ул. Дзержинского № 8

გამომცემლობა „მეცნიერების" სტამბა, თბილისი, გ. ტაბიძის ქ. № 3/5
Типография Издательства «Мецниереба», Тбилиси, ул. Г. Табидзе 3/5